К59-302
2

ბერნჰარდ
შლინკი

Der Vorleser

რეფერენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იბისი"
Ibis Verlag

Bernhard Schlink

DER VORLESER

Roman

Georgisch von Maia Mirianaschwili

Ibis Verlag Tbilisi
2005

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერნჰარდ შლინკი

როცა ეკითხევდა

რომანი

გერმანულიდან თარგმნა
მაია მირიანაშვილმა

გამომცემლობა „იბისი"
თბილისი
2005

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერნჰარდ შლინკი დაიბადა 1944 წელს ბილეფელდში. დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. როგორც მწერალი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა 1987 წელს. მისი რომანი „როცა უკითხავდა“ გამოქვეყნდა 1995 წელს და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა. მინიჭებული აქვს არაერთი ლიტერატურული და სახელმწიფო პრემია.

ბერნჰარდ შლინკის რომანი „როცა უკითხავდა“ უკვე ოცდათხუთმეტ ენაზეა ნათარგმნი და მსოფლიო ბესტსელერადაა აღიარებული. ამ ნაწარმოებში მოთხრობილი ნაღვლიანი სიყვარულის ამბავი, უამრავ შეკითხვას ბადებს მკითხველში. თხუთმეტი წლის მიხაელს თავდავიწყებით უყვარდება ოცდათექვსმეტი წლის ქალი... და სწორედ ის ხდება მისი პირველი ქალიც და პირველი ტანჯვაც.

გამოცანებით აღსავსე, უცნაური ქალი მთელი ცხოვრება რაღაც საიდუმლოს მალავს და ერთ დღესაც უკვალოდ ქრება. მხოლოდ კარგა ხნის მერე მიხაილი ისევ ხვდება ჰანას, მაგრამ ამჯერად სასამართლო პროცესზე...

რედაქტორი: ანა ჯაბაშვილი

© 1995 by Diogenes Verlag AG Zürich

Erste Georgische Übersetzung
© Ibis Verlag 2005

სუბ-2000
ფემიდაგებული

პირველი ქართული გამოცემა
© გამომცემლობა „იბისი“, 2005

ISBN 99940-767-5-2

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი

1

თხუთმეტი წლისას ჰეპატიტი შემეყარა. შემოდგომაზე დამეწყო და გაზაფხულამდე გასტანა. ძველი წელი ილეოდა, სიბნელე და სიცივე მატულობდა. მეც სისუსტე დღითი-დღე უფრო მემატებოდა. ახალი წლიდან უკეთესობა ძლივს დამეტყო. იანვარი თბილი დაიჭირა, დედაჩემმა საწოლი აივნისაკენ მიმიწია. და მეც ცას, ღრუბლებს, მზეს გავცქეროდი, ეზოში მოთამაშე ბავშვების ხმაურს ყურს ვუგდებდი. თებერვლის ერთ საღამოს შაშვის გალობაც შემომესმა.

ავადმყოფობის მერე პირველად ბლუმენშტრასედან, სადაც საუკუნის მიჯნაზე აშენებული უზარმაზარი სახლის მეორე სართულზე ვცხოვრობდით, ბანჰოფშტრასესაკენ გამიწია გულმა. ოქტომბრის ერთ ორშაბათ დღეს, სკოლიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, სწორედ ამ გზაზე მაღებინა. მანამდეც უკვე სამი დღე ძალიან სუსტად ვგრძნობდი თავს, ცხოვრებაში ასე სუსტად არასოდეს ვყოფილვარ. ნაბიჯის გადადგმაც კი მიჭირდა. ფეხზე ძლივს ვიდექი, ჭამის მადა სულ არ მქონდა. მაგიდასთან მთლად მშიერიც რომ ვმჯდარიყავი, უკვე გულის რევის შეგრძნება მეწყებოდა. დილით გამომშრალი პირით მელვიძებოდა, მთელი სხეული დამძიმებული მქონდა. ცხოვრებაში არასოდეს მიღებინებია, საშინლად შემრცხვა მაშინ. არადა, უცბად პირი ამევსო, შევეცადე თავი შემეკავებინა, ისევ ჩამეყლაპა, ტუჩები მაგრად მოვკუმე, პირზე ხელიც

ავიფარე, მაგრამ ამაოდ. თითებს შორის მაინც გადმომიჭყაპუნდა. მერე სახლის კედელს მივეყრდენი და გაოგნებული ფეხებზე გადმოსხმულ ნარწყევს დავცქეროდი, ყელში მოწოლილი ლორწოსაგან ვიხრჩოდი.

მაშინ ერთმა ქალმა იზრუნა ჩემზე. საკმაოდ უხეშად მომკიდა ხელი, რომელიღაც სახლის ჩაბნელებული სადარბაზოდან ეზოში გამიყვანა. მაღლა, ფანჯრიდან ფანჯარამდე თოკები იყო გაბმული, სარეცხი ეკიდა. ერთ კუთხეში შეშა ეწყო. იქვე, სახელოსნოს ღია კარიდან ხერხის ხმა გამოდიოდა, ჰაერში ხის ნახერხი აქეთ-იქით ირეოდა.. ეზოში კარის გვერდით ონკანი იყო. ქალმა სწორედ იქ მიმიყვანა, ჯერ ხელები დამბანა, მერე მუჭით წყალი სახეზეც შემასხურა. ხელ-პირი ცხვირსახოცით შევიმშრალე.

— მოჰკიდე ხელი.

ონკანის გვერდით ორი ვედრო იდგა, ერთს იმან დაავლო ხელი, აავსო, მეორე მე ავავსე და უკან გავყევი. სადარბაზოდან ისევ ქუჩაში გავედით. ქალმა ვედრო მოიქნია და ქვაფენილზე ნარწყევი გადარეცხა. მერე ვედრო მეც გამომართვა და ისიც მოაპირქვავა.

წელში რომ გაიმართა, დაინახა, რომ ვტიროდი.

— ბიჭუნა, ბიჭუნა, თქვა მან გაოცებულმა და გულზე მიმიკრა. მკერდთან მის მკერდს შევიგრძნობდი. ისე მაგრად ვყავდი ჩახუტებული, პირიდან ჩემი ნარწყევის სუნსა და მისი საამო ოფლის სუნს შევიგრძნობდი. არ ვიცოდი, ხელები სად წამეღო. ტირილით აღარ ვტიროდი.

— სად ცხოვრობ? — მკითხა მან. ვედროები იქვე სადარბაზოს შესასვლელთან დააწყო, ჩანთა

გამომართვა, ხელი ჩამკიდა და გვერდით გამომ-
ყვა. ბანჰოფშტრასესთან ახლოს მდებარე ბლუმენ-
შტრასეზე მტკიცე და სწრაფი ნაბიჯებით მიდიო-
და.. სწორედ ეს მგვრიდა შვებას და სიარულს
მიადვილებდა. სახლამდე მიმაცილა და იქ გამო-
მემშვიდობა.

იმავე დღეს დედამ ექიმი გამოიძახა. სიყვითლე
დამიდგინდა. მოგვიანებით დედას ამ ქალის შესა-
ხებ ვუამბე. აბა, მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ
ოდესმე ამ ქალთან საკუთარი ნებით მივიდოდი.
თუმცა დედა სავსებით ბუნებრივად თვლიდა, რომ
გამოჯანმრთელებისთანავე იმ ქალთან ყვავილებით
უნდა მივსულიყავი და მადლობა გადამეხადა. ასე
რომ, თებერვლის ბოლოს ბანჰოფშტრასესაკენ გავ-
წიე.

2

ეს სახლი ბანჰოფშტრასეზე დღეს აღარ დგას.
არ ვიცი, როდის ან რატომ დაანგრიეს. მშობლიურ
ქალაქში კარგა ხანია აღარ ვყოფილვარ. ეს ახა-
ლი ხუთსართულიანი სახლი, დიდი მიშენებული
მანსარდით სამოცდაათიან თუ ოთხმოციან წლებში
წამოჭიმეს. არც ერკერები ჰქონდა, არც აივნები.
გარედან ღიაფრად იყო მობათქაშებული. ზარის ღი-
ლაკების რაოდენობის მიხედვით, ამ სახლში უამ-
რავი პატარ-პატარა ბინა უნდა ყოფილიყო. აქ
მცხოვრებნი ისეთივე სიხშირით გადადიოდ-გადმო-
დიოდნენ, როგორც ნაქირავებ ვაგონებში. ქვედა
სართულზე, სადაც უწინ აფთიაქი, სასურსათო მა-
ღაზია, ვიდეოთეკა იყო, ახლა კომპიუტერების მა-
ღაზია გაეხსნათ.

ძველი სახლიც ამსიმაღლე იყო, თუმცა იმას

ოთხი სართული ჰქონდა. პირველი სართული — თლილი ქვიშაქვით იყო მოპირკეთებული, დანარჩენი სამი სართულის კედლები კი — აგურით ნაშენი. ერკერები, აივნები და ფანჯრის ჭრილიც თლილი ქვიშაქვისგან იყო. პირველ სართულზე კიბის უჯრედი იწყებოდა, ქვედა ფართო საფეხურები, ლოკოკინასავით, თანდათან მაღლა ვიწროვდებოდა, აქეთიქიდან რკინის მოაჯირი ერტყა. შესასვლელთან ორი სვეტი იდგა. ორივე სვეტის კუთხეებიდან, ბანჰოფშტრასეს მხარეზე ლომის თავები იმზირებოდა: ერთი მარცხნიდან, მეორე მარჯვნიდან. და ის სადარბაზო, საიდანაც მაშინ იმ ქალმა წყალზე ეზოში გამიყვანა, გვერდით შესასვლელად ითვლებოდა.

ჯერ კიდევ ბავშვობაში მიიპყრო ამ სახლმა ჩემი ყურადღება. ბანჰოფშტრასეზე ჩამწკრივებული სხვა სახლებისაგან თავისებურად გამოირჩეოდა. ხშირად მიფიქრია, ამ შენობას ოდნავ სიგრძესიგანე რომ მოემატოს, სხვა სახლებს გვერდით გაწევა და მისთვის ადგილის დათმობა მოუწევთმეთქი. ჩემი წარმოსახვებით, შიგნით კიბის საფეხურები აღმოსავლური სტილით მოსარკლული, მოპირკეთებული, პრიალა თითბრის მოაჯირიანი უნდა ყოფილიყო. მეგონა, ამ უცნაურ სახლში მხოლოდ მდიდრები ცხოვრობდნენ. მაგრამ რადგან სახლი დროთა განმავლობაში მატარებლების კვამლისაგან მთლად გაშავებულიყო, ამ სახლის მდიდარი მცხოვრებნიც პირქუშ, თავისებურ ადამიანებად წარმომედგინა, ზოგი კოჭლად, ზოგი მუნჯად, ზოგიც კუზიანად.

ბავშვობის მერეც, რაც წლები გადიოდა, ეს სახლი ხშირად მესიზმრებოდა. ყველა სიზმარი ერთიმეო-

რეს ჰგავდა. თუმცა, შესაძლოა, სხვადასხვა ვარიაციით, მაგრამ ძირითადი თემა მაინც ერთი იყო. სადღაც, უცხო ქალაქის უცხო ქუჩებში მივდიოდი. უამრავ სახლს შორის ამ სახლს ვხედავდი. აბნეული, გზას მაინც განვაგრძობდი. ირგვლივ არაფერი მეცნობოდა, მარტო ამ ერთ სახლს მივშტერებოდი, თითქოს უწინ სადღაც მენახა. მაგრამ ამ დროს ჩემს მშობლიურ ქალაქზე, ბანჰოფშტრასეზე კი არ ვფიქრობდი, პირიქით, სრულიად სხვა ქალაქზე თუ ქვეყანაზე. აი, მაგალითად სიზმარში ხან რომში ვიყავი, ხან ბერნში და ამ სახლს იქ ვხედავდი. სიზმარში განცდილი სიმშვიდეს მგვრიდა. და იმ ნაცნობ სახლს სულ სხვა გარემოში რომ ვხედავდი, უცნაურად სულაც არ მეჩვენებოდა. ეს იმას ჰგავდა, უცხო მხარეში შემთხვევით ძველ მეგობარს რომ წააწყდები. დიახ, იმ სახლისაკენ გზას ისევ ვაგრძელებ, კიბეებით მაღლა ავდივარ. მინდა შიგნით შევიდე, ზარსაც ვაჭერ თითს.

ზოგჯერ სახლს სადღაც ქალაქგარეთაც ვხედავ. ამ დროს ჩემი სიზმარიც უფრო დიდხანს გრძელდება. ყველაფერი უფრო დაწვრილებით მახსენდება. ტრასაზე მანქანით მივდივარ, და უცბად მარჯვნივ ისევ იმ ნაცნობ სახლს ვხედავ. დაბნეული ვაგრძელებ გზას და მიკვირს, აქ ამ გაშლილ მდელოზე საიდან გაჩნდა ეს სახლი. სახლი, რომელიც უწინ სადღაც მინახავს. ტრასა სიზმარში მუდამ ცარიელია. საბურავების ჭრიალით ვატრიალებ მანქანას და ისევ უკან ვბრუნდები. ელვისებური სისწრაფით მივქრივარ, მეშინია, არ დამაგვიანდეს. მერე კი ისევ მინდვრებით გარშემორტყმულ ჩემს ნაცნობ სახლს ვხედავ. ირგვლივ მხოლოდ

გაშლილი, შიგადაშიგ ბორცვებიანი ვაკე და ლა-
ვანდებია. ერთი ხეც კი არ დგას. დღე კი საოც-
რად ნათელია. ნელი სიო უბერავს. ტრასა კაშკაშა
მცხუნვარე მზით არის გაბრწყინებული. მაგრამ ეს
რა არის? ბრანდმაუერი? რა დაუმთავრებელს, შო-
რეულს ხდის ამ სახლს. ან იქნებ ეს სულაც სხვა
სახლის ბრანდმაუერია. ისე, სადგურის ქუჩაზე
მდგომ სახლზე უფრო პირქუშად და ჩაშავებუ-
ლად სულაც არ მეჩვენება. მაგრამ დაბინდული
ფანჯრებიდან შენობის შიდა ნაწილი არ ჩანს, თუნ-
დაც ფარდები. სახლი თითქოს დაბრმავებულა.

მანქანა გზის პირას შევაჩერე და მეორე მხა-
რეს სადარბაზოსაკენ გადავედი. არც ვინმე ჩანდა,
და არც ჩამიჩუმი ისმოდა — არც შორიდან მომა-
ვალი მანქანის, არც ნიავის, არც ჩიტების. მთელი
სამყარო ჩამკვდარიყო. საფეხურები ავიარე და სა-
ხელური ჩამოვწიე.

მაგრამ კარის გაღება ველარ მოვასწარი. გამო-
მეღვიძა. მხოლოდ ის მახსოვს კარის სახელურს
რომ მოვკიდე ხელი და ჩამოვწიე. როგორც კი
გამოვფხიზლდი მთელი სიზმარი გამახსენდა, და
ისიც გამახსენდა, რომ ეს სიზმარი უწინაც მენახა.

3

იმ ქალის სახელი არც ვიცოდი. ყვავილებით
ხელში კართან ვიდექი და ვყოყმანობდი, დამერეკა
ზარი თუ არა. მერჩივნა უკან გავბრუნებულიყავი.
მაგრამ სწორედ ამ დროს სახლიდან ვიღაც კაცი
გამოვიდა და მკითხა: ვისთან ხართო. იმან ქალბა-
ტონ შმიცთან, მესამე სართულზე მიმასწავლა.

მაგრამ არანაირი მოპირკეთებული, მოსარკლუ-
ლი, და ხალიჩებდაგებული საფეხურები იქ არ

ყოფილა. ამ სადარბაზოს უწინ როგორი შეუდარებელი სილამაზეც არ უნდა ჰქონოდა, ახლა მისი ნატამალიც აღარ შერჩენოდა. საფეხურებს შუაში წითელი საღებავი მთლად გადასცლოდა, მწვანე ლინოლეუმი კედელზე მხრების სიმაღლეზე ცემენტით მიელესათ, კიბის მოაჯირი კი, იქ, სადაც რკინის საყრდენები აკლდა, თოკებით დაებათ. მთელ სადარბაზოში, სარეცხი ფხვნილის სუნი იდგა. მერე შევნიშნე, რომ ამ სახლში ძირითადად ერთნაირი სისუფთავისა და იაფფასიანი სარეცხი ფხვნილის სუნი ტრიალებდა. და ამ სუნს ზოგჯერ მოხარშული კომბოსტოსი თუ ლობიოს, ან შემწვრისა თუ სარეცხის ხარშვის სუნიც ერთვოდა. ამ სახლის სხვა მცხოვრებნი არასოდეს გამიცნია. ვერ ვიხსენებ, კიბეზე ასვლისას, თუნდაც შემთხვევით, შევხვედრივარ კი რომელიმეს? მეხსიერებაში მარტო ეს სუნი, ყოველი კარის წინ დაგებული ფეხსაწმენდი ტილოები და ზარის ქვეშ მიმაგრებული გვარების აბრა ჩამბეჭდვოდა..

არც ის მახსოვს, ქალბატონ შმიცს, პირველად როგორ მივესალმე. ალბათ ერთი-ორი სიტყვით ჩემს ავადმყოფობაზე ვეტყოდი რამეს და დახმარებისათვის მადლობას გადავუხდიდი. ის კი მახსოვს, სამზარეულოში რომ შემიპატიჟა.

სამზარეულოს ამ ბინის ყველაზე დიდი ნაწილი ეკავა. იქ იდგა გაზქურა, ჭურჭლის ნიჟარა, საბანაო როფი, წყლის გამაცხელებელი ღუმელი, ერთი მაგიდა, ორი სკამი, მაცივარი, ტანსაცმლის კარადა, ტახტი, რომელზეც ხავერდის წითელი გადასაფარებელი ეფარა. სამზარეულოს ფანჯარა არ ჰქონდა. სინათლე მარტო აივანზე გამავალი კარიდან შემოდიოდა. და თუ ეს კარი ღია იყო, სამზა-

რეულოში საკმაო სინათლე იჭრებოდა. მაგრამ სამაგიეროდ ეზოდან ყვირილი, ხერხის ხმა, შეშის სუნიც აღწევდა.

ბინას კიდევ ერთი პატარა ვიწრო ოთახი ჰქონდა, რომელშიც ერთი მაგიდა, ოთხი სკამი, სავარძელი და ბუხარი იდგა. ზამთარში ეს ოთახი არასოდეს თბებოდა. ზაფხულშიც თითქმის მუდამ გამოუყენებელი იყო. მისი ერთადერთი ფანჯარა კი მთლად გავერანებული სადგურის ტერიტორიას გადასცქეროდა, სადაც სახელმწიფო დაწესებულებებისა და სასამართლოს ახალი შენობებისათვის უკვე საძირკველი ჩაეყარათ. ბინას ერთი პატარა უფანჯრო ტუალეტიც ჰქონდა. ზოგჯერ ტუალეტიდან გამომავალი სუნი მთელ დერეფანში იდგა.

აღარც ის მახსოვს, მაშინ სამზარეულოში რაზე ვილაპარაკეთ. ქალბატონი შმიცი აუთოვებდა. მაგიდაზე მატყლის საბანი გაეშალა, ზედ ტილო გადაეფარებინა. გვერდით სარეცხით სავსე კალათი მოედგა. ერთიმეორის მიყოლებით იღებდა თეთრეულს და აუთოვებდა, მერე კეცავდა და იქვე სკამზე ალაგებდა. მეორე სკამზე მე ვიჯექი. მერე საცვლების დაუთოვებაც დაიწყო. არ მინდოდა მეცქირა, მაგრამ თვალს მაინც ვერ ვაშორებდი. ცისფერი, ღია წითელყვავილებიანი უსახელო შემოსაცმელი ეცვა. უკან შეკრული, ფერფლისფერი თმა მხრებზე ჩამოშლოდა.. უსახელო შემოსაცმელიდან შიშველი მკლავები მოუჩანდა, თეთრი გამჭვირვალე კანი ჰქონდა. მის ყოველ მოძრაობას — უთოს აღება-დადგმას, თეთრეულის დაუთოვება-დაკეცვას, წინ გადახრა თუ წელში გასწორებას —საოცარი სიდინჯე და თავდაჯერებულობა ახლდა.

როცა მეხსირებაში მისი მაშინდელი სახის აღდგენას ვცდილობდი, სახე კი არ მიდგებოდა თვალწინ, არამედ მისი ეს მიხრა-მოხრა. სახის ჩამოსხმას კი ხელახლა ვლამობდი: მაღალი შუბლი, შემაღლებული ყვრიმალები, ღია ცისფერი თვალები, სავსე, ამობურცული ტუჩები, მკვრივი ნიკაპი, მკაცრი ქალური სახე. ის კი ვიცი, რომ ის მაშინ ლამაზად მომეჩვენა, თუმცა დღეს ამ სილამაზის თვალწინ წარმოდგენას რომ ვცდილობ, აღაფერი გამომდის.

4

— მოიცადე, — მითხრა მან, როცა ადგომა და წამოსვლა დავაპირე. —მეც გასვლას ვაპირებ და ერთად გავიდეთ.

დერეფანში ვუცდიდი. ის კი სამზარეულოში ტანსაცმელს იცვლიდა. კარი ოდნავ შეღებული დატოვა. ვხედავდი, როგორ გაიხადა შემოსაცმელი და ღია მწვანე პერანგის ამარა დარჩა. სკამის საზურგეზე წინდები ეკიდა. ჯერ ერთი აიღო, წრიული მოძრაობით ხელში აიკრიფა, ფეხის წვერი სკამზე შემოდო და წინდა ნელი, ლამაზი მოძრაობით წვივიდან ბარძაყამდე აიტანა, გვერდზე გადაიწია და წინდა რეზინით დაამაგრა, მერე სკამიდან ფეხი ჩამოიღო და ახლა მეორე წინდის ასაღებად გადაიხარა.

თვალს ვერ ვაშორებდი. პერანგი, მხრებს, ყელსა თუ მკერდს კი არ უფარავდა, პირიქით, უფრო მეტად უშიშვლებდა და გამოკვეთდა. როცა ფეხს სკამზე დებდა, აბრეშუმის პერანგი თეძოებზე, უკანალზე ისე ეკვროდა, თითქოს მთალად შიშველი იდგა.

ის ჩემს მზერას გრძნობდა. ერთი პირობა კარისკენ გამოიხედა, თვალი თვალში გამიყარა. არ ვიცი რა იყო ამ მზერაში – გაოცება, შეკითხვა, თავდაჯერება თუ საყვედური. გავწითლდი. მთელი სახე მეწვოდა. რამდენიმე წუთს ვიდექი ასე, მერე კი ველარ გავუძელი, კარი გავაღე, კიბეებზე ჩავირბინე და გარეთ გავვარდი.

ნელი ნაბიჯით მივუყვებოდი ბანჰოფშტრასეს, ჰოიზერშტრასეს, ბლუმენშტრასეს. უკვე კარგა ხანია სკოლაში ამ გზით დავდიოდი. ყოველ სახლს, ბაღს, ღობეს ვცნობდი. ისიც ვიცოდი, ამ ღობის რომელი ნაწილი იყო განაცრისფერებული, გამოფუღრული, თანაც ისე, რომ ხელითაც კი გაღუნავდი. იმ რკინის მესერსაც ვცნობდი, ბავშვობაში ჯოხით ხელში რომ ჩავურბენდი და მის ყოველ სვეტზე ვაწკარუნებდი. გინდ იმ მაღალი აგურის კედელს, რომლის იქითაც, ვიდრე ზედ აძვრომასა და გადახედვას შევძლებდი, ყოველთვის რაღაც საშინელება მეგულებოდა. მერე კი ვნახე, რაც ამ კედლის მიღმა იყო - მოსაწყენად ჩამწკრივებული ყვავილებისა თუ მწვანილის კვლები. ამ ქუჩაზე ყოველ ქვას, ტალღისებურად მოკირწყლულ ქვაფენილსა თუ ტერასას ვცნობდი, ფილებს შორის მცირეოდენი ცვლილებაც კი არ გამომეპარებოდა.

აქ ყველაფერი საოცრად ნაცნობი იყო ჩემთვის. როცა გულის ფანცქალმა გადამიარა და აღარც სახე მეწვოდა, როცა ის სამზარეულო და დერეფანი უკვე შორს მოვიტოვე, საკუთარ თავზე გავბრაზდი. ბავშვივით გამოვიქეცი, რატომ ვერ შევძელი თავი ხელში ამეყვანა. ცხრა წლისა ხომ აღარ ვიყავი, თხუთმეტი წლის ბიჭს ასეთი რამ არ მეკადრებოდა. ამას ჩემგან ნამდვილად არ მოველო-

დი. ცხადია, დღემდე გამოცანად დამრჩა, როგორ ვერ შევინარჩუნე სიმშვიდე და თავდაჯერებულობა.

მეორე გამოცანა კი ის იყო, რაც იქ დერეფანსა და სამზარეულოს შორის მდგომს დამემართა. რატომ ვერ შევძელი თვალი მომეშორებინა მისთვის? საოცრად ქალური და მკვრივი სხეული ჰქონდა. შესაძლოა, იმ ყმაწვილ გოგოებზე მკვრივიც კი, რომლებიც მომწონებია. დარწმუნებული ვარ, საცურაო აუზზე მისთვის თვალი რომ მომეკრა, ჩემს ყურადღებას მაშინვე მიიპყრობდა. მით უმეტეს, ის ისეთი შიშველი არც დამინახავს, როგორებსაც საცურაო აუზზე ვხედავდი. ამას გარდა, ის ხომ ჩემს ნაცნობ გოგოებზე ბევრად უფროსი იყო. რამდენი წლისა იქნებოდა? ოცდაათის? თუმცა, ძნელია, განსაზღვრო ასაკი, რომლამდეც ჯერ თავად არ მიგიღწევია და არც მათნაირების წრეში ტრიალებ.

მხოლოდ წლების მერე მივხვდი, მაშინ მისმა სახემ კი არ დამატყვევა, არამედ იმ მოძრაობებმა და ქცევამ. რამდენჯერმე მეგობარ გოგოებს ვთხოვე, წინდები ჩემ თვალწინ ჩაეცვათ. რაღა თქმა უნდა, ამას რატომ ვთხოვდი, ვერ ვუხსნიდი, ვერც იმ ამბავს ვუყვებოდი, რაც იქ დერეფანში მდგომმა ვნახე. ამიტომაც ამ თხოვნას ახირებაში, ეროტიკულ ექსტრავაგანტულობაში მითვლიდნენ, და თხოვნას მხოლოდ კეკლუცობით მისრულებდნენ. და ეს სულაც არ იყო ის, რასაც მაშინ თვალი ვერ მოვაშორე. ის არც კეკლუცობდა, არც სხვის დასანახად იქცეოდა ასე. ველარ ვიხსენებ, მერე სხვა დროსაც მინახავს ის ასეთი?! მხოლოდ ის მახსოვს, რომ ზოგჯერ მის ქცევასა და მოძრაობებში

სიტლანქესა და მოუხეშაობასაც ვამჩნევდი. იმიტომ კი არა, რომ თვითონ იყო ტლანქი. ალბათ უფრო იმიტომ, რომ ის საკუთარ სხეულში ჩაკარგვასა და განმარტოებას ცდილობდა, გარე სამყაროს ივიწყებდა და თავს აღარანაირ კონტროლს არ უწევდა. სწორედ ეს სამყაროს მივიწყება შეიცნობოდა მის ქცევაში, ალბათ წინდების ჩაცმის დროსაც. თუმცა ამ შემთხვევაში ტლანქი სულაც არ ყოფილა, პირიქით, ლაღი, მხნე და მაცდური უფრო ჩანდა. და ეს ცდუნება მის მკერდში, თეძოებსა და ფეხებში კი არ გამოიხატებოდა, არამედ ეს გარე სამყაროს დასავიწყებლად მისი სხეულის წიაღში თავისებურ შეპატიჟებას უფრო ჰგავდა.

მაშინ ეს არ ვიცოდი. და იქნებ არც ახლა ვიცი და რაღაც-რაღაცეებს ვიგონებ. მაგრამ, როცა იმაზე ვფიქრობდი, რამაც ასე ამაფორიაქა, ისევ ფორიაქი მიპყრობდა. და ამ გამოცანის ასახსნელად მეხსიერებაში ისევ იმ შეხვედრას, იმ მანძილის აღდგენას ვლამობდი, რაც თავადვე შევქმენი და გამოცანად ვაქციე.. ყველაფერს ისევ თვალნათლივ ვხედავდი და ამ სურათებს თვალს ისევ ვერ ვწყვეტდი.

5

ერთი კვირის მერე ისევ მის კართან ვიდექი. მთელი კვირა ვცდილობდი მასზე არ მეფიქრა, მაგრამ ვერაფრით ვივიწყებდი. სკოლაში რომ წავსულიყავი და გული გადამეყოლებინა, ექიმისგან ნებართვა ჯერ არ მქონდა. წიგნების კითხვა იყო და ყელში მქონდა ამოსული. მეგობრებიც იშვიათად მნახულობდნენ. თუმცა ამდენი ხნის ავადმყოფობის მერე ჩემს ყოველდღიურობასა და მათ

შორის ხიდის გადება უკვე ძნელიც იქნებოდა. ვცდილობდი, სასეირნოდ ხშირად გავსულიყავი და რაც შეიძლება შორს, მაგრამ ისე, რომ არ დავღლილიყავი, რადგან ჯერ კიდევ მთლად მომაგრებული არ ვიყავი.

ბავშვობასა და სიყმაწვილეში, ავად თუ გახდი, თანაც დიდი ხნით, რაღაც დაწყევლასავითაა. გარე სამყაროს ხმაური ავადმყოფის ოთახში ეზოდან, ბაღიდან თუ ქუჩიდან, სადღაც შორიდან აღწევს. იქ მის შიდა სამყაროში კი დღითი დღე, წიგნებიდან ამოკითხული ახალ-ახალი განცდები იჭრება და მძაფრდება. რეალობის აღქმის უნარს ავადმყოფს სიცხეც უსუსტებს, ფანტაზიას უძლიერებს და მის ოთახს თითქოს რაღაც უცხო სივრცედ აქცევს: ფარდის მიღმა ხან ურჩხული იბუდებს, ხანაც შპალერზე, სკამებისა თუ კარადების ნაცვლად მთები, გორები, გემები თუ აუარება შენობები ისახება. და ყოველივე ეს თითქოს იქვე ახლოსაცაა და, ამავდროულად, შორსაც. ღამით კი ავადმყოფის მუდმივი სტუმარია: ეკლესიის საათის რეკვა, ჩავლილი მანქანების გრიალი, კედლებზე და ჭერზე მოფარფატე შუქნიშნების ანარეკლი. არის უძილო საათებიც, მაგრამ ოცნებებსა და ფანტაზიებს არც ეს საათებია მოკლებული. სურვილები, მოგონებები, შიშები, მისწრაფებები ავადმყოფს ლაბირინთებს უქმნის, რომლებშიც ხან ჩაიკარგება, ხან კი ისევ თავს აღწევს. ეს ის საათებია, რომლებშიც ყველაფერია შესაძლებელი და დასაშვები, კარგიც და ცუდიც. და როგორც კი ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდება, ეს ყველაფერიც თანდათან ნელდება. თუმცაღა, თუ ავადმყოფობა საკმაოდ დიდხანს გრძელდება, მაშინ ოთახი განცდილი წარ-

К 59302
2
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სახვებით ეტყობა იმდენადაა გაჟღენთილი, რომ ავადმყოფს ამ ლაბირინთებიდან თავის დაღწევა სიცხის დაწევის მერეც უჭირს.

ყოველ დილით დანაშაულის შეგრძნებით მელვიძებოდა, ზოგჯერ სველი და დალაქავებული პიჟამითაც კი. ვიცი, სიზმარში ნანახსა და განცდილს არც დედა, არც მოძღვარი, რომელიც კონფირმაციისათვის მამზადებდა და პატივს ვცემდი, არც უფროსი და, ყოველ ჩემს ბავშვურ საიდუმლოს რომ ვუმხელდი, არ მომიწონებდა. ასე პირდაპირ არ დამტუქსავდნენ, მაგრამ კეთილ შეგონებებს კი ჩამიტარებდნენ, რაც ალბათ ჩხუბზე უარესიც იქნებოდა. საშინელება სწორედ ის იყო, რომ, როცა ასეთ სიზმრებს აღარ ვხედავდი, უკვე თავადვე ვქმნიდი და ვფანტაზიორობდი.

არც კი ვიცი, როგორღა გავბედე ქალბატონ შმიცთან ხელახლა მისვლა. იქნებ მორალური შეგონებანი გარკვეულწილად საკუთარ თავთანაც მაპირისპირებდა? ავხორცული სურვილები ხომ ისეთივე უხამსობაა, როგორც თვით ავხორცობა, ხოლო ფანტაზიორობა და ამ ფანტაზიების შედეგი კი ალბათ ამაზე უარესი? მაშ რად არ უნდა დაიკმაყოფილო ეს სურვილები? დღითი დღე სულ უფრო და უფრო ვიცნობიერებდი, რომ მაცდური აზრების ჩაკვლა და თავიდან მოშორება არ შემეძლო. ცოდვის ჩადენის სურვილი გამიჩნდა.

ათასჯერ ავწონ-დავწონე და ბოლოს დავასკვენი, რომ ჩემი იქ მისვლით რაღაც სირთულეები კიდეც რომ შემქმნოდა, რეალურად განა ისეთი რა ცუდი შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ჰა, ჰა, ქალბატონი შმიცი გაკვირვებით მომსალმებოდა, მოესმინა ჩემი მოსაბოდიშებელი სიტყვები და მერე კი მე-

გობრულად გამომმშვიდობებოდა. შეიძლება ჩემი იქ არწასვლა უფრო დანაშაულებრივი გამომდგარიყო, რადგან მაშინ იმ უცნაური ფანტაზიებისაგან ვერც ვერასოდეს გავთავისუფლდებოდი. ასე რომ, მასთან მისვლა, სწორად მიმაჩნდა. მეც ჩვეულებრივად მოვიქცეოდი, ისიც, და ყველაფერი ისევ ჩვეულებრივად იქნებოდა.

ამდენი ფიქრის მერე მორალურადაც ასე თუ ისე ავწონ-დავწონე და ბოლოს გადავწყვიტე ჩემი მისწრაფებები ჩამეხშო. თუმცაღა ქალბატონ შმიცთან მისვლას ეს ფიქრები სულაც არ მიადვილებდა. ისეთი რამის მოფიქრება, რითაც დედას, პატივცემულ პასტორს, უფროს დას ჩემი იქ მისვლის აუცილებლობაში დავაჯერებდი, ერთი იყო, მაგრამ რეალურად იქ მისვლა და ამ ნაბიჯის გადადგმა — მეორე. არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. მაგრამ მაშინდელი ამ საქციელის მიხედვით დღეს ვიცნობიერებ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემი აზროვნება და ქცევა ან თანხვდებოდა, ან — არა. ჩემი აზრით, თუ რაღაც დასკვნამდე მიხვალ და ამ დასკვნას რაღაც გადაწყვეტილებასაც მოუძებნი, უნდა იცოდე, რომ პრაქტიკულად ამისი განხორციელება სხვაა. რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი მისდიო შენს გადაწყვეტილებას. ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად ვაკეთებდი ასე: ვერ ვბედავდი იმის გაკეთებას, რაც უკვე გადაწყვეტილი მქონდა. რაღაც მქონდა ისეთი, რაც მამოძრავებდა, მაკეთებინებდა იმას, რაც არ მინდოდა. მაგალითად, მაიძულებდა მივსულიყავი ცოლთან, რომლის ნახვაც აღარ მინდოდა, მათქმევინებდა უფროსის მიმართ შენიშვნებს, არადა ვიცოდი, ამით მთელ ჩემს სამსახურებრივ კარიე-

რას ბოლო მოელებოდა. ეს რაღაც მაიძულებდა ისევ მომეწია, მაშინ, როცა გადაწყვეტილი მქონდა მოწევისათვის თავი დამენებებინა. არადა, ის იყო, საბოლოოდ შევეგუე, რომ გამოუსწორებელი მწეველი ვიყავი და ვერაფერი შემცვლიდა, რომ იმავე ძალამ მოწევაზე ხელი ამაღებინა.

ასეა, თუმცა ამით სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ ფიქრები და გადაწყვეტილებები ქცევაზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს. მაგრამ ქცევა არასოდეს არ გამომდინარეობს იქიდან, რაზეც მანამდე იფიქრე და გადაწყვიტე. ქცევას საკუთარი წარმომქმნელი ძალა აქვს, და ისევე გეკუთვნის, ისევეა შენი, როგორც ფიქრები და გადაწყვეტილებები.

6

სახლში არ დამხვდა. სადარბაზოს კარი ოდნავ შელებული დაეტოვებინათ. კიბეებს ავუყევი. ზარს ორჯერ მივაჭირე თითი. მინიდან ვხედავდი, შიგნით დერეფნის კარი ღია იყო. ვიცანი სარკე, გარდერობი, საათი, რომლის წიკწიკი გარეთაც აღწევდა.

მოლოდინში კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი. სულაც არ ვგრძნობდი შვებას, როგორც ეს გადაწყვეტილების მიღებისას ხდება ხოლმე. როცა, შეიძლება შედეგები გაშინებს, მაგრამ გადაწყვეტილების შესრულებით მაინც ხარობ და ამას რა მოჰყვება, აღარ გენაღვლება. არც იმედგაცრუებას ვგრძნობდი. უბრალოდ მყარად მქონდა გადაწყვეტილი, იქამდე დავლოდებოდი, ვიდრე მოვიდოდა.

დერეფანში საათმა ჯერ თხუთმეტი წუთი ჩამოჰკრა, მერე ნახევარი, და უკვე საათიც შესრულდა. ვცდილობდი, საათის ჩუმი წიკწიკისათვის მი-

მეგდო ყური, და ერთი ჩამოკვრიდან მეორემდე ცხრაასი წამი დამეთვალა. ასე ვიქცევდი თავს. ეზოდან ხერხის ხმაურიც აღწევდა, რომელიღაც ბინიდან — მუსიკა. და აი, კარმაც გაიჭრიალა. კიბეებზე ნელი, დინჯი ნაბიჯების ხმაც გაისმა. თუ ვინმე სხვაა, ნეტავ მეორე სართულზე ცხოვრობდეს, ვფიქრობდი ჩემთვის, აბა რა მეთქვა, ვის ან რატომ ვუცდიდი იქ.. მაგრამ ნაბიჯების ხმა მეორე სართულზე არ შეწყვეტილა. ფეხზე წამოვდექი.

ეს ქალბატონი შმიცი იყო. ერთ ხელში ნახშირის ბრიკეტებით სავსე ქაღალდის პარკი ეჭირა, მეორეში — პატარა ყუთი. ფორმა ეცვა, — კიტელი და ქვედაკაბა. მაშინვე მივხვდი, ეტყობა, ტრამვაის კონდუქტორად მუშაობდა. ვიდრე კიბის თავს არ გაუსწოდა, ვერ შემამჩნია. არც გაბრაზება შემიტყვია, არც გაკვირვება და არც დაცინვა — არაფერი იმის მსგავსი, რისაც მეშინოდა. დაღლილი ჩანდა. როცა ქაღალდის პარკი ძირს დადო და ქურთუკის ჯიბეში გასაღებს ეძებდა, ჯიბიდან ხურდა გადმოუცვივდა. დავიხარე, ავკრიფე და გავუწოდე.

— დაბლა სარდაფში კიდევ ორი კალათია, აავსე ნახშირით და მაღლა ამოიტანე. კარი ღიაა.

კიბეები ჩავირბინე. სარდაფის კარი ოდნავ იყო გამოკეტილი. ბოქლომი კი ურდულზე ეკიდა. სინათლეც ენთო. დიდი სარდაფი ჩანდა. ერთ მხარეს ჭერამდე დახვავებული კოქსი ეყარა, რომელიც, ეტყობა, სარდაფში ქუჩის მხრიდან ჩაყარეს. მეორე მხარეს კი ნახშირის ბრიკეტები მწყობრად დაეწყოთ.

არ ვიცი, რა შემეშალა. სარდაფიდან ნახშირი სახლშიც ამომეტანა, მაგრამ პრობლემები არასო-

დეს შემქმნია. ერთი კია, ჩვენთან კოქსი ასე ჭერამდე არ იყო აკოკოლავებული. ერთი კალათის ავსებამ მშვიდობიანად ჩაიარა, და ის იყო, მეორეს ავსება უნდა დამეწყო, დავიხარე, რომ კოქსი ძირიდან ამელო, და უცბად მთელი კოქსის გორა დაიძრა. ნახშირის დიდი თუ პატარა ნატეხები ზემოდან ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდა და ჩემ გარშემო, იატაკზე ხვავდებოდა.

შავი მტვრის ღრუბელი ჩამოწვა. შეშინებული მივვარდი და ნატეხების აკრეფა დავიწყე. თავიდან ფეხებამდე ნახშირში ვიდექი. ბოლოს გადმოვაბიჯე, იქვე ცოცხი ვიპოვე და ჩამოცვენილი ნახშირი თაროებთან მივგავე. მერე მეორე კალათიც ავავსე და მაღლა ავედი.

კიტელი გაეხადა, ჰალსტუხიც მოეხსნა, პერანგის ზედა ღილი შეეხსნა. რძით სავსე ჭიქით ხელში სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა. შემომხედა. ჯერ თავშეკავებით ჩაიხითხითა, მერე კი მთელი ხმით გადაიხარხარა. ერთი ხელი ჩემსკენ გამოიშვირა, მეორეთი მაგიდას დაჰკრა: "რას ჰგავხარ, როგორ გამოიყურები, ბიჭუნა." მერე სარკეში ჩავიხედე და გამეცინა.

— შინ ასე ხომ ვერ წახვალ. აბაზანას მოგიმზადებ, გაიხადე... მერე აბაზანაში წყალი გაუშვა. და დასძინა, - ფრთხილად გაიხადე, აქ, სამზარეულოში კოქსის შავი მტვერი სულაც არ მჭირდება.

ჯერ ვჭოჭმანობდი, მერე პულოვერი და პერანგი გავიხადე და ისევ შევყოვნდი. აბაზანა წყლით სწრაფად აივსო.

— შენ რა ფეხსაცმელებითა და შარვლით აპირებ ბანაობას? არ გიყურებ, გაიხადე. მაგრამ როცა ტრუსიკიც გავიხადე, მშვიდად ამხედ-ჩამხედა.

მთლად გავწითლდი. წყალში ჩავედი და ჩავყვინთე. მან კი ამასობაში ჩემი ტანსაცმელი აივანზე გაიტანა და გაბერტყა. ნახშირის მტვერზე და კორიანტელზე ქვემოთ რაღაც გადასძახა, იქიდანაც ამოსძახეს, რაზეც გაეცინა. მერე სამზარეულოში დაბრუნდა და ჩემი ტანსაცმელი სკამზე დააწყო.

— აიღე შამპუნი და თმაც დაიბანე, ახლავე პირსახოცს მოგიტან. ოთახში გავიდა, და მალე პირსახოცით ხელში ისევ სამზარეულოში დაბრუნდა. თმაც დავიბანე და რადგან აბაზანაში დაგუბებული წყალი უკვე ჭუჭყიანი იყო, ონკანი მოვუშვი და შხაპის ქვეშ დავდექი, რომ სუფთა წყალი გადამევლო. ვიდექი წყლის ქვეშ, მესმოდა წყლის გამათბობელი ღუმელის გუგუნი, სახეში ცივ ჰაერს შევიგრძნობდი, რომელიც ოდნავ შეღებული აივნის კარიდან აღწევდა. ტანზე და სახეზე კი თბილი წყალი დამდიოდა. მსიამოვნებდა ეს უცნაური ამაფორიაქებელი გარემო. ასოზე რომ დავიხედე, მთლად გამფშეკოდა.

სამზარეულოში როგორ შემოვიდა, ვერ დავინახე, მხოლოდ მაშინღა შევნიშნე, როცა აბაზანას მოუახლოვდა, გაშლილი ხელებით პირსახოცი ეჭირა. "მოდი გაგამშრალო!" როცა აბაზანიდან ამოვედი, ზურგით დავდექი და იმანაც პირსახოცი უკნიდან მთელ ტანზე შემომახვია და მამშრალებდა. მერე კი უცბად პირსახოცი ძირს დააგდო. განძრევაც ველარ გავბედე. ისე ახლოს მოვიდა ჩემთან, რომ მის მკერდს, ჩემს ზურგთან, მის მუცელს ჩემს საჯდომთან შევიგრძნობდი. ისიც შიშველი იყო. ერთი ხელით მკერდზე მომეხვია, მეორეთი კი ჩემს გაქვავებულ ასოს შეეხო.

— ხომ ამისთვის მოხვედი?!

— მე... არც კი ვიცოდი, რა მეპასუხა. შემოვტრიალდი. ისე ახლოს ვიდექით, მისი დანახვა არ შემეძლო. მაგრამ მისმა შიშველმა სხეულმა მთლად მომაჯადოვა.

— რა ლამაზი ხარ!

— ჰმ, ბიჭუნა, რას ამბობ. გაიცინა და ხელებით კისერზე შემომეჭდო.

მეშინოდა, რომ შევხებოდი და მეკოცნა. ვაითუ არ მოეწონოს-მეთქი. ასე ჩახუტებულები კარგა ხანს ვიყავით, ვტკბებოდი მისი სუნით, სითბოთი და ძალის შეგრძნებით. მერე კი ყველაფერი თავისთავად მოხდა. მისი სხეული და სახე თითებით შევისწავლე. ერთიმეორეს ტუჩებით შევეხეთ, და ბოლოს ზემოდან მომექცა. თვალებში ჩამცქეროდა, ხოლო იმ დროს, როცა ის ჩემს დაუფლებას შეეცადა, თვალები მაგრად დავხუჭე, ერთი ხმამაღლა ამოვილმუვლე, იმან პირზე ხელი დამაფარა, რომ ჩემი ხმა ჩაეხშო.

7

იმ დღის მერე ეს ქალი შემიყვარდა. მთელი ღამეები მოსვენება მქონდა დაკარგული, მისკენ მივილტვოდი, ვოცნებობდი, მინდოდა შემეგრძნო, და ასე მოუსვენრად მეძინა, ვიდრე თვალს არ გავახელდი და არ მივხვდებოდი, რომ მის ნაცვლად ბალიშს ან საბანს ვიხუტებდი, ვეფერებოდი და ისე ვკოცნიდი, უკვე ტუჩები მტკიოდა. განუწყვეტლივ ვგრძნობდი, ამ ლტოლვისაგან როგორ მიქვავდებოდა ასო, მაგრამ თვითდაკმაყოფილებისაგან თავს ვიკავებდი. ვნების ჩაკვლა, ისევ მასთან მინდოდა.

არ ვიცი, ნუთუ მხოლოდ იმიტომ შემიყვარდა,

რომ ასეთი ლამაზი დღე მაჩუქა. ქალთან გატარებული იმ ღამის მერე, ასე მეგონა, საოცარ სინაზეს მაზიარეს და ვცდილობდი, ეს გრძნობა როგორმე შემენარჩუნებინა, იმისადმიც, ვის სიყვარულსაც დღემდე ვგრძნობდი, და იმ სამყაროსადმიც, რომელიც ჩემს ცხოვრებას განაგებდა.

ადრეული ბავშვობის მოგონებებიდან, ზოგიერთი რამ ჯერ კიდევ კარგად მახსოვდა. განსაკუთრებით ერთი ზამთრის დილა, მაშინ ოთხი წლისა ვიყავი. ოთახში, სადაც მეძინა, გათბობა არ იყო. დილითაც და ღამითაც ძალიან ციოდა. განუწყვეტლივ თვალწინ მედგა თბილი სამზარეულო, ანთებული გაზქურა, ღუმელი, რომელშიც მუდამ ცეცხლი გიზგიზებდა და რომელზეც დედას ყოველთვის წყლით სავსე ქვაბი ჰქონდა შემოდგმული. იქვე, ღუმელთან ახლოს, სკამი იდგა. დედა ამ სკამზე მაყენებდა, იქვე მბანდა და მაცმევდა. დღესაც ვერ ვივიწყებ იმ საამო სითბოს სუნსა და ტკბობას. და როცა მეხსიერებაში ამ ყველაფერს ალვიდგენ ხოლმე, საკუთარ თავს ვეკითხები, რატომ გამათამამა დედამ ასე. ავად ვიყავი? იქნებ ჩემმა და-ძმამ ის განიცადეს, რაც მე არ განმიცდია? ან იქნებ იმიტომ, რომ მე რაღაც უფრო მძიმე, უსიამოვნო რამ მელოდა?

ალბათ სწორედ ამიტომაც იყო, რომ ქალი, რომლის სახელიც არც ვიცოდი, ასე ჩამებეჭდა. ისიც ხომ სწორედ ასეთი სინაზით მომეპყრა და გამათამამა. მეორე დღეს სკოლაში წავედი. შეიძლება ასე იმიტომაც მოვიქეცი, რომ ჩემი მამაკაცური მომწიფების წარმოჩენა მსურდა. არა, ამით ტრაბახს სულაც არ ვაპირებდი. უბრალოდ საოცარ ძალას და ამ ძალით მონიჭებულ თავდაჯერებას

ვგრძნობდი. სწორედ ასეთი მინდოდა კლასელებისა და მასწავლებლების წინაშე წარვმდგარიყავი. თანაც სკოლაში გასვლა საბაბიც იყო. აბა მე თუ შინ დავჯდებოდი და მხოლოდ და მხოლოდ ექიმის გამოწერილი მცირე გასეირნებების დროს გავიდოდი გარეთ, მის ნახვას ვერ შევძლებდი, მით უმეტეს, რომ არც კი ვიცოდი, რომელ ცვლაში მუშაობდა. მართალია, ამაზე არ გვილაპარაკია, მაგრამ მუშაობა ალბათ ხშირად გვიან საღამომდე, ან იქნებ ღამის ცვლაშიც უწევდა.

იმ დღეს, როცა მისგან შინ გვიან დავბრუნდი, ჩემი მშობლები და და-ძმა უკვე მაგიდას უსხდნენ და ვახშმობდნენ.

— ასე გვიან რატომ დაბრუნდი? დედა უკვე ღელავდა.

— გზა ამებნა. მინდოდა, ძმათა სასაფლაოს გავლით მოლკენკურის ციხესიმაგრემდე გამესეირნა, მაგრამ იქამდე გასასვლელი გზა კარგა ხანს ვერ ვიპოვე და ბოლოს ნუსლოხში ამოვყავი თავი. ფული არ მქონდა და იძულებული ვიყავი ფეხით მევლო.

— შეგეძლო ვინმე აქეთ მომავალს დამგზავრებოდი.

ჩემი და-ძმა ზოგჯერ ასე აკეთებდა ხოლმე, რასაც მშობლები არ უწონებდნენ.

უფროსმა ძმამ ჩაიცინა:

— მოლკენკური და ნუსლოხი? ეგენი ხომ სრულად საპირისპირო მხარესაა?

უფროსი და ხმას არ იღებდა, ისე მიყურებდა, თითქოს ჩემი შესწავლა უნდოდა.

— ხვალ სკოლაში წავალ.

— მაშინ გირჩევ, გეოგრაფიის გაკვეთილზე ყუ-

რები კარგად გამოიფხიკო. ანდა იცოდე, რომ არსებობს ჩრდილოეთი და სამხრეთი, მზე ამოდის...

დედამ უფროს ძმას სიტყვა შუაზე გააწყვეტინა.

— ექიმმა თქვა, სამი კვირა კიდევ შინ უნდა იყოსო.

— თუ მაგან ძმათა სასაფლაოდან ნუსლოხამდე და მერე იქიდან უკან ფეხით სიარული შეძლო, სკოლაში წასვლასაც მშვენივრად შეძლებს. ძალებს, ეტყობა, არ უნდა უჩიოდეს, აი ჭკუისა კი, რა მოგახსენოთ.

ბავშვობაში მე და ჩემს ძმას სულ ჩხუბი და უთანხმოება გვქონდა. სიტყვას არ ვარჩენდით ერთმანეთს. სამი წლით უფროსი იყო და ყველაფერში მჯობნიდა. დროთა განმავლობაში კი საერთოდ შევეშვი და მის ყოველ ნათქვამს ერთი ყურით ვისმენდი და მეორედან ვუშვებდი. ისიც უკვე მარტო ირონიულ შენიშვნებსღა მესროდა ხოლმე.

— შენ რას იტყვი? — მიუბრუნდა დედა მამას. მანაც დანა-ჩანგალი თეფშზე დააწყო, სკამის საზურგეს მიეყრდნო, ხელები კალთაზე დაიწყო. ჯერ დუმდა და დაკვირვებით მათვალიერებდა. ყოველთვის ასე იქცეოდა, როცა დედა ჩვენზე რამეს ჰკითხავდა. გულში ვიფიქრე, ნეტა ახლა ისევ თავის ნაშრომებზე ფიქრობს თუ დედას შეკითხვაზე-მეთქი. ვინ იცის, ან იქნებ ორივეზე ერთად. ფილოსოფიის პროფესორი გახლდათ და მისი საქმეც ხომ ფიქრი და წერა-კითხვა იყო. ზოგჯერ მეგონა, რომ ჩვენ, ოჯახი, მისთვის შინაური ცხოველებივით ვიყავით. მაგალითად, ძაღლი, რომელთან ერთადაც სეირნობს, ან კატა, რომელსაც

ეთამაშება, ეფერება. ისიც შიგადაშიგ კალთაში უჯდება და კრუტუნებს. ეს ყველაფერი გარკვეულწილად შეიძლება მოსწონდა და სჭირდებოდა კიდეც, მაგრამ უკვე, რაც შეეხება ამ ცხოველებისათვის საკვების ყიდვას, მათ ნამოქმედარზე ზრუნვას, ექიმთან წაყვანას, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. არადა ცხოვრება სხვაგვარადაა. როგორ მინდოდა, რომ ჩვენ — ოჯახი — მისი ცხოვრება ვყოფილიყავით. თუმცა იმ საღამოს რატომღაც ყველა საოცრად საყვარლად, ახლობლად მომეჩვენა. ხშირად მინატრია, ნეტა ჩემი კირკიტა ძმა და ჩემი თავხედი პატარა და ცოტა სხვანაირები იყონ-მეთქი. ისე ალბათ ოთხ და-ძმას შორის უმცროსად ყოფნა იოლი არ არის. შესაძლოა საკუთარი პოზიციების გასამტკიცებლად იქცევა ასე. ისე, არც უფროს ძმას გაემტყუნებოდა, ერთ ოთახში ვცხოვრობდით, რაც მას უფრო ტანჯავდა, ვიდრე მე. და როცა ავად გავხდი, ოთახიდანაც გაასახლეს. მისაღებ ოთახში ტახტზე ეძინა. მოდი და ამის მერე ნუ იქნები ცინიკოსი. თუნდ მამაჩემი აიღე, რატომ უნდა ვყოფილიყავით ჩვენ მისი ცხოვრება. სადაცაა გავიზრდებოდით და მშობლიური სახლიდან ჩვენ-ჩვენი გზით წავიდოდით.

იმ წუთში ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს აქ, ამ მრგვალი მაგიდის გარშემო, ამ ჭაღის ქვეშ უკანასკნელად ვისხედით და ამ უძველეს, მწვანეზოლიან თეფშებზე ბოლოჯერღა ვვახშმობდით. მეგონა, ეს იყო ჩვენი ბოლო ახლობლური და გულითადი საუბარი. თითქოს ყველას და ყველაფერს ვემშვიდობებოდი. წასვლით ჯერ არსად წავსულვარ, მაგრამ იქ უკვე აღარ ვიყავი. უცნაურია, მენატრებოდა დედა, მამა, და-ძმა, მაგრამ ამავე დროს

იმ ქალისაკენ მივილტვოდი. მარტო იმასთან ყოფნა მინდოდა.

მამამ შემომხედა.

— შენ ამბობ, რომ ხვალიდან სკოლაში წასვლას აპირებ, არა?

— კი.

ეტყობა მამამ შენიშნა, რომ ჩემი კითხვა უფრო მისადმი იყო მიმართული და არა დედასადმი.

თავი დამიქნია. "გაგიშვებთ, მაგრამ, თუ თავს ცუდად იგრძნობ, ისევ შინ დარჩები."

გამიხარდა. ამავდროულად ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩვენი გამომშვიდობება მართლაც შედგა.

8

მომდევნო დღეებში ის პირველ ცვლაში მუშაობდა. შინ თორმეტისთვის ბრუნდებოდა. და მეც გაკვეთილებს ყოველ დღე ვაცდენდი. მის კართან კიბეზე ვიჯექი და ვუცდიდი. ერთად ვბანაობდით, ერთმანეთს ვესიყვარულებოდით, ვეალერსებოდით. ასე ორის ნახევრისთვის ვიცვამდი და შინ გავრბოდი. ორის ნახევარზე ჩვენთან სადილობის დრო იყო. კვირაობით თორმეტზე ვსადილობდით, თუმცა ამ დღეს სამუშაოდან ისიც გვიან ბრუნდებოდა. ისე ბანაობის პროცესზე სიამოვნებით ვიტყოდი უარს, მაგრამ სისუფთავეს დიდ ყურადღებას აქცევდა, ყოველ დილით იღებდა შხაპს. მომწონდა მისი სუნამოს, ოფლის და ტრამვაის სუნი, როცა სამუშაოდან ბრუნდებოდა. თუმცა მისი სველი, სრიალა გასაპნული სხეულიც მიყვარდა. მსიამოვნებდა, როცა ერთიმეორეს საპონს ვუსვამდით, თანაც ყოველგვარი მორიდებისა და სირცხვილის გარეშე,

თავდაჯერებითა და მთელი გულით. თავდაჯერება მისგან შევიძინე. ალერსისა და სიყვარულის დროსაც საოცარი თავდაჯერებულობა მეუფლებოდა. ბაგეებით ერთიმეორეს ვეხებოდით, ენებით ერთიმეორეს ვეთამაშებოდით. მასწავლიდა, სად და როგორ შევხებოდი. და როცა ჩემს სხეულზე ზემოდან მოქცეული იქამდე ირხეოდა, ვიდრე ნეტარების კულმინაციას არ მიაღწევდა, მისთვის ამ დროს მხოლოდ საკუთარი ჟინისა და ვნების დაკმაყოფილების ობიექტს წარმოვადგენდი. ამავე დროს მეც საოცარ სიამოვნებას მანიჭებდა. ვერ ვიტყოდი, თითქოს ნაზი არ იყო. საკმაო გამოცდილების დაგროვება დამჭირდა, ვიდრე მის დაუფლებას, მისი სხეულის ჩემდამი დაქვემდებარებას ვისწავლიდი.

მოგვიანებით კი შევძელი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვისწავლე, თუმცა არც აღარაფერი მაკლდა. ან იქნებ მაშინ ამაზე მეტი არც მჭირდებოდა? მე ხომ პატარა ვიყავი. ენერგიისაგან მალევე ვიცლებოდი, მაგრამ ისევე მალე ვიკრეფდი ძალებს. სიამოვნებით ვაძლევდი უფლებას, რომ დამუფლებოდა. და როცა ჩემ სხეულს ზემოდან ექცეოდა, შემეძლო დავმტკბარიყავი მისი მუცლის, ჭიპთან ჩაყოლებული პატარა ხაზის, მკერდის ყურებით. მარჯვენა ძუძუ მარცხენაზე ცოტათი დიდი ჰქონდა. მსიამოვნებდა მისი გახსნილი ბაგეების ცქერა. ხელებით მკერდზე მეყრდნობოდა. მარტო ბოლოს, კულმინაციურ წერტილში უცბად მკერდიდან ხელებს მომწყვეტდა, თავს უკან გადააგდებდა და ყელიდან ჩუმი კივილი აღმოხდებოდა. პირველად ამ ხმისა შემეშინდა, მერე კი ერთი სული მქონდა, ვიდრე ამ ხმას გავიგებდი.. და მერე საამოდ მოთენთილნი ერთიმეორის გვერდით ვიწექით

ხოლმე. ზოგჯერ ჩემს სხეულზევე ეძინებოდა. მე კი ვიწექი და ყურს ვუგდებდი ეზოდან ამომავალ ხმაურს, ხერხის ხმას, მაღვიძარას წიკწიკს. შიგადაშიგ ბანჰოფშტრასედან მანქანების ხმაც იჭრებოდა. როცა საათის ზარი პირველს ჩამოჰკრავდა, და ეზოშიც ბავშვების ჟივილ-ხივილი გაისმებოდა, უკვე ვიცოდი, რომ სკოლაში გაკვეთილები დამთავრდა. მეზობელ ბინაშიც ვილაც სწორედ ამ დროს ბრუნდებოდა და აივანზე ჩიტებს საკენკს უყრიდა. მტრედებიც დაუყოვნებლივ იქ ჩნდებოდნენ და ღუღუნებდნენ.

— რა გქვია? — ვკითხე მეექვსე თუ მეშვიდე დღეს. სწორედ მაშინ, როცა ჩემს სხეულზე ჩაძინებულს გამოეღვიძა. იმ დღემდე კი ხან შენობით მივმართავდი და ხანაც თქვენობით.

— რა? — წამოიწია.

— რა გქვია?

— რაში გაინტერესებს ამის ცოდნა? — ეჭვით გამომხედა.

— მე და შენ... არადა არც სახელი ვიცი და არც გვარი. მინდა გავიგო. განა რა არის ამაში ისეთი...

გაეცინა.

— არც არაფერი, ბიჭუნა, არაფერი. ჰანა მქვია.

თან ისევ სიცილს განაგრძობდა. ვერაფრით ვერ ჩერდებოდა, ბოლოს სიცილი მეც გადამედო.

— ისე უცნაურად მიყურებდი რომ... ჯერ არ ვიყავი ძილიდან გამორკვეული და... შენ რაღა გქვია?

რატომღაც მეგონა, იცოდა ჩემი სახელი. ჩვენს ასაკში ჩანთას აღარ ვათრევდით. ასე იყო მოდაში — სასკოლო წიგნებსა და რვეულებს ხელით დავა-

ტარებდით. გარედან მაგარი თეთრი ქაღალდი ეკრა, ზედ წიგნის დასახელება და ჩემი გვარი-სახელი ეწერა. როცა მასთან მივდიოდი, ჩემს ნივთებს მაგიდაზე ვაწყობდი. მაგრამ, ეტყობა, ამისთვის ყურადღება არც მიუქცევია.

— მიხაელ ბერგი მქვია.

— მიხაელ, მიხაელ, მიხაელ — გაიმეორა რამდენჯერმე, თითქოსდა სახელს მჟღერადობას უმოწმებდაო. — ჩემს ბიჭუნას მიხაელი ჰქვია და სტუდენტია?

— მოსწავლე...

— მოსწავლე, და ჩვიდმეტისაა?

სიამაყე ვიგრძენი, რომ ორი წელი მომიმატა. თავი დავუქნიე.

— ჩვიდმეტისაა და როცა დიდი იქნება, ცნობილი... მაგრამ უცბად შეყოყმანდა და შემომხედა....

— ჯერ არ ვიცი, რა უნდა გამოვიდე.

— ხომ ბეჯითად სწავლობ?

— კი, მაგრამ შენ უფრო მნიშვნელოვანი ხარ ჩემთვის, ვიდრე სწავლა და სკოლა. მირჩევნია შენთან უფრო ხშირად ვიყო, გინდაც კლასში ჩავრჩე.

— როგორ თუ ჩარჩე? — მომიბრუნდა.

ეს იყო ჩვენს შორის პირველი საუბარი.

— მეშვიდეში ვარ. ბოლო თვეებში ავადმყოფობის გამო მაინც ბევრი გამიცდა. კლასს რომ დავეწიო, დღისა და ღამის გასწორება მომიწევს. ახლაც სკოლაში უნდა ვიყო. — და მოვუყევი როგორ ვაცდენდი გაკვეთილებს.

—ახლავე გადი აქედან, — იყვირა და საბანი გადაიძრო. ახლავე ადექი ჩემი საწოლიდან. და აქ მანამდე არ დაბრუნდე, ვიდრე შენს საქმეებს არ გამოასწორებ. შენ სწავლა უაზრობად მიგაჩნია?

აბა რა გინდა, ტრამვაის კონდუქტორობა და ბილეთების გაყიდვა? სამზარეულოში შიშველი იდგა და კონდუქტორის მოძრაობებს განასახიერებდა: ვითომდა ბილეთებს ხევდა, მერე აკომპოსტირებდა. ზედ ჩამოკიდებულ ჩანთიდან ხურდას იღებდა. თან გაიძახოდა: „აბა, კიდევ ვის არა აქვს ბილეთი?- მერე შემომხედა — უაზრობა? შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა არის უაზრობა."

საწოლის კიდეზე ვიჯექი. მთლად გაბრუებული ვიყავი, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა: „ვწუხვარ. ვეცდები გავაკეთო ჩემი საქმე. არ ვიცი, კიდევ მოვასწრებ თუ არა. ექვს კვირაში სასწავლო წელი მთავრდება. მაგრამ შევეცდები. თუმცა, შენი ნახვის გარეშე ამას ვერ შევძლებ..." მინდოდა დამემატებინა: მიყვარხარ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. შეიძლება მართალსაც ამბობდა. შეიძლება კი არა, ასეც იყო. მაგრამ არანაირი უფლება არ ჰქონდა, ჩემგან ასეთი რამ მოეთხოვა, და ჩვენი შეხვედრა სკოლაში სიარულთან და სწავლაში მოსწრებასთან დაეკავშირებინა.

დერეფანში საათმა ორის ნახევარი ჩამოჰკრა.

— უნდა წახვიდე. — მერე ცოტა ხანს შეჩერდა და განაგრძო — ხვალიდან მეორე ცვლაში ვარ. ექვსის ნახევრისათვის შინ ვიქნები და შეგიძლია მოხვიდე, მაგრამ მანამდე სკოლის საქმეებს მიხედავ!

ერთიმეორის პირისპირ შიშვლები ვიდექით. თუმცა ასეთი მკაცრი იმ თავის კონდუქტორის ფორმაშიც ვერ წარმომედგინა. დაბნეული ვიყავი, ვერ გამეგო, რა ხდებოდა. ან იმას რატომ ენაღვლებოდა, რომ სწავლას უაზრობად ვთვლიდი? ამით თავის თავზე ფიქრობდა თუ ჩემზე? ან რა მიიღო შეურაც-

ხყოფად? რამ გაამწარა ასე? ნუთუ იფიქრა, თუ სწავლას იდიოტობა ვუწოდე, მაშ კონდუქტორობა რაღა არისო? მაგრამ მსგავსი ხომ არაფერი მითქვამს. ან იქნებ არ უნდოდა, რომ იდიოტი საყვარელი ჰყოლოდა? ნელ-ნელა ვიცვამდი, თან იმ იმედით, რომ რამეს მეტყოდა, ფეხს ვითრევდი. მაგრამ ხმასაც არ იღებდა. გამომშვიდობებისას, როცა მოვეხვიე, არანაირი რეაქცია არ ჰქონია. ჩემს წინ ჯერ კიდევ შიშველი იდგა.

9

რატომ მიპყრობს ასეთი სევდა, როცა მაშინდელ ამბებს ვიხსენებ? რა არის ეს, ნუთუ გამქრალი ბედნიერების მონატრებაა? იმ კვირებში, როცა გამწარებული შეშლილივით ვსწავლობდი, მართლაც ბედნიერი ვიყავი. კლასიც დავამთავრე და ჩვენც ისევ ისე გვიყვარდა ერთმანეთი. სხვა აღარაფერი არსებობდა ჩვენთვის. რა იყო ეს, რაც ამ ყველაფერს მოჰყვა? იქნებ გამოცდილების შეძენა, ან იქნებ უბრალოდ რაღაც ისეთის გამორკვევა, რაც უკვე არსებობდა მანამდე?

რატომ, რატომ ხდება ასე, რომ ის, რაც ოდესღაც საოცრად ლამაზი იყო, უეცრად იმსხვრევა, მხოლოდ იმის გამო, რომ შიგ რაღაც საშინელი რეალობა იმალება? რატომ იქუფრება ერთად გატარებული იმ ბედნიერი წლების მოგონებები, როცა გაიგებ, რომ მთელი ეს წლები ის მეორე გღალატობდა? იქნებ იმიტომ, რომ ეს ბედნიერებას ხელს უშლის? არადა, ხომ მართლაც არსებობდა ეს ბედნიერება! ზოგჯერ მოგონებები ბედნიერებაზე წარმოსახვებს ამახინჯებს, მით უმეტეს თუ ბოლო მტკივნეულია. ბედნიერება ჭეშმარიტი ხომ

მხოლოდ მაშინაა, თუ მარადიულად გასტანს? მტკივნეულად კი მხოლოდ ის მთავრდება, რაც ისედაც მტკივნეული, გაუცნობიერებელი და შეუმეცნებელია? მაგრამ რა არის შეუმეცნებელი და გაუცნობიერებელი ტკივილი?

ვიხსენებ იმ დროს და თვალწინ საკუთარი თავი მიდგას. მდიდარი ბიძაჩემის ნაქონი ელეგანტური კოსტიუმი მეცვა. მისგან ორი წყვილი ველურის ტყავის ფეხსაცმელიც დამრჩა: ერთი შავ-ყავისფერი და მეორე შავ-თეთრი. გრძელი ხელფეხი მქონდა, თუმცა ამ კოსტიუმში ეს არ ჩანდა, მხოლოდ ჩემს მოძრაობებში იხატებოდა. იაფფასიან, უბრალო სათვალეს ვატარებდი. თმა, როგორც არ უნდა დამევარცხნა, აქეთ-იქით მაინც უწესრიგოდ მეყარა. სკოლაში არც საუკეთესოდ ვითვლებოდი და არც მთლად ცუდად. ზოგიერთი მასწავლებელი არაფრად მაგდებდა, ისევე, როგორც ერთი-ორი თავმომწონე ყოყოჩი თანაკლასელი. ჩემი არასოდეს არაფერი მომწონდა: არც ჩაცმა, არც მიხვრა-მოხვრა, მაგრამ მწამდა და მჯეროდა, რომ ოდესმე ლამაზი, ჭკვიანი, თავდაჯერებული გავხდებოდი და სხვების პატივისცემასაც მოვიპოვებდი. სწორედ ამ რწმენითა და ძალით ვეგებებოდი ყოველ ადამიანს, თუ რამე სიახლეს!

იქნებ სწორედ ესაა, ნაღველს რომ მგვრის? იქნებ სწორედ ეს სწრაფვა თუ რწმენა აღმავსებდა და ცხოვრების წინაშე ისეთ პირობას მადებინებდა, რომელსაც ვერასოდეს აღვასრულებდი, ვერ შევძლებდი?! ზოგჯერ მსგავს სწრაფვას, რწმენას ბავშვებსა და ახალგაზრდებსაც ვამჩნევდი და ისეთივე ნაღველი მიპრობდა,როგორც წარსულის სევდიან მოგონებებზე ფიქრისას. იქნებ სწორედ ეს

ნაღვლიანი წუხილია რომ გვიმსხვრევს და გვაშორებს იმ ლამაზ მოგონებებსაც? რადგან მოგონებები ბედნიერებაზე მარტო რეალობით ხომ არ ცოცხლობდა, იქ ხომ აუსრულებელი დაპირებებიც იყო?

ის, — თუმცა, ალბათ ჯობს უკვე ჰანათი მოვიხსენო, როგორც მაშინ ვეძახდი, — არანაირი დაპირებებით არ ცხოვრობდა, მხოლოდ და მხოლოდ არსებული რეალობით.

როცა წარსულზე რამეს ვეკითხებოდი, ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს პასუხებს ძველისძველ, მტვერმოდებულ სკივრში ეძებდა: ტრანსილვანიაში გაზრდილა და ჩვიდმეტი წლისა ბერლინში ჩამოსულა, მერე სიმენსებთან დაუწყია მუშაობა. ოცდაერთისა კი ჯარში წასულა. ომის მერე თითქმის ყველანაირ სპეციალობით უმუშავია. უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ტრამვაის კონდუქტორად მუშაობდა. მოსწონდა თავისი ფორმა, მუდმივი მოძრაობა, რელსები, თუმცაღა მთლიანად არც ამ სპეციალობით იყო კმაყოფილი. როცა ამ ყველაფერს მიყვებოდა, თითქოს საკუთარ თავზე, თავის ცხოვრებაზე კი არა, ვიღაც სხვაზე ლაპარაკობდა, ვისაც არც თუ ისე კარგად იცნობდა და რომელთანაც არც არაფერი ესაქმებოდა. თუ რამეზე დაწვრილებით ჩავეკითხებოდი, ან არ იცოდა, ან ვერაფრით ვერ იგებდა, რაში მაინტერესებდა, რა დაემართათ მის მშობლებს? ჰყავდა თუ არა დაძმა? როგორ ცხოვრობდა ბერლინში, რას აკეთებდა ჯარში?

— ბიჭუნა, შენ რა, ყველაფრის ცოდნა გინდა?

რაც შეეხება ჩემს მომავალს, ქორწინებასთან და ოჯახთან დაკავშირებით არასოდეს დამიწყვია გეგმები. თუმცა ჟულიენ სორელის მადამ დე რე-

ნალთან ურთიერთობა უფრო მხიბლავდა, ვიდრე მატილდა დე ლა მოლთან. ძალიან მინდოდა, რომ ფელიქს კრული ბოლოს დედის მკლავებში ჩახვეული მეხილა, ვიდრე მისი ქალიშვილისა. ჩემი და გერმანისტიკას სწავლობდა. ვახშმობის დროს ხშირად გვეკამათებოდა, გოეთესა და ქალბატონ ფონ შტაინს შორის მართლა არსებობდა თუ არა სასიყვარულო ურთიერთობა. მე, მთელი ოჯახის გასაკვირად, დაჟინებით ვიცავდი ამ მოსაზრებას.

წარმოდგენილი მქონდა, როგორი იქნებოდა ჩვენი ურთიერთობა ხუთი ან ათი წლის მერე. ჰანასთვისაც მიკითხავს, იმას როგორლა წარმოედგინა. მაგრამ წინასწარ არაფერზე არ სურდა ფიქრი. ის კი არა, როცა ვუთხარი, აღდგომის არდადეგებზე შენთან ერთად ქალაქგარეთ მინდა გასვლა, სადმე როგორც დედა-შვილმა ერთი ოთახი ავიღოთ და მთელი დღე და ღამე ერთად გავატაროთ-მეთქი, არც ამაზე უთქვამს რამე.

უცნაური ის იყო, რომ ასეთი რამის წარმოდგენა და ჰანასათვის შეთავაზება, სულაც არ მეუხერხულებოდა. მაშინ, როცა ჩემს ასაკში დედასთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრება, ან ექიმთან, თუ პალტოს საყიდლად წასვლა შეუფერებლად მიმაჩნდა. ზოგჯერ დედასთან ერთად სადმე თუ მივდიოდი და ვინმე ამხანაგი შემხვდებოდა, მეშინოდა დედიკოს ბიჭად არ ჩავეთვალე. აი ჰანასთან ერთად სადმე გამოჩენა კი, მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემზე მხოლოდ ათი წლით იყო უმცროსი, და დედადაც მერგებოდა, სულაც არ მესირცხვილებოდა, პირიქით, მეამყებოდა კიდეც.

დღეს, როცა ოცდათექვსმეტი წლის ქალს ვხედავ, ახალგაზრდად ვთვლი, თხუთმეტი წლისას კი ბავ-

შვად. მიკვირს, რამხელა თავდაჯერება მომცა ჰანამ. ან როგორ შევძელი სწავლაში ასეთი წინსვლა, რომ მასწავლებლების მოწონებაც კი დავიმსახურე. გოგოებიც ხედავდნენ, რომ მათთან ურთიერთობისას თავისუფალი ვიყავი და მოსწონდათ. ერთი სიტყვით საკუთარ ტყავში მშვენივრად ვგრძნობდი თავს.

მოგონებებში, ჰანასთან პირველი შეხვედრა მყარად და მთელი სიზუსტით ჩამებეჭდა. ამას ენაცვლებოდა ჩვენი ურთიერთობისა და საუბრების მომდევნო კვირები, სკოლის ბოლო წლები, აქ კი თანდათან ბინდი ეფინებოდა. ერთი მხრივ, ეს ალბათ ჩვენმა ხშირმა შეხვედრებმა განაპირობა, მეორე მხრივ კი იმან, რომ აქამდე არასოდეს მქონია ასეთი სავსე და ლამაზი დღეები, და ჩემი ცხოვრება არ ყოფილა ასეთი სწრაფი და რიტმული. მახსენდება, როგორ ვსწავლობდი იმ კვირებში.

იმ საუბრის მერე შინ მივედი თუ არა, საწერ მაგიდას მივუჯექი და ასე მგონია, იმ დღის მერე იმ მაგიდიდან აღარც ავმდგარვარ. ავადმყოფობისას გაცდენილი ყოველი სიტყვა თუ ტექსტი, მათემატიკისა თუ ქიმიის ფორმულა ამომწურავად ვისწავლე და შევითვისე. ვაიმარის რესპუბლიკისა და მესამე რაიხის შესახებ ჯერ კიდევ ავადმყოფობის დროს წავიკითხე. ჰანას კი, როგორც შევთანხმდით, სწორედ ისე ვხვდებოდი. თუ ჰანა მეორე ცვლაში მუშაობდა — სამიდან ხუთის ნახევრამდე, ზოგჯერ ექვსის ნახევრამდე. შვიდზე უკვე შინ ვახშმად უნდა ვყოფილიყავი. ჰანა მაიძულებდა, ჩქარა წავსულიყავი და არ დამეგვიანა. მაგრამ მოგვიანებით ეს შეზღუდული დროის ჩარჩო გადაიწია და მეც რა მიზეზს არ ვიგონებდი, რომ ვახშამი გამომეტოვებინა. ჩვენი შეხვედრები

ერთ მთლიან, ხანგრძლივ შეხვედრას ჰგავდა.

იმ ლაპარაკის მერე ჰანამ მკითხა, სკოლაში რას გადიხართო. მეც მოვუყევი ჰომეროსის ეპოსზე, ჰემინგუეის - ამბავი ერთი მოხუცი კაცისა, მის ბრძოლაზე თევზთან და ზღვასთან. მოიწადინა გაეგო, როგორ ჟღერს ლათინური და ბერძნული ენები. და მეც წავუკითხე რამდენიმე ადგილი "ოდისეადან" და კატილინას წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვა.

— გერმანულსაც სწავლობ?

— როგორ გერმანულს?

— ისე, მაინტერესებს, მარტო უცხო ენებს სწავლობ თუ მშობლიურ ენაზეც გასწავლიან რამეს?

— ტექსტებს გვაკითხებენ. ჩემს ავადმყოფობაში კლასმა უკვე წაიკითხა: "ემილია გალოტი" "ვერაგობა და სიყვარული". თან გვევალება, რასაც წავიკითხავთ, იმაზე თემაც დავწეროთ.

წესით, ორივე კიდევ უნდა წამეკითხა, მაგრამ ამას მარტო მაშინ ვაკეთებდი, როცა ყველა სხვა დავალებას მოვითავებდი. კი ვკითხულობდი, მაგრამ უკვე დაღლილს თავში აღარაფერი ჩამდიოდა და ხელახლა ვიწყებდი წაკითხვას.

— წამიკითხე!

— მოგიტან და თვითონ წაიკითხე.

— ისეთი სასიამოვნო ხმა გაქვს, ჩემო ბიჭუნა, რომ მირჩევნია შენ მოგისმინო, ვიდრე თვითონ წავიკითხო.

— რა ვიცი აბა?

მეორე დღეს რომ მივედი და საკოცნელად გადავიხარე, სახე მომარიდა.

— ჯერ წამიკითხე, — მითხრა მთელი სერიოზულობით.

რა უნდა მექნა, სრული ნახევარი საათი "ემილია გალოტს" ვუკითხავდი. მარტო ამის მერე დამრთო ნება, შხაპი ერთად მიგვეღო და მასთან დავწოლილიყავი. კითხვისას, იმ სურვილმა, რისთვისაც აქეთ მოვილტვოდი, გადამიარა. რადგან პიესის ხმამამაღლა კითხვა, მთავარი ადგილების გამოყოფა, პერსონაჟების ცოცხლად წარმოჩენა, დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. მაგრამ შხაპის ქვეშ სურვილი ისევ აღმეძრა. და ამ დღის მერე ჩვენი შეხვედრების რიტუალად გვექცა ხმამაღლა კითხვა, მერე ერთად ბანაობა, სიყვარული და ერთხანს გვერდიგვერდ წოლა.

ძალიან ყურადღებიანი მსმენელი იყო. მისი სიცილი, ზოგჯერ დამცინავი თუ აღშფოთებული წამოძახილები, ეჭვს არ ბადებდა, რომ წიგნში მიმდინარე მოვლენებს მთელი გულისყურით მისდევდა. ის ემილიასაც და ლუიზასაც სულელებად თვლიდა. შიგადაშიგ მოუთმენლობა იპყრობდა და მეხვეწებოდა, მერე, მერე განაგრძეო, იმ იმედით, რომ ამ გოგოების სისულელეს როდესაც რაღაც ზღვარი ექნებოდა. "წარმოგიდგენია? შეხედე ამათ?"- წამოიძახებდა ხოლმე. ხანდახან მეც კი მიჩნდებოდა სურვილი, შეუჩერებლივ მეკითხა. როცა დღემ იმატა, უფრო დიდხანს ვკითხულობდი. და ასე ვცდილობდი მასთან ყოფნა გამეხანგრძლივებინა. შებინდებამდე ვიწექით საწოლში. ხან, ჩემზე, ზემოდანვე ჩაეძინებოდა ხოლმე. გარეთ ეზოში ხერხის ხმა მიჩუმდებოდა, შაშვი ისევ გალობდა, სამზარეულოში კი ყველაფერს ნაცრისფერ-წითელი ფერები დაჰკრავდა. საოცრად ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

10

ალდგომის არდადეგების პირველ დღეს ოთხ საათზე ავდექი. ჰანა იმ დღეს დილის ცვლაში მუშაობდა. ხუთის თხუთმეტ წუთზე ველოსიპედით ტრმვაის პარკში უნდა მისულიყო, საიდანაც ტრამვაით შვეცინგენისკენ ჰქონდა რეისი. როგორც თვითონ მითხრა, იქით მიმავალი ტრამვაი ხშირად ცარიელი იყო, მარტო აქეთობას ივსებაო.

ტრამვაიში მეორე გაჩერებაზე ავედი. მეორე ვაგონი თითქმის მთლად ცარიელი იყო. პირველ ვაგონში კი გამცილებლის ადგილზე, მძღოლის გვერდით ჰანა იდგა. ვერაფრით ვერ გადამეწყვიტა, რომელ ვაგონში ავსულიყავი, პირველში თუ მეორეში. ბოლოს მეორე ავირჩიე. არადა შევთანხმდით, ახლობელივით შემხვდებოდა, გადამეხვეოდა, გადამკოცნიდა, მაგრამ ჰანა არც კი მოსულა ჩემთან. გამორიცხულია არ დავენახე. გაჩერებაზე ვუცდიდი და მერე მის ტრამვაიში ავედი. ტრამვაიც ხომ მხოლოდ ჩემ გამო გაჩერდა გაჩერებასთან? მაგრამ ის ვაგონის გამცილებლის ადგილს არ მოსცილებია, მძღოლთან ლაპარაკობდა, ხუმრობდა, იცინოდა. მე კი გაოცებული ვუყურებდი ამ ყველაფერს.

ტრამვაიმ ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმე გაჩერება შეუჩერებლივ გაიარა, რადგან იქ არავინ იდგა. ქუჩები მთლად ცარიელი იყო. მზეც ჯერ არ იყო ამოსული და თეთრი ცის ქვეშ ყველაფერი ქუჩები, სახლები, მანქანები, მწვანედ ახლად შეფეთქილი და აყვავებული ბუჩქები, ფერდობები, მთები ფერმკრთალი შუქით შემოსილიყო. ტრამვაი ნელა მიდიოდა, ალბათ წინასწარ შედგენილი მგზავრობის ასეთი განრიგი ჰქონდა. ეტყობა, დროის გაჭიმ-

ვას ცდილობდა. და ამ ნელა მიმავალი ტრამვაის ვაგონში დამწყვდეულივით ვგრძნოდი თავს. ჯერ ვიჯექი, მერე წამოვდექი და წინა ვაგონის მხარეს დავდექი. თვალს არ ვაშორებდი ჰანას. გამორიცხულია, ზურგით ჩემი მზერა არ ეგრძნო. ცოტა ხნის მერე მართლაც შემოტრიალდა. ერთხანს დაჟინებით მიყურა, მერე კი ისევ შებრუნდა და მძღოლთან ბაასი განაგრძო. ტრამვაი კი ისევ შეუჩერებლივ მიდიოდა. ეპელჰაიმთან რელსები ხრეშიან დამბაზე გადავიდა და აქ კი ტრამვაიმ სიჩქარეს მოუმატა. ბორბლებიც ისეთ რიტმულ ხმებს გამოსცემდა, თითქოს მატარებელიაო. ვიცოდი, რომ ახლა გარეუბნის გავლით, შვეცინგენამდე მიმავალი ხანგრძლივი გზა მელოდა. თავს ჩვეულებრივი სამყაროდან მოკვეთილივით ვგრძნობდი. იმ სამყაროდან, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, მუშაობენ, უყვართ ერთმანეთი. თითქოსდა ცარიელ ვაგონში, რაღაც უმიზნო, უსასრულო მგზავრობა მომისაჯესო..

როგორც იქნა, ერთ გაშლილ მდელოზე, პატარა გაჩერებას მოვკარი თვალი. სასწრაფოდ ჩამოვწიე თოკი, რითაც კონდუქტორები მძღოლს ნიშანს აძლევენ, რომ გააჩერონ, ან მოძრაობა შეანელონ. ტრამვაი გაჩერდა. როცა ჩამოვდიოდი, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მეგონა, ისინი მზერით მაცილებდნენ და თან იცინოდნენ. მანამ გავცქერიდი, ვიდრე ჯერ ტაფობს, მერე კი ბორცვს არ მიეფარა. ვიდექი ხრეშიან დამბასა და გზას შორის, გარს მდელოები მერტყა, შორს სათბურები მოჩანდა. სუფთა ჰაერი იყო. ჩიტებიც ჭიკჭიკებდნენ. შორს მთებს მზე უკვე ვარდისფრად დაჰნათოდა.

ეს მგზავრობა, საზარელ, ბოროტ სიზმარს ჰგავდა. და ალბათ მართლაც ცუდ სიზმრად ჩავთვლიდი, მასზე მოგონებას უსიამოვნო განცდა რომ არ დაეტოვებინა. ვიდექი მდელოზე, ყურს ვუგდებდი ჩიტების ჭიკჭიკს, ვუმზერდი მზის ამოსვლას და ამ საშინელი სიზმრიდან გამოფხიზლებას ვლამობდი. მაგრამ ზოგჯერ საშინელი სიზმრიდან გამორკვევა, შვებას მაინც არ გგვრის. პირიქით, შესაძლოა გაიძულებს გააცნობიერო, თუ რა საზარელი რამ გეზმანა, რა აუტანელ რეალობას წააწყდი სიზმარში. შინისაკენ მიმავალ გზას დავადექი. თვალებიდან ცრემლები მდიოდა. და როცა ეპელჰაიმამს მივუახლოვდი, როგორც იქნა, შევწყვიტე ტირილი.

სახლში ფეხით მივდიოდი. რამდენჯერმე შევეცადე, იქითკენ მიმავალ რომელიმე მანქანას დავმგზავრებოდი, მაგრამ ამაოდ. ნახევარი გზა რომ გავიარე, ტრამვაი დამეწია, ორივე ვაგონი სავსე იყო. ჰანას ვერ მოვკარი თვალი.

თორმეტი საათისათვის კი სევდიანი და შეშინებული, თან გაბრაზებული, ისევ მისი ბინის შესასვლელთან, კიბეზე ვიჯექი და ვუცდიდი.

— ისევ გაკვეთილებს აცდენ?

— არდადეგები მაქვს. რა გჭირდა ამ დილით?

კარი გააღო, შევიდა. მეც უკან მივყევი. სამზარეულოში შევედით.

— როგორ, რა უნდა მჭირებოდა?

— რატომ მიიღე ისეთი სახე, თითქოს საერთოდ არ მიცნობდი? მინდოდა...

— ეს მე მოგაჩვენე თავი თითქოს არ გიცნობდი?

შემოტრიალდა ჩემსკენ და თვალებში ცივად ჩამაცქერდა.

— ეს შენ იქცეოდი ისე, თითქოს არ მიცნობდი. მეორე ვაგონში ახვედი, როცა მშვენივრად ხედავ-დი, რომ პირველში ვიჯექი.

— მითხარი ერთი, მაშ რაღად გამოვიქცეოდი ხუთის თხუთმეტ წუთზე ჩემი არდადეგების პირ-ველ დღეს შვეიცინგენისკენ? მარტო იმიტომ, რომ მინდოდა შენთვის სიურპრიზი მომეწყო. იმიტომ, რომ მეგონა გაგახარებდი. რაც შეეხება მეორე ვაგონს...

— საბრალო ბავშვი...ხუთის ნახევარზე ადგა, ისიც არდადეგებზე. ასეთი ირონიულად განწყობი-ლი ჰანა ჯერ არ მინახავს. თავი გადააქნია. საი-დან უნდა მცოდნოდა, რატომ მიდიოდი შვეიცინგენ-ში? ან რატომ არ გინდოდა გამოგემჟღავნებინა, რომ მიცნობდი? ეგ შენი საქმეა და არა ჩემი. ახლა კი წადი აქედან.

სიტყვაც კი არ მყოფნის, რომ აღვწერო, როგორ აღმაშფოთა მისმა ნათქვამმა.

— შენ ახლა მართალი არა ხარ, ჰანა. შენ იცოდი, უნდა გცოდნოდა, რომ ტრამვაიში მარტო შენს გამო ამოვედი. საიდან მოიტანე, რომ ისე ვიქცეოდი, თითქოს არ გიცნობდი? ასე რომ მდო-მოდა, სულაც არ ამოვიდოდი შენს ტრამვაიში.

— მორჩა, შენი სათქმელი უკვე თქვი. აღარ მაინტერესებს არაფერი.

სამზარეულოში ვიდექით, ერთმანეთს მაგიდა გვა-შორებდა. თავისი მზერით, ხმის ტონითა და ქცე-ვით მაგრძნობინა, რომ დაუპატიჟებელ სტუმრად მთვლიდა და იქაურობა უნდა დამეტოვებინა.

იქვე, ტახტზე ჩამოვჯექი. ისე მატკინა გული, მინდოდა, გამეგო, რატომ? მაგრამ ვერაფრით ვერ მივდიოდი ახლოს. პირიქით, აქეთ შემომიტია ისევ

და უკვე საკუთარ თავში შემეპარა ეჭვი, იქნებ ობიექტურად არა, მაგრამ სუბიექტურად მართალიცაა-მეთქი? ან იქნებ სწორად ვერ გამიგო? იქნებ ჩემდაუნებურად, ისე რომ სულაც არ მიფიქრია, გული ვატკინე?

— ბოდიში, ჰანა. მართლაც ცუდად გამოვიდა. არ მინდოდა შენთვის გულის ტკენა. მაგრამ მგონია...

— შენ გგონია? გინდა თქვა, რომ გგონია გული მატკინე? შენ? შენ ვერ შეძლებდი ჩემს გულის ტკენას. ბოლოს და ბოლოს წახვალ თუ არა? სამუშაოდან ახლახანს დავბრუნდი, მინდა აბაზანა მივიღო, დავისვენო, სიმშვიდე მჭირდება. — თან გამომწვევად მიყურებდა. მაგრამ, როცა ნახა, რომ ფეხზე არც ავმდგარვარ, მხრები აიჩეჩა, აბაზანაში წყალი მოუშვა და ტანთ გაიხადა.

მერე კი ვიკადრე, ავდექი და წავედი. ასე მეგონა, სამუდამოდ ვტოვებდი იქაურობას. მაგრამ ნახევარ საათში ისევ მის კართან ვიდექი. შემიშვა. ყველაფერი მე დავიბრალე, დაუფიქრებლად, უგულოდ, უგუნურად მოვიქეცი-მეთქი. მივხვდი, ჩემზე ნაწყენი იყო. მეგონა მართლაც არ ვიყავი ის, ვისაც მისი გულის ტკენა შეეძლო. მან ჩემი საქციელი უბრალოდ ვერ აიტანა. როგორ გამიხარდა, როცა ბოლოს აღიარა, რომ ნაწყენი იყო. ესე იგი, სულაც არ იყო ისეთი უგულო და გულგრილი, როგორც თავი მომაჩვენა.

— მაპატიებ? — თავი დამიქნია.

— გიყვარვარ? ისევ დამიქნია თავი. აბაზანა ჯერ ისევ სავსეა, წამოდი გაბანავებ.

მოგვიანებით ვფიქრობდი. ნუთუ მან აბაზანაში წყალი იმიტომ არ გაუშვა, რომ იცოდა, ისევ დავბრუნდებოდი? იქნებ ჩემს დასანახად იმიტომ გაი-

ხადა, რომ იცოდა, ამას თავიდან ველარ ამოვიგდებდი და მივიდოდი. ნუთუ ეს მხოლოდ გათამაშებული სცენა იყო, რომ კიდევ უფრო მეტი ძალა მოეპოვებინა ჩემზე? მერე, როცა მოვესიყვარულეთ ერთმანეთს და გვერდიგვერდ ვიწექით, მოვუყევი, რატომაც ავედი მეორე ვაგონში. ისევ გაღიზიანდა: "ბიჭუნა, ბიჭუნა, შენ რა, ტრამვაიშიც ხომ არ გინდოდა ჩემთან სიყვარულობანა?" და ისევ, სრულიად უაზრო მიზეზის გამო ვიჩხუბეთ. თუმცა ამ ჩხუბის შედეგს ჩემთვის რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა. და მე, ამ ჩხუბში მარტო დამარცხება კი არ ვიგემე, არამედ იძულებული გავხდი დავნებებოდი კიდეც, როცა დამემუქრა, ჩვენს ურთიერთობას წერტილს დავუსვამო. იმის შემდეგ ჩხუბისა და გაბრძოლების სურვილიც აღარ მიჩნდებოდა. ყველაფერი საკუთარ თავზე ავიღე. ის შეცდომებიც ვიტვირთე, რომლებიც არამც თუ არ ჩამიდენია, ფიქრადაც არ გამივლია. როგორც კი ჰანა მკაცრი და უხეში ხდებოდა, ვევედრებოდი ეპატიებინა, ისევ ვყვარებოდი. ზოგჯერ ვგრძნობდი, რომ ჰანა საკუთარი უხეშობისა და სისასტიკისაგან თვითონვე იტანჯებოდა და რომ ის ამით სწორედ ჩემი ვედრებისა და ხვეწნა-მუდარისაკენ მიილტვოდა. ზოგჯერ მეგონა, რომ მოსწონდა ეს გამარჯვება და ამით ხარობდა. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, არანაირი არჩევანი არ მქონდა.

ამ თემაზე მასთან ვერც დავილაპარაკებდი. საუბარს ჩვენი ჩხუბის შესახებ ისევ ახალ ჩხუბამდე მივყავდით. ერთი-ორჯერ გრძელი წერილიც მივწერე, მაგრამ პასუხი არ მოუწერია. და თუ ამაზე რამეს ვკითხავდი, კითხვითვე მპასუხობდა: "შენ რა, ისევ თავიდან იწყებ?"

11

რომ ვთქვა, თითქოს აღდგომის არდადეგების იმ პირველი დღის მერე ერთად ბედნიერები აღარ ვყოფილვართ-მეთქი, მართალი არ ვიქნებოდი. ასეთი ბედნიერები არც არასოდეს ვყოფილვართ, როგორც იმ აპრილის კვირას. როგორი საიდუმლოებით მოცულიც არ უნდა დარჩენილიყო ის პირველი ჩხუბი და საერთოდ ყველა ჩვენი ჩხუბი — ყველაფერი ის, რამაც შექმნა ჩვენი ურთიერთობის რიტუალი: — კითხვა, აბაზანაში ერთად ბანაობა, ჩვენი სასიყვარულო თამაშები, საწოლში გვერდიგვერდ წოლა, — საოცარ სიამოვნებას გვგვრიდა. თანაც ის ასეთ საყვედურს: „ესე იგი, არ გინდა ჩემთან ერთად სადმე გამოჩენაო," — ნამდვილად ველარ წამომიყენებდა. აღდგომის კვირას ველოსიპედებით პატარა მოგზაურობა მოვაწყეთ. ჩვენი მარშუტი ასეთი იყო: ვიმპფენი, ამორბახი და მილტენბერგი.

აღარ მახსოვს, მშობლებს რა ვუთხარი: მეგობარ მატიასთან თუ მთელ ჯგუფთან ერთად სადღაც მივემგზავრები, თუ რომელიღაც ძველი კლასელი უნდა მოვინახულო-მეთქი. რა თქმა უნდა, დედა, როგორც ყოველთვის, აფორიაქდა, მამამ კი, როგორც მუდამ სჩვეოდა, დაამშვიდა: "ხომ ხედავ, ბიჭი კლასიდან კლასში გადავიდა, რასაც მისგან არავინ მოელოდა, ეგ რაღა საფიქრალია?"

როცა ავად ვიყავი, ჯიბის ფული არ მეხარჯებოდა. მაგრამ ფული მაინც არ მყოფნიდა, რომ ჰანაც დამეპატიჟებინა. გადავწყვიტე ჩემი საფოსტო მარკები სული წმინდის ეკლესიასთან მდებარე ერთადერთ ფილატელისტთა მაღაზიაში მიმეტანა. გამყიდველმა დახედა ჩემს ალბომს და სამოცი

მარკა შემომთავაზა. და როცა პირამიდებისგამოსახულებიან, ყველაზე ძვირფას მარკაზე ვუთხარი, ეს კატალოგში ოთხას მარკადაა შეფასებული-მეთქი, მხრები აიჩეჩა. ამ მარკებს ჩემთვის რამე ღირებულება რომ ჰქონოდა, წესით უნდა დამეტოვებინა. ან მქონდა კი მათი გაყიდვის უფლება? რას მეტყოდნენ ამაზე მშობლები? მაგრამ დღეს სხვა გამოსავალი არ მქონდა. გადავწყვიტე, გამყიდველს შევვაჭრებოდი: კარგი, თუ ეს მარკა არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს, მაშინ დავიტოვებ-მეთქი. ამის მერე კი იკადრა და ოცდაათი მარკა დამიმატა. თავს მოტყუებულად ვგრძნობდი, მაგრამ ეს ჩემთვის იმ წუთში სულერთი იყო.

მგზავრობის ციებ-ცხელებით მარტო მე კი არ ვიყავი შეპყრობილი, ჩემდა გასაკვირად უკვე რამდენიმე დღეა მოუსვენრობა ჰანასაც ეტყობოდა. შიგადაშიგ იმაზე ფიქრობდა, თან რა უნდა წამოეღო. ჩემი მიტანილი ზურგჩანთა რამდენჯერმე ჩაალაგა და ამოალაგა. როცა მისთვის რუკაზე იმ მარშუტის ჩვენება მინდოდა, სადაც მივდიოდით, არაფრის გაგონება და დანახვა არ უნდოდა: "ახლა ძალიან ვღელავ, ბიჭუნა, შენ თვითონ ხომ იცი, სად და როგორ?"

აღდგომის მეორე დღეს გავედით. მზე ანათებდა, და მთელი ოთხი დღე არც ჩასულა. დილით ცოტა გრილი სიო უბერავდა. შუადღის კვალობაზე არ ციოდა, მაგრამ ველოსიპედებით მგზავრობისათვის, არც ისე თბილოდა. ირგვლივ ტყეებს სიმწვანე ხალიჩასავით გადაჰფენოდა, ზოგან ყვითელი, ცისფერი ფერიც შეპარვოდა, ალაგ-ალაგ შავი ხაზებიც, წინწკლებიც დაჰკრავდა. რაინის მიმდებარე მდელოებზე ხილის ხეებს ყვავილობის პირველი

ნიშნებიც ეტყობოდათ. ოდენვალდში კი უკვე ფორ-
საიტებსაც კი ამოეყოთ თავი.

ძირითადად თითქმის გვერდი-გვერდ მივდიოდით. და თუ უცბად რამე საინტერესოს დავინახავდით, ერთიმეორეს ვანიშნებდით: ციხესიმაგრეს, შორს მდინარეზე მიმავალ გემს, კარავს თუ ნაპირთან ბატების გუნდს, ან ამერიკულ ღია ჯიპს. მაგრამ, როგორც კი მიმართულების, გეზის შეცვლის დრო დადგებოდა, მაშინვე მე მიშვებდა წინ, ამაზე ფიქრისა და ზრუნვის თავი არ ჰქონდა და არც სურდა. ჩვეულებისამებრ კი, იქ, სადაც დიდი მოძრაობა იყო, ხან ის მიდიოდა წინ, ხან მე. მისი ველოსიპედის ბორბლებს დამცველი ჯაჭვი და კბილანები ჰქონდა. ცისფერი კაბა ეცვა, რომლის ბოლოც ნიავზე აქეთ-იქით უფრიალებდა. ერთი პირობა მეშინოდა, კაბის ბოლო კბილანებს არ ჩაეთრია და არ გადაყირავებულიყო. მაგრამ თან მსიამოვნერბდა, ჩემს წინ მიმავალს რომ ვუყურებდი.

წარმოვიდგენდი თუ არა ღამეებს, რომლებიც გველოდა, როგორ ვისიყვარულებდით, დავიძინებდით, ისევ მოვესიყვარულებოდით ერთმანეთს და ასე შემდეგ, წინასწარ ვხარობდი. მარტო პირველ ღამეს გამომელვიძა რამდენჯერმე. ჰანა ჩემკენ ზურგშექცევით იწვა, გადავიხარე და ვაკოცე, შემოტრიალდა, ხელები შემომხვია, ჩაილაპარაკა: "ბიჭუნა, შენ ჩემი ხარ, ბიჭუნა, ჩემი..." მერე კი, მის სხეულზე, ზემოდანვე ჩამეძინა. დანარჩენი ღამეები კი, მგზავრობით, მზითა და ქარით გათანგულებს, ღრმა ძილით გვეძინა. სიყვარულით დილაობით ვესიყვარულებოდით ერთმანეთს.

ჰანა, მარტო გზისა და მიმართულების არჩევანს კი არ მანდობდა, არამედ იმ სასტუმროების

მოძებნასაც, სადაც ღამე უნდა გაგვეთია. და როცა რეგისტრატურაში, დედა-შვილად გვაფორმებდნენ, მარტო ხელს აწერდა. საჭმელსაც მარტო ჩემთვის კი არა იმისთვისაც ვირჩევდი: რა კარგია ასე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, რომ არაფერზე გიწევს ფიქრიო, — ამბობდა.

ერთადერთხელ ვიჩხუბეთ, ამორბახში. ადრე გამომელვიძა, ჩუმად ჩავიცვი და ოთახიდან გავიპარე, რომ საუზმე ზემოთ ამომეტანა. თან ყვავილების მაღაზიას ვეძებდი, მინდოდა ჰანასათვის ვარდი მეყიდა. საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე ბარათი დავუტოვე: "დილა მშვიდობისა! საუზმეს მოვიტან და ახლავე დავბრუნდები." როცა დავბრუნდი, ოთახის შუაგულში იდგა, ნახევრად ჩაცმული, და გამწარებული მთლად ცახცახებდა. სახეზე ფერი აღარ ედო.

— როგორ წახვედი ასე გაუფრთხილებლად!

სინი, საუზმითა და ვარდით, მაგიდაზე დავდე და ჰანასაკენ გავემართე. მინდოდა მოვხვეოდი.

— ჰანა!

— არ მომეკარო!

ხელში ვიწრო ტყავის ქამარი ეჭირა და როცა მისკენ ნაბიჯი გადავდგი, მოიქნია და სახეზე გადამიშვა. ტუჩი გამისკდა. პირში სისხლის გემო ვიგრძენი. ტკივილით არ მტკენია, შემეშინდა.

აღარ დაურტყამს. ხელები ჩამოუშვა, ქამარი ძირს დააგდო და ატირდა. ასეთი არასოდეს მინახავს. მისმა სახემ ყოველგვარი ფორმა დაკარგა: თვალები დაჭყეტილი ჰქონდა, ტუჩები — გადმობრუნებული, ქუთუთოები — ცრემლებისაგან დასიებული, ლოყებზე და ყელზე — წითელი ლაქები. და ყელიდან უცნაური, უხმო კივილი ამოსდიოდა. ასე მხოლოდ სექსობრივი ურთიერთობისას კიოდა

ხოლმე. იდგა და აცრემლებული მომშტერებოდა.

მინდოდა მოვხვეოდი, მაგრამ არ შემეძლო. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ასე ჩვენთან, შინ, არავინ ტიროდა, ერთმანეთზე ხელს არავინ აღმართავდა, არამც თუ ქამარს, იქ მხოლოდ ლაპარაკობდნენ. მაგრამ ახლა რა უნდა მეთქვა მისთვის?

მომიახლოვდა, მკერდზე მეცა და მუშტებს მიშენდა, მებღაუჭებოდა. ახლა შემეძლო ხელები მომეხვია და დამეჭირა. სხეული უცახცახებდა, მკერდზე შუბლი დამარტყა, მერე ღრმად ამოიოხრა, და აქოშინებული ჩემს მკლავებში მიყუჩდა.

— ვისაუზმოთ?

უცბად ჩემგან თავი ისევ გაითავისუფლა და სახეზე შემომხედა.

— ღმერთო ჩემო, ბიჭუნა, რას ჰგავხარ, როგორ გამოიყურები!" სველი პირსახოცი მოიტანა და სახიდან სისხლი მომწმინდა. ჯერ გასისხლიანებული პერანგი, მერე შარვალი გამხადა, მეც გავხადე და ერთმანეთს შევუერთდით.

— რა მოხდა? ასე რამ გაგაბრაზა? — ვკითხე, როცა ერთიმეორეს გვერდით სიამოვნებისა და კმაყოფილებისაგან ვნებივრობდით. ვიფიქრე, ახლა მაინც გავარკვევდი მიზეზს.

— რა მოხდა, რა მოხდა... ყოველთვის სულელურ შეკითხვებს მისვამ. ისე რატომ წახვედი, რომ არაფერი მითხარი?

— კი, მაგრამ წერილი ხომ დაგიტოვე?

— წერილი?

წამოვჯექი და ბარათს დავუწყე ძებნა, მაგრამ იქ, სადაც დავდე, აღარ იდო. ყველგან დავძებნე, საწოლის ქვეშაც შევიხედე, შიგ საწოლშიც, მაგრამ ვერ ვიპოვე.

— ვერაფერი გავიგე. წერილი ხომ დაგიწერე, საუზმის ამოსატანად ჩავდივარ და ახლავე დავ-ბრუნდები-მეთქი?

— დამიწერე? არანაირი წერილი არ მინახავს.

— არ გჯერა?

— მინდა დაგიჯერო, მაგრამ აბა სად არის წერილი?

ჩხუბით აღარ გვიჩხუბია, მაგრამ მართლაც გაუგებარი დარჩა ჩემთვის, სად გაქრა ქალალდი? ნუთუ ქარმა დაუბერა და სადღაც გადააგდო? რას ნიშნავდა ეს ყველაფერი — მისი გაბრაზება, არეული სახე, ჩემი გამსკდარი ტუჩი და უსასოობა? აღარ ვიცოდი, უნდა გამეგრძელებინა კიდევ ძებნა ამ ბარათისა, ჰანას გაბრაზების მიზეზისა და ჩემი უსასოობისა?

— წამიკითხე რამე, ბიჭუნა!

ჩემკენ მოიწია, მომეკრა. ავიღე აიხენდორფის წიგნი "უქნარას ცხოვრებიდან" და კითხვა იმ ადგილიდან დავიწყე, სადაც წინაზე გავჩერდი. ეს წიგნი უფრო იოლად იკითხებოდა, ვიდრე "ემილია გალოტი" და "ვერაგობა და სიყვარული". ჰანა ისევ მთელი ყურადღებით მისმენდა. მოსწონდა ნახევრად სალექსო ფორმით დაწერილი ნაწარმოები. მოსწონდა, როგორ იქმნებოდა კვანძი, როგორ იკვრებოდა და მერე ისევ ვითარდებოდა მოქმედება. საშინლად ბრაზდებოდა მთავარი გმირის მოუქნელობაზე და უსაქმურობაზე, რომელიც იტალიაში რაღაც გაუგებრობაში გაიხლართა და რომელსაც არც მუშაობა უნდოდა და არც სწავლა. შიგადაშიგ ჰანა აღშფოთებას ვერ მალავდა და ასეთ შეკითხვებს მერეც კი მისვამდა: "საბაჟო მოხელე, ეს რა, ცუდი სპეციალობაა?"

უკვე ბევრი ვილაპარაკე ამ ჩხუბის შესახებ, საკმაოდ დეტალურად აღვწერე, მაგრამ მინდა ახლა ჩვენს ბედნიერებაზეც მოგიყვეთ. ამ ჩხუბმა ჩვენს ურთიერთობას კიდევ უფრო მეტი ინტიმურობა შემატა. რადგან ატირებული ჰანა, ჩემთვის უფრო ახლობელი გახდა, ვიდრე ძლიერი. მან თავისი სუსტი და ნაზი მხარეების გამომჟღავნება დაიწყო, რომლებსაც აქამდე არ ვიცნობდი. ვიდრე ჩემ გამსკდარ ტუჩს მკურნალობდა და ვიდრე მომირჩებოდა, გამუდმებით მაკვირდებოდა და ნაზად მეხებოდა.

ახლა სულ სხვაგვარად გვიყვარდა ერთმანეთი. კარგა ხანს უფლებას ვაძლევდი, რომ ჩვენს სქესობრივ ურთიერთობაში წამყვანი ის ყოფილიყო, და ის დამუფლებოდა. მოგვიანებით მეც ვისწავლე მისი დაუფლება. გამგზავრებამდე და მერეც არაერთხელ დავუფლებივარ.

იმდროინდელი ერთი ჩემი ლექსი შემომრჩა. შეიძლება ლექსის ღირებულება არც არაფერია, რადგან მაშინ რილკეთი და ბენით ვიყავი გატაცებული და ორივეს მიბაძვას ვცდილობდი. მაგრმ ეს ლექსი იმ დღეებს მაგონებს, როგორ გვიყვარდა ერთმნეთი და რა ახლოს ვიყავით მაშინ. აი ეს ლექსიც:

როცა გავიხსნებით
მე შენში და შენ ჩემში,
როცა ჩავიძირებით,
შენ ჩემში და მე შენში,
როცა გავბრუვდებით,
მე შენით და შენ ჩემით,
მაშინ ვარ მე, მე
და მაშინ ხარ შენ, შენ!

12

ვერაფრით ვერ ვიხსენებ, მაშინ ჰანასთან ერთად რომ გავმგზავრებულიყავი, რა ტყუილი ვუთხარი მშობლებს. სამაგიეროდ, მწარედ მახსოვს ის საფასური, რაც გავიღე, რომ არდადეგების ბოლო კვირას შინ როგორმე მარტო დავრჩენილიყავი. ვერც იმას ვიხსენებ, სად გაემგზავრნენ მაშინ ჩემი მშობლები და უფროსი და-ძმა. პრობლემა ჩემი უმცროსი და იყო. ის იმ დღეებში თავის მეგობართან უნდა დარჩენილიყო. მაგრამ რომ გაიგო მე შინ დარჩენა მინდოდა, იმანაც მოიწადინა. მშობლები კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ. ასეთ შემთხვევაში მეც რომელიმე მეგობართან მომიწევდა გადასვლა.

ამ გადასახედიდან რომ ვიხსენებ, მიკვირს, მშობლებმა თხუთმეტი წლის ბიჭი მთელი კვირით შინ მარტო როგორ დამტოვეს. რა იყო ამის მიზეზი? იქნებ შემნიშნეს თავდაჯერება და დამოუკიდებლობა, რაც ჰანასთან ურთიერთობამ შემძინა? ან იქნებ იმიტომ, რომ მიუხედავად ავადმყოფობისა, შევძელი კლასს დავწეოდი და ნდობის ღირსად ჩამთვალეს? ვერც იმას ვიხსენებ, რომ როდესმე ეკითხათ, სად დადიხარო? როგორც ჩანს, სჯეროდათ, როცა ვეუბნებოდი, რომ უკვე სავსებით გამოვჯანმრთელდი და ძირითადად თავისუფალ დროს მეგობრებთან ვატარებდი, მათთან ერთად ვსწავლობდი. თანაც როცა ოთხი შვილი გყავს, ძნელია ყოველ მათგანს თანაბრად გაუნაწილო ყურადღება, კონცენტრირებას იმაზე ახდენ, რომელსაც იმ წუთში პრობლემები აქვს. ასეთი პრობლემები კი კარგა ხანს მქონდა და ახლა უხაროდათ, რომ თავს კარგად ვგრძნობდი და კლასიდან კლასშიც გადავედი.

როცა პატარა დას ვკითხე, რა გაჩუქო, რომ

შენს მეგობართან გადახვიდე-მეთქი, ჯინსები და "ნიკი" — ხავერდის საზაფხულო პულოვერი, მომთხოვა. ძალიან კარაგად მესმოდა. ჯინსები მაშინ დიდ მოდაში იყო, და, რაც მთავარია, ასეთი ჩაცმულობა გოგოებს ყვავილებიანი თუ ფარფარა კაბების ჩაცმისაგან ათავისუფლებდა. ისევე როგორც მე ბიძაჩემის დატოვებული კოსტიუმები მეცვა, ჩემი უმცროსი დაც იძულებული იყო უფროსი დის ნაქონი კაბები ჩაეცვა. საქმე ისაა, რომ რაც მომთხოვა, ამის საყიდელი ფული არ მქონდა.

— მაშინ მოიპარე! — მითხრა და გულგრილად გამომხედა.

ჩემდა გასაკვირად, ეს არც თუ ისე რთული გამოდგა. უნივერმაღის გასახდელში, მოსაზომებლად, სხვადასხვა, მათ შორის ჩემი დის ზომის ჯინსებიც შევიტანე. და მერე, მაისურის შიგნიდან მუცელზე აკრული გამოვიტანე. პულოვერიც ასევე მოვიპარე. ერთ დღეს მე და ჩემმა უმცროსმა დამ უნივერმაღში მთელი მოდების განყოფილება შემოვიარეთ და, როგორც იქნა, მისი მოსაწონი პულოვერი შევარჩიეთ. მეორე დღეს კი იმ განყოფილებას ჩქარი ნაბიჯით ჩავუარე, შეთვალიერებულ პულოვერს ხელი დავავლე, ქურთუკის ქვეშ შევმალე და ასევე სწრაფად გამოვედი. იმ დღეებში ჰანასთვისაც მოვიპარე აბრეშუმის ღამის პერანგი. მაგრამ ამჯერად დაცვამ შემნიშნა და დამედევნა. ძლივს დავუსხლტი. მას მერე იქ აღარც შევსულვარ.

მაშინ, ველოსიპედებით მგზავრობისას, ერთად გატარებული ღამეების მერე, ყოველ ღამე შევიგრძნობდი მისკენ ლტოლვას, მის სხეულს. მსურდა მთელი ტანით მივკვროდი: მუცლით — მის საჯ-

დომს, მკერდით — ზურგს, ხელის გულით იმის მკერდს. ღამით გამოღვიძებულს ხელით მომეძებნა და მეპოვნა, ჩემი ფეხი მის ფეხზე გადამეჭდო, თავი მხარზე დამედო. მთელი ერთი კვირა შინ მარტო ყოფნა ჰანასთან გატარებულ ღამეებსაც ნიშნავდა.

ერთ საღამოს, ვახშამი სპეციალურად მოვამზადე და ჰანა ჩემთან მოვიპატიჟე. ვიდრე საჭმლის მზადებას დავასრულებდი, ჯერ სამზარეულოს კართან იდგა, მერე კი, როცა საჭმელი სამზარეულოდან ოთახში გამქონდა, შემოსასვლელიდან ოთახში გამავალ კარს მიეყრდნო, მერე მრგვალ მაგიდასთან, სწორედ იმ ადგილას დაჯდა, სადაც ჩვეულებრივ მამა ჯდებოდა. ჭამდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა.

მზერით ყოველ ნივთს, ყოველ საგანს ეხებოდა და თითქოს სწავლობდა: ბიდერმაიერის სტილის ავეჯს, როიალს, მაღალ ძველისძველ საათს, სურათებს, წიგნების თაროებს, ჭურჭელსა და დანაჩანგალს. როცა ცოტა ხნით დესერტის მოსატანად ისევ სამზარეულოში გავედი, და მაგიდასთან მარტო დავტოვე, უკან რომ დავბრუნდი, აღარ დამხვდა. ოთახიდან ოთახში დადიოდა. ბოლოს მამას ოთახში შეყოვნდა. კარის კიდეს ჩუმად მივეყრდენი და ვუყურებდი. მისი მზერა თაროებზე შემოწყობილი წიგნიდან წიგნზე დაცურავდა, თითქოს რაღაცას კითხულობდა. მერე საჩვენებელი თითით თითოეული წიგნის ყდას ეხებოდა. ერთიდან მეორეზე გადადიოდა, გეგონება, ეალერსებაო. მთელი ოთახი ასე შემოიარა. მერე ფანჯარასთან გაჩერდა და სიბნელეში მინაში არეკლილ წიგნების თაროებს მისჩერებოდა.

ეს ჰანას კიდევ ერთი სახეა, რომელიც მეხსიე-

რებაში სურათივით ჩამებეჭდა. ყოველი მათგანი ისე ზუსტად დამამახსოვრდა, რომ ჩემი მეხსიერების ეკრანზე დიაპოზიტივივით შემეძლო დამეტრიალებინა, უცვლელად წარმომედგინა. ზოგჯერ ისეთი დროც მაქვს, როცა ეს სურათები კარგა ხნით მივიწყებას ეძლევა, მაგრამ მერე ისევ და ისევ ხელახლა ამომიტივტივდება და იძულებული ვარ ერთიმეორის მიყოლებით თანმიმდევრობით, მივყვე და თითოეულ მათგანს დიდხანს დავაკვირდე. პირველი სურათი — ესაა ჰანა, რომელიც სამზარეულოში წინდებს იცვამს. მეორე —აბაზანის წინ მდგომი ჰანა, რომელსაც გაშლილ ხელებში პირსახოცი უჭირავს. მესამე — ჰანა ველოსიპედზე, რომელსაც ქარი კაბის ბოლოს აქეთ-იქით უფრიალებს. და მერე კი, ჰანა, მამაჩემის კაბინეტში, წიგნების თაროებთან. თეთრ-ცისფერზოლიანი, როგორც მაშინ უწოდებდნენ, მაისურის ნაჭრის კაბა ეცვა. უხდებოდა, ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. თითებით დასრიალებდა წიგნის ყდებზე. ბოლოს ფანჯარასთან შეჩერდა, მერე კი ჩემკენ შემოტრიალდა, ისე სწრაფად, რომ კაბის ბოლო წამით მუხლებზე შემოეტმასნა, და მერე ისევ დაბლა დაეშვა. დაღლილი მზერა ჰქონდა.

— ეს ყველა წიგნი, მამაშენს წაკითხული აქვს, თუ თვითონ დაწერა?

მამაჩემის ავტორობით რომელი წიგნებიც ვიცოდი: — კანტზე და ჰეგელზე, — მოვძებნე და ვაჩვენე.

— რამე ნაწყვეტი წამიკითხე მაგ წიგნებიდან. არ გინდა, ბიჭუნა?

— მე...

მართლაც არ მინდოდა, მაგრამ თან უარიც ვერ

ვუთხარი. ავიღე მამაჩემის წიგნი კანტზე და ერთი მონაკვეთი წავუკითხე, მაგრამ ვერც მე გავიგე რამე და ვერც იმან.

—კარგი, გეყოფა, — მითხრა და ისეთი სახით შემომხედა, თითქოს ყველაფერს ჩასწვდაო, ან თითქოს მნიშვნელობა არ ჰქონდა, გაიგებდა თუ არა.

— როდესმე შენც დაწერ ასეთ წიგნებს? თავი გავაქნიე.

— მაშ როგორს, სხვანაირს?

— არ ვიცი.

— ალბათ პიესებს დაწერ, არა?

— არ ვიცი, ჰანა.

თავი გადააქნია. მაგიდასთან დავბრუნდით. დესერტიც მივირთვით და მერე მასთან წავედით. სიამოვნებით დავწვებოდი მასთან ერთად ჩემს საძინებელში. მაგრამ მან არ ისურვა. ის აქ უცხოდ, დაუპატიჟებელ სტუმრად გრძნობდა თავს. მართალია, ამაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ეს ყოველ მის მიხვრა-მოხვრასა თუ ქცევაში იკითხებოდა: როგორ იდგა სამზარეულოს კართან, როგორ დადიოდა ოთახიდან ოთახში, როგორ ეხებოდა მამაჩემის წიგნებს, როგორ იჯდა მაგიდასთან.

იმ საღამოს აბრეშუმის ღამის პერანგი ვაჩუქე. მუქი ლილისფერი, ბრეტელებიანი პერანგი ხელებზე და მხრებზე მთლად ღია იყო და ჰანას მუხლებამდე სწვდებოდა. ისე ბზინავდა, ფერები ერთიმეორეში გადადიოდა. საოცრად გაიხარა, იცინოდა, სახეზე მთლად ნათელი გადასდიოდა. პერანგს ზემოდან დასცქეროდა, სარკის წინ ტრიალებდა, რამდენიმე ისეთი მოძრაობაც გააკეთა, თითქოს ცეკვავდა. ესეც ერთ-ერთი იმ სურათთაგანია, რომელიც ჰანასაგან ღრმად ჩამებეჭდა მეხსიერებაში.

13

სასწავლო წლის დასაწყისი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რადგან დაბალი საფეხურიდან მაღალში უნდა გადავსულიყავი, რასაც შეიძლება ძირეული ცვლილებები მოჰყოლოდა. ჩემი კლასი დაიშალა. სამ პარალელურ კლასად დაიყო. ბევრმა მოსწავლემ ვერ შეძლო დაბალი საფეხურიდან მაღალში მოხვედრა, რის გამოც ოთხი პატარა კლასიდან მხოლოდ სამი დიდი კლასი შექმნეს.

გიმნაზიაში, სადაც ვსწავლობდი, თავიდან მარტო ბიჭებს იღებდნენ. როცა გოგოების მიღებაც დაიწყეს, იმდენად ცოტანი იყვნენ, რომ სხვადასხვა კლასში კი არ ანაწილებდნენ, არამედ ერთში. მოგვიანებით კი სამ კლასში გადაანაწილეს. იმდენი გოგო არ იყო, რომ ჩემს ძველ კლასშიც მოხვედრილიყვნენ. ასე რომ, ჩემი კლასი უწინ მარტო ბიჭების კლასად ითვლებოდა, ამიტომაც დაგვშალეს და გადაგვანაწილეს.

ამის შესახებ მარტო სასწავლო წლის დასაწყისში შევიტყვეთ. გიმნაზიის დირექტორმა შეგვკრიბა და გვაუწყა, ვინ სად ვიყავით გადანაწილებული. მე და ჩემი ექვსი თანაკლასელი ცარიელი დერეფნით ახალი კლასისაკენ გავემართეთ. თავისუფლად დარჩენილ ადგილებზე მიგვითითეს. მერხები სამ რიგად იდგა. მე მეორე, შუა რიგში მომიწია დაჯდომა. ჩემგან მარცხნივ იჯდა ჩემი ყოფილი თანაკლასელი – მოჭადრაკე და ჰოკეისტი, რუდოლფ ბარგენი, მკვრივი, დინჯი და სანდომიანი ყმაწვილი. მართალია, წინა კლასში არანაირი ურთიერთობა არ მქონია მასთან, მაგრამ მალე დავმეგობრდით. მარჯვნივ, გასასვლელთან ახლოს გოგოები ისხდნენ.

ჩემს გვერდით, მარჯვენა მხარეს სოფი იჯდა. წაბლისფერთმიანი, ყავისფერთვალება, მზისაგან გარუჯული გოგონა. მოშიშვლებულ მკლავებზე ოქროსფერი ღინღლი ემჩნეოდა. როცა მისკენ გავიხედე, გამიღიმა.

საპასუხოდ მეც გავუღიმე. თავს კარგად ვგრძნობდი. ვხარობდი ახალი სასწავლო წლით, იმითაც რომ კლასში გოგოები გვყავდა. ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში ჩემს თანაკლასელებს რომ ვაკვირდებოდი, გოგონების წინაშე შიში და მოკრძალება ჰქონდათ, გაურბოდნენ, ან თავის მოწონებას ცდილობდნენ, ან არადა თვალებში შესციცინებდნენ. მე კი უკვე საკმაო გამოცდილება მქონდა, გოგოებთან თავისუფლად ვიყავი და თავი მეგობრულად მეჭირა, რაც მათაც მოსწონდათ. ასე რომ, ამ ახალ კლასში გოგოებსაც კარგად შევეწყვე და ბიჭების პატივისცემაც დავიმსახურე.

ნეტა ყველას ასე ემართება? სიყმაწვილეში თავს ან მეტისმეტად თავდაჯერებულად ვგრძნობდი, ან მეტისმეტად თავდაუჯერებლად. რატომღაც მეგონა, რომ ან სრულიად უუნაროდ, შეუფერებლად და უაზროდ ვიქცეოდი, ან მეგონა, რომ ყველაფერს შევძლებდი და გამომივიდოდა. თუ თავს თავდაჯერებულად ვგრძნობდი, ყველანაირ სიძნელეებს ვძლევდი. მაგრამ პატარა წარუმატებლობაც კმაროდა, რომ საკუთარ უსუსურობაში, უუნარობაში დარწმუნებულიყავი. თავდაჯერების ხელახალი მოპოვება წარმატების შედეგზე არ იყო დამოკიდებული. ის, თუ რა შედეგს მოველოდი საკუთარი თავისაგან, ან რა აღიარებასა და მოწონებას დავიმსახურებდი გარშემო მყოფთაგან, ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. პირიქით, სიამაყე ჩემი წარ-

ტების გამო იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა სულიერი განწყობა მქონდა იმ წუთში. ჰანასთან, უკვე, კარგა ხანია თავს კარგად ვგრძნობდი. მიუხედავად ჩვენი კამათისა თუ ჩხუბისა, რასაც ზოგჯერ იქამდეც მივყავდით, რომ ჩვენს ურთიერთობას საშიშროება ელოდა და თავის დამცირებაც კი მიწევდა, სულიერად მაინც მშვიდად ვიყავი. ახალი სასწავლო წელიც მშვენივრად დაიწყო.

თვალწინ მიდგას საკლასო ოთახი: პირდაპირ, მარჯვენა მხარეს კარი, კედელთან ტანსაცმლის საკიდი, მარცხნივ ფანჯარა, საიდანაც წმინდა მთის მშვენიერი ხედი მოჩანდა. შესვენებებზე ზოგჯერ ფანჯრებთან ვიდექით და გადავცქეროდით ქუჩას, მდინარეს, მის მიმდებარე მდელოებს. წინ კედელზე რუკები, სურათები ეკიდა. ცოტა შემაღლებულზე მასწავლებლის მაგიდა და სკამი იდგა. კედლები მხრის სიმაღლეზე ზეთის საღებავით ყვითლად იყო შეღებილი, ზემოთ კი თეთრად. ჭერში ორი მრგვალი ჭაღი ეკიდა. ოთახში ზედმეტი და გამოუყენებელი არაფერი იყო: არც მცენარე, არც სურათი, ერთი ზედმეტი მერხიც არ იდგა, არც კარადა გადაჭედილი წიგნებით, რვეულებით, ცარცით. ზოგჯერ შეიძლება მზერა ფანჯრისაკენ ან იმ თვალწარმტაცი ხედისაკენ, ან მეზობელი გოგონასაკენ გაგვპარვოდა. როცა სოფი შენიშნავდა, რომ ვუყურებდი, შემომხედავდა და გამიცინებდა.

— ბერგ, სოფი მართალია ბერძნული სახელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბერძნულის გაკვეთილზე შენს გვერდით მჯდომი გოგონა უნდა შეისწავლო. ახლა თქვენ განაგრძეთ თარგმნა!

ოდისეას ვთარგმნიდით. გერმანულად თავიდან ბოლომდე მქონდა წაკითხული. ეს ეპოსი მიყვარ-

და და დღემდე მიყვარს. როცა მასწავლებელმა სათარგმნად გამომიძახა, გამოსარკვევად წამები დამჭირდა. მაგრამ თარგმნა არ შემშლია. იმის მერე რაც მასწავლებლემა სოფის გამო მისაყვედურა და კლასმაც სიცილი დაასრულა, კითხვა დავიწყე. ჯერ ენა დამება, მაგრამ სულ სხვა მიზეზით. ნავსიკა — საოცრად თეთრი, თვალტანადობით, მარადიულობისა და ქალწულებრივი მშვენიერების განსახიერება იყოო,— ნეტა რომელი უნდა წარმომედგინა ამ სახეში, ჰანა თუ სოფი? რომელი?

14

როცა თვითმფრინავის ძრავა წყობიდან გამოვა, ეს ფრენის დასასრულს ჯერ კიდევ არ ნიშნავს. თვითმფრინავები ციდან ქვებივით არ ცვივა. ეს უზარმაზარი სამგზავრო თვითმფრინავები ნახევარი საათისა თუ ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ჯერ ჰაერში იწყებს ტრიალს, მერე რამენაირად ხმელეთზე დაჯდომას ცდილობს და ბოლოს იმსხვრევა. მგზავრები ამ დროს ვერაფერს გრძნობენ. რადგან ძრავადაზიანებული თუ ჩვეულებრივი ძრავაგამორთული თვითმფრინავის დაშვება სხვადასხვაგვარად არ შეიგრძნობა. შეიძლება ოდნავ ჩუმი იყოს. ხმაურიანი კი იმ შემთხვევაშია, როცა ქარიანი ამინდია და ქარი ფრთებს ეხეთქება. ან თუ ფანჯრიდან გადაიხედავ და დაინახავ ქვემოდან მუქარით მომზირალ ხმელეთსა თუ ზღვას თანდათან როგორ უახლოვდები. ზოგჯერ ფანჯრებზე ჟალუზებია ჩამოშვებული, მგზავრებიც ფილმით არიან გატაცებულნი, და ეს უხმო დაშვება, შესაძლოა სასიამოვნოდაც კი მოეჩვენოთ.

ზაფხული სწორედ ჩვენი სიყვარულის დაშვე-

ბის მომასწავებელი გამოდგა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩემი ჰანასადმი სიყვარულისა.

ჩვენი სასიყვარულო რიტუალი ისევ უცვლელი იყო: კითხვა, შხაპის მიღება, სიყვარული, და მერე ერთიმეორის გვერდით წოლა. წავუკითხე: "ომი და მშვიდობა", ტოლსტოის ყველანაირი მოსაზრება თუ შეხედულება რუსეთის ისტორიაზე, დიდ ადამიანებზე, სიყვარულზე, პატიოსნებაზე. დაახლოებით ალბათ ორმოცი-ორმოცდაათი საათი დასჭირდა ამ ყველაფრის წაკითხვას. ჰანა დაძაბული მისმენდა. მაგრამ ამჯერად შენიშვნებისა და განსჯისაგან თავს იკავებდა, აღარც წამოძახილები მესმოდა, როგორც უწინ, ლუიზას თუ ემილიას ამბავს რომ ვუკითხავდი. ნატაშა, ანდრეი და პიერი მისი გმირები არ იყვნენ. უბრალოდ გაეცნო იმ სამყაროს, ისე როგორც ეგზოტიკური მოგზაურობისას რომელიმე სასახლეს ან ციხესიმაგრეს რომ ეცნობი. კი, იქ შესვლის უფლებას გაძლევენ, მაგრამ იქაურობის წინაშე ბოლომდე რიდი და კრძალვა გაქვს. რასაც ჰანას მანამდე ვუკითხავდი, უკვე წაკითხული მქონდა. "ომი და მშვიდობა" კი ჩემთვისაც ახალი იყო. და ამ შორეულ მგზავრობაში ჩვენ ერთად მოგვიხდა წასვლა.

ერთიმეორეს მოსაფერებელი სახელები შევურჩიეთ. ბიჭუნას აღარ მეძახდა. სულ სხვადასხვა ზედსართავი თუ კნინობითი სახელებით მომმართავდა. მაგალითად, როგორიცაა "ჩემო ბაყაყო", "ჩემო გომბეშო", "ლეკვო" თუ "ვარდო". მე ჯერ ისევ ჰანათი მივმართავდი, ვიდრე ერთხელ თვითონ არ მკითხა:

— რომელი ცხოველი გახსენდება, როცა მეხვევვი? თვალებს რომ ხუჭავ და სხვადასხვა ცხო-

ველებს ხედავ თვალწინ?

თვალები დავხუჭე და მართლაც სხვადასხვა ცხოველები წარმოვიდგინე. ერთიმეორეს ჩაკრულნი გვერდიგვერდ ვიწექით — თავი მის კისერთან, ყელი მკერდთან, მარჯვენა ხელი ზურგქვეშ, მარცხენა კი თეძოებთან მქონდა. ჯერ ფართო ზურგზე გადავუსვი ხელი, მერე ჩავყევი მხრებზე, თეძოებზე და მკვრივ საჯდომზე. კისერთან მისი მკერდისა და მუცლის ნაზ, რბილ კანს შევიგრძნობდი. საოცრად ძლიერი და მიმზიდველი სხეული ჰქონდა. როცა ხელისგულით მუხლებზე შევეხე, ვიგრძენი, როგორ უკრთოდა, უთამაშებდა. და ამ კრთომამ იმ წუთში ცხენი მომაგონა. ბუზების მოგვრიებისას ცხენებსაც ხომ ასე უკრთით კუნთები. და როცა ვუთხარი, "ცხენი?"- წამოიძახა და ჩემგან თავი გაინთავისუფლა. წამოიმართა და შეძრწუნებულმა შემომხედა.

— შენ რა, არ მოგწონს? მე კი იმიტომ გითხარი, რომ შეხებისას შენი კანიც ისეთივე სრიალა, რბილი, ნაზი, მკვრივი და ძლიერია, კიდევ იმიტომაც, რომ კუნთებიც ცხენისებურად გიკრთის. - შევეცადე ამეხსნა მისთვის.

მერე მუხლებზე დაიხედა, თავი გადააქნია და ჩაილაპარაკა: "ჰო, რა ვიცი."

ასეთი რეაქცია უჩვეულო იყო მისთვის, ჩვეულებისამებრ, როცა რაღაცას ვეუბნებოდი, ან მეთანხმებოდა, ან უარყოფდა ხოლმე. მე კი მისი აღშფოთებული მზერისას მზად ვიყავი, ნათქვამი უკან წამეღო, საკუთარი თავი დამედანაშაულებინა, ან პატიება მეთხოვა. ამჯერად კი ვცდილობდი, ცხენთან შედარებისათვის შემეგუებინა.

მაგალითად, შემეძლო შენთვის მომემართა ასე:

"დედოფალო", "როზალინდა" ან კიდევ სხვა, მაგრამ, როცა ცხენს გადარებდი, მე იმის კბილებზე, ან თავის ქალაზე, ან მის სიჯიუტეზე, ან იმაზე კი არ ვფიქრობდი, რაც ცხენში შენ არ მოგწონს, არამედ რაღაც კარგზე - სითბოზე, სინაზეზე, სიძლიერეზე. ჩემთვის ნამდვილად არა ხარ ბაჭია, ფისუნია, თუ ვეფხვის ბოკვერი. მათში არის რაღაც ეშმაკური თუ ბოროტისეული, ასეთი ნამდვილად არა ხარ.

მერე ჰანა ზურგზე დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო, ახლა მე წამოვიმართე და მივაშტერდი. მისი მზერა სადღაც სიცარიელისაკენ იყო მიმართული. ცოტა ხნის მერე ჩემსკენ მოატრიალა სახე. მის მზერაში საოცარი წრფელი გრძნობა იკითხებოდა.

— არა, მომწონს, როცა ცხენს მადარებ. და სხვადასხვანაირი ცხენის სახელით მომმართავ. ხომ ალმიწერ ყოველ მათგანს?

ერთხელ მეზობელ ქალაქში, ერთად ვიყავით თეატრში, შილერის ,ვერაგობა და სიყვარული" ვნახეთ. ჰანა თეატრში პირველად იყო. ყველაფრით ხარობდა და ტკბებოდა, დაწყებული სპექტაკლიდან, დამთავრებული შესვენებაზე გახსნილი შამპანურით. ხელი წელზე მქონდა მოხვეული, და ჩემთვის სულერთი იყო, რას იტყოდა ჩვენზე ხალხი. თუმცა ისიც მშვენივრად ვიცოდი, რომ ჩვენი ქალაქის თეატრში რომ ვყოფილიყავით, სულაც არ იქნებოდა სულერთი. ნეტა იმან თუ იცოდა ეს?

მშვენივრად იცოდა, რომ ზაფხულში ჩემი ცხოვრება მარტო მისით, სკოლითა და სწავლით არ შემოიფარგლებოდა. ძალიან ხშირად კლასელ გოგოებთან და ბიჭებთან ერთად საცურაო აუზზე დავდიოდი. იქ ერთად ვსწავლობდით, ვსაუბრობ-

დით, ვთამაშობდით ფეხბურთს, ხელბურთს. საცურაო აუზზე ჩვენი კლასის საზოგადოებრივი ცხოვრება მიმდინარეობდა და იქ ჩემი ყოფნა, მათი მოსმენა ბევრს ნიშნავდა.

და ის, რომ მე, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ცვლაში მუშაობდა ჰანა, ან ადრე მივდიოდი საცურაო აუზიდან, ან მოგვიანებით, ეს ჩემს ავტორიტეტს სრულიადაც არ ბღალავდა, პირიქით, ამით უფრო მეტ დაინტერესებას ვგრძნობდი ჩემდამი. ამაში დარწმუნებული ვიყავი. ისიც ვიცოდი, რომ იქ არ-ყოფნისას განსაკუთრებულს არაფერს ვაკლდებოდი. თუმცა ზოგჯერ მაინც მეუფლებოდა ისეთი შეგრძნება, რომ, შესაძლოა, უჩემოდ რაღაც განსაკუთრებული მართლაც ხდებოდა. დიდხანს ვერ ვბედავდი, საკუთარი თავისათვის ასეთი შეკითხვა დამესვა, სად უფრო მინდოდა ყოფნა, საცურაო აუზზე თუ ჰანასთან? დაბადების დღეზე ივლისში საცურაო აუზზე, კლასელებმა ნამდვილი დღესასწაული მომიწყვეს. მოგვიანებით იძულებული ვიყავი სინანულით გამოვმშვიდობებოდი მეგობრებს, და ვითომდა ჩემს საქმეებზე წავსულიყავი. დაღლილი ჰანა უხასიათოდ შემხვდა. არ იცოდა, რომ ჩემი დაბადების დღე იყო. მე კი ცოტა ხნით ადრე დავინტერესდი, და ვკითხე, დაბადების დღე როდის გაქვს-მეთქი. მითხრა, ოცდაერთ ოქტომბერსო. ჩემი დაბადების დღე არც უკითხავს. იმ დღეს, რაღა თქმა უნდა, სხვა დღეებზე მეტად დაღლილი და უხასიათო არ ყოფილა, მაგრამ მისმა მოღუშულობამ ჩემზე ცუდად იმოქმედა და ისევ საცურაო აუზზე, თანაკლასელებთან, ჩვენს ხუმრობებთან, თამაშთან, ფლირტთან დაბრუნების სურვილი დამეუფლა.. მის ასეთ ცუდ ხასიათზე მეც გაღი-

ზიანებული რეაქცია მქონდა და ვიჩხუბეთ. ჩხუბის მერე ჰანა ისე მიყურებდა, თითქოს მისთვის ალარაფერს წარმოვადგენდი. ისევ მისი დაკარგვის შიშმა შემიპყრო, ხვეწნა დავუწყე, მანამდე ვებოდიშებოდი, ვიდრე ისევ არ მომეხვია. თუმცა სიბრაზემ მაინც არ გადამიარა.

15

მერე კი უკვე დავიწყე მისი ღალატი.

რალა თქმა უნდა, ჩვენი საიდუმლო არავისთვის გამიმხელია და ჰანაზე არც არავისთან მილაპარაკია. არასოდეს ვუმხელდი სხვას იმას, რაც გულში უნდა შემენახა. ყოველთვის გულში ვიმარხავდი იმას, მაგრამ იქნებ სჯობდა კიდეც მეთქვა. ჩვენს ურთიერთობაში თითქოს რაღაცეებს ვაჩუმათებდი. ვიცი, რომ დამალვა, რაღაცის ართქმა, ღალატის ერთ-ერთი სახეა. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ, თუ რაღაცას არ აღიარებ, თუ რამე საიდუმლოს მალავ, შესაძლოა ამით თავისებურ ტაქტს იჩენ, და უსიამოვნებასა და უხერხულობას გაურბიხარ. მაგრამ ისიც მშვენივრად იცი, რომ ამ არაღიარებით, დამალვით ყოველგვარ ურთიერთობას ძირს უთხრი და ესეც ღალატია.

ველარ ვიხსენებ, პირველად როდის დავიწყე ჰანასაგან რაღაც-რაღაცეების დამალვა. ზაფხულის თბილ დღეებში, ჩვენი კლასის შეხვედრები საცურაო აუზზე თანდათან საოცარ მეგობრულ ურთიერთობებში გადაიზარდა. გარდა ჩემი ერთი ძველი თანაკლასელისა, ახალ კლასშიც შევიძინე მეგობარი – ჰოლგერ შლუთერი. ისიც ჩემსავით ისტორიით იყო დაინტერესებული და ერთმანეთს კარგად ვუგებდით. მალე საერთო ენა სოფისთანაც

გამოვძებნე. ის ჩემგან რამდენიმე ქუჩის მოშორებით ცხოვრობდა. ხშირად საცურაო აუზზეც ერთად მივდიოდით. თავდაპირველად თავს ვაჯერებდი, რომ ახალ მეგობრებს ჯერ ისე სათანადოდ არ ვიცნობდი, რომ მათთვის რამე მომეყოლა. მერე უკვე შესაფერის წუთებსა თუ სიტყვებს ვეძებდი და ვერ ვპოულობდი. ბოლოს კი ჰანაზე რამის მოყოლას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. მეგონა, თუ ამ ყველაფერს ასე გვიან მოვუყვებოდი, იფიქრებდენენ, აქამდე იმიტომ დუმდა, რომ ამ ურთიერთობაში ყველაფერი მთლად წესრიგში არ არის, ან სინდისის ქენჯნა აწუხებსო. მაგრამ თავი როგორც არ უნდა დამეჯერებინა, ვიცოდი, რომ ჰანას ვღალატობდი, თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს მეგობრებს ჩემი ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან ამბავს ვუყვებოდი, ამ დროს კი ჰანაზე ერთ სიტყვასაც არ ვძრავდი.

ვხვდებოდი, ისინი ამჩნევდნენ, რომ მე მათთან მთლად გულწრფელი არ ვიყავი, მაგრამ მიხვედრა საქმეს რას უშველიდა. ერთხელ მე და სოფი შინ რომ ვბრუნდებოდით, ჭექა-ქუხილში მოვყევით. ოიენჰაიმის მინდორთან, სადაც მაშინ უნივერსიტეტის შენობა ჯერ კიდევ არ იდგა და ირგვლივ მხოლოდ ბაღები, მოშიშვლებული მდელოები გადაშლილიყო, ბაღში ჩადგმულ ერთ პატარა ქოხს შევაფარეთ თავი. საშინლად ელავდა, ქუხდა, ქარიშხალი ბობოქრობდა, სულ ხოშკაკალს ყრიდა. უცბად ისე აცივდა, ტემპერატურა ხუთ გრადუსამდე დაეცა.

სოფის მოვეხვიე.

— მიხაელ. აღმოხდა. ჩემთვის არც შემოუხედავს სადღაც შორს, წვიმას გასცქეროდა.

— რა?

— ვიცი, სიყვითლით დიდხანს იავადმყოფე. ახლაც პრობლემები გაქვს? ბოლომდე ჯერ არ გამოჯანმრთელებულხარ? ექიმებმა რამე ისეთი ხომ არ გითხრეს, რომ ახლა ყოველდღე იძულებული ხარ საავადმყოფოში სისხლის გადასასხმელად თუ სხვადასხვა პროცედურებისათვის იარო?

ჰანასთან სიარული, ჩემს ავადმყოფობას მიაწერეს! საშინლად შემრცხვა, მაგრამ ჰანაზე არაფრის თქმა არ შემეძლო.

— არა, სოფი, ავად აღარა ვარ. ღვიძლი წესრიგში მაქვს. ერთი წლის მერე ალკოჰლის მიღების ნებაც კი დამრთეს, თუკი სურვილი მექნება. მაგრამ, არა მგონია, მომინდეს. საქმე ისაა...

არ მინდოდა რაღაც პრობლემის მსგავსი რამ მომეგონა, როცა ჰანას ეხებოდა საქმე.

— ჩემი ადრე წასვლა და გვიან მოსვლა სულ სხვა მიზეზთანაა დაკავშირებული.

— ამის შესახებ არაფრის თქმა არ გსურს? თუ გინდა, მაგრამ ჯერ არ იცი, როგორ უნდა თქვა?

მინდოდა თუ არ მინდოდა? ეს თვითონაც არ ვიცოდი. ამ კითხვაზე თვითონაც არ მქონდა პასუხი. მაგრამ, როცა ორივე იქ ვიდექით თავსხმა წვიმისა და ჭექა-ქუხილის ქვეშ, როცა გაყინულები ერთიმეორეს ვეხუტებოდით და ვათბობდით, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ჰანას შესახებ სწორედ სოფისთვის უნდა მომეყოლა.

— ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს გითხრა კიდეც.

მაგრამ ეს დღე აღარასოდეს დამდგარა.

16

ჩემთვის დღემდე გამოცანად დარჩა, რას აკეთებდა ჰანა იმ დროს, როცა ერთად არ ვიყავით და არც სამუშაოზე იყო წასასვლელი. როცა ამაზე ვეკითხებოდი, კითხვებს ყველანაირად თავიდან იცილებდა. ჩვენ არ გვქონდა საერთო სამყარო. თავის ცხოვრებაში მან ის ადგილი მომიჩინა, რომელსაც თვითონ თვლიდა საჭიროდ და მეც უნდა შევგუებოდი ამას. თუ მეტის გაგებას ან მიღებას მოვიწადინებდი, ეს გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. ზოგჯერ, ჩვენი შეხვედრების განსაკუთრებულად მშვიდ წუთებში, გრძნობამორეული გავიფიქრებდი, ახლა კი ყველაფრის კითხვა შემიძლია-მეთქი, და თუ რამე ძალიან პირადულს ვკითხავდი, შეკითხვას ისევ ისხლეტდა: „ბიჭუნა, რა ცნობისმოყვარე ხარ!" ზოგჯერ კი თავისი საქმეების ჩამოთვლას თითებზე მოჰყვებოდა: უნდა ვრეცხო, უნდა ვაუთოო, დავგავო, მტვერი დავწმინდო, საჭმელი მოვამზადო, მაღაზიაში წავიდე, ქლიავი უნდა დავბერტყო, მერე მოვკრიფო, შინ მოვიტანო, მურაბა გავაკეთო, თუ არა და ეს პატარა... — და ის თავის ნეკს საჩვენებელსა და ცერს შორის მოათავსდება და ბოლოს დასძენდა — მარტოკა შეჭამს ყველაფერსო

შემთხვევითაც არასოდეს შევხედრივარ, არც ქუჩაში, არც მაღაზიაში, არც კინოში, არადა, როგორც თვითონ ამბობდა, იქ ძალიან ხშირად დადიოდა. ერთხელ მეც მოვიწადინე მასთან ერთად კინოში წასვლა, მაგრამ არ ინდომა. ხანდახან ნანახ ფილმებზე ვმსჯელობდით. თითქმის ყველა ფილმზე დადიოდა, დაწყებული გერმანული ფილმებიდან ომებზე, დამთავრებული ვესტერნითა და

ახალი ფრანგული ფილმებით. ჰოლივუდის ფილმები არ მომწონდა, სულერთია, სადაც არ ინდა ყოფილიყო მოქმედება, ძველ რომსა თუ ველურ დასავლეთში. ერთი ვესტერნი ორივეს განსაკუთრებით მოგვწონდა. შერიფის როლს რიხარდ ვიდმარკი თამაშობდა, რომელსაც მეორე დღეს დუელი ელოდა და სასიკვდილოდ იყო განწირული. სწორედ იმ საღამოს ის მიდის დოროთეა მალოუნთან და კარზე აკაკუნებს. თავის დროზე დოროთეამ მას ურჩია გაქცეულიყო. როცა დოროთეა კარს უღებს, ეკითხება: ,შენ რა, მთელი ცხოვრება ერთ ღამეში გინდა აინაზღაურო?" ზოგჯერ, როცა ჟინით აღვსილი, ჰანასთან მივიდოდი, ისიც ამ სიტყვებს მიმეორებდა ხოლმე: "შენ რა მთელი ცხოვრება ამ ერთ საათში გინდა აინაზღაურო?"

მარტო ერთხელ ვნახე ჰანა, სრულიად შემთხვევით, მოულოდნელად. ეს იყო ივლისის ბოლოს თუ აგვისტოს დასაწყისში. დიდი არდადეგების ბოლო დღეებში.

ჰანა ბოლო ხანებში უცნაურ ხასიათზე იყო. ეტყობა რაღაც საშინლად ტანჯავდა, ყველაფერზე ადვილად ღიზიანდებოდა, გულთან მიჰქონდა, ზედმეტ მგრძნობიარობას იჩენდა. შიგადაშიგ ცდილობდა თავი ხელში აეყვანა. მაგრამ ვხედავდი, ლამის ამ ტანჯვისაგან გამსკდარიყო. ჩემს შეკითხვაზე, ასე რა გაწუხებს-მეთქი, უკმეხად მპასუხობდა. ძალიან მეუცნაურებოდა. თანაც მის უსუსურობასა და უუნარობასაც ვგრძნობდი და ვცდილობდი მასთან დავრჩენილიყავი და დამემშვიდებინა. ერთ დღესაც ამ აფორიაქებამ გადაუარა. ისიც გავიფიქრე, მგონი ისევ ძველი ჰანაა-მეთქი. "ომი და მშვიდობის" მერე ახალი წიგნი აღარც დაგვიწყია. კი შევპირ-

დი, რომ რამე ახალს მოვძებნიდი. რამდენიმე არჩეულიც მქონდა.

მაგრამ აღარ სურდა კითხვა, მეუბნებოდა: "ბიჭუნა, დამაცადე გაბანაო."

არა, მაშინ სამზარეულოში შესვლისას რაც ვიგრძენი, ეს არ ყოფილა ზაფხულის ჩამხუთველი ჰაერი, მძიმე ქსოვილივით რომ მოგედება სხეულზე. ჰანამ წყლისგამაცხელებელი ღუმელი აანთო, აბაზანაში წყალი ჩაუშვა, შიგ ლავანდის შამპუნის რამდენიმე წვეთი ჩაასხა და ჩემს დაბანას შეუდგა.. ღიაცისფერყვავილებიან ხალათის ქვეშ არაფერი ეცვა. ხალათი სიცხის ბუღისგან გაოფლილ ტანზე ეკვროდა. ძალიან აღმაგზნებდა. და როგორც კი ერთიმეორის სიყვარულში ჩავიძირეთ, მთელი ის წუთები ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ცდილობდა, ვნებათაღელვის იმ ზღვრამდე მივეყვანე, რომლის იქითაც ჩემთვის აღარაფერი არ იარსებებდა. მართლაც განუმეორებელი, თავშეუკავებელი იყო იმ დღეს, თითქოს უნდოდა, ამ სიყვარულში ჩამხრჩვალიყო.

გამომშვიდობებისას კი მითხრა: "ახლა კი წადი შენს მეგობრებთან".

ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. საცურაო აუზზე წავედი. სახლებს, მინდვრებს, ბაღებსა და ასფალტს მწველი შუქი დასთამაშებდა, ირგვლივ აუტანელი სიცხის ბუღი ტრიალებდა. არ ვიცი, რა დამემართა, თითქოს მთლად დავყრუვდი. საცურაო აუზში მოცურავე და მოთამაშე ბავშვების ხმა ჩემს ყურამდე ძლივს, ან სადღაც შორიდან აღწევდა. მეგონა ისეთ სამყაროში შევიჭერი, რომელიც მე არ მეკუთვნოდა და არც მე ვეკუთვნოდი მას. თითქოს სამყარომ გამრიყა, თუ მე გავირიყე მის-

გან. ქლორიან, რძისებრ წყალში ჩავყვინთე და ამოყვინთვა აღარ მინდოდა. კი ვიწექი სხვების გვერდით, ვუსმენდი, მაგრამ მათი ლაპარაკი სასაცილოდ და უაზრობად მეჩვენებოდა.

როდის-როდის გამიარა ამ განწყობამ. ნაშუადღევს აუზზე ჩვეულმა რიტმმა დაისადგურა: დავიწყეთ დავალების შესრულება, ხელბურთის თამაში, ჭორაობა, ფლირტი. იმ წუთში რაზე ვფიქრობდი ან რას ვაკეთებდი, აღარც კი მახსოვს. უცბად ავიხედე და ოცი-ოცდაათი მეტრის მოშორებით ჰანას მოკარი თვალი. შორტები ეცვა, წელზე — ბოლოებით შეკრული გახსნილი ზედატანი. ჩემკენ იყურებოდა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ამ სიშორიდან მისი სახის გამომეტყველებას ვერ ვარჩევდი. არ წამოვმხტარვარ და არც მისკენ გავქცეულვარ. იმავე წუთას თავში ასეთმა ფიქრებმა გმიელვა: ასე მოულოდნელად, რატომ მოვიდა აქ, აუზზე? ნუთუ უნდოდა, რომ შემემჩნია და სხვებსაც დავენახეთ ერთად. ჩვენ ხომ ასე მოულოდნელად შეუთანხმებლად ჯერ არსად, არასოდეს შევხვედრივართ. არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. მერე ავდექი. და იმ ერთ ხანმოკლე წამში, როცა ვდგებოდი და თვალი მოვაშორე, სწორედ ამ დროს გაუჩინარდა.

ჰანა შორტებსა და გადახსნილ ზედატანში, — ესაა კიდევ ერთი დაუვიწყარი სურათი, რომელიც მეხსიერებაში ჩამებეჭდა.

17

მეორე დღეს ის წავიდა. ჩვეულებისამებრ მივედი, კარზე დავრეკე. გარედან რომ შევიხედე, ყველაფერი ისევ თავის ადგილზე იდგა. საათის წიკ-

წიკიც ჩვეულებისამებრ მესმოდა.

კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი. პირველ თვეებში ყოველთვის ვიცოდი, რა მარშუტებით დადიოდა. მაშინაც კი, თუ სამსახურში არ ვაცილებდი და იქიდან წამოსულს გზაზე არ ვხვდებოდი. მაგრამ რაღაც დროის მერე აღარ მიკითხავს, მისი სამუშაო გრაფიკით არც დავინტერესებულვარ. და ეს მარტო ახლაღა ამომიტივტივდა თავში.

ვილჰელმპლაცზე მდგომი ტელეფონის ჯიხურიდან საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებაში დავრეკე და გავიგე, რომ ჰანა შმიცი იმ დღეს სამსახურში არ გამოცხადებულა. ისევ ბანჰოფშტრასეზე დავბრუნდი. ეზოში სახელოსნოში ვიკითხე, სახლის მეპატრონე სად ცხოვრობს-მეთქი. სახელიც მითხრეს და ბინაც მიმასწავლეს. მაშინვე წავედი.

— ქალბატონი შმიცი? სხვაგან გადავიდა.

— აბა მისი ავეჯი?

— ეს მისი ავეჯი არ არის.

— ამ ბინაში როდიდან ცხოვრობდა?

— რაში გაინტერესებთ?

და ქალმა, რომელიც ფანჯრიდან მელაპარაკებოდა, ცხვირწინ მომიხურა და შებრუნდა.

სატრანსპორტო განყოფილებაში მივედი და კადრების განყოფილება ვიკითხე. მდივანი თავაზიანი და საქმიანი ქალი იყო. მითხრა:

"ამ დილას დაგვირეკა და გვითხრა, შეგიძლიათ შემცვლელი აიყვანოთ, დღეიდან სამსახურში საერთოდ აღარ მოვალო, — მერე თავი გადააქნია და განაგრძო — ახლა სადაც თქვენ ზიხართ, თოთხმეტი დღის წინ, სწორედ მანდ იჯდა. შევთავაზე, ვატმანობას შეგასწავლით-მეთქი. მან კი ყველაფერს გაანება თავი."

რამდენიმე დღის მერე გადავწყვიტე საბინაო სამმართველოშიც მივსულიყავი. როგორც გავიგე, ჰამბურგში გადაეწერა, მაგრამ ახალი მისამართი არ მიუთითებია.

იმ დღეებში თავს ცუდად ვგრძნობდი. თან ვცდილობდი ჩემს მშობლებსა და და-ძმას არ შეემჩნიათ. როცა მათთან ერთად მაგიდასთან ვიჯექი, ცოტას ვლაპარაკობდი. ცოტას ვჭამდი. პირში ლუკმას ჩავიდებდი თუ არა, გული მერეოდა, საპირფარეშომდე მისვლას ძლივს ვასწრებდი. აუზზე სიარულს ისევ განვაგრძობდი, მთელ ნაშუადღევს იქ ვატარებდი. სადღაც მოშორებით განვმარტოვდებოდი და მთელი სხეულით ჰანასაკენ მივილტვოდი. მაგრამ სხეულის ლტოლვაზე მეტად დანაშაულის შეგრძნება მაწამებდა, მის დანახვაზე რატომ იმ წუთასვე არ წამოვხტი? რატომ არ გავიქეცი მისკენ? ისიც საშინლად მტანჯავდა, რომ ბოლო თვეებში მისდამი გაორებული, გულგრილი დამოკიდებულება მქონდა. მე მას ვატყუებდი, ვალალატობდი. ალბათ ამის გამო თუ დამსაჯა და წავიდა.

ზოგჯერ თავს ვირწმუნებდი, იქნებ ის არ დამინახავს და სხვა იყო-მეთქი. მე ხომ მისი სახისათვის წესიერად არც მომიკრავს თვალი? ის რომ ყოფილიყო, მის სახეს ხომ მაშინვე შევიცნობდი? მაშ, როგორღა უნდა ვყოფლიყავი ახლა იმაში დარწმუნებული, რომ მართლაც ის იყო?

თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რომ ის იყო. იდგა და შორიდან მიყურებდა – მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი უკვე გვიანი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

1

მას მერე რაც ჰანა ქალაქიდან წავიდა, საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა, ვიდრე უიმისობას შევეგუებოდი. ყველგან მისი ანარეკლი მელანდებოდა. ნაშუადღევმა ჩემთვის უწინდელი სახე, შინაარსი დაკარგა. კარგა ხანს წიგნს ისე ვერ ვიღებდი ხელში და ვერ ვკითხულობდი, საკუთარი თავისათვის რომ არ მეკითხა, გამოდგებოდა ჰანასთან ხმამაღლა წასაკითხად თუ არა. დიდი დრო დამჭირდა, ვიდრე ჩემი სხეული მისი სხეულისაკენ სწრაფვასა და ლტოლვას დაივიწყებდა. ზოგჯერ ძილშიც ვგრძნობდი, ჩემი ხელები და ფეხები როგორ ცდილობდნენ მის შეგრძნებას. ჩემს ძმას მაგიდასთან საუზმობისას არაერთხელ განუცხადებია: " ძილში ვიღაც ჰანას ეძახისო". სკოლაში, გაკვეთილებზეც, მარტო ჰანაზე ვფიქრობდი და ვოცნებობდი. დანაშაულის შეგრძნება, რომელიც პირველ კვირებში მტანჯავდა, თანდათან გამიქრა. ვერიდებოდი მისი სახლის სიახლოვეს ჩავლას. სხვა, შემოვლითი გზებით დავდიოდი. ნახევარი წლის მერე საცხოვრებლად სხვა რაიონში გადავედით. არა, ვერ ვიტყვი, რომ ჰანა დამავიწყდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მასზე მოგონებები თან აღარ მდევდა. სადღაც შორს მოვიტოვე, ისევე, როგორც მატარებლის ჩავლისას რომელიღაც ქალაქი. რომლის მოსანახულებლად და გასახსენებლად დროდადრო შეგიძლია ისევ გაემგზარო და დარწმუნდე, რომ ის არ გამქრალა. მაგრამ საჭიროა კი ეს?

სკოლის უკანასკნელი და უნივერსიტეტის პირველი წლები, ჩემს მეხსიერებაში ბედნიერ მოგონებებს აღძრავს. მაგრამ სინამდვილეში ამ წლებზე ბევრი არაფრის მოყოლა არ შემიძლია. მარტო იმას თუ ვიტყვი, რომ მაშინ ყველაფერი იოლად გამომდიოდა. სულაც არ გამჭირვებია არც გამოსაშვები, და არც სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების ჩაბარება. ეს ფაკულტეტი კარგა ხანია არჩეული მქონდა. მეგობრებს, სხვადასხვა სასიყვარულო თავგადასავლებსა თუ განშორებებს, — ყველაფერს იოლად ვეგუებოდი, გულთან ახლოს არაფერს ვიკარებდი. არანაირ სიძნელეებს არ ვაწყდებოდი. და ალბათ იმ წლებზე ჩემი მოგონებებიც ამიტომაა მწირი. ან იქნებ მე შემომენახა ასე მწირად? ან იყო კი ეს ბედნიერი მოგონებები? თუ მეხსიერებას ძალას დავატან, საკმაოდ ბევრი სამარცხვინო და მტკივნეული წუთიც მახსენდება. იმასაც მშვენივრად ვხვდები, რომ, მართალია, ჰანასთან მოგონებებს დავემშვიდობე, მაგრამ ბოლომდე ამისგან თავის დაღწევა და დაძლევა ვერ შევძელი. ჰანას მერე თავი აღარასოდეს არავისთან დამიმცირებია. არც სხვისთვის მიმიცია უფლება დავემცირებინე. ვცდილობდი, არც არავინ დამედანაშაულებინა და არც დამნაშავედ მეგრძნო თავი. სიყვარულშიც ვფრთხილობდი, არ მინდოდა, ისე შემყვარებოდა ვინმე, რომ მის დაკარგვას ტკივილი მოეყენებინა. და ამ ყველაფერს გაცნობიერებულად, და არა მარტო გაცნობიერებულად, გაბედულადაც კი აღვიქვამდი.

თავდაჯერებულობა, სიამაყე, გამბედაობა შევიძინე და თავს ისე წარმოვაჩენდი, თითქოს არც არაფერი მაღელვებდა, არაფერს შეეძლო ჩემი გუ-

ლის შერხევა, აფორიაქება და წყობიდან გამოყვანა. ალარავის ვუშვებდი ჩემთან ახლოს, ყველას გავურბოდი. ერთი მასწავლებელი მახსენდება, რომელმაც შემამჩნია ეს და ჩემთან გამოლაპარაკებას შეეცადა, მაგრამ მედიდურად, გულგრილად მოვიშორე. მახსენდება სოფიც. ჰანას გაუჩინარების მერე, მას მალევე ტუბერკულიოზი დაუდგინეს. სამი წელი გაატარა სანატორიუმში. იმ წელს, როცა სოფი სანატორიუმიდან გამოვიდა, სტუდენტი გავხდი. თავს ძალიან მარტოდ გრძნობდა და ძველ მეგობრებთან ხელახლა დაახლოებას ცდილობდა. რაღა თქმა უნდა, მისი გულის მოგება არ გამჭირვებია. და ერთხელ, როცა ღამე ერთად გავატარეთ, მიხვდა, რომ მე იმ წუთში მასთან არ ვიყავი. ცრემლმორეულმა მკითხა: "რა გემართება, რა მოხდა?" პასუხად კი აი რა ვუთხარი: "ბაბუაჩემი გამახსენდა. სიკვდილის წინ, უკანასკნელად რომ ვნახე, უნდოდა დაველოცე. მე კი განვუცხადე, ასეთი რამ არ მწამს, და არც არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, შენი დალოცვის გარეშეც გავძლებ-მეთქი." დღეს ამ ნათქვამს რომ ვიხსენებ, მიკვირს, როგორ შემეძლო ასეთი გულგრილი საქციელის მერე თავი კარგად მეგრძნო. თუმცა ზოგჯერ თუ ვინმე ჩემ მიმართ ან სხვის მიმართ უმნიშვნელო სინაზესა და ყურადღებას გამოიჩენდა, ყელში ბურთივით რაღაც მეჩხირებოდა. ხანდახან ფილმიდან რომელიმე სცენაც კმაროდა. ეს ორი ურთიერთსაპირისპირო საქციელი — გულგრილობა და მგრძნობიარობა, ზოგჯერ საშინელ ეჭვებს აღმიძრავდა.

2

ჰანა ხელახლა სასამართლო დარბაზში ავნახე.

ეს არ ყოფილა პირველი და ყველაზე დიდი პროცესი საკონცენტრაციო ბანაკზე. ჩვენმა პროფესორმა, ერთ-ერთმა, იმ არცთუ ისე ბევრ სპეციალისტთაგანმა, რომლებიც ნაცისტთა წარსულს სამართლებრივად აფასებდნენ და სპეციალურ მეთოდურ სამართალწარმოებას იკვლევდნენ, ეს პროცესი სემინარის ცალკე საგნად ჩასვა. ეტყობა პროფესორი იმედოვნებდა, რომ სტუდენტთა დახმარებით ამ პროცესს თავიდან ბოლომდე გაადევნებდა თვალს და სათანადო დასკვნებს გამოიტანდა. არ ვიცი, ამით რის შემოწმებას ან დამტკიცებას ლამობდა. მარტო ის მახსოვს, რომ სემინარზე იმართებოდა კამათი, მსჯელობა, თუ რომელი პარაგრაფის მიხედვით გამოჰქონდა სასამართლოს საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველებისა და ჯალათებისათვის განაჩენი; და რომ ეს პარაგრაფი უკვე დანაშაულის ჩადენის დროსვე შედიოდა სასამართლო კოდექსში; და რომ ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ იქნებოდა ეს პარაგრაფი გაგებული და მიღებული იმ დროს და ვრცელდებოდა კი მაშინ არსებითად ეს იმ ჯალათებზე და ზედამხედველებზე? რა არის კანონი, სამართალი? ის, რაც წიგნში წერია, თუ ის, რაც საზოგადოებამ დააკანონა და რასაც იცავს? ხანდაზმულ პროფესორს, რომელიც ემიგრაციიდან იყო დაბრუნებული, გერმანული სამართალმცოდნეობისაგან მაინც შორს ეჭირა თავი და ამ დისკუსიებში სრული ერუდიციითა და, ამავე დროს, თავშეკავებულადაც მონაწილეობდა. მაგრამ პრობლემის გადაჭრისათვის მარტო ცოდნა და ერუდიცია როდი კმარა.

— დააკვირდით ბრალდებულებს, — გვეუბნებოდა ის. — მათ შორის ვერც ერთს ვერ ნახავთ, ვინც ნამდვილად ფიქრობს, რომ მას მაშინ მკვლელობის ჩადენის უფლება ჰქონდა.

სემინარი ზამთარში დაიწყო. სასამართლო პროცესი კი გაზაფხულზე. საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. საქმის მოსმენა ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით მიმდინარეობდა. ყოველ ამ ოთხ დღეს პროფესორი პროცესზე სტუდენტთა ჯგუფებს ასწრებდა, რომელნიც ოქმის სიტყვასიტვით ჩანაწერს აკეთებდნენ. პარასკევობით სემინარის სხდომა ტარდებოდა, სადაც განვლილი კვირის მოვლენათა შეჯამება, გადასინჯვა ხდებოდა.

გადასინჯვა! გადასინჯვა წარსულისა! ჩვენ, სემინარის სტუდენტები, კი თავს ამ გადასინჯვის ავანგარდისტებად მივიჩნევდით. ვაღებდით ფანჯრებს, ვუშვებდით სუფთა ჰაერს, ნიავს, რომელსაც საზოგადოებაში, წარსულის საშინელებებით აგორებული მტვერი აქეთ-იქით მიჰქონდა. ჩვენ იმაზე ვზრუნავდით, რომ იქ მყოფთათვის ამოსუნთქვისა და თვალში გამოხედვის საშუალება მიგვეცა. აქ მარტო იურიდიული ცოდნა არ იყო მთავარი. განაჩენი აუცილებლად გამოტანილი რომ უნდა ყოფილიყო, ამაში წამით არ გვეპარებოდა ეჭვი. ისიც მშვენივრად გვესმოდა, რომ განაჩენს, ასე თუ ისე, ყოველ ბრალდებულ ზედამხედველსა და ჯალათს გამოუტანდნენ. აქ სასამართლოს წინ იდგა მთელი თაობა, რომელიც მომსწრე იყო ამ ჯალათებისა და ზედამხედველებისა, და ხელიც არ შეუშლია მათთვის იმ ბინძური საქმეების კეთებაში. სულ მცირე, თავის დროზე ზურგიც კი არ შეუქცევიათ მათთვის. არადა ეს მაშინვე, ათას ცხრაას ორმოცდა-

ხუთ წელსაც შეეძლოთ. და ახლა ჩვენ ამ საქმეთა გადასინჯვით მთელი თაობისათვის გამოგვქონდა განაჩენი და ვაიძულებდით სირცხვილი განეცადათ.

ჩვენმა მშობლებმა ნაცისტურ გერმანიაში სრულიად განსხვავებული როლები ითამაშეს. ზოგიერთის მამა იბრძოდა, მათ შორის ვერმახტის ორისამი ოფიცერიც იყო, ზოგიც ესესის, ზოგიერთის მშობელმა იურიდიულ და ადმინისტრაციულ სფეროში კარიერაც გაიკეთა. ჩვენს მშობლებს შორის ექიმები, მასწავლებლებიც იყვნენ. ზოგის ბიძას, უწინ შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალი თანამდებობაც ეკავა. დარწმუნებული ვარ, როცა ჩვენ მათ თავიანთ წარსულზე ვეკითხებოდით და ისინიც გვპასუხობდნენ, თითოეულის პასუხი სრულიად განსხვავებული იქნებოდა. მამაჩემს არ სურდა თავის თავზე ლაპარაკი. მაგრამ ვიცოდი, ფილოსოფიის დოცენტის ადგილი იმის გამო დაკარგა, რომ ერთხელ სპინოზაზე ლექციის წაკითხვა უნდოდა.. მერე იძულებული გახდა, ლექტორად დაეწყო მუშაობა გამომცემლობაში, სადაც ტურიზმის მოყვარულთათვის რუკებსა და წიგნებს გამოსცემდნენ. და ომის წლები სწორედ ამით გადაგვატანინა, ჩვენც და საკუთარ თავსაც. და როგორ შემეძლო, რომ განმესაჯა და შემერცხვინა? თუმცაღა ეს მე მაინც გავაკეთე. ჩვენ ყველამ საკუთარ მშობლებს სასირცხვილო განაჩენი გამოვუტანეთ. თუნდაც იმით, რომ დავადანაშაულეთ, ბრალი დავდეთ, თუ როგორ იტანდნენ ორმოცდახუთი წლის მერე ამ დამნაშავეებს თავიანთ გვერდით..

ჩვენ, სემინარის ის სტუდენტები, რომლებიც ამ პროცესს ვესწრებოდით, იმდენად ჩავულრმავ-

დით ამ საქმეს, რომ ყველა "საკონცენტრაციო ბანაკის ჯგუფს" გვიწოდებდა. ის, რაც ჩვენ გვაინტერესებდა, სხვებს საერთოდ არ აინტერესებდათ. ზოგი ამ ყველაფრისაგან საერთოდ შორს იჭერდა თავს.

დღეს როცა ვფიქრობ, რომ მთელი ის კორიანტელი, რასაც ჩვენ ომის პერიოდში ჩადენილი დანაშაულებების სახით გავეცანით, და რომელთა სხვებისათვის გაცნობასაც ვცდილობდით, მართლაც საშინელება იყო. მაგრამ ამ საშინელებათა მოსმენისა და კითხვისას დღითიდღე უფრო ვრწმუნდებოდით ჩვენი მისიის სისწორეში. დაუზოგავად ვცდილობდით ეს ყველაფერი საზოგადოებისათვისაც გვემცნო. მაშინაც კი როცა ამ საშინელებებისაგან ძრწოლა გვიტანდა, ტრიუმფალურად გავიძახოდით: აი ნახეთ! თქვენც გაიგეთ!

ამ სემინარს მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო ვესწრებოდი, რადგან ეს რაღაც ახალი იყო, სრულიად განსხვავებული უფლებათა დაცვა, დანაშაულები თუ თანამონაწილეობა, და არა მარტო "საქსონიის სარკე" და უძველესი ფილოსოფიურ-სამართლებრივი კანონები. ჩემს დაფიქრებულობას, აწონ-დაწონისა და გააზრების უნარს აქ, სემინარზეც ვამჟღავნებდი. ზამთარში ამ ყველაფერს კიდევ უფრო ჩავუღრმავდი, თუმცა არა მარტო იმ ამბების გამო, რაზეც ვკითხულობდით და ვისმენდით, და არც იმ აღტყინების გამო, რასაც სემინარიის სტუდენტები იჩენდნენ. თავდაპირველად, შესაძლოა, მეცნიერული, პოლიტიკური თუ მორალური თვალსაზრისით, ვიზიარებდი სტუდენტთა საერთო განწყობას. მაგრამ მერე მივხვდი, რომ სინამდვილეში აქედან უფრო ბევრს მოველო-

დი. მინდოდა იმ საერთო აღტყინების შემადგენელი ნაწილი გავმხდარიყავი, მიუხედავად იმისა, რომ სხვები მედიდურად და ამპარტავნად მთვლიდნენ. ვგრძნობდი, რომ კარგი არჩევანი გავაკეთე და საკუთარი თავით, იმათითაც ვისთან ერთადაც ვიყავი, და იმითაც, რასაც ვაკეთებდი, ძალიან კმაყოფილი ვიყავი.

3

პროცესი სხვა ქალაქში ტარდებოდა. ჩვენი ქალაქიდან მანქანით დაახლოებით ერთი საათის სავალზე. უწინ ამ მხარეში არასოდეს ვყოფილვარ. სხვა სტუდენტმა წამიყვანა. ის იმ ქალაქში გაიზარდა და კარგად იცნობდა იქაურობას.

ხუთშაბათი იყო. სასამართლო პროცესი ხუთშაბათს დაიწყო. პირველი სამი დღე დასჭირდა ადვოკატთა განცხადებებს სასამართლო პროცესზე მიუკერძოებლობის თაობაზე. ჩვენ მეოთხე ჯგუფი ვიყავით, რომელსაც პროცესის დასაწყისის, ბრალდებულთა ოფიციალური დაკითხვის დაწვრილებითი ოქმის შედგენა მოგვიწია.

აყვავებული ხეხილის ქვეშ, მთის გასწვრივ მიმავალ გზაზე მივდიოდით. ამაღლებულ, ფრთაშესხმულ ხასიათზე ვიყავით. ბოლოს და ბოლოს მოგვეცა საშუალება საქმით დაგვემტკიცებინა, ის, რისთვისაც კაი ხანს ვემზადებოდით. ჩვენ არა მარტო ყურადღებიან მსმენელებად და ოქმის შემდგენელად ვთვლიდით თავს, არამედ მიგვაჩნდა, რომ წარსულის გადასინჯვის პროცესში საკუთარი წვლილი შეგვქონდა.

სასამართლოს შენობა საუკუნის მიჯნაზე იყო აგებული, არც დიდი ფუფუნებითა და არც განსა-

კუთრებული ულიმლამობით, რითაც საერთოდ მაშინ-
დელი სასამართლოს შენობები გამოირჩეოდა. დარ-
ბაზს, სადაც პროცესი მიდინარეობდა, მარცხნივ დი-
დი ფანჯრები ჰქონდა, რომელთა დაბინდულ მინებში
არაფერი არ ჩანდა. ისე გარედან კი საკმაო შუქი
შემოდიოდა. ფანჯრების წინ ნაფიცი მსაჯულები
ისხდნენ, რომლებიც გაზაფხულისა და ზაფხულის
კაშკაშა დღეებში მარტო სილუეტების მიხედვით
აღიქმებოდნენ. შავ მანტიაში გამოწყობილი სამი
მოსამართლე დარბაზის თავში იჯდა. მარჯვნივ ბრალ-
დებულთა და ადვოკატთა სკამები და მაგიდები იყო
ჩამწკრივებული. და რადგან მათი რაოდენობა არც
თუ ისე მცირე იყო, დარბაზის შუამდე, თითქმის
მაყურებელთა რიგებამდე აღწევდა. ზოგიერთი ბრალ-
დებული და ადვოკატი ჩვენგან ზურგშექცევით იჯ-
და. მათ შორის ჰანაც. მე ის მარტო მაშინ შევამ-
ჩნიე, როცა დაკითხვაზე გამოიძახეს, როცა ადგა და
წინ გამოვიდა. რაღა თქმა უნდა გვარის "ჰანა შმი-
ცის" გამოცხადებისთანავე ვიცანი. მერე კი მისი
ფიგურა, თავი, ჩემთვის აქამდე უცხო თმის ვარ-
ცხნილობა, კისერი, განიერი ზურგი, და ლონიერი
მკლავებიც დავინახე. წელში გამართული იდგა.
ხელები თავისუფლად ჩამოეშვა. ნაცრისფერი, მოკ-
ლემკლავებიანი კაბა ეცვა. ვიცანი, მაგრამ არაფერი
მიგრძნია. სულ არაფერი.

— დიახ, — თქვა მან, — ფეხზე ვიდგები. დიახ,
დავიბადე 1922 წლის ოცდაერთ ოქტომბერს, ჰერ-
მანშტადტის მახლობლად, და ახლა ორმოცდასამი
წლის გახლავართ, დიახ, ვმუშაობდი „სიმენსებ-
თან", და 1943 წელს ესეს-ში შევედი.

— ესეს-ში გაგიწვიეს თუ ნებაყოფლობით შეხ-
ვედით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ნებაყოფლობით.

— რატომ?

ჰანამ არ უპასუხა.

— მართალია, რომ თქვენ ესეს-ში შეხვედით, იმისდა მიუხედავად, რომ ფაბრიკაში უფროსი ოსტატის ადგილი შემოგთავაზეს?

ჰანას ადვოკატი წამოხტა.

— რას ნიშნავს, სიტყვა „იმისდა მიუხედავად"? ამ შეკითხვით რისი თქმა გსურთ, რომ ქალებს მაშინ ფაბრიკაში კარგ სპეციალობაზე დარჩენას, ესეს-ში შესვლა ერჩივნათ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით ჩემი ბრალდებულის არჩევანის წინაშე დაყენება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ადვოკატი დაჯდა. ეს იყო ერთადერთი ახალგაზრდა ადვოკატი, ყველა დანარჩენი კი ხანდაზმულები იყვნენ. და ზოგიერთი მათგანი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ძველი ნაცისტი.

ჰანას ადვოკატი მათ ჟარგონსა და არგუმენტაციებს გაურბოდა, მაგრამ მისი ზედმეტი გულმოდგინება ისევე ვნებდა თავის კლიენტს, როგორც იმ დანარჩენი კოლეგების ნაციონალ-სოციალისტური ტირადები — თავიანთსას. თუმცა ამ ახალგაზრდამ იმას მიაღწია, რომ თავმჯდომარე ამ კითხვას, თუ რატომ შევიდა ჰანა ესეს-ში, აღარ ჩაღრმავებია. თუმცა აზრი მაინც არ შეუცვლია, რომ ჰანამ ეს წინასწარი განზრახვით, და, ამასთან, ყოველგვარი განსაკუთრებული საჭიროების გარეშე გააკეთა. ერთ-ერთი მოსამართლის დასმულ შეკითხვაზე: რა სამუშაოს მოელოდა იგი ესეს-ში, ჰანამ უპასუხა: „სიმენსებიდან" თუ სხვა ორგანიზაციებიდან იმ დროს ქალებს მარტო ზედამხედველებად ირჩევდნენ და ისიც სწორედ ამ მიზნით

შევიდა. თუმცა მოსამართლეს არც ამ პასუხით შესცვლია ჰანაზე უარყოფითი შთაბეჭდილება.

მერე ჰანამ მოკლედ გააცნო თავმჯდომარეს: „1944 წლის გაზაფხულამდე ოსვენციმის ზედამხედველთა ნაწილში ვიყავი. 1944-1945 წლებში კრაკოვთან არსებულ პატარა ბანაკში ვმსახურობდი. იქიდან კი, ზედამხედველად გამაყოლეს პატიმრების ერთ ნაწილს, რომლებიც დასავლეთში უნდა გადამეყვანა და იმ ადგილამდე მივაღწიე კიდეც. ომის დასასრულამდე კასელში ვიმყოფებოდი. მერე კი ხან სად ვცხოვრობდი და ხან სად." ჩემი მშობლიური ქალაქიც დაასახელა, სადაც რვა წელი ცხოვრობდა. ეს იყო მისთვის ერთ ადგილზე ცხოვრების ყველაზე ხანგრძლივი დრო.

— საცხოვრებელი ადგილების ასეთი ხშირი ცვლა, წარმოადგენს თუ არა იმის საფუძველს, რომ ბრალდებული ცდილობდა სასამართლოს დამალვოდა?

ადვოკატის ხმაში ირონიამ გაიჟღერა:

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, იცვლიდა რა ადგილ-საცხოვრებელს, ყველანაირად იცავდა ჩაწერამოწერის წესებს. ასე რომ, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, ვიფიქროთ, რომ ბრალდებული ამ სახით სამართალს ემალებოდა, ან მისგან რამის მიჩუმათებას ცდილობდა. ნუთუ მოსამართლე, ჩემი კლიენტის თავისუფლებაში ყოფნას, დაუშვებლად მიიჩნევს, რადგან მის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა გამო, ამას შეიძლებოდა საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება გამოეწვია? დამნაშავის დაჭერისადმი ასეთი მიდგომა მეტისმეტად ნაცისტურია. ეს ნაცისტების მოგონილია. მას მერე ისევ აღმოფხვრილია და აღარ არსებობს. ადვოკატი ისეთი ღვარძლიანი სიამოვნებით ლაპარა-

კობდა, გეგონება მოკამათეებისათვის პიკანტური ჭეშ-
მარიტების წარმოჩენას ცდილობდა.

შემზარა, როცა მივხვდი, რომ ჰანას დაჭერა
სავსებით სწორად და გამართლებულად მიმაჩ-
ნდა. არა, იმ მძიმე ბრალდებებისა და წაყენებუ-
ლი დანაშაულებების გამო კი არა, რომელთა
შესახებაც მე ჯერ ზუსტად არაფერი ვიცოდი,
არამედ იმიტომ, რომ ჰანას დაპატიმრება, მას
მთლიანად ჩამომაშორებდა, გარიყავდა ჩემი სამ-
ყაროსაგან, ჩემი ცხოვრებიდან. მინდოდა რაც
შეიძლება შორს ყოფილიყო ჩემგან, ისეთი მიუწ-
ვდომელი, რომ ჩემს მეხსიერებაში მხოლოდ და
მხოლოდ ცარიელ მოგონებებად დარჩენილიყო,
როგორც მთელი ამ ბოლო წლების მანძილზე.
თუ ადვოკატი წარმატებას მიაღწევდა, ამასთან
შესაგუებლადაც უნდა ვყოფილიყავი მზად. ალ-
ბათ ასეთი შეკითხვის დასმაც მომიწევდა საკუ-
თარი თავისათვის: მინდოდა კი მე მასთან შეხ-
ვედრა? თუმცა ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავდი,
რის გამოც სასამართლოს ადვოკატისათვის უა-
რის თქმა შეეძლო. და თუ ჰანა დღემდე არ
ცდილობდა დამალვოდა სასამართლოს, მაშ ახ-
ლა რაღად გააკეთებდა ამას? ან რა უნდა ჰქო-
ნოდა დასამალი? მისი დაპატიმრების სხვა სა-
ფუძველი, მაშინ ჯერ არ არსებობდა.

თავმჯდომარეს ისევ დაბნეულობა დაეტყო. მივ-
ხვდი, ეს მისი თავისებური ჩვევაც იყო. როგორც
კი რომელიმე აზრს ცოტა ობსტრუქციულად მი-
იჩნევდა, სათვალეს მოიხსნიდა და აზრის გამომ-
თქმელს ბეცივით, ეჭვით გახედავდა, მერე კი შუბლს
შეიჭმუხნიდა. ხან პირდაპირ უარყოფდა, ხან შეე-
წინააღმდეგებოდა და ასეთი ფრაზების სროლას

იწყებდა: „ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ...", ან "ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ..." და მერე ისეთ რაღაცას დასძენდა, რითაც უკვე აღარანაირ ეჭვს არ იწვევდა, რომ მას გამოთქმული აზრი არ მოეწონა და არც აპირებდა მის გათვალისწინებას. არც აზრის მთქმელის მიერ ჰქონდა რაიმე ზეწოლას აზრი.

— ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ სასამართლომ, რომელიც ადამიანთა დაპატიმრების პროლემებითაა დაკავებული, არასწორად გაიგო ის ფაქტი, თუ რატომ არ გამოეხმაურა ბრალდებული სასამართლოს მიერ გაგზავნილ არაერთ ოფიციალურ წერილსა და გამოძახებას? ის, რომ ერთხელაც არ დაგვდო პატივი, გამოცხადებულიყო არც პროკურატურაში, არც სასამართლოში? შუამდგომლობის აღძვრა ხომ არ გნებავთ დაპატიმრების ბრძანების უარსაყოფად?

ადვოკატმა სარჩელი შეიტანა, მაგრამ სასამართლომ უარყო იგი.

4

სასამართლო სხდომის არც ერთი დღე არ გამომიტოვებია. დანარჩენ სტუდენტებს უკვირდათ. პროფესორი, რაღა თქმა უნდა, მოხარული იყო, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი მაინც ზრუნავდა იმაზე, რომ ჯგუფისათვის პროცესზე ნანახი და მოსმენილი გადაეცა.

ჰანამ მაყურებელთა მხარეს და ჩემკენ მარტო ერთხელ გამოიხედა. სხვა დროს, ჩვეულებისამებრ, ყოველთვის, როგორც კი სასამართლო დარბაზში შემოიყვანდნენ და თავის ადგილზე დაჯდებოდა, მხოლოდ მოსამართლეების მხარეს იყურებოდა, რაც

მის მედიდურობას უსვამდა ხაზს, ამასვე მეტყველებდა ისიც, რომ ის არც სხვა ბრალდებულებს ელაპარაკებოდა და არც ადვოკატს. თუმცა, როცა პროცესი გაჭიანურდებოდა, აღარც სხვა ბრალდებულებს ჰქონდათ ლაპარაკის სურვილი. შესვენებების დროს ისინი თავთავიანთი ნათესავებისა და მეგობრების გვერდით იდგნენ. დილითაც, დაინახავდნენ თუ არა მაყურებლებს შორის ნაცნობს, ხელს უქნევდნენ, ეძახდნენ. ჰანა თავისი ადგილიდან არც შესვენებებზე დგებოდა.

და მე ვხედავდი მის ზურს, თავს, კეფას, მხრებს. ვკითხულობდი მის მხრებზე, კეფაზე, თავზე. თავი განსაკუთრებით მაღლა ჰქონდა აწეული. როცა ეჩვენებოდა, რომ არასამართლიანად ეპყრობოდნენ, და რომ მასზე ზეწოლას ახდენდნენ, როცა ცდილობდა, რამე გაეპროტესტებინა, მხრებს წინ გადახრიდა, კისრის ძარღვები მათლად ეჭიმებოდა და ებურცებოდა. თუმცა მისი შეპასუხება ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა. და ამის მერე დაღლილად ჩამოყრიდა ხოლმე მხრებს. მაგრამ მხრებს არასოდეს იჩეჩავდა, თავსაც არასოდეს იქნევდა. თავს თავის ჩაქინდვრის, ხელებში ჩარგვის უფლებასაც არ აძლევდა. გაქვავებულივით იჯდა. ალბათ იტანჯებოდა ასე ჯდომით.

ხანდახან შეკრული თმიდან რამდენიმე ღერი ჩამოსცვივდებოდა და კისერზე ეფინებოდა და ნიავის ოდნავ დაბერვაზე აქეთ-იქით ერხეოდა. ზოგჯერ ჰანას საკმაოდ ღრმად ამოჭრილი კაბა ეცვა, ისე, რომ მარცხენა მხრის თავზე ხალიც მოუჩანდა. მახსენდებოდა, როგორ ვუბერავდი იმის კეფაზე ჩამოშლილ თმას სულს და როგორ ვუკოცნიდი ამ ხალს. თუმცა ამას მხოლოდ როგორც ფაქტს

ისე ვიგონებდი და ველაფერს შევიგრძნობდი.

მთელი ამ სასამართლო პროცესის მანძილზე, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, არანაირი გრძნობა არ გამჩენია. თითქოს ჩემი გრძნობები გაყუჩებულიყო, როგორც ნარკოზის ქვეშ. ზოგჯერ საკუთარ თავს პროვოცირებას ვუწყობდი, თვალწინ წარმოვიდგენდი ჰანას და იმ წუთებს, როგორ ვუწევდი კეფიდან თმას და როგორ ვუკოცნიდი მხრის თავს. მაგრამ ეს ყველაფერი იმას ჰგავდა, როცა ნემსისაგან გაბუჟებულ მკლავზე იჩქმეტ, და ვერაფერს გრძნობ. მკლავმა არ იცის, ვერ იგრძნო, რომ ხელმა უჩქმიტა, ხელმა, თითებით კი იცის, რომ უჩქმიტა. ტვინი პირველ შემთხვევაში ვერ ალიქვამს, რა ხდება. მეორე შემთხვევაში კი უკვე ყველაფერი ზუსტად იცის. შესაძლოა თითებმა ისე მაგრადაც უჩქმიტა მკლავს, რომ სისხლიც კი გაჩერდა და ამოთეთრდა. მაგრამ მერე ისევ აღუდგა სისხლის მოძრაობა, და ჩვეული ფერიც დაიბრუნა.. თუმცა შეგრძნება ამის მერეც არ დაჰბრუნებია.

მაგრამ ვინ გამიკეთა ეს გამაყუჩებელი ნემსი? იქნებ თვითონ გავიკეთე, რადგან ამ გაყუჩების გარეშე ვერ გავუძლებდი? და ამ გამაყუჩებელმა სასამართლო დარბაზში იმდენადაც კი იმოქმედა, რომ მე ჰანასათვის უცხოს თვალით ყურებაც შევძელი. და ის, ვისაც ოდესღაც ვიცნობდი, მიყვარდა და ვისადმიც საოცარ ლტოლვას ვგრძნობდი, აღარანაირად არ მაღელვებდა. საკუთარ თავს სხვა დანარჩენ შემთხვევებშიც გარედან ვუყურებდი. სწორედ ამ კუთხით ვუმზერდი თავს უნივერსიტეტშიც, მეგობრებთან საუბრისას, და-ძმასთან, მშობლებთან, და ამ დროს სულიერ, შინაგან თანამონაწილეობას არ ვგრძნობდი.

რამდენიმე ხნის მერე მომეჩვენა, რომ მსგავს ანესთეზირებასა და გაყუჩებას სხვებიც მოეცვა. რაღა თქმა უნდა არა ადვოკატები, რომლებიც პროცესზე განსაკუთრებული ხმაურითა და ღრიალით, უხეშობით, შეუპოვარი თავხედობითა და ურცხვობით, პედანტური გამჭრიახობით გამოირჩეოდნენ, რაც მათი პიროვნული პოლიტიკური ტემპერამენტიდან მომდინარეობდა. მართალია, პროცესზე ბოლოს უკვე ეტყობოდათ, რომ ქანცი ჰქონდათ გამოცლილი, და ხშირად უკვე თავს ველარც იკავებდნენ და უხეშობდნენ, ბობოქრობდნენ, მაგრამ ღამით ისევ იკრეფდნენ ძალებს და მეორე დილით ისევ ახალი ენერგიით უტევდნენ. მოსამართლეებიც ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ ადვოკატებს, და ყოველდღე საბრძლო თავდადება გამოემჟღავნებინათ. თუმცაღა არცთუ ისე კარგად გამოსდიოდათ. თავდაპირველად იქნებ იმიტომაც, რომ ისინი პროცესზე მიმდინარე მოვლენებმა და შედეგებმა ძალიან შეაძრწუნა. ბოლოს ეტყობა ანესთეზირებამ მათზეც გაჭრა — ყველაზე ძლიერ მოსამართლეებზე და სახალხო მსაჯულებზე იმოქმედა. ისინი ხომ სასამართლო პროცესის პირველ დღეებში ისეთი შემზარავი, საშინელი ამბების მოწმენი გახდნენ, რომ ამ ყველაფერს ცრემლები, შემცბარი შეძახილები, ლანძღვა, შეუკავებელი ემოციებიც კი მოჰყვა. მაგრამ თანდათან მათ სახეებს ისევ სიმშვიდე დაუბრუნდა. მოთმინებადაკარგულნი, შიგადაშიგ რამე შენიშვნისმაგვარს ღიმილითაც კი გადასჩურჩულებდნენ ხოლმე ერთმანეთს. მაგალითად, როცა მოწმე თემიდან გადაუხვევდა. ერთხელ კი, როცა სხდომაზე ისრაელში გამგზავრების თაობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რადგან იქ

ერთი მოწმე უნდა დაეკითხათ, მოსამართლეების სახეზე დაუფარავმა სიხარულმაც გადაირბინა.

პროცესზე ნანახითა და მოსმენილით სტუდენტებიც არანაკლებ აღშფოთებულნი ჩანდნენ. კვირაში ერთხელ ესწრებოდნენ სხდომას. ყოველ ჯერზე ახალ-ახალი საშინელებებით ივსებოდნენ და მერე ყოველდღიურობაში ამ საშინელებებით იჭრებოდნენ. სხდომას ყოველდღე ვესწრებოდი და ყველას რეაქციას უცხოს თვალით, შორიდან ვაკვირდებოდი, ისევე, როგორც საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი, რომელიც თავის გადასრჩენად დიდხანს იბრძოდა და ბოლოს ათასგვარ საშინელებას, საზარლობას შეეგუა და მკვლელობისა თუ სიკვდილის ყოველ ამბავს, სრული გულგრილობით აღიქვამდა. ყველანაირ ლიტერატურაში, სადაც სწორედ ამ თემაზეა საუბარი, ვინც საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებანი გადაიტანა, ვინც იქაურ მდგომარეობაზე წერს, სადაც ქცევა გულგრილი და დაუნდობელია, სიკვდილი კი გაზის კამერებსა თუ კრემატორიუმებში ყოველდღიური, ისინი სწორედ ანესთეზიის ქვეშ მყოფთ ჰგვანან, როცა სასიცოცხლო ნიშანწყალი მინიმუმადეა შემცირებული. დამნაშავეთა მწირ მონაყოლშიც გაზის კამერები თუ კრემატორიუმები მათი ყოველდღიურობის შემადგენელ ნაწილად ქცეულა, ხოლო თვით ისინი კი თავიანთი დაუნდობელი და გულგრილი უაზრო ქცევით ფუნქციადაკარგულები გამხდარან, როგორც ანესთეზიაგაკეთებულები, თუ მთვრალები. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ბრალდებულები დღემდე ანესთეზიის ქვეშ იყვნენ და ალბათ ბოლომდე ასეც დარჩებოდნენ, თითქოს უკვე გაქვავებულიყვნენ.

უკვე მაშინვე, როცა ამ საერთო ანესთეზირებულ მდგომარეობაზე ვფიქრობდი, ვიგრძენი, რომ ანესთეზირებამ თუ გაქვავებულობამ თავის დროზე არა მარტო დამნაშავეები და მათი მსხვერპლი მოიცვა, არამედ უკვე ყოველი ჩვენგანიც, ისინი, ვინც ახლა სასამართლო დარბაზში ვისხედით, მოსამართლე თუ ნაფიცი მსაჯული, პროკურორი თუ მდივანი. მაშინვე, როცა დამნაშავეთა და მსხვერპლთა, მიცვალებულთა და ცოცხალთა, გადარჩენილთა და ახალი თაობის შედარება დავიწყე, თავი ცუდად ვიგრძენი და ახლაც ვერ ვგრძნობ კარგად. განა ასეთი შედარება შესაძლებელია? და როცა ასეთ შედარებებს ვახდენ და ამ თემას ვეხები, ამით ხაზს იმას სულაც არ ვუსვამ, რომ ეს შედარება არანაირად არ განასხვავებს, ვინ ხარ, საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი თუ ჯალათი, იმ ბანაკში ყოფნით იტანჯებოდი, თუ სხვებს იმეტებდი დასატანჯად. პირიქით, სწორედ ამ განსხვავებასა აქვს უდიდესი მნიშვნელობა. თუმცაღა ჩემი ასეთი აზრები, გაოცებასა და აღშფოთებას იწვევდა სხვებში.

ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები და ასეთი შეკითხვები უკვე მაშინვე დამებადა: რის გაკეთებას აპირებდა ჩემი თაობა განადგურებულ ებრაელებზე არსებული საშინელი მასალებით? განა შევძლებთ იმის გაგებას, ჩაწვდომას, რაც გაუგებარია? ან როგორ შევადაროთ ის, რის შედარებაც შეუძლებელია? გვაქვს კი შეკითხვის დასმის უფლება? რადგან თავისთავად შეკითხვა, თუნდაც ამ საშინელებებში ეჭვიც არ გვეპარებოდეს, უკვე განსჯის საკითხად აქცევს მას. თუმცა აღშფოთების, სირცხვილისა და დანაშაულის შეგრძნების გაყუ-

ჩებაც ხომ შეიძლება. მაგრამ როგორ, როგორ უნ-
და გავყუჩდეთ ასეთი აღშფოთების, სირცხვილისა
და დანაშაულის შეგრძნებით? ან როდემდე? ვერ
ვიტყოდი, რომ ის მგზნებარება, რომლითაც სემინა-
რებზე ამ საკითხების გადასინჯვაში ვმონაწილე-
ობდი, უბრალოდ გაქრა. მაგრამ ის, რომ ზოგიერთ
იმათგანს გაასამართლებდნენ, დასჯიდნენ, და ის,
რომ ჩვენ ახალ თაობას ამ აღშფოთების, სირცხვი-
ლისა თუ დანაშაულის შეგრძნებით გაყუჩება მოგ-
ვიწევდა, განა ეს იყო მთავარი?

5

მეორე კვირას წაიკითხეს საბრალდებო ოქმი.
და ეს დღენახევარს გაგრძელდა –მთელი დრო
მარტო დანაშაულებათა ჩამოთვლას დასჭირდა.
ბრალდებული ნომერი პირველი აღიარებულ იქნა
დამნაშავედ შემდეგი პუნქტით... ., მას ბრალად
ედება..., გარდა ამისა, მან მონაწილეობა მიიღო...,
ასევე ის წარმოადგენდა..., ამ დანაშაულებათა მი-
ხედვით მას მიესადაგა პარაგრაფი ესა და ეს,
ვითვალისწინებთ რა ზემოთ ჩამოთვლილს..., ესაა
ნამდვილად კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებ-
რივი ქმედება. ჰანა, ბრალდებულთა შორის ნომერი
მეოთხე იყო.

ხუთი ბრალდებული ქალი, კრაკოვთან, ოსვენ-
ციმის დაქვემდებარების ქვეშ მყოფ პატარა ბანაკ-
ში ზედამხედველებად ყოფილა. და 1944 წლის
გაზაფხულზე, ისინი ამ ბანაკში სხვა ზედამხედ-
ველთა შესაცვლელად სწორედ ოსვენციმიდან გა-
დაუყვანიათ. რადგან, ბანაკის ტერიტორიაზე ქარ-
ხანა იყო, სადაც პატიმარ ქალებს ამუშავებდნენ.
ქარხანა დაიბომბა. ზოგი ზედამხედველი დაიღუ-

პა, ზოგიც დაიჭრა და შემცვლელები ესაჭიროებოდათ. ბრალდების ერთ-ერთი პუნქტი სწორედ ოსვენციმში მათ ქმედებებს ეხებოდა. თუმცაღა სხვა დანაშაულებების ფონზე, რომელთაც ველარ ვიხსენებ, ეს პუნქტი უკან ინაცვლებდა. იმასაც ველარ ვიხსენებ, ეს ბრალდებები იქნებ მარტო იმ ოთხ ქალს ეკუთვნოდა და არა ჰანას? ან იქნებ ის პუნქტი სხვა საბრალდებო პუნქტებთან თავისთავად არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყო? იქნებ, უბრალოდ არ შეიძლებოდა, რომ არ დაედანაშაულებინათ ის, ვინც ოსვენციმში ამა თუ იმ ბრძანებასა და მითითებას ასრულებდა? რაღა თქმა უნდა, ის ხუთი დამნაშავე ქალი იმ ბანაკს არ ხელმძღვანელობდა. იქ ჰყავდათ თავიანთი კომენდანტი, დაცვის განყოფილება, ასევე სხვა ზედამხედველებიც. მეტი წილი დაცვაში მყოფი ჯარისკაცებისა და ზედამხედველებისა, მაშინ, როცა ღამით ბანაკიდან პატიმრები მატარებლით დასავლეთისაკენ გადაჰყავდათ, დაბომბვის დროს დაიღუპა. ზოგიერთი მათგანი იმავე ღამით უკვალოდ გაქრა და ველარც იპოვეს, მათ შორის კომენდანტიც, რომელიც ჯერ კიდევ მანამდე გაიქცა, ვიდრე პატიმართა კოლონა დასავლეთისაკენ დაიძვრებოდა.

იმ ღამით დაბომბვისას, წესით, პატიმართაგან ცოცხალი არავინ არ უნდა გადარჩენილიყო. მაგრამ ერთმა დედა-შვილმა რაღაც სასწაულით მაინც გამოაღწია. შვილმა წიგნიც კი დაწერა ბანაკზე და პატიმართა დასავლეთისაკენ სვლზე. მან ეს წიგნი ამერიკაში გამოაქვეყნა კიდეც.

პოლიციამ და პროკურორმა არა მარტო იმ ხუთ ბრალდებულს მიაკვლია, არამედ იმ სოფლის რამდენიმე მოწმეც კი იპოვა, სადაც მაშინ დაბომ-

ბვა მოხდა, სწორედ იმ დროს, როცა იქ პატიმართა კოლონებს უნდა გაევლოთ. მთავარი მოწმეები კი სწორედ ის დედა-შვილი იყვნენ. შვილი გერმანიაში სპეციალურად ამისთვის ჩამოვიდა. დედა კი ისრაელში დარჩა. დედის დასაკითხად მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები საგანგებოდ ისრაელში გადაფრინდნენ. პროცესის ერთადერთი ნაწილი სწორედ ეს გახლდათ, რომელსაც არ დავსწრებივარ.

ბანაკში ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად სელექცია ითვლებოდა. ყოველთვე კრაკოვთან მდებარე ამ პატარა ბანაკში, იმათ ნაცვლად, ვინც ამ პერიოდში დაიღუპა, სამოცამდე ახალი ქალი გადმოჰყავდათ ოსვენციმიდან, ამდენივე უნდა გადაეგზავნათ ოსვენციმში. ყველამ იცოდა, რომ ოსვენციმში გაგზავნილებს სიკვდილი ელოდათ. იქ აგზავნიდნენ იმათ, ვისაც ქარხანაში სამუშაოდ ველარ გამოიყენებდნენ. ეს იყო საბრძოლო მასალების დამამზადებელი ქარხანა. აქ მუშაობა თავისთავად მძიმე არ იყო, მაგრამ გაზაფხულზე მომხდარი დაბომბვის მერე ქალებს სულ სხვა სახის, ძირითადად სამშენებლო-აღსადგენი სამუშაოების შესრულება უხდებოდათ.

მეორე მთავარ ბრალდებად ითვლებოდა ის ღამე, როცა დაბომბვა მოხდა და ამით ყველაფერიც დასრულდა. დაცვის ჯარისკაცებმა და ზედამხედველებმა ამ კოლონაში მყოფი ყველა, ასე დაახლოებით ასი ქალი, სოფლის ეკლესიაში ჩაკეტა. სოფელი მცხოვრებთა უმეტესობისაგან მიტოვებული იყო. იმ ღამით სოფელზე რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს. ეტყობა, იქაური რკინიგზის, ან ახლო მდებარე საქარხნო კომპლექსის განადგურება უნ-

დოდათ. ან, უბრალოდ, დიდი ქალაქების დაბომბვის მერე დარჩათ, და ისე გადმოყარეს. ერთი ბომბი მღვდლის სახლს დაეცა, სადაც ზედამხედველებსა და ჯარისკაცებს ეძინათ. მეორე კი ეკლესიას. ცეცხლი ჯერ გუმბათს გაუჩნდა, მერე სახურავს მოედო, მერე კოჭებს, ცეცხლმოდებული კოჭები ეკლესიის შიდა ნაწილში ჩაცვივდა და ცეცხლმა სკამებისაკენ გადაინაცვლა. პატიმრები ეკლესიის მძიმე კარს მიაწყდნენ და ბრახუნი ატეხეს. ბრალდებულებს შეეძლოთ მათთვის კარი გაეღოთ, მაგრამ ასე არ მოიქცნენ. ეკლესიაში გამოკეტილი ქალები ცოცხლად ამოიბუგნენ.

6

პროცესი ჰანასათვის ძალიან მძიმედ წარიმართა. უკვე პირველივე დაკითხვისას მოსამართლეზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ბრალდებულთა ოქმის წაკითხვის მერე ჰანამ სიტყვა მოითხოვა, რადგან იქ რაღაც არასწორად მოეჩვენა. ამის თაობაზე სასამართლოს თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა: სასამართლოს მსვლელობისას საკმაო დრო გქონდა იმისათვის, რომ ბრალდების ყველა პუნქტი შეგესწავლა და საკუთარი აზრი გამოგეთქვა. ახლა კი, როცა სასამართლო პროცესი უკვე ძირითად ფაზაში შევიდა, რა არის სწორი და რა არა, ეს უკვე ბრალდებულის გადასაწყვეტი არ არის, ამას უკვე სათანადო დამამტკიცებელი საბუთებით თვითონ სასამართლო დაადგენსო. სასამართლოს თავმჯდომარემ ჯერ კიდევ ძიების პროცესში იმ ეკლესიიდან გადარჩენილი ქალის მიერ დაწერილი წიგნის გერმანული თარგმანის საჯარო წაკითხვა შესთავაზა, წიგნი ჯერ მხოლოდ ხელ-

ნაწერის სახით იყო ხელმისაწვდომი, რადგან გერმანული გამომცემლობის მიერ გამოსაცემად მზადდებოდა. თუმცა პროცესის ყველა მონაწილეს მიეცა შესაძლებლობა მას გასცნობოდა. ჰანას ადვოკატი, რომელსაც თავმჯდომარე გაღიზიანებული უმზერდა, ცდილობდა დაეყოლიებინა ჰანა, რომ ისიც გასცნობოდა ამ წიგნს. მაგრამ მან არ მოიწადინა. გარდა ამისა, ჰანას მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში ეწერა, რომ ეკლესიის გასაღები მას ჰქონდა. ჰანამ ამ ჩვენების უარყოფაც სცადა, არანაირი გასაღები არ მქონია და, საერთოდაც, არც არავის არ ჰქონდა, რადგან ერთი გასაღები კი არ იყო, არამედ რამდენიმე და ისინიც, ყველა ერთად, ეკლესიის შესასვლელთან, გარედან ეკიდაო. ასე რომ, წინასწარი დაკითხვის შედეგად შედგენილი ოქმი, რომელიც ასევე თვით ჰანას მიერ იყო წაკითხული და ხელმოწერილი, სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. და როცა ჰანამ იკითხა: რატომ გინდათ მომაწეროთ ტყუილუბრალოდ ის, რაც არ ყოფილაო, ამ შეკითხვამ მისი მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად უფრო გააუარესა.

ჰანას ეს შეკითხვა, შესაძლოა ცოტათი დაჟინებით, მაგრამ არც ხმამაღლა დაუსვამს, არც თავხედურად. მომეჩვენა, აშკარად დაბნეული ჩანდა. ამ შეკითხვით გამოტანილი განაჩენის გამო საყვედურს სულაც არ გამოთქვამდა. ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია. მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარემ სწორედ ასეთი შეფასება მისცა და ამაზე მკაცრი და მძაფრი რეაქცია ჰქონდა. ერთ-ერთი შენიშვნისას ჰანას ადვოკატი წამოხტა და მხურვალედ გააპროტესტა. და როცა მოსამართლემ ჰკითხა, თქვენც თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის საყვედურს ხომ არ

იზიარებთო, ისევ სწრაფადვე დაჯდა.

ჰანას სურდა, ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც საჭირო იყო. იქ, სადაც თვლიდა, რომ უსამართლოდ მოეპყრნენ, პროტესტს გამოთქვამდა, ხოლო რაშიც ეთანხმებოდა და სამართლიანად მიიჩნევდა, აღიარებდა კიდეც. ან მთელი დაჟინებულობით აპროტესტებდა, ან სრული მზადყოფნით აღიარებდა, თითქოსდა თავისი აღიარებით უნდოდა შეწინააღმდეგების უფლება მოეპოვებინა. და ვერ ამჩნევდა, რომ ის ამ თავისი დაჟინებით მოსამართლეს აღიზიანებდა. მას არ გააჩნდა კონტექსტისა და იმ წესების შეგრძნების უნარი, რომლის მიხედვითაც პროცესი მიმდინარეობდა. ვერც იმ ფორმებს აუღო ალღო, რის საფუძველზეც ხდებოდა დადანაშაულება თუ გამართლება, ან განაჩენის გამოტანა. და რომ მას არსებულ მდგომარეობაში სათანადო შეგრძნებები აკლდა, ამის კომპენსირებას ალბათ გამოცდილი და თავდაჯერებული ადვოკატი უფრო შეძლებდა. თვითონ ჰანასაც არ უნდა გაერთულებინა მისთვის მუშაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰანა მას არ ენდობოდა. ადვოკატი საკუთარი სურვილით არ აურჩევია, თვითონ სასამართლომ დაუნიშნა.

ხანდახან ჰანა გარკვეულ წარმატებასაც აღწევდა. მაგონდება მისი დაკითხვა ბანაკში სელექციასთან დაკავშირებით. სხვა ბრალდებულები უარყოფდნენ, ამასთან არანაირი კავშირი არ გვაქვსო. ჰანამ კი აღიარა, რომ მონაწილეობდა და ამ საქმეში მასთან ერთად სხვაც ბევრი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს თავმჯდომარემ კონკრეტული შეკითხვებიც დაუსვა.

— როგორ მიმდინარეობდა სელექცია?

ჰანამ მოყვა, რომ თავდაპირველად ზედამხედველები ერთმანეთს შორის მოილაპარაკებდენენ, თავიანთი პასუხისმგებლობით თითოეული ამა თუ იმ ნაწილიდან წარადგენდა ექვსს, ან ათს, ერთნაირებს, დაავადებათა მიხედვით. საერთო ჯამში სულ სამოცი უნდა ყოფილიყო და ასე გადაწყვეტდნენ ხოლმე, თუ ვინ უნდა გაეგზავნათ ოსვენციმში.

— და არც ერთი თქვენგანი არ ამბობდა ამაზე უარს, და ყველა ერთად მიდიოდით ასეთ გადაწყვეტილებამდე?

— დიახ.

— და თქვენ იცოდით, რომ პატიმრებს სასიკვდილოდ უშვებდით?

— ვიცოდით, მაგრამ ჩვენ ახლებს გვიგზავნიდნენ და ძველებს ახლებისათვის უნდა გაეთავისუფლებინათ ადგილი.

— და იმიტომ, რომ თქვენ ადგილების გამოთავისუფლება გინდოდათ, იმიტომაც ირჩევდით ამ პრინციპით: შენ, შენ, შენ — და გზავნიდით უკან ოსვენციმში, გაზის კამერებში?

ჰანამ ვერ გაიგო, ამით რას ეკითხებოდა მოსამართლე.

— მე, მე, მინდოდა მეთქვა... და... აბა თქვენ როგორ მოიქცეოდით?

ჰანამ ეს შეკითხვა სრული სერიოზულობით დასვა. მან მართლა არ იცოდა, როგორ შეეძლო გაეკეთებინა, ან რა უნდა გაეკეთებინა მაშინ სხვაგვარად. ამიტომაც სურდა თვითონ მოსამართლისაგან მოესმინა რაღაც. ეგონა, იმან ამქვეყნად ყველაფერზე იცოდა პასუხი. უნდოდა, მისგან გაეგო, ის რას იზამდა მის ადგილზე.

წამით დარბაზში დუმილი ჩამოწვა. გერმანულ

სასამართლო პროცესზე მიღებული არ იყო, რომ ბრალდებულს მოსამართლისათვის კითხვები დაესვა. მაგრამ ახლა დაისვა ეს შეკითხვა და ყველა პასუხს უცდიდა. მოსამართლეს უნდა გაეცა პასუხი. ის ამ კითხვას თავს ვერ აარიდებდა, ვერც შენიშვნით, ვერც შემხვედრი კითხვით. და ეს იმ წუთში ყველასთვის ნათელი გახდა, თვით მოსამართლისთვისაც. მივხვდი, რატომ იცვლიდა მოსამართლე ასე ხშირად სახის გამომეტყველებას. ეს მისი ნიღაბი იყო, რომლითაც დროის მოგებას ცდილობდა, რათა ამასობაში პასუხი მოეფიქრებინა. რაც მეტად აჭიანურებდა პასუხს, მოლოდინით აღსავსე დარბაზიც მით უფრო მეტად იძაბებოდა და, რაღა თქმა უნდა, პასუხიც უფრო დამაჯერებლად უნდა გაჟღერებულიყო.

— არსებობს რაღაც, რაზეც არ შეიძლება დათანხმება და რაზეც უარი უნდა ითქვას, თუ რაღა თქმა უნდა, ამ უარის მიღმა საკუთარი სიცოცხლის საფასური არ იმალება.

იქნებ ეს ნათქვამი საკმარისიც ყოფილიყო, ამის მერე კონკრეტულად ჰანაზე რომ გადასულიყო, ან თავისი გამოცდილებიდან რამე მოეყოლა. მაგრამ ეს პასუხი, ვის რისი გაკეთება რად უღირს და რად არა, ჰანას მთელი სერიოზულობით დასმულ შეკითხვას არ შეესაბამებოდა. ჰანას მართლა უნდოდა სცოდნოდა, რა უნდა გაეკეთებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო მაშინ. და არა იმისი მოსმენა და შეგონება, რომ არსებობს რაღაც ისეთი, რის გაკეთებაზეც უარი უნდა ითქვას. მოსამართლის პასუხმა სავალალოდ და უსუსურად გაიჟღერა. ეს ყველამ იგრძნო. რაზეც მხოლოდ იმედგაცრუებით ამოიოხრეს და გაკვირვებულებმა ჰანას გა-

დახედეს, რომელმაც ეს სიტყვიერი დუელი მოიგო და რომელიც თავისი ფიქრებიდან ჯერაც ვერ გამორკვეულიყო.

— გამოდის, რომ მე, ესე იგი, მე... მერჩივნა, ფაბრიკაში დავრჩენილიყავი?

მაგრამ ეს კითხვა უკვე მოსამართლეს არ ეკუთვნოდა. ის საკუთარ თავს ეკითხებოდა, მორიდებულად, ყოყმანით. რადგან ეს შეკითხვა საკუთარი თავისათვის ეტყობა არასოდეს დაუსვამს, და არც ის იცოდა, სწორი იყო კი ასეთი შეკითხვა, და რა პასუხი შეიძლებოდა გასცემოდა მას.

7

მოსამართლეს ისევე აღიზიანებდა, ჰანას დაჟინებული წინააღმდეგობა, როგორც დანარჩენ ბრალდებულებს აღიარებისათვის მისი მზადყოფნა. რადგან აღიარება ფატალური იყო და ეს არც თავად მას დაიცავდა და არც სხვებს.

სინამდვილეში ბრალდებულთათვის პროცესზე გამოყენებული მოწმეთა მხარე ასე თუ ისე სასიკეთო გამოდგა. პირველი ძირითადი დამადანაშაულებელი პუნქტისათვის მოწმეთა სახით გამოყენებულ იქნა ცოცხლად გადარჩენილი დედა-შვილის ჩვენება და შვილის მიერ დაწერილი წიგნი. კარგი ადვოკატი, შეძლებდა საკმაოდ დამაჯერებლად უარეყო დედა-შვილის ჩვენება, თანაც ისე, რომ სადავოდაც კი არ გაეხადა და დაესაბუთებინა, რომ, შესაძლოა, იქ მსხდომი ბრალდებულები სულაც არ იყვნენ წიგნში აღწერილი სელექციის მონაწილენი. ამ მხრივ მოწმეთა ჩვენება სრული უსუსურება იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ზუსტი. ბანაკში ხომ კომენდანტიც არსებობდა, დაცვის

ჯარისკაცებიც, და არსებობდა მოვალეობათა და ბრძანებათა მთელი სტრუქტურა, რომელთა სრული ჩაწვდომა და გაგება პატიმრისათვის შეუძლებელი იყო. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ბრალდების მეორე პუნქტზეც. დედა-შვილი ჩაკეტილი იყო ეკლესიაში. მათ არ შეეძლოთ, ზუსტად ეთქვათ, რა ხდებოდა გარეთ. აქ, მართალია, ბრალდებულები ვერ მოჰყვებოდნენ მტკიცებას, რომ ისინი იქ არ იყვნენ. სოფელში დარჩენილ მცხოვრებლებს, რომლებიც ზედამხედველებს გამოელაპარაკნენ, ახსოვდათ ისინი. მაგრამ, წესით, თვითონ ამ მოწმეებსაც უნდა შინებოდათ, ბრალი მათაც არ დასდებოდათ. განა იმათ კი არ შეეძლოთ პატიმართა გათავისუფლება? თუ იმ სოფელში იმ დროს მარტო აქ მსხდომი ბრალდებულები იყვნენ, განა იქაურ მცხოვრებლებს არ შეეძლოთ, გამკლავებოდნენ ამ რამდენიმე ქალს და ეკლესიაში მყოფთათვის კარი გაეღოთ? ასეთ შემთხვევაში იმათაც ხომ ბრალდებულებივით იძულებით ვალდებებულებებზე და პასუხისმგებლობებზე ლაპარაკი მოუწევდათ? გამოდის ბრალდებულებიც და მოწმეებიც საერთო იძულებით მოქმედებდნენ? აი, თუნდაც ჯარისკაცების ბრძანებით, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ გაქცეულები და მეთვალყურეობდნენ. ან იქნებ მცირე ხნით წავიდნენ კიდეც, რომ ლაზარეთში დაჭრილებისათვის რაღაც მიეტანათ და ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ?

როცა სხვა ბრალდებულთა ადვოკატებმა შენიშნეს, რომ ასეთი სტრატეგია, ჰანას მზადყოფნა ყველაფრის აღიარებისა, იმათ გეგმას ჩაშლიდა, სხვა სტრატეგიაზე გადავიდნენ. ცდილობდნენ ჰანას ეს მზადყოფნა თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენები-

ნათ. რის მიხედვითაც დანაშაულის მთელი სიმძიმე ჰანაზე გადადიოდა და სხვა ბრალდებულებს კი დანაშაულს უმსუბუქებდა. ამ ყველეფერს საოცარი პროფესიონალიზმით აკეთებდნენ. მათი დაცვის ქვეშ მყოფნიც, თავიანთ ადვოკატებს, ჰანას მიმართ აღშფოთებული შეძახილებით მხარს უჭერდნენ.

— თქვენ ამბობთ, იცოდით, რომ პატიმრებს სასიკვდილოდ აგზავნიდით, და ამის მტკიცება მხოლოდ საკუთარ თავზე შეგიძლიათ ხომ? აბა საიდან უნდა გცოდნოდათ, რას ფიქრობდნენ ამაზე თქვენი კოლეგები? თქვენ შეგიძლიათ ეს მხოლოდ ივარაუდოთ, არა? — ჰკითხა ჰანას ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა

— კი, მაგრამ ეს ჩვენ ყველამ ვიცოდით...

— „ჩვენ", „ყველა ჩვენ", ამისი თქმა უფრო ადვილია, ვიდრე „მე", „მარტო მე", ასე არაა? მართალია, რომ ბანაკში თქვენ თქვენი მფარველობის ქვეშ აყვანილი პატიმრებიც გყავდათ, თანაც მარტო ახალგაზრდა გოგოები, ხან ერთი, მერე მეორე, ასე იყო?

ჰანა დაიბნა.

— ვფიქრობ, მარტო მე არ...

— უსირცხვილო მატყუარა! ჰო, მარტო შენი რჩეულები იყვნენ, მარტო შენი!

ერთ-ერთი ბრალდებული ქალი, რომელსაც უხეში, მოუქნელი და ბატივით ნელი მოძრაობები ჰქონდა და ენაც ებმოდა, საშინლად აღშფოთდა.

— ასე როგორ შეიძლება. რატომ ამბობ, „ვიცი", იქ, სადაც უნდა თქვა „ვვარაუდობ" — საიდან იგონებ ასეთ რაღაცეებს?

ადვოკატმა თავი გადააქნია, თითქოს ჰანას პასუხი გულისტკივილით, მაგრამ მაინც მხედველობაში მიიღო.

— მართალია, რომ ყველა თქვენი მეურვების ქვეშ მყოფს, როცა მოგბეზრდებოდათ, პირველივე შესაძლო შემთხვევაში, ოსვენციმში უშვებდით?

ჰანას პასუხი არ გაუცია.

— ეს თქვენი განსაკუთრებული, პირადი სელექცია იყო, არა? ასეა? ამის აღიარება თქვენ აღარ გსურთ, და გინდათ მიჩქმალოთ, რომ ყველაფერს აკეთებდით, მაგრამ...

— ო, ღმერთო!

წიგნის ავტორმა, რომელიც თავისი დაკითხვის დასრულების მერე მაყურებელთა დარბაზში იჯდა, სახეზე ხელები აიფარა.

— როგორ შემეძლო ამის დავიწყება?

თავმჯდომარემ ჰკითხა, თქვენს ჩვენებას კიდევ ხომ არაფერს დაამატებდით? ის გამოძახებასაც არ დალოდებია, ადგილზევე წამოდგა და იქიდანვე დაიწყო.

— ჰო, მას ჰყავდა თავისი მეურვეობის ქვეშ მყოფი, სუსტი და ნაზი პატარა მოზარდი გოგო. ყოველთვის ასეთებს იყვანდა თავისი მფარველობის ქვეშ, ზრუნავდა, რათა ბანაკში მძიმე სამუშაოებზე ისინი არ გამოეყენებინათ, უქმნიდა საუკეთესო პირობებს, ზრუნავდა მათ საუკეთესო კვებაზე. საღამოობით კი თავისთან მიჰყავდა. ამ გოგოებს ეკრძალებოდათ ელაპარაკათ იმაზე, თუ საღამოობით ერთად რას... ხომ გესმით. ალბათ, პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი მერე, როგორც კი ის მათთან გაერთობოდა და აღარაფერში სჭირდებოდა, ოსვენციმში იგზავნებოდნენ. მაგრამ, ერთხელ, ერთ გოგოს დასცდა, და ჩვენც გავიგეთ, თურმე გოგოები მას, ყოველ საღამოს, წიგნებს უკითხავდნენ ხმამაღლა. მაშინ ასე ვფიქრობდი, რომ ეს

უკეთესიც იყო, ვიდრე... ჰო, მეგონა, ეს სჯობდა, მშენებლობაზე და ბანაკში მუშაობაში ჩაკვლას. დიახ, ასე ვფიქრობდი, აბა, სხვაგვარად ვერც შევძლებდი ამის დავიწყებას. მაგარამ სჯობდა კი მართლა ასე?

მერე ის დაჯდა.

ჰანა შემობრუნდა და შემომხედა. მისმა თვალებმა მაშინვე მომძებნეს, და მივხვდი, თავიდანვე იცოდა, რომ იქ ვიყავი. უბრალოდ მიყურებდა. მისი თვალები არც არაფერს მეკითხებოდნენ, არც არაფრის დარწმუნებასა და მინიშნებას ცდილობდნენ, არც არაფერს არ მპირდებოდნენ... ვხედავდი, რა დაძაბული და გადაღლილი იყო ჰანა. თვალების ქვეშ კანი ჩაშავებოდა, ჩამუქებოდა, ორივე ღაწვზე ნაოჭები გასჩენოდა, ღრმა ნაჭრილობევივით ქვემოდან ზემოთ გასდევდა. ეს ნაოჭები უცხო იყო ჩემთვის. როცა მისი მზერისაგან გავწითლდი, ისევ მოსამართლეების მხარეს გაიხედა.

თავმჯდომარე იმ ადვოკატს მიუბრუნდა, რომელიც ჰანას დაკითხვას აწარმოებდა: კიდევ ხომ არ გაქვთ რამე შეკითხვაო? მერე ჰანას ადვოკატსაც იგივე შეკითხვით მიმართა.

"მიდი, დაუსვი ეს შეკითხვა" — გამიელვა თავში — ჰკითხე, რატომ ირჩევდა მაინცადამაინც სუსტებსა და ნაზებს. იმიტომ ხომ, არა, რომ მათ შემდეგივე ვაგონებით მაინც გააგზავნიდნენ ოსვენციმში, იმიტომ ხომ არა, რომ მას უნდოდა მათთვის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები შეემსუბუქებინა? თქვი ეს ჰანა. თქვი, რომ შენ მათთვის ბოლო კვირების შემსუბუქება გინდოდა, და ეს იყო მიზეზი, სწორედ ამიტომ ირჩევდი სუსტებსა და ნაზებს. და ამისათვის სხვა არანაირი მიზე-

ზი არ გქონდა და არც შეიძლებოდა რომ გქონოდა.

მაგრამ ადვოკატს არაფერი უკითხავს. ამაზე არც ჰანას უთქვამს რამე.

8

წიგნის გერმანული ვერსია, რომელიც ეკლესიაში გადარჩენილმა ქალმა, ბანაკში ყოფნის პერიოდზე დაწერა, მხოლოდ პროცესის მერე გამოქვეყნდა. პროცესის მერე კი ხელნაწერი უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ მანამდე მხოლოდ პროცესში მონაწილეებს შეეძლოთ გასცნობოდნენ. ამ წიგნის წაკითხვა ინგლისურად მომიხდა. რაც ცოტა არ იყოს ჩემთვის უჩვეულო და დამღლელი გამოდგა. როგორც ეს საერთოდ უცხო ენაზე კითხვისას ხდება ხოლმე, მითუმეტეს, თუ ეს ენა ცუდად იცი. ალბათ ამ წიგნისადმი ერთგვარი სიშორეცა და სიახლოვეც სწორედ ამან წარმოქნა. კი, წიგნი საფუძვლიანად დავამუშავე, მაგრამ მაინც ვერ გავითავისე. უცხოდ იყო დაწერილი და ბოლომდე უცხოდაც დარჩა ჩემთვის.

წლების მერე ეს წიგნი ისევ გადავიკითხე და აღმოვაჩინე, რომ ის სიშორის ასოციაციას თვითონ ქმნის. ის არ გიზიდავს, არ გიწვევს ამა თუ იმ პერსონაჟის ღრმად შესაცნობად, და არც ვინმეს გამოყოფს განსაკუთრებული სიმპათიით, არც დედას, არც შვილს, არც იმათ, ვისთანაც ერთ ბედქვეშ სხვადასხვა ბანაკებში იყვნენ, წიგნი არც ზედამხედველებზე, არც ბანაკების მამასახლისებზე, არც ჯარისკაცებზე არანაირი წარმოდგენის შექმნისა და შეფასების შესაძლებლობას არ გაძლევდა.

წიგნიდან იგივე გაქვავებულობისა და ანესთეზიის სუნთქავა შეიგრძნობოდა, რაც ზემოთ უკვე აღვწერე. თუმცა ამის დამწერს ასეთი ანესთეზიის ქვეშ ზუსტი ანალიზის უნარი მაინც არ დაუკარგავს. მან საკუთარ თავს არც თავის შეცოდების უფლება მისცა, არც თვითდაჯერებისა. არადა თავდაჯერება და გამოცდილება კი ალბათ საკმაოდაც შეიძინა ყოველივე იქიდან, რის გადატანაც იმ ბანაკში მოუხდა.. და არათუ მარტო გადატანა, არამედ ლიტერატურაში ასახვაც მოახერხა. ის წერდა საკუთარ თავზე და საკუთარ სქესობრივ მომწიფებაზე, ბანაკში, თავისი, როგორც მოზარდის ქცევაზე, ცულლუტობებზე, ეშმაკობებზე, და ამ ყველაფერს საკუთარ თავზეც და სხვებზეც საოცარი სიზუსტითა და სიფხიზლით ყვებოდა.

ვერც სახელით, ვერც რამე ნიშნით, წიგნში ჰანას ვერ ამოიცნობდი. ზოგჯერ კი მეჩვენებოდა, თითქოს რომელიღაც ზედამხედველის თვალტანადობის აღწერისას, ჰანას ვხედავდი. ეს ზედამხედველი წიგნში ყველაზე ახალგაზრდა, ლამაზა, წარმოსადეგ ქალად იყო აღწერილი და თავის ვალდებულებათა "უსინდისო კეთილსინდისიერი" აღსრულებით გამოირჩეოდა. თუმცა დარწმუნებული მაინც არ ვიყავი, რომ ეს ჰანა იყო. როცა დანარჩენ ქალბრალდებულებს ვუყურებდი, იმ დასკვნამდე მივდიოდი, რომ მარტო ჰანა შეიძლება ყოფილიყო ეს ზედამხედველი. მაგრამ იქ ხომ სხვებიც იქნებოდნენ? წიგნის ავტორი, მაგალითად, წერს, რომ ერთ-ერთ ბანაკში მათ ჰყავდათ ერთი ზედამხედველი, რომელსაც "ჭაკი ცხენი" შეარქვა— და ეს ქალი იყო ასეთივე ლამაზი, ახალგაზრდა, თავგამოდებული, მაგრამ ძალიან სასტიკი და თავშე-

უკავებელი. და ის მართლაც გაუხედნავ ცხენს ჰგავდა.

იქნებ სხვებმაც შეადარეს? იქნებ იცოდა ჰანამ, ახსოვდა ეს და ამიტომაც იყო უკმაყოფილო, როცა ცხენს შევადარე?

ბანაკი კრაკოვთან, ოსვენციმისაკენ მიმავალ გზაზე, დედა-შვილისათვის ბოლო სადგური იყო. და ეს მათთვის ხსნა გამოდგა. სამუშაო ისეთი მძიმე არ იყო, როგორც სხვა ბანაკებში. საჭმელიც უკეთესი ჰქონდათ, და რალა თქმა უნდა, ოთახში ექვს კაცთან დაძინება ჯობდა, ვიდრე ასთან. თანაც აქ უფრო თბილოდა. ფაბრიკიდან გამოსულ ქალებს შეეძლოთ შეშის შეგროვება, ბანაკში წაღება. სელექციის შიში აქაც არსებობდა, მაგრამ არც ისეთი ძლიერი, როგორც ოსვენციმში. ყოველთვიურად ბანაკიდან გაჰყავდათ სამოცამდე ქალი, სამოცი, რამდენიმე ათასიდან. და ასეთ ვითარებაში, უკვე შეგეძლო წინასწარ გაგეთვალა, რა იქნებოდა თორმეტ თვეს, როცა ხედავდი, რომ ძალები გეცლებოდა. ასე თუ ისე, ყოველთვის შეგეძლო იმედი გქონოდა, რომ იმ დასუსტებულთა შორის შენ არ აღმოჩნდებოდი ყველაზე სუსტი. ამასთან ის იმედიც ცოცხლობდა, რომ ომი თორმეტ თვეზე მეტს აღარ გასტანდა.

ბანაკის დაშლისა და პატიმრების დასავლეთში გადაყვანის დროს უკიდურესი გაჭირვება დაიწყო. ზამთარი იყო. თოვდა. ტანსაცმელი, რომელშიც ქალები ფაბრიკაშიც იყინებოდნენ, მერე კი ბანაკში მისულნი ძლივს თბებოდნენ, ასეთი ხანგრძლივი გზისთვის დასავლეთისაკენ არანაირად არ გამოდგებოდა. განსაკუთრებით კი ფეხსაცმელები, რომლებიც ძირითადად მარტო ნაჭრებისა და გაზეთე-

ბის ნაგლეჯებისაგან შედგებოდა. მოკეცილი და დაგრაგნილი ქალალდები, დგომისას, მცირე მანძილზე გადაადგილებისას კიდევ შეიძლებოდა შეგრჩენოდა ფეხზე, მაგრამ თოვლსა და ყინულში, ამხელა გზაზე, ნამდვილად ვერ გაძლებდა. ამას გარდა, ქალებს ხომ უბრალო სიარული არ ელოდათ, საბრალოებს, სულ სირბილით მიერეკებოდნენ.. ,სასიკვდილო სვლა?" – კითხულობს წიგნის ავტორი და იქვე პასუხობს: არა, სასიკვდილო ჭენება!" ზოგი გზადაგზა, ღონემიხდილი ძირს ვარდებოდა. ზოგი ღამით, როცა ღამე უნდა გაეთიათ, კედელთან ჩაიჩოქებდა, და მეორე დილით ველარც დგებოდა. ერთ კვირაში კოლონა მთლად განახევრდა. ეკლესია უკეთესი თავშესაფარი ეგონათ, ვიდრე გაყინული სარდაფები და ღია ცის ქვეშ კედლები, მაშინ, როცა ზედამხედველები და ჯარისკაცები ვინმეს სახლში შედიოდნენ და ათევდნენ ღამეს. აქ, ამ, თითქმის გამოცარიელებულ სოფელში კი, პატიმრები ეკლესიაში გამოკეტეს, თვითონ მღვდლის სახლში მოიკალათეს. გაყინულმა, ღონემიხდილმა ქალებმა ის, რომ ამჯერად სარდაფებისა და კედლების ნაცვლად ეკლესიაში შეიყვანეს, თანაც ცხელი ბულიონიც კი მიუტანეს, ტანჯვის დასასრულად ჩათვალეს. ამ იმედითვე ჩაეძინათ. და მერე კი ბომბები ჩამოყარეს. ცეცხლი ჯერ სახურავს მოედო, ხანძრის ხმა ეკლესიაში მყოფთ ესმოდათ, მაგრამ ვერ ხედავდნენ. და როცა ეკლესიის გუმბათი ჩაინგრა, ცეცხლის ალი სხვენს მოედო, რამდენიმე წუთში ცეცხლი ეკლესიის შიგნითაც გაჩნდა. ქალებს ტანსაცმელზე ცეცხლი მოედოთ. ცვიოდა აგიზგიზებული სახურავის ბოძები. მერე ცეცხლმა სკამებამდე, საკურთხევლამდეც მი-

ალწია. სულ მცირე ხანში, მთელი სახურავი ეკლესიის შუაგულში ჩაიქცა და ყველაფერი ცეცხლის ალმა შთანთქა.

წიგნის ავტორი თვლიდა, რომ ქალებს შეეძლოთ გადარჩენილიყვნენ, თუკი ისინი ყველაფერს მაშინვე მიხვდებოდნენ და კარის შიგნიდან გამომტვრევას დაიწყებდნენ. მაგრამ ვიდრე ისინი გონს მოეგნენ, რა ხდებოდა, ვიდრე გააცნობიერებდნენ, რომ მათ კარი არ გაულეს, უკვე გვიანი იყო. როცა ისინი ბომბების აფეთქების ხმამ გამოაღვიძა, შუაღამე იდგა. ზოგს მარტო უცნაური საშინელი შიშინი, ტკაცატკუცის ხმა ესმოდა. შიგადაშიგ ფანჯრებთან გაელვებულ ცეცხლის ალსაც ხედავნენ. და რომ ეს ხანძრის ტკრციალი იყო, და რომ ეს ხანძრის ალი და ნგრევის ხმა კი, მათ თავზე, ალმოდებული სახურავის ჩამონგრევის ხმა იყო, ამას მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როცა სახურავი მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვია და შიგნით ჩაიქცა. მერე კი მიხვდნენ, ატეხეს კივილი, ღრიალი, კარს მიაწყდნენ, მუშტებს ურტყამდნენ, ანჯღრევდნენ, შველას ითხოვდნენ, მაგრამ გვიანი იყო.

როცა ალმოდებული სხვენი ეკლესიაში ჩაიქცა, ცეცხლი მთელ კედლებს ისე მოედო, როგორც ბუხარში. და ქალებიც ამ ბუხარში ამოიბუგნენ, უმეტესობა კვამლმა კი არ მოგუდა, არამედ ცეცხლის ალში ცოცხლად დაიწვა. ცეცხლი ბოლოს ეკლესიის უზარმაზარ რკინის კარს მოედო და მთლად ავარვარდა. მაგრამ ეს უკვე რამდენიმე საათის მერე. დედა-შვილი იმიტომ გადარჩა, რომ დედამ დაბნეულობისაგან არასწორი ნაბიჯი გადადგა. სწორედ ამ ნაბიჯმა გადაარჩინა. როცა ქალები პანიკაში ჩავარდნენ, მან ველარ გაუძლო

მათ შორის ყოფნას, მაღლა ეკლესიის ქორედისაკენ, შემაღლებული ადგილისაკენ გაიქცა. და რომ ის ამით ცეცხლის ალთან უფრო ახლოს აღმოჩნდა, სულერთი იყო მისთვის. მარტოს უნდოდა ყოფნა, იმ ცეცხლმოდებული ადამიანებისაგან შორს, რომლებიც შეშინებულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. დედა-შვილი კედელს აკვროდა და იქიდან უყურებდა, უსმენდა, როგორ მძვინვარებდა ხანძარი. დილით, გამთენიისას, ისინი დაბლა ჩასვლას და გარეთ გასვლას ველარ ბედავდნენ. ღამით ეშინოდათ, არასწორი ნაბიჯი არ გადაედგათ და არ ჩაცვენილიყვნენ. მესამე დილით, რიჟრაჟზე როგორც იქნა, გარეთ გამოვიდნენ. სოფელში დარჩენილი მცხოვრებლები, გაოგნებულები, უსიტყვოდ შესცქეროდნენ. ბოლოს კი, როცა გონს მოეგნენ, შეიფარეს და საჭმელ-სასმელიც მისცეს.

9

— რატომ არ გაუღეთ კარი?

სასამართლოს თავმჯდომარემ თითოეულს დაუსვა ეს შეკითხვა. და ყოველმა მათგანმა ერთი და იგივე პასუხი გასცა. რატომ? იმიტომ, რომ ბომბის ჩამოვარდნის გამო პასტორის სახლში დაიჭრა, ან შიშისაგან შოკში ჩავარდა, ან დაჭრილ ჯარისკაცებსა და ზედამხედველებს ეხმარებოდა, გამოჰყავდა ნანგრევებიდან, ჭრილობებს უხვევდა, სამედიცინო დახმარებას უწევდა. იმ წუთში ეკლესია არც გახსენებია, ვერც ხანძარში გახვეულ ეკლესიას ხედავდა, და არც ყვირილი ესმოდა.

სასამართლოს თავმჯდომარემ ყველა ბრალდებულს ერთი და იგივე საყვედური გამოუცხადა, რადგან ოქმში სულ სხვა რაღაც ეწერა. ეტყობა,

ბრალდებულებმა ასეთი წინასწარ გააზრებული ფორმულირება საგანგებოდ შეიმუშავეს.. ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ესეს-ის არქივში მოძიებულ ოქმში ჩანაწერი არ იყო სწორი. არადა, ოქმში მართლაც სხვა რამე ეწერა, სახელითა და გვარებით იყო ჩამოთვლილი, პასტორის სახლში დაბომბვისას ვინ დაიღუპა, ვინ დაიჭრა და ვინ გადაიყვანეს საავადმყოფოში. ოქმში ისიც ეწერა, რომ ზედამხედველები სოფელში დარჩნენ, რომ მოეცადათ, ვიდრე ხანძარი არ ჩაქრებოდა, რათა ხელი შეეშალათ სხვა სახლებზე ცეცხლის მოდებისათვის და ხანძარში მოყოლილი პატიმრების გაქცევის მცდელობისათვის. ოქმში პატიმართა დაღუპვის შესახებაც ეწერა.

ის, რომ აქ მყოფი ბრადებულების გვარები იყო ოქმში ჩამოთვლილ ბრალდებულთა შორის, რომლებიც სოფელში დარჩნენ, ის ფაქტიც, რომ ზედამხედველები სოფელში იმიტომ დარჩნენ, რომ პატიმართა გაქცევისათვის ხელი შეეშალათ, იმაზე მეტყველებდა, რომ პასტორის სახლიდან დაჭრილთა გამოყვანისა და მათი მანქანებით ლაზარეთში გადაყვანით ყველაფერი არ დასრულებულა. როგორც ოქმი იუწყებოდა, დარჩენილმა ზედამხედველებმა მშვიდად გააგრძელეს ყურება, როგორ ჩაიწვებოდა ეკლესია ბოლომდე, და კარი არ გააღეს. ასე რომ, ოქმის მიხედვით, სოფელში დარჩენილ ზედამხედველთა შორის, აქ მსხდომი ბრალდებულებიც იყვნენ.

— არა, — ერთიმეორის მიყოლებით ამბობდნენ ბრალდებულები, ეს ასე არ ყოფილა. ეს ოქმი არ არის სწორი. და ეს იქიდანაც ჩანს, — ოქმში მითითებულიდან, თითქოს იქ დარჩენილი ზედამხედვე-

ლების ამოცანა ის იყო, რომ შეეჩერებინათ ხანძრის გავრცელება სოფლის სახლებზე. განა ასეთ მდგომარეობაში შეეძლოთ მათ ასეთი დავალების შესრულება? რაღაც აბსურდია. ისევე როგორც ეს მეორე დავალება, რომ ხელი შეეშალათ პატიმართა გაქცევისათვის, რომ მათ ამ ხანძრით არ ესარგებლათ. აბსურდია, რა გაქცევის მცდელობაზეა ლაპარაკი, ან იქიდან ვილა უნდა გაქცეულიყო? თანაც იმ დროს ისინი თავიანთ დაჭრილებს ეხმარებოდნენ. ოქმში ერთი სიტყვაც კი არ წერია სწორი, არც ის ეწერა, მათ რა ტანჯვა გადაიტანეს იმ ღამით. საიდან გაჩნდა ასეთი უცნაური ოქმი? მის შესახებ არაფერი ვიცითო, ამტკიცებდნენ ისინი.

და ბოლოს რიგი ენაბლუ ბატზე მიდგა:

— ეგ ამას უნდა ჰკითხოთ! და ჰანაზე მიუთითა. — ეს ამან დაწერა პატაკი. ესაა ყველაფერში დამნაშავე. მარტო ეგ. ახლა უნდა, რომ ჩვენც ჩაგვითრიოს.

ბოლოს თავმჯდომარე ჰანას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რატომ არ გააღეთ კარი?

— ჩვენ, ჩვენ...

ჰანა სწორ სიტყვას ეძებდა.

— ჩვენ არ ვიცოდით, რა შეგვეძლო იმ ვითარებაში გაგვეკეთებინა.

— თქვენ არ იცოდით რა უნდა გექნათ?

— ზოგიერთი ჩვენგანი მოკლეს, ზოგიც გაიქცა. თქვეს, რომ დაჭრილებს მივყვებით ლაზარეთში და უკან დავბრუნდებითო. ჩვენ ვიცოდით, რომ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ვინ იცის, იქნებ ლაზარეთში არც წასულან, დაჭრილები არც ისე მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. ჩვენც კი გავყვებოდით, მაგრამ

გვითხრეს, დაჭრილებს საკმაო ადგილი სჭირდებათ, და მერე... თანაც არ უნდოდათ ამდენი ქალის თან თრევა. არ ვიცი, სად წავიდნენ.

— და მერე რას აკეთებდით?

— არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა. მღვდლის სახლი და ეკლესიის სახურავიც იწვოდა, და ჯარისკაცებიც თავიანთი მანქანებით იქ უკვე აღარ იყვნენ, ჩვენ უცბად მარტო აღმოვჩნდით, მარტონი ეკლესიაში გამომწყვდეულ ქალებთან. ჩვენ რაღაც იარაღი დაგვიტოვეს, არც კი ვიცოდით ხმარება, და რომც გვცოდნოდა, ეს რას გვიშველიდა. ან როგორ უნდა მოვრეოდით ქალთა ამ უზარმაზარ კოლონას? რამდენიმე ქალი ამდენ პატიმარს როგორ უნდა გავძლოლოდით? იქ ასი თვალიც არ გეყოფოდა.

ჰანამ ცოტა ხანს შეისვენა.

— მერე ატყდა კივილ-წივილი, და სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ჩვენ რომ კარი გაგველო და ყველანი გამოცვენილიყვნენ...

თავმჯდომარემ რამდენიმე წუთი შეიცადა.

— გეშინოდათ? გეშინოდათ, რომ პატიმარი ქალები თავს დაგესხმოდნენ და მოგერეოდნენ?

— არა, რომ ისინი დაგვესხ... არა, მაგრამ როგორღა შევძლებდით მათ დამშვიდებასა და წესრიგის დამყარებას? იქ ისეთი ქაოსი ატყდებოდა, რომელსაც ალბათ ვერანაირად ვერ გავუმკლავდებოდით. და გაქცევასაც თუ შეეცდებოდნენ, მაშინ ხომ...

თავმჯდომარემ ისევ ცოტა შეიცადა, მაგრამ ჰანას სათქმელი აღარ დაუსრულებია.

— თქვენ შეგეშინდათ, რომ პატიმართა გაქცევის შემთხვევაში დაგაპატიმრებდნენ და სიკვდილს მოგისჯიდნენ?

— ჩვენ ვერც მივცემდით გაქცევის საშუალებას! ჩვენ ხომ მათზე პასუხს ვაგებდით... მე იმის თქმა მინდა, რომ მთელი ის ხანი, ისინი ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ, ჯერ ბანაკში, მერე კოლონაში, და ჩვენი მოვალეობაც ხომ ეს იყო...ზედამხედველობა, რომ არ გაქცეულიყვნენ. ამიტომაც არ ვიცოდით, რა გვექნა. ისედაც ბევრი დაიხოცა, და მეორე დილამდე რამდენი გადარჩებოდა, არ ვიცოდით, რადგან ძალიან დასუსტებულები იყვნენ...

ჰანამ შენიშნა, რომ ყველაფერი რასაც ამბობდა, სულაც არ შველოდა მის საქმეს. მაგრამ სხვა რამის თქმა არ შეეძლო. მარტო ისღა დარჩენოდა, კიდევ გაემეორებინა, რაც უკვე თქვა, და უფრო უკეთ აეხსნა, უკეთ აღეწერა. მაგრამ რაც მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო უარესდებოდა მისი მდგომარეობა. აღარც კი იცოდა როგორ მოქცეულიყო. მერე ისევ თავმჯდომარეს მიმართა:

— თქვენ როგორ მოიქცეოდით?

მაგრამ ამჯერად მან თვითონვე იცოდა, რომ მისგან პასუხს არ მიიღებდა და არც დალოდებია... არც არავინ მოელოდა ამას. თავმჯდომარე მდუმარედ იქნევდა თავს. თუმცა ჰანას მიერ აღწერილი ვითარება, ის დაბნეულობა, ქაოსი და უსასოობა, ძნელი წარმოსადგენი არ ყოფილა. ღამე, სიცივე, თოვლი, ხანძარი, ქალების კივილი ეკლესიიდან, იმათი გაქრობა, ვინც აქამდე მათ ახლდა და ბრძანებებს გასცემდა — განა იოლი იყო ასეთ მდგომარეობაში ყოფნა? მაგრამ როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ეს, განა შეიძლებოდა იმისი გაგება, რაც გააკეთეს ან არ გააკეთეს ბრალდებულებმა. ეს, ერთ ცივ შორეულ ზამთრის ღამეს

მომხდარ ავტოკატასტროფასავით, იყო სადაც უამრავი დაიჭრა, ბევრიც დაიღუპა, მანქანებიც წყობიდან გამოვიდა და დაბნეულობისაგან არავინ იცოდა რა ექნა. ეს უფრო ორი ვალდებულების შეგრძნებას შორის შეჯახებასავითაა, როცა ყველაფერი ერთის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. სწორედ ასევე შეიძლებოდა ჰანას მოყოლილის წარმოდგენაც. მაგრამ სასამართლოს არც სურდა და არც შეეძლო ამისი წარმოდგენა..

— ეს ოქმი თქვენ დაწერეთ?

— ჩვენ ერთად მოვიფიქრეთ, რა უნდა დაგვეწერა. გაქცეულთათვის არ გვინდოდა რამე დაგვებრალებინა, მაგრამ არც ის გვინდოდა, რომ ეჭვი ჩვენზე აელოთ.

— თქვენ ამბობთ, რომ ერთად მოიფიქრეთ?

— შენ!

წამოიძახა ერთმა ბრალდებულმა და მისკენ გაიშვირა ხელი.

— არა, მე არ დამიწერია, განა ეს ასე მნიშვნელოვანია, ვინ დაწერა?

ერთ-ერთმა პროკურორმა წინადადება შემოიტანა, რომ ექსპერტიზას ოქმის დამწერისა და ბრალდებული შმიცის ხელწერის შედარება მოეხდინა.

— ჩემი ხელწერისა? ჩემი ხელწერის შემოწმება გინდათ?

თავმჯდომარე, გამომძიებელი და ჰანას ადვოკატი თათბირობდნენ, შეიძლებოდა თუ არა თხუთმეტი წლის წინანდელი ხელწერითა და ახლანდელით სიმართლის დადგენა. და გამოდგებოდა თუ არა ეს დასაყრდენად. ჰანა უსმენდა მათ და რამდენჯერმე შეეცადა რაღაც ეთქვა, შეკითხვა მიეცა. შეიქმნა ერთი, ქაოსი. ბოლოს ჰანამ დასძინა:

— არ არის საჭირო არანაირი ექსპერტიზა. ვალიარებ, რომ ეს ოქმი მე დავწერე.

10

იმ სემინარებიდან, რომლებიც პარასკეობით ტარდებოდა, მეხსიერებაში არაფერი არ ჩამრჩენია. ზუსტად რომ წარმომედგინა კიდეც მთელი პროცესის მსვლელობა, მაინც ვერ გავიხსენებდი, თუ რა მეცნიერული მსჯელობები გვქონდა ამ სემინარებზე, რაზე ვლაპარაკობდით, რის გაგებას ვლამობდით, რას გვასწავლიდა პროფესორი.

აი კვირა დღეები კი კარგად მახსოვს. სასამართლოში გატარებული დღეების მერე, ჩემში ბუნების ფერთა და ხმაურის შეგრძნების ახლებურმა წყურვილმა იფეთქა. თავისუფალ დღეებში უნივერსიტეტში გაცდენილი მასალის ანაზღაურებას ვცდილობდი, რომ სხვებს არ ჩამოვრჩენოდი. სემესტრის პროგრამას თავს ვართმევდი. კვირაობით კი სასეირნოდ დავდიოდი.

წმინდა მთა, წმინდა მიხაელის ბაზილიკა, ბისმარკის კოშკი, ფილოსოფოსთა გზა, მდინარის სანაპირო — კვირიდან კვირამდე ჩემს მარშუტს ცოტათი თუ ვცვლიდი. საკმაოდ მრავალფეროვნად მიმაჩნდა, მომწონდა, როცა ვხედავდი მწვანე ბალახს, რომელიც ყოველ კვირა სულ უფრო და უფრო ბრწყინვალე, ფაფუკი ხდებოდა, რაინის მიდამოები, ხან მცხუნვარების ოხშივარში რომ გახვეულიოყო, ხანაც წვიმის პირბადის მიღმა და ჭექა-ქუხილის ღრუბლებში. ხარბად ვიყნოსავდი ტყეებში კენკრისა და ყვავილების სუნს, როცა მათ მზე დაჰნათოდა, მიწისა თუ გასული წლის ნეშომპალად ქცეული ფოთლების სურნელს, რო-

ცა წვიმა დასდიოდა. საერთოდ დიდი მრავალფე-
როვნება არასოდეს მდომია და არც მიძებნია. ჩემ-
თვის ისიც კმაროდა, რომ წინა სეირნობისას გან-
ვლილ გზაზე ცოტათი შორს წავსულიყავი, ან
შვებულებაში მეორედ რომ გავემგზავრებოდი, წი-
ნაზე რაც ალმოვაჩინე, ისევ იმ ადგილას მივსუ-
ლიყავი. ერთი ხანობა ვიფიქრე, რომ უფრო მეტი
გამბედაობა უნდა გამომეჩინა და თავი ვაიძულე
ეგვიპტეში, ბრაზილიაში, ცეილონში გავმგზავრე-
ბულიყავი. მაგრამ როცა ჩემთვის კარგად ნაცნობ
ადგილებს უფრო ღრმად დავაკვირდი, მივხვდი,
მათში მე უფრო მეტს ვხედავდი, მეტს შევიცნობ-
დი.

ისევ ვიპოვე ტყეში ის ადგილი, სადაც ჰანას
ცხოვრების საიდუმლო ამოვიცანი. ამ ადგილში
განსაკუთრებული არაფერი იყო, არც უცნაურად
ამოზრდილი ხე, არც კლდე, არანაირი უჩვეულო
ლამაზი ქალაქისა თუ მდელოების ხედი. ერთი
სიტყვით, არაფერი ისეთი, რასაც შეეძლო უცხო,
უცნაური შეგრძნება აღეძრა. როცა ჰანაზე ვფიქ-
რობდი, როცა კვირიდან კვირამდე ერთსა და იმა-
ვე აზრებს ვუტრიალებდი, უეცრად ერთი აზრი
გამოეყო და თავისი გზით წავიდა, იმდენი ქნა,
ბოლოს შედეგიც გამოიღო. თავისებური დასკვნაც
გაკეთდა და ეს დასკვნა, ყველგან შეიძლებოდა
ამოტივტივებულიყო, ყოველ შემთხვევაში ყველგან,
სადაც ნაცნობი გარემო თუ ჩემთვის ახლობელი,
ჩვეული ვითარება იყო. და ეს შესაძლებლობას
იძლეოდა აღმექვა, გამეაზრებინა ის მოულოდნე-
ლობა, რაც უცბად გარედან კი არ შემოიჭრა და
დამესხა თავს, არამედ ჩემში შიგნით არსებობდა,
ყვაოდა, იზრდებოდა. ასე დამემართა სწორედ იმ

გზაზე: გზა ნელ-ნელა მთისაკენ მაღლა მიდიოდა, ტრასას კვეთდა, მერე სადღაც ჭის სიახლოვეს ჩადიოდა, ჯერ ძველ, მაღალ, მუქ ხეებს შორის გადიოდა, მერე კი უცბად ნათელ, იშვიათ კოროში.

დასკვნა? ჰანამ წერა-კითხვა არ იცოდა.

სწორედ ამიტომაც სთხოვდა სხვებს ხმამაღლა წაეკითხათ მისთვის. ამიტომაც მაკითხებდა მეც და ყველა ჩვენი მოგზაურობის დროს შესავსებ ფორმულარებსა თუ ანკეტებსაც მე მავსებინებდა. ამიტომაც იყო იმ დილას სასტუმროში ასე გააფთრებული, როცა ჩემი წერილი იპოვა. მიხვდა, რომ დარწმუნებული ვიყავი, წერილს წაიკითხავდა და შეეშინდა, არ შერცხვენილიყო. ვატმანის კურსებზე სწავლაზეც ამიტომ თქვა უარი. ის სისუსტეები, რაც მან, როგორც კონდუქტორმა, შეძლო რომ მიეჩქმალა, კურსებზე თუ გაგზავნიდნენ, გამომჟღავნდებოდა. ამიტომაც თქვა უარი ფაბრიკაში დაწინაურებაზეც და ბანაკში ზედამხედველად წავიდა. ამიტომაც თქვა უარი ექსპერტის მოყვანაზე, და აღიარა, რომ ოქმი თვითონ დაწერა. ამიტომაც იყო, რომ ამდენი ილაპარაკა სასამართლო დარბაზში თავის თავზე. რადგან ვერ შეძლო ეკლესიაში გადარჩენილი ქალის დაწერილი წიგნის, ვერც საბრალდებო ოქმის წაკითხვა. საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობები ვერ გათვალა და შესაბამისად ვერ მოემზადა. ნუთუ ამიტომ გზავნიდა იმ გოგოებსაც ოსვენციმში? ნუთუ ეშინოდა, რამე არ შეენიშნათ და ასე აიძულებდა სამუდამოდ ჩაჩუმებულიყვნენ? ნუთუ სწორედ ამიტომ მფარველობდა ყველაზე სუსტებს? ამიტომ? ის, რომ მას წერა-კითხვის უცოდინრობა სცხვე-

ნოდა, ის, რომ ჩემი საგონებელში ჩაგდება უფრო ხელს აძლევდა, ვიდრე თავის გამჟღავნება, ამის გაგება შემეძლო. სირცხვილი, როგორც მიზეზი ორჭოფული, თავდაცვითი, მიჩქმალული, თვალთმაქცური, და ასევე შეურაცხმყოფელი მოქმედებისა, ჩემთვის გასაგებია. მაგრამ როგორ, ამ სირცხვილის გამო იქცეოდა ასე ბანაკშიც და სასამართლო დარბაზშიც? და იმ შიშისა თუ სირცხვილის გამო, რომ მისი წერა-კითხვის უცოდინრობა არ გამჟღავნებულიყო, იმიტომ აღიარა თავი დამნაშავედ? დამნაშავედ ყოფნა არჩია, რომ არავის გაეგო მისი წერა-კითხვის უცოდინრობა?

მას მერე რამდენჯერ მიმიმართავს საკუთარი თავისათვის ერთი და იმავე შეკითხვით: ნუთუ ჰანას ქცევის ძირითადი მიზეზი იყო შიში, რომ არ ემხილათ მისი ეს საიდუმლო? ნუთუ უმტკივნეულო მხილებას, დამნაშავის მტკივნეული მხილება არჩია? ნუთუ ეგონა, რომ მომავალშიც ამ საიდუმლოს გამხელის გარეშე დაიძვრენდა თავს? ნუთუ ასეთი მიუხვედრელი იყო? თუ ბუნებით თავდაჯერებული კუდაბზიკა და ღვარძლიანი იყო და შეეძლო დამნაშავე გამხდარიყო, ოღონდაც თავი წერა-კითხვის უცოდინრად არ გაემჟღავნებინა?

მაშინაც და მერეც ვცდილობდი უკუმეგდო ეს ფიქრები. თავს ვაჯერებდი, რომ ჰანა დამნაშავედ ყოფნას ამის გამო არ აირჩევდა. და რომ მას არ უნდოდა ფაბრიკაში დაეწინაურებინათ და სრულიად შემთხვევით გახდა ზედამხედველი. და რომ ის სუსტებს ოსვენციმში იმიტომ კი არ აგზავნიდა, რომ ისინი მას უკითხვადნენ, ის მათ იმიტომ ირჩევდა წამკითხველებად, რადგან უნდოდა მათთვის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები შეემსუ-

ბუქებინა, რადგან იცოდა, მათი ბოლო მაინც ოსვენციმი იყო. სასამართლოზე სასწორზე შეაგდო და ვერ გაიცნობიერა სხვაობა წერა-კითხვის უცოდინრობაში მხილებასა და დამნაშავეობაში მხილებას შორის. მან ვერ გათვალა და ვერ გამოიცნო ეს. ის შეგუებოდა იმას, რომ პასუხისგებაში მისცეს, და აღარ უნდოდა, რომ მისი სისუსტეებიც ემხილებინათ. თავის ინტერესებს კი არ ითვალისწინებდა, არამედ სიმართლისათვის, სამართლიანობისათვის იბრძოდა. და იმის გამო, რომ მას გამუდმებით თვალთმაქცობა უხდებოდა, იმის გამო, რომ მას არ შეეძლო ბოლომდე გულწრფელი ყოფილიყო, იმის გამო, რომ არ უნდოდა, და არ შეეძლო საკუთარი თავი წარმოეჩინა, - ამიტომაც იყო ეს გასაცოდავებული სიმართლე და გასაცოდავებული სამართლიანობა. მაგრამ ეს მისი სიმართლე და სამართლიანობა იყო და და ამისათვის ბრძოლაც მარტო მისი ბრძოლა იყო.

შემეძლო წარმომედგინა, რომ ის სრული ულონობის ზღვარზე იყო მისული. მარტო სასამართლოზე კი არა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა. მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ეჩვენებინა, რა შეეძლო, არამედ იმისათვის, რომ მიეჩქმალა, თუ რა არ შეეძლო. მისი ცხოვრების წინსვლა ენერგიულ უკუსვლაში გამოიხატებოდა, გამარჯვება კი ფარულ მარცხში. ჰანას ქალაქიდან წასვლაზე მაშინდელი ჩემი ფიქრები საოცრად მეუცნაურებოდა. აი, თურმე რატომ წასულა ქალაქიდან, მე კი რაღას არ ვფიქრობდი. რამხელა შეუსაბამობა ყოფილა ჩემს მაშინდელ ფიქრებსა და მისი წასვლის ნამდვილ მიზეზს შორის. არადა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვუღალატე, მოვატყუე,

ამით ვუბიძგე გაქცეულიყო ქალაქიდან. სინამდვილეში კი ის სამსახურში ახალ შემოთავაზებას გაექცა, რათა მისი წერა-კითხვის უცოდინრობა არ გამოაშკარავებულიყო. შეიძლება ქალაქიდან მე არ გამიძევებია, მაგრამ ეს ხომ მაინც არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ მე მას ვულალატე. ჩემი დამნაშაული დანაშაულადვე რჩებოდა. თუმცა, დამნაშავის ღალატი შესაძლოა არც ჩაითვალოს დანაშაულად, მაგრამ ის ხომ მაინცაა დანაშაული, რომ მე დამნაშავე შემიყვარდა.

11

იმის მერე, რაც ჰანამ აღიარა, რომ ოქმი თვითონ დაწერა, სხვა ბრალდებულებს უკვე გაუიოლდათ საქმე. რაღა თქმა უნდა ჰანა მარტო არ მოქმედებდა, არც მარტო გასცემდა ბრძანებებს, მაგრამ ყველაფერი თავის თავზე მიიწერა. თითქოს ის განაგებდა, რა უნდა გაეკეთებინათ, რა დაეწერათ, ყველა გადაწყვეტილებას თვითონ იღებდა.

სოფლის მცხოვრებლებს, რომლებმაც როგორც მოწმეებმა ჩვენება მისცეს, ამისი არც მტკიცება შეეძლოთ და, არც გაბათილება. მათ მხოლოდ ის დაინახეს, რომ ცეცხლმოდებულ ეკლესიას რამდენიმე ფორმიანი ქალი ყარაულობდა და კარის გაღება არც უცდიათ. ამიტომაც თავადაც ვერ გაბედეს, რომ გაეღოთ. ამ ქალებს ისინი მეორე დილით შეხვდნენ, როცა სოფლიდან გასვლას აპირებდნენ. როგორც მოწმეები ამტკიცებდნენ, აქ მჯდომ ბრალდებულთა შორის შეიცნობდნენ კიდეც მათ. მაგრამ ამ ბრალდებულთაგან თუ რომელიმე განსაკუთრებულ ბრძანებებს გასცემდა, ან საერთოდ იყო კი ასეთი მათ შორის, ამისი თქმა მათ არ შეეძლოთ.

— მაგრამ თქვენ ხომ იმას ვერ გამორიცხავთ, რომ — და ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა ჰანაზე მიუთითა — ამ ქალმა მიიღო გადაწყვეტილება?

არა, რაღა თქმა, უნდა ამისი გამორიცხვა მათ არ შეეძლოთ, ან როგორ შეძლებდნენ, დანარჩენი ბრალდებულების შემხედვარე, რომლებიც უფრო ხანში შესულები, გადაღლილები, შეშინებულები და გამწარებულები ჩანდნენ. ამათთან შედარებით ჰანა მართლაც მეთაურს, ბრძანებების გამცემს ჰგავდა. თანაც ამგვარი წინამძღოლის არსებობა სოფლის მცხოვრებთა სინდისსაც ამშვიდებდა: დახმარების აღმოჩენაზე უარის თქმა, იმის გამო, რომ ვერ გაბედეს შეწინააღმდეგებოდნენ იმ ზედამხედველების ჯგუფს, რომლებიც მკაცრი ბრძანებულებითა და მითითებებით ხელმძღვანელობდნენ, უფრო იოლი იყო, ვიდრე ისეთ შემთხვევაში, როცა დაბნეული შეშინებული ქალთა ჯგუფი ედგათ წინ.

ჰანა თავდასაცავად ბრძოლას ისევ განაგრძობდა. ყველაფერს დაეთანხმა, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა, და შეეკამათა იმაზე, რასაც სიმართლედ არ მიიჩნევდა. ჰანა გაცხარებული, თუმცა უკვე სასოწარკვეთილი ლაპარაკობდა. ხმას არ იმაღლებდა, მაგრამ მისი გამუდმებული მცდელობა შეკამათებოდა, სასამართლოზე უკვე უსიამოვნოდ მოქმედებდა. ბოლოს და ბოლოს ფარხმალი დაყარა, დანებდა. და მარტო მაშინღა თუ იღებდა ხმას, თუ რამეს ჰკითხავდნენ. ისიც მოკლედ, მშრალად და ზოგჯერ გაფანტულად. და სწორედ ნიშნად იმისა, რომ დანებდა. ლაპარაკის დროს ფეხზე აღარ დგებოდა. სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც პროცესის დასაწყისში განუწყვეტლივ

იმაზე უთითებდა, რომ ჩვენების მიცემისას ბრალ-
დებულს, შეეძლო მჯდარიყო, ახლა მისი ასეთი
საქციელი უკვე აღიზიანებდა. პროცესის დასას-
რულს ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მოსა-
მართლეს ეს საქმე უკვე მობეზრდა და ერთი
სული ჰქონდა, დაესრულებინა. აღარც ისეთი კონ-
ცენტრირებული ჩანდა. თითქოს ამდენი ხნის წარ-
სულში ყოფნის მერე ისევ აწმყოს დაუბრუნდა.
მეც უკვე მომბეზრდა, მაგრამ არ შემეძლო ეს
საქმე ასე უბრალოდ ამომეგდო თავიდან. ჩემთვის
ამ საქმის გარჩევა და განსჯა მხოლოდ ახლა
იწყებოდა. მე მაყურებელი ვიყავი და უცბად მონა-
წილე გავხდი, მოთამაშე ერთი საერთო თამაშისა
და არბიტრი, რომელზეც საერთო გადაწყვეტილე-
ბაა დამოკიდებული. ეს ახალი როლი ჩემთვის
არც მიძებნია და არც ამირჩევია, მაგრამ მინდოდა
თუ არა, მაინც მიწევდა ამ როლის შესრულება.
ვცდილობდი, რაღაც მეღონა, მაგრამ ამასთან სრუ-
ლიად პასიურად ვმოქმედებდი. აქ კი მარტო ერთი
რაღაცის გაკეთება შეიძლებოდა. შემეძლო წავსუ-
ლიყავი სასამართლოს თავმჯდომარესთან და მეთ-
ქვა, რომ ჰანა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. და
რომ ის არ ყოფილა იმ საშინელი ღამის მთავარი
დამნაშავე, ძირითადი ბრალი მას არ მიუძღოდა,
როგორც ამას სხვები ამტკიცებდნენ და ცდილობ-
დნენ, რომ ყველაფერი მისთვის გადაებრალებინათ.
და რომ სასამართლოზე ჰანას ასეთი მოქცევის
მიზეზი მისი განსაკუთრებული სიჯიუტე, მოურ-
ჯულებლობა, არაკეთილგონიერება, უტიფრობა კი
არ იყო, არამედ ის, რომ წაყენებულ ბრალდებას
არ იცნობდა, არ იცოდა იმ წიგნის შინაარსი, არ
ჰქონდა თავისი სტრატეგია და ტაქტიკა, და რომ

ის საკუთარი თავდაცვის საქმეს საოცრად უშლიდა ხელს. და რომ ის სულაც არ ყოფილა იმდენად დამნაშავე, როგორც სასამართლოს წინაშე წარმოაჩინა.

სასამართლოს გადარწმუნებას ვერ შევძლებდი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში დავაფიქრებდი და ჩავაკვირვებდი საქმეში. ბოლოს დავამტკიცებდი, რომ მართალი ვიყავი. ჰანა კი დაისჯებოდა, მაგრამ არც თუ ისე მძიმე სასჯელით. თუმცა ციხეში ჯდომა მაინც მოუწევდა, მაგრამ უფრო ადრე გამოვიდოდა. განა თვითონ ჰანაც ამისათვის არ იბრძოდა?

დიახ, ის იბრძოდა, მაგრამ მზად არ იყო რომ წარმატებისათვის წერა-კითხვის უცოდინრობაში გამომჟღავნების საფასურად მიეღწია. მას არც ის მოეწონებოდა, მე თუ გავთქვამდი მის საიდუმლოს, თუნდაც ციხიდან რამდენიმე წლით ადრე განთავისუფლებისათვის. მას თავადვე შეეძლო რამის გაკეთება, მაგრამ არ გააკეთა, ეტყობა არ უნდოდა. როგორც ჩანს, ამ საიდუმლოს გამომჟღავნებას, ციხეში ჯდომა ერჩია. მაგრამ ღირდა კი ეს ამად? რა მისცა მას ამ ტყუილმა? ან ყალბმა თავის წარმოჩენამ ირგვლივ მყოფთა წინაშე, რომელნიც მას ავიწროებდნენ, ზღუდავდნენ, და თავის გამოაშკარავების უფლებას არ აძლევდნენ? იმ ენერგიით, რომლითაც ის მთელი ცხოვრების მანძილზე თავის საიდუმლოს იცავდა, ალბათ უკვე დიდი ხანია წერა-კითხვაც ნასწავლი ექნებოდა.

მაშინ შევეცადე ჩემი პრობლემა მეგობრებისათვის გამეზიარებინა. წარმოიდგინეთ ასეთი რამ,– ვუთხარი მე მათ, – რომ ვიღაც თავს იღუპავს, თანაც განზრახ და შენ შეგიძლია მისი შველა.

შენ რას იზამ, გადაარჩენ? წარმოიდგინე, მაგალითად, რომ პაციენტს უნდა გაუკეთონ ოპერაცია, ის კი ნარკოტიკებს იღებს, რაც დაუშვებელია ანესთეზიის დროს, თავად ამ პაციენტს სცხვენია აღიაროს, რომ ნარკოტიკებს იღებს და არ უნდა გაუმხილოს ანესთეზოლოგს – მაშინ შენ, შენ თუ ეტყვი ამას ანესთეზოლოგს? მერე სხვა მაგალითიც მოვიგონე: წარმოიდგინე, სასამართლო პროცესი, და ბრალდებული, რომელსაც უნდა მიუსაჯონ ხანგრძლივი პატიმრობა. და თუ ის არ გამოამჟღავნებს, რომ ის ცაციაა, შენ ეტყვი მოსამართლეს, რაშიცაა საქმე? რომ ის დანაშაული, რაც მას მარჯვენა ხელით უნდა ჩაედინა, ვერ ჩაიდენდა? ან დაუშვათ, ჰომოსექსუალისტი, რომელსაც არ შეეძლო ჩაედინა რაღაც დანაშაული როგორც ჰომოსექსუალისტს, მაგრამ თავისი ჰომოსექსუალობის აღიარება ერცხვინება. აქ საქმე იმაში როდია, ბრალდებული ჰომოსექსუალისტია, თუ ცაციაა, აქ ბრალდებულის სირცხვილის შეგრძნებაზეა ლაპარაკი.

12

გადავწყვიტე მამაჩემსაც დავლაპარაკებოდი. თუმცა არა იმიტომ, რომ მე და მამას ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა. მამაჩემი გულჩახვეული კაცი იყო, ჩვენთან, შვილებთან არასოდეს გადაუშლია გული, არც თავის გრძნობებზე შეეძლო ლაპარაკი. მაშინაც კი, როცა ჩვენს გრძნობებს ვუზიარებდით, არ იცოდა, რა უნდა ეთქვა. კარგა ხანს ვფიქრობდი, რომ ამ უკარება საქციელში, რაღაც ზედაპრზე წარმოუჩენელი სიმდიდრე იმალებოდა, მაგრამ მოგვიანებით ეჭვი შემეპარა. შეიძლება ბავ-

შვობაში და ახალგაზრდობაში მას მართლაც ჰქონდა მდიდარი გრძნობები, მაგრამ, რაც წლები გადიოდა, იმის გამო, რომ არ ამჟღავნებდა, იქამდე მიიყვანა საკუთარი გრძნობები, რომ გრძნობებისაგან დაიცალა და დაშრა. თუმცაღა ამ მანძილის მუხედავად, რაც ჩვენ შორის არსებობდა, მასთან საუბარი მაინც მინდოდა. სწორედ ფილოსოფოსთან მინდოდა მესაუბრა. იმ ფილოსოფოსთან, რომელიც კანტზე, ჰეგელზე წერდა და რომლებიც, როგორც ვიცოდი, მორალის საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი. ამიტომ მიმაჩნდა, რომ მამაჩემს ჩემი პრობლემის აბსტრაქტულად განხილვა შეეძლო. ჩემი მეგობრებისთვის მოყოლილი მაგალითებით არ შემოვიფარგლებოდი.

როცა ჩვენ, შვილებს, მამასთან ლაპარაკი გვინდოდა, დროს გვინიშნავდა, ისევე როგორც თავის სტუდენტებს. მამა სახლში მუშაობდა. უნივერსიტეტში მარტო ლექციების წასაკითხად და სემინარების ჩასატარებლად დადიოდა. მისი კოლეგები და სტუდენტები, თუ მასთან საქმე ჰქონდათ, შინ მოდიოდნენ. მახსენდება დერეფანში ჩამწკრივებული სტუდენტთა რიგი. კედელს მიყრდნობოდნენ და თავიანთ რიგს ელოდნენ. ზოგიერთი კითხულობდა, ზოგიც კედელზე ქალაქისხედებიან ფოტოებს ათვალიერებდა. ზოგიც ისე, უბრალოდ სივრცეში იყურებოდა. ყველა დუმდა. მარტო ჩვენ, ოჯახის წევრებს თუ მოგვესალმებოდნენ ჩავლისას. რაღა თქმა უნდა, თუ ჩვენ მამასთან დალაპარაკება გვინდოდა, დერეფანში დგომა არ გვიწევდა, მაგრამ შესვლამდე კარზე უნდა დაგვეკაკუნებინა და ისე გვიშვებდა. მამაჩემის ორ კაბინეტში ვარ ნამყოფი. პირველი ის იყო, სადაც ჰანამ

წიგნების თაროებს ჩამოურბინა და ყოველ წიგნს თითებით შეეხო. და რომლის ფანჯარაც ქუჩებსა და სახლებს გადასცქეროდა. მეორის ფანჯარა კი რაინის მიდამოებს გადაჰყურებდა. ეს ის სახლი იყო, სადაც საცხოვრებლად სამოცდაათიან წლებში გადავედით და ჩემი მშობლები ბოლომდე იქ დარჩნენ. ის სახლი ქალაქის შემაღლებულ ადგილზე, პატარა ფერდობზე იდგა. და აქაც, ისევე როგორც იქ, პირველი სახლის კაბინეტში, ფანჯრები, კედელზე ჩამოკიდული სურათებივით იყო შეკიდული. მამაჩემის კაბინეტები, ყოველთვის პატარა ბუდეს წააგავდა, სადაც წიგნები, ქაღალდები, აზრები, ჩიბუხისა და სიგარეტის კვამლი თავის საკუთარ, განსაკუთრებულ, გარე სამყაროსაგან განსხვავებულ გარემოს ჰქმნიდა, რაც ჩემთვის ერთდროულად ახლობელიც იყო და უცხოც.

მამამ ჩემი პრობლემა გულდასმით მოისმინა, რომელიც აბსტრაქტული მაგალითებითა და დასკვნებით წარმოვუჩინე.

— ეს რაღაცით პროცესთან არის დაკავშირებული? — მკითხა მან, და თავი გადააქნია. ამით მიმახვედრა, რომ ჩემგან პასუხს არ მოელოდა. და არც იმას ცდილობდა, იმაზე უფრო მეტი გაეგო, ვიდრე თავად ვეტყოდი.

მამა იჯდა თავის სავარძელში, თავი გვერდზე გადაეხარა, ხელებით სახელურებს მაგრად ჩასჭიდებოდა და ფიქრობდა. არ მიყურებდა. მე კი მის შეჭაღარავებულ თმას, ყოველთვის ცუდად გაპარსულ ლოყებს, ცხვირის ნესტოებიდან ტუჩის კუთხემდე ჩამჯდარ ნაოჭებს და თვალებს ვაკვირდებოდი. ვუცდიდი, ვიდრე რამეს მეტყოდა.

და როცა ლაპარაკი ხელახლა წამოიწყო, ჯერ

შორიდან მოუარა. გადმომილაგა თავისი აზრები, პიროვნებაზე, თავისუფლებაზე, ღირსებაზე, ადამიანზე, როგორც სუბიექტზე და რომ არ შეიძლება მისი ობიექტად გადაქცევა.

გახსოვს, როცა პატარაობაში ბრაზდებოდი, თუ დედამ რაღაც შენზე უკეთ იცოდა, როცა გეუბნებოდა, რა იყო შენთვის უკეთესი, და რა არა, რისი უფლება გქონდა, რისი —არა. მაგრამ რამდენად დასაშვებია და გამართლებული ბავშვებთან ამ კუთხით მიდგომა, ეს უკვე ნამდვილი პრობლემა და თანაც ფილოსოფიური ხასიათის პრობლემაა, მაგრამ ფილოსოფოსები არ ზრუნავენ ამაზე. ფილოსოფოსებმა რატომღაც ეს საკითხი პედაგოგიკას გადაულოცეს, არადა სათანადოდ ამ პრობლემას ვერც იმათ მიხედეს. ფილოსოფიამ მიივიწყა ბავშვები — თქვა და გამიცინა — სამუდამოდ დაივიწყა, და არა დროებით, ისევე, როგორც მე თქვენ.

— მაგრამ...

— მაგრამ, რაც შეეხება მოზრდილებს, — აქ ვერანაირად ვერ ჩავთვლი გამართლებულად ასეთ შემთხვევას. არ შეიძლება, როცა ერთი ადამიანი მეორისათვის რაღაცას შესაფერისად და სათანადოდ მიიჩნევს, და შეიძლება იმაზე მეტადაც კი, რასაც თვითონ ეს სხვა თვლის თავის თავისათვის.

— მაშინაც კი, თუ ეს სხვები მოგვიანებით ამით მოხარულნიც იქნებიან?

მამამ მხრები აიჩეჩა.

— საქმე სიხარულს კი არ შეეხება, არამედ ადამიანის ღირსებას და თავისუფლებას. უკვე პატარაც კი გრძნობდი ამას. შინაგანად არასოდეს არ მოგწონდა, რომ დედა ყოველთვის მართალს, სწორს გეუბნებოდა.

დღეს ამ ჩვენს დიალოგს სიყვარულით ვიხსენებ. ერთი ხანობა გადამავიწყდა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში მამას გარდაცვალების მერე მაშინვე ამოტივტივდა. და როცა შევეცადე, ჩემს გონებაში მამასთან დაკავშირებული სასიამოვნო შეხვედრები, მოვლენები და განცდები გამეცოცხლებინა მეხსიერების ზედაპირზე ეს დიალოგი ამომიტივტივდა, ყოველ დეტალს გაოცებული და ბედნიერი ვადევნებდი თვალს, როგორ მელაპარაკებოდა მაშინ მამა. თავდაპირველად მისმა აბსტრაქტულმა აზრებმა და თვალსაზრისთა აღრევამ დამაბნია. მაგრამ ბოლოს ის დასკვნა გამოვიტანე, რომ მოსამართლესთან არ უნდა მივსულიყავი. და ამით გულში ცოტა შვებაც ვიგრძენი. ეს მამამაც შეამჩნია.

— გეტყობა, ასეთი ფილოსოფია უფრო მოგწონს?

— უბრალოდ... მე არ ვიცი, შექმნილ სიტუაციაში, რომელიც აღვწერე, საჭიროა კი რამე ნაბიჯის გადადგმა. სიმართლე რომ ვთქვა, დიდად არც მინდა, რამე მოვიმოქმედო. თანაც, როგორც ჩანს აქ ჩარევა ნამდვილად არ შეიძლება. მაშინ...

აღარ ვიცოდი რა უნდა მეთქვა. — იქნებ ის, რომ ასეთი გადაწყვეტილება, გულიდან ლოდსაც მხსნიდა? ან იქნებ ის, რომ შვებას მგვრიდა? და შეიძლება რაღაცნაირად მამშვიდებდა კიდეც? ამ ყველაფერში არც მორალი იგრძნობოდა, არც პასუხისმგებლობა. მომწონს-მეთქი, ვერც ამას ვეტყოდი

— როგორც ჩანს, მოგეწონა. — ისევ მამა დამეხმარა.

თავი დავუქნიე და მხრები ავიჩეჩე.

— არა, მთლიანობაში შენს პრობლემაში მისაღები გამოსავალი არ არსებობს. რაღა თქმა უნდა, შენ მიერ აღწერილ სიტუაციაში მოქმედებაც შეიძლება, თუკი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობ. თუ დარწმუნებული ხარ, რომ სხვას ამით მართლაც წაადგები, თვალს აუხელ. ბოლო სიტყვა იმ უკანასკნელს უნდა დაუტოვო. იმასთან დალაპარაკება აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმასთან. და არა ვინმესთან სხვასთან, მის ზურგს უკან.

ჰანასთან დალაპარაკება? რა უნდა მეთქვა მისთვის? რომ მე მისი ცხოვრების ტყუილს მივაგენი? და რომ ის ამ სულელური ტყუილის გამო მთელი თავისი ცხოვრების მსხვერპლად შეწირვას აპირებდა? ღირდა კი ეს ტყუილი ამ მსხვერპლად? და რომ მან უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ ციხეში ხანგრძლივი ვადით არ ჩაჯდეს? რადგან მერე მას კიდევ დარჩებოდა ცხოვრებაში დრო, რომ კიდევ ბევრი რამ მოესწრო? მოესწრო? ბევრი თუ ცოტა...კი, მაგრამ, რა უნდა ეკეთებინა მას თავის ცხოვრებაში? შემეძლო კი მე მისთვის წამერთმია ეს ცხოვრებისეული ტყუილი, თუკი მის წინაშე რამე სხვა პერსპექტივის დასახვას ვერ შევძლებდი? ისიც კი არ ვიცოდი, როგორ უნდა მივსულიყავი ჰანასთან და მეთქვა, რომ ალბათ სწორი იქნებოდა, თუ იმ ყოველივეს მერე, რაც მან ჩაიდინა, მისი ცხოვრების პერსპექტივა რაღაც დროის მანძილზე ციხე იქნებოდა. არ ვიცოდი საერთოდ, რა უნდა მეთქვა. ისიც კი არ ვიცოდი ჰანასთან მიახლოებასაც თუ შევძლებდი.

მამას ვკითხე:

— მაგრამ როგორ იქნება მაშინ, თუ იმ ვილა-

ცასთან დალაპარაკება, არ შეიძლება?

მან ეჭვით შემომხედა და თავადვე მივხვდი, რომ ჩემი შეკითხვა ამ საქმესთან უკვე მეორეხარისხოვნად ყღერდა. აქ აღარანაირი მორალი არ არსებობდა. თვითონ უნდა გადამეწყვიტა.

— აქ მე ველარ დაგეხმარები.

მამა ადგა. მეც მას მივბაძე.

— არა, არა, ეს იმას არ ნიშნავს რომ უნდა წახვიდე. უბრალოდ ზურგი მეტკინა და იმიტომ ავდექი.

იდგა ოდნავ მოხრილი, ხელები წელზე შემოეწყო.

— არა, იმას ვერ გეტყვი, ვწუხვარ, რომ ვერ გეხმარები-მეთქი, ვგულისხმობ, როგორც ფილოსოფოსი, რადგან, დახმარებისათვის სწორედ როგორც ფილოსოფოსს, ასე მომმართე. როგორც მამას კი, ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ საერთოდ ვერ ვეხმარები ჩემს შვილებს. ესაა სწორედ ცუდი.

ველოდი როდის განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ დუმდა. ვფიქრობ, მამამ ასე თავისი როლი გაიადვილა ცხოვრებაში. ვიცოდი, მეტს თუ იზრუნებდა ჩვენზე, შეძლებდა კიდეც ჩვენს დახმარებას. თუმცა მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს თვითონაც მშვენივრად იცოდა, და კაცმა რომ თქვას, ალბათ ტანჯავდა კიდეც. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მე მისთვის არაფრის თქმა არ შემეძლო. უხერხულობა ვიგრძენი და მივხვდი, ისიც უხერხულობაში ჩავარდა.

— მაშინ, ...

— ყოველთვის მოხარული ვარ შენი ნახვსა.

მამამ შემომხედა. მე არ დავუჯერე და მარტო თავი დავუქნიე.

13

ივნისში სასამართლო ორი კვირით ისრაელში გადაფრინდა. დაკითხვას სულ რამდენიმე დღე სჭირდებოდა, მაგრამ მოსამართლემ და პროკურორებმა იურიდიულ საქმეებს ტურისტულიც დაუკავშირეს და თავიანთ პროგრამაში იერუსალიმის და თელავივის დათვალიერება, წითელი ზღვის მონახულებაც ჩართეს. ეჭვიც არ მეპარება, რომ სამსახურებრივი, გასართობი და ფინანსური საკითხების მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო. თუმცა ასეთი რამ მე მაშინ მაინც უცნაურად მომეჩვენა. ამ ორი კვირის განმავლობაში გადაწყვეტილი მქონდა, საკუთარი თავი მთლიანად სწავლისათვის მიმეძღვნა. მაგრამ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც მე წარმომედგინა. წიგნებზე, პროფესორებზე თუ სასაწავლო მასალაზე კონცენტრირება არ შემეძლო. ჩემი ფიქრები სადღაც მიფრინავდა და ჩემს წარმოსახულ სურათებში იკარგებოდა.

ვხედავდი ჰანას ალმოდებული ეკლესიის წინ შავ ფორმაში ცივი, მკაცრი სახით, ხელში მათრახით, რომლითაც თოვლში რაღაცეებს ხაზავდა და თან ჩექმებზე ირტყამდა. ვხედავდი, ღამით როგორ უკითხავდნენ წიგნებს, როგორ უსმენდა ყოველგვარი შეკითხვისა და შენიშვნის გარეშე. და როცა კითხვის დრო ამოიწურებოდა, განუცხადებდა, ხვალ ოსვენციმში გგზავნიანო.. შავი, მოკლეთმიანი, ახლომხედველი, ნაზი გოგონა კი ტირილს იწყებდა. ჰანა ხელს კედელს ურტყამდა და მის დარტყმაზე პატიმრის ზოლიან ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ქალი შემოდიოდა და ის გოგო ძალით გაჰყავდათ გარეთ. ვხედავდი ჰანას, როგორ დადიოდა ბანაკში, როგორ შედიოდა პატი-

მართა ბარაკებში, როგორ მეთვალყურეობდა სამშენებლო სამუშაოებს. და ამ ყველაფერს საოცარი ცივი მზერით, მკაცრად მოკუმული ბაგეებით აკეთებდა. პატიმარი ქალებიც, სხვა რა დარჩენოდათ, მის ბრძანებაზე, შიშისაგან კიდევ უფრო და უფრო იხრებოდნენ სამუშაოსკენ, კედელს ეკვროდნენ, თითქოს კედელში გაუჩინარებას ლამობდნენ. ზოგჯერ ჩემს წარმოსახულ სურათებში ჰანას წინ უამრავი პატიმარი დარბოდა დაბნეულად. ის კი დააბიჯებდა მათ შორის და ბრძანებებს უხეშად იძლეოდა, თან ჩექმის წვერზე მათრახს ირტყამდა. ვხედავდი, როგორ ჩამოიშალა ეკლესიის სახურავი, როგორ გაიყარა აქეთ-იქით ნაპერწკლები. ვხედავდი ჩამწვარ ეკლესიას.

ამ სურათების გვეერდით სხვა სურათებსაც ვხედავდი. ჰანა, რომელიც სამზარეულოში გრძელ წინდებს იცვამდა, ჰანა, რომელსაც გაშლილ ხელებში პირსახოცი ეჭირა, ჰანა, რომელსაც ველოსიპედზე კაბა უფრიალებდა, ჰანა, რომელიც მამაჩემის კაბინეტში იდგა, სარკის წინ ცეკვავდა, და ბოლოს ჰანას, რომელიც საცურაო აუზთან იდგა და შოირიდან მიყურებდა, ჰანა, რომელიც მისმენდა კითხვისას, მესაუბრებოდა, მიცინოდა, მეფერებოდა. საშინელება იყო, როცა სურათები ერთიმეორეში მერეოდა. ერთი მხრივ ჰანა, რომელიც მესიყვარულებოდა, და მეორე მხრივ, ჰანა თვალებში ჩამდგარი ცივი მზერითა და მკაცრად მოკუმული ტუჩებით, ჰანა, რომელიც მისმენდა, როცა ვუკითხავდი, და ჰანა, რომელიც კედელს ურტყამდა ხელს. და ამ სურათთა აღრევაში თანდათან საშინლად, საზარლად მახინჯდებოდა. ყველაზე საშინელი ჩემთვის ის სიზმარი იყო, რომელშიც მკაცრი,

დაუნდობელი, პირქუში ჰანა მაღელვებდა, აღმაგზნებდა, და ეს ვნება მაღვიძებდა, და ამ დროს საშინელი სირცხვილისა და აღშფოთების შეგრძნება მეუფლებოდა. და, ამავდროულად, საკუთარი თავისადმი შიშიც.

ვხვდებოდი, რომ ის სურათები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ფანტაზიის საცოდავი შაბლონური ნაყოფი იყო, სულაც არ ჰგავდა იმ ჰანას, რომელსაც ვიცნობდი და რომელიც მიყვარდა. მაგრამ ამ სურათებს მაინც დიდი ძალა ჰქონდა. ისინი ჩემს მოგონებებში ჩაბეჭდილ ჰანას ძველ სურათებს შლიდნენ და ახალ, ბანაკთან დაკავშირეებულ სურათებს ქმნიდნენ.

და როცა დღეს იმ წლებს ვიხსენებ, გაოცებული ვარ, რა მცირედი მასალა და ფოტომასალა გვქონდა, რომელიც ბანაკის ამსახველ ცხოვრებასა და სიკვდილს წარმოგვიჩენდა. ოსვენციმის შესახებ ჩვენ მხოლოდ ჭიშკარზე გამოსახული წარწერა ვიცით, ან ის მრავალსართულიანი ხის საწოლები, თმის გროვა, სათვალეები, ჩემოდნები, ბირკენაუსთან შესასვლელი თაღი, გვერდითი ფლუგელები და მატარებელთა გასასვლელები. ხოლო ბერგენ-ბელზენის შესახებ კი გვამების მთები, რომელიც მოკავშირეებმა იქ შესვლისას აღმოაჩინეს და ფოტოზე აღბეჭდეს. ჩვენამდე ასევე შემორჩენილი იყო ზოგიერთი პატიმრის ჩვენებები, ზოგიერთის მონაყოლი და ჩვენება ომის შემდგომ პერიოდში გამოჩნდა და გამოქვეყნდა კიდევ. ოთხმოციან წლებში კი ხელახლა გამოიცა. დღეს არაერთი ფილმი და წიგნი არსებობს ამ თემის შესახებ, სადაც აღწერილი ბანაკების სამყარო წარმოდგენილი სამყაროს ნაწილია, რომელიც რეალურად

არსებულს ავსებს. ფანტაზიას კი მართლაც საკმაო რამ შეუძლია. დროთა განმავლობაში გამოჩნდა სერიალი "ჰოლოკოსტი", ასევე ისეთი ფილმებიც "სოფის არჩევანი", განსაკუთრებით "შინდლერის სია". რეალობის გვერდით, ამ ფილმებშიც სჭარბობდა ფანტაზია. მაშინ, ჩემს დროს კი ფანტაზია არ მყოფნიდა, რადგან მეგონა ჩემი ფანტაზია იმ საშინელებებს ვერ გასწვდებოდა, რაც ბანაკებში ხდებოდა. და იძულებული ვიყავი ისევ და ისევ იმ შემორჩენილ ჩვენებებს დავყრდნობოდი, ისევ, და ისევ ის სურათები გადამეთვალიერებინა, რაც მოკავშირეებმა აღბეჭდეს ფოტოზე, ვიდრე ეს სურათებიც შაბლონად არ იქცა.

14

გადავწყვიტე წავსულიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით მენახა. მაშინ რომ ოსვენციმში წასვლის საშუალება მქონოდა, დაუყოვნებლივ წავიდოდი... მაგრამ პოლონეთის ვიზის მისაღებად რამდენიმე კვირა დამჭირდა. ამიტომაც ჯერ შტრუტჰოფში, ელზასში გავემგზავრე. ეს იყო ყველაზე ახლოს მდებარე საკონცენტრაციო ბანაკი. ჯერ არც ერთი არ მენახა. მინდოდა ეს შაბლონი რეალობის დახმარებით დამემსხვრია.

მანქანით გავემგზავრე. იმ სატვირთო მანქანის მძღოლი მახსენდება, რომელიც საჭესთან ერთიმეორის მიყოლებით ცლიდა ლუდის ბოთლებს და კიდევ იმ მერსედესის მძღოლიც, რომელიც საჭეს თეთრი ხელთათმანებით მართავდა. შტრასბურგთან გამიმართლა, ერთ მანქანას დავემგზავრე, შიმრეკში მიდიოდა. ეს შტრუტჰოფთან მდებარე პატარა ქალაქი იყო. როცა მძღოლს ვუთხარი, სადაც მივდი-

ოდი, გაჩუმდა. შევხედე, რადგან ვერ მივხვდი უცბად მხიარული საუბრის მერე, ასე რატომ დადუმდა. ასე შუახნის, გამხდარი კაცი იყო. მარჯვენა საფეთქელთან შავ-წითელი, თანდაყოლილი თუ დამწვრობის ნაკვალევი აჩნდა. თმა აკურატულად, გვერდზე ჰქონდა გადაყოფილი. მთლიანად გზაზე იყო კონცენტრირებული.

ჩვენ წინაშე მთა-გორები გადაიშალა. ვენახებს რომ გავცდით, ახლა შემაღლებულ ველებს გავუსწორდით, გზას აქეთ-იქიდან შერეული ტყე და ფერდობები გადმოსცქეროდა. შიგადაშიგ ქვის სამტეხლოებიც გვხვდებოდა, ხანაც აგურით ნაშენი კედელშემოვლებული, გოფრირებულსახურავიანი ფაბრიკების შენობები, ძველი სანატორიუმები. ერთგან მაღალ ხეებს შორის უამრავკოშკურებიანი დიდი ვილა გამოჩნდა, ზოგჯერ მარჯვნიდან, ზოგჯერ კი მარცხნიდან განუწყვეტლივ რკინიგზის რელსები გვდევდა.

როდის-როდის მძღოლი ისევ ალაპარაკდა. მკითხა, შტრუტჰოფში რატომ მიდიხარო. მეც მოვუყევი სასამართლო პროცესზე და იმაზეც, რომ ამასთან დაკავშირებით მასალების უკმარისობას ვგრძნობდი.

— გინდათ გაიგოთ, რატომ შეუძლიათ ადამიანებს ასეთი საშინელებების ჩადენა?

მის ხმაში ირონია შეიგრძნობოდა. თუმცა გამორიცხული არაა, რომ ეს მისი დიალექტის თუ ხმის ბრალი იყო. და ვიდრე პასუხს გავცემდი, ისევ განაგრძო — მაინც რისი გაგება გინდათ? იმისი, თუ რატომ კლავენ ადამიანები ერთმანეთს, იქნებ შიშის, სიყვარულის, ან რისხვის გამო, ან იქნებ შურისძიებისა თუ საკუთარი ღირსების გა-

მო? რა არის ამაში გაუგებარი?

თავი დავუქნიე.

— ის თუ გესმით, რომ ზოგჯერ სიმდიდრისა და ძალაუფლების მოსახვეჭადაც კლავენ? ან ომის და რევოლუციის დროს რაღატომ კლავენ?

ისევ დავუქნიე თავი.

— მაგრამ...

— მაგრამ იმათ, ვისაც ბანაკებში კლავდნენ, ხომ არაფერი დაუშავებიათ მათთვის ვინც კლავდა — ამისი თქმა გინდოდათ? გინდოდათ გეთქვათ, რომ იქ სიძულვილისათვის და ომისათვის არანაირი მიზეზი არ იყო?

ახლა კი აღარ მინდოდა თავის დაქნევა. რასაც ამბობდა, მართალი იყო, მაგრამ ის არ მომწონდა, როგორც ამბობდა.

— მართალი ბრძანდებით, მათ, ვინც კლავდა, არანაირი მიზეზი არ ჰქონიათ სიძულვილისა და არც ომისა. მაგრამ ჯალათიც ხომ არ განიცდის სიძულვილს იმის მიმართ, ვისაც სჯის, მაგრამ მაინც აღასრულებს სასჯელს. რატომ? იმიტომ რომ უბრძანეს? თქვენ ფიქრობთ, რომ იმიტომ აკეთებს ასე, რომ უბრძანეს? თქვენი აზრით, ახლა ბრძანებებზე და მორჩილებაზე და იმაზე ვლაპარაკობ, რომ ჯარისკაცებს ბანაკებში ბრძანებებს აძლევდნენ და ისინიც იძულებულები იყვნენ დამორჩილებოდნენ? — აგდებულად ჩაიღიმა. — არა, მე სულაც არ ვლაპარაკობ ბრძანებებზე, მორჩილებაზე. ჯალათი სულაც არ მოქმედებს ბრძანების მიხედვით, ის უბრალოდ თავის სამუშაოს ასრულებს, სულაც არ განიცდის ზიზღს იმის მიმართ, ვისაც სჯის, შურს კი არ იძიებს მათზე, ან იმიტომ კი არ კლავს, რომ ისინი მას გზაზე ეღობე-

ბიან, ემუქრებიან, თავს ესხმიან. ჯალათისათვის თავისი მსხვერპლი სულერთია. მოკლავს, თუ არ მოკლავს, მისთვის ერთია.

მან შემომხედა.

რატომ გაჩუმდით. რატომ აღარ მეუბნებით: "კი მაგრამ", მოდი, მითხარით, რომ არ შეიძლება ადამიანისთვის მეორე ადამიანი ამდენად სულერთი იყოს. განა თქვენ ამას არ გასწავლიდნენ? ყველასადმი სოლიდარობა, ყველასადმი, ვისაც ადამიანის სახე აქვს. კრძალვა, წმინდა დამოკიდებულება ადამიანის სიცოცხლის წინაშე, არა?

აღვშფოთდი, მაგრამ ამავდროულად თავს უმწეოდაც ვგრძნობდი. ვეძებდი სიტყვებს, ფრაზებს, რაც მის ნათქვამს გააბათილებდა, და ისე იმოქმედებდა, რომ ლაპარაკის უნარი წართმეოდა. მინდოდა ენა ჩამეგდებინებინა.

— ერთხელ, — განაგრძო მან — ფოტოები ვნახე, სადაც რუსეთში ებრაელთა დახვრეტა იყო აღბეჭდილი. ებრაელები მთლად გაეშიშვლებინათ, ერთ რიგად ჩაემწკრივებინათ, გათხრილი ორმოს ნაპირას დაეყენებინათ, უკან ჯარისკაცები ედგნენ, კისერში ესროდნენ. და ეს ხდებოდა ერთ ქვის სამტეხლოში, და ჯარისკაცებისა და ებრაელთა თავზე, ზემოთ, კედელზე ოფიცერი იჯდა, ფეხებს იქნევდა და სიგარეტს ეწეოდა. სეირს მოღუშული გადმოსცქეროდა. ეტყობა უკმაყოფილო იყო, რომ ეს პროცესი არც ისე სწრაფად მიდიოდა. თუმცა, ამავდროულად, მის სახეში კმაყოფილებაც შეიგრძნობოდა. და ეს ალბათ იმის გამო, რომ ის თავის ყოველდღიურ საქმეს აკეთებდა. თან იცოდა, მალე დასრულდებოდა და დასასვენებლად შინ წავიდოდა. ებრაელთა მიმართ ეს ოფიცერი სიძულვილს

სულაც არ განიცდიდა. ის არ...

— თქვენ იყავით იქ იმ კედელზე? იქნებ თქვენც მჯდარხართ იქ, თუ...

მანქანა გააჩერა, მთლად გაფითრებული იყო, საფეთქელთან ლაქა, მთლად წითლად ულაპლაპებდა.

— გადაეთრიე აქედან!

გადმოვძვერი. იმან მანქანა ისე სწრაფად მოატრიალა, რომ იძულებული გავხდი გვერდზე გადავმხტარიყავი, მანქანის ღმუილი კარგა ხანს შორიდანაც მესმოდა, ვიდრე ბოლო მოსახვევში მიჩუმდებოდა.

მაღლა გორისაკენ მივიწევდი. არც ერთი მანქანა არ წამომწევია, და არც შემომხვედრია. ყურს ვუგდებდი ჩიტების ჭიკჭიკს, ქარისაგან მონანავე ფოთოლთა შრიალს, და ხანდახან, საიდანღაც ამოღწეულ მდინარის ჩხრიალს. თხუთმეტ წუთში უკვე საკონცენტრაციო ბანაკის წინ ვიდექი.

15

ამას წინათ იქ კიდევ ერთხელ გავემგზავრე. ზამთარი იყო, ნათელი ცივი დღე იდგა. შირმეკის ტყე მთლიანად თოვლს დაეფარა, ხეებიც თეთრად დაფიფქულიყო და მიწასაც თეთრი საფარველი გადაჰფენოდა. საკონცენტრაციო ბანაკი და მისი მიმდებარე ტერიტორია მაღლა გორაზე კაშკაშა მზის ქვეშ თეთრად მოჩანდა. ნაცრისფერ-ცისფრად შეღებილი ორ თუ სამსართულიანი საგუშაგო კოშკი, ერთსართულიანი ბარაკები თითქოს თოვლის თეთრ საფარველქვეშ სასიამოვნო ფერთა შეთანწყობაში მოსულიყო. რაღა თქმა უნდა, იქ მავთულხლართიანი ჭიშკარიც იყო, ზედ ეწერა: "შტრუტჰოფ-ნაც-

ვაილერის საკონცენტრაციო ბანაკი". მთელ ბანაკს გარს ეკლიანი მავთულხლართები ეკრა. მიჯრით მიწყობილ ბარაკებს შორის ადგილები თოვლს ისე დაეფარა, რომ მიწა აღარც კი მოჩანდა. თოვლის თეთრი მბრწყინავი საფარველი ბანაკისაგან ყოველნაირ კვალს შლიდა, ასე რომ, იქაურობა თავისუფლად შეიძლებოდა ჩაგეთვალა ბავშვების საციგურაო და საცურაო ტერიტორიად, სადაც ზამთრის არდადეგებს ატარებდნენ. გეგონებოდა, სადაცაა დედები გამოვიდოდნენ ზღურბლზე და ბავშვებს გამოსძახებენ, ამოდით, ცხელი შოკოლადი და ნამცხვარი გელოდებათო...

ბანაკი დაკეტილი იყო. მე მის ახლომახლო დავბოდიალებდი. თოვლში ფეხები მთლად დამისველდა. მთელ ტერიტორიას შესანიშნავად ვხედავდი და ვიხსენებდი, მაშინ, ჩემი პირველი ამოსვლის დროს, როგორ ავრბოდ-ჩავრბოდი ზემოთ-ქვემოთ საფეხურებზე, კედლებსა და ბარაკებს შორის რომ გადიოდა. გამახსენდა კრემატორიუმი, რომელიც მაშინ საჩვენებლად ერთ-ერთ ბარაკში იყო მოწყობილი. გაზის კამერებიც ვნახე. ამაოდ ვცდილობდი, როგორმე წარმომედგინა იმდროინდელი ბანაკი მთელი თავის საშინელებებითა და პატიმართა ტანჯვა-წამებით. ერთ ბარაკს მივაშტერდი, მერე თვალები დავხუჭე და მზერით მთელ ბანაკს გავყევი, მეგზურის მიხედვით გონებაში მთელი ბანაკი გადავზომე, წარმოვიდგინე პატიმართა სრული რაოდენობა, ის აუტანელი სიმჭიდროვე და სულის შემხუთველი გარემო. როგორც გვითხრეს, ბარაკებს შორის სწორედ იმ მცირე ადგილზე ხდებოდა პატიმართა მოწყობა. შევეცადე ჩამწკრივებული პატიმართა ზურგებიც კი წარმომედ-

გინა. მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. ჩემმა უუნარობამ უმწეობისა და სირცხვილის შეგრძნება გამიჩინა.

აქეთობას, ფერდობის ძირში, აქაური რესტორნის პირდაპირ, პატარა სახლი იდგა. გარედან, შესახედაობის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით უწინ გაზის კამერა უნდა ყოფილიყო. მისი კედლები სულ თეთრად იყო შეღებილი. კარი და ფანჯრები კი ქვიშაქვით შეფერილი. სავსებით დასაშვებია, რომ ამ სახლს სარდაფად ან ფარდულად, ან იქნებ მოსამსახურეების საცხოვრებლადაც იყენებდნენ. ამჯერად სახლი დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ ვერ გავიხსენე, პირველი ჩასვლისას, შიგნით თუ ვიყავი. მანქანიდან არც გადმოვსულვარ. ერთი ხანობა ვიდექი, ძრავაც არ გამომირთავს, და ასე ვუყურებდი. მერე ისევ გზა გავაგრძელე. თავდაპირველად ვერ ვბედავდი სოფელ ელზასის მხარეს გადამეხვია და რესტორანი მომეძებნა. მინდოდა მესადილა. არ ვიცი, ეს მორიდება იმ უტყუარი შეგრძნებიდან, იმაზე ფიქრებისა და განსჯისაგან გამომდინარეობდა, თუ რას უნდა გრძნობდეს ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკის მონახულების მერე? მხრები ავიჩეჩე და მერე გზიდან გადავუხვიე. ერთ-ერთ სოფელში მთის ძირში რესტორანი "პატარა გარსონი" ვიპოვე. იქიდან, სადაც დავჯექი, ჩემ წინ მთელი არე-მარე იშლებოდა. "ბიჭუნა" მეძახდა ხოლმე ჰანა... შტრუტჰოფში პირველად რომ ვიყავი მთელი საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორია შევისწავლე, მანამდე დავეხეტებოდი, ვიდრე არ დაკეტეს. მერე კი ბანაკის შემაღლებულ ადგილზე მდგომ ძეგლთან ჩამოვჯექი. ზემოდან მთელ ბანაკს გადავცქეროდი. საოცარ სიცარიელეს ვგრძნობ-

დი, თითქოს მაყურებლის შთაბეჭდილებებს საკუთარ თავში კი არ ვეძებდი, არამედ იქ, დაბლა. და ბოლოს იძულებული გავხდი მელიარებინა, რომ იქ ვერაფერიც ვერ აღმოვაჩინე.

მერე ჩამობნელდა. თითქმის ერთი საათი მომიხდა ლოდინი, ვიდრე ერთმა სატვირთო მანქანამ არ ჩამოიარა და უახლოეს სოფლამდე თან არ გამიყოლა. არ მინდოდა იმ საღამოსვე უკან გავბრუნებულიყავი, ამიტომ სოფლის პატარა სასტუმროში ოთახი ავიღე. რესტორანში სადილად მომიტანეს შემწვარი ხორცი, მწვანე ბარდით და კარტოფილი ფრი.

მეზობელ მაგიდასთან ოთხი კაცი იჯდა. კარი გაიღო და ყოველგვარი მისალმების გარეშე ერთი დაბალი მოხუცი კაცი შემოვიდა. მოკლე შარვალი ეცვა და ცალი ფეხი ხისა ჰქონდა. დახლთან ერთი კათხა ლუდი შეუკვეთა. მეზობელ მაგიდას ზურგი და თავისი გვარიანად გამელოტებული კეფა მიაქცია. კარტის მოთამაშეებმა კარტები დააწყვეს, ხელები საფერფლეში ჩაყვეს და მოხუცს იქიდან ამოღებული სიგარეტის ნამწვავების სროლა დაუწყეს. პირდაპირ კეფაში უმიზნებდნენ.. ის კი თავის უკან ხელებს იქნევდა, გეგონება თავმომაბეზრებელ ბუზებს იგერიებსო. რესტორნის მეპატრონემ წინ ლუდის კათხა დაუდგა. თქმით არავინ არაფერს ამბობდა.

ველარ მოვითმინე წამოვხტი და მეზობელ მაგიდასთან მივედი. "ახლავე შეწყვიტეთ!" აღშფოთებისაგან მთლად ვკანკალებდი. იმავე წუთს მოხუცი ცალ ფეხზე ხტუნვით მაგიდას მოუახლოვდა, თავისი ხის ფეხი მოიხსნა და მთელი ძალით მაგიდაზე დასცხო. ისე რომ მაგიდაზე ჭიქებმა და

საფერფლემ ცეკვა დაიწყო, მერე კი იქვე მდგომ თავისუფალ სკამებზე გადაცვივდა. ამასთან მოხუცს თავისი უკბილო პირი დაეფჩინა და გამყინავად იცინოდა, ლუდისაგან შეზარხოშებული ის ოთხი კაციც იცინოდა, ჩემსკენ გამოეშვირათ თითები და თან ღრიალებდნენ: „ახლავე შეწყვიტეთ! ახლავე შეწყვიტეთ!"

იმ ღამით სახლის გარშემო ქარი ბობოქრობდა, არ მციოდა, არც ქარის ღმუილი, არც ხეების შრიალი და შიგადაშიგ დარაბების რახუნი არ იყო ჩემი უძილობის მიზეზი. შინაგანად ვიყავი აფორიაქებული, ვიდრე ბოლოს გარეგან მღელვარებაშიც არ გადამეზარდა და მთელი სხეულით არ ამაცახცახა. შიშმა ამიტანა, მაგრამ ეს არ ყოფილა რაღაც საშინელების მოლოდინის შიში, ეს შინაგანი შიში იყო. ვიწექი, ყური მივუგდე ქარის ზუზუნს და ცოტა შვება ვიგრძენი, როცა ცოტა შესუსტდა და მიჩუმდა. მეშინოდა, ხელახლა არ ამოვარდნილიყო. არ ვიცოდი, მეორე დილით როგორ ავდგებოდი, რას ან როგორ გავყვებოდი შინისაკენ, როგორ გავაგრძელებდი სწავლას უნივერსიტეტში, ვერ წარმომედგინა, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნდა მქონოდა რაღაც პროფესია, მყოლოდა ცოლი და შვილები.

მინდოდა გამეგო და, ამავე დროს, განმესაჯა კიდეც ჰანას დანაშაული. მაგრამ ეს საშინელება იყო. როცა ვცდილობდი, გამეგო, ისეთი გრძნობა მიჩნდებოდა, რომ ველარ შევძლებდი მის განსჯას, ისე, როგორც საჭირო იყო. ხოლო როცა ისე განვსჯიდი, როგორც საჭირო იყო, გაგების უნარს ვკარგავდი. მაგრამ ერთდროულად თან მინდოდა გამეგო ჰანასი, რადგან თუ ვერ გავუგებდი, ეს

იმას ნიშნავდა, რომ ხელახლა უნდა მელალატა მისთვის. ვერაფრით ვერ გადავჭერი ეს დილემა, მინდოდა გამეგო და ასევე განმესაჯა კიდეც, მაგრამ ორივე ერთად შეუძლებელი აღმოჩნდა.

ისევ მშვენიერი ზაფხულის დილა გათენდა. გზად ქალაქისაკენ მიმავალი მანქანის გაჩერებაც თავისუფლად შეიძლებოდა. რამდენიმე საათში ჩემს ქალაქში ვიყავი. მის ქუჩებში ისე დავდიოდი, თითქოს დიდი ხანია იქ აღარ ვყოფილვარ. სახლები და ადამიანები მეუცხოებოდნენ. მაგრამ, საკონცენტრაციო ბანაკის უცხო სამყაროსნაირი უცხო მაინც არ ყოფილა. ჩემი შთაბეჭდილებები შტრუტჰოფზე შეუერთდა იმ მცირეოდენ სურათებს ოსვენციმზე, ბირკენაუზე და ბერგენ-ბელზენზე, რაც უკვე არსებობდა ჩემში და მათთან ერთადვე გაქვავდა.

16

მაინც მივედი სასამართლოს თავმჯდომარესთან. ჰანასთან მისვლა ვერ შევძელი. მაგრამ ისეც ვერ გავძელი, რომ არაფერი მეღონა.

რატომ ვერ შევძელი ჰანასთან დალაპარაკება? მან მე მიმატოვა, იმედი გამიცრუა, ის არ იყო ის, ვინც მასში დავინახე და როგორადაც ჩემი ფანტაზიით გამოვიგონე, შევქმენი. ვინ ვიყავი მე მისთვის? პატარა წამკითხველი, რომელსაც საკუთარი მიზნებისათვის იყენებდა, პატარა საყვარელი, რომლის დახმარებითაც ის თავის ავხორცულ ვნებას იკმაყოფილებდა? და როცა ჩემგან გათავისუფლებას მოისურვებდა, ალბათ მეც გამიშვებდა გაზის კამერაში, ჩემგან გაქცევის საშუალება რომ არ ჰქონოდა?

რატომ ვერ შევძელი გავჩერებულიყავი და არაფერი მელონა? საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ მცდარი განაჩენის გამოტანისათვის ხელი უნდა შემეშალა. უნდა მეზრუნა იმაზე, რომ სამართლიანობას გაემარჯვა, მიუხედავად ჰანას ცხოვრებისეული ტყუილისა, სამართლიანობა, ასე ვთქვათ, ჰანას საკეთილდღეოდ და ამავ დროს მისივე საზიანოდაც, მაინც უნდა წარმოჩენილიყო. მაგრამ თუ კარგად დავუფიქრდებოდი, ჩემთვის მთავარი სამართლიანობა როდი იყო, სინამდვილეში არ მინდოდა ჰანა ისეთად დამეტოვებინა, როგორიც იყო და როგორადაც სურდა, რომ წარმოეჩინა თავი. რაღაც უნდა გამომესწორებინა, რაღაცნაირი ზემოქმედება მომეხდინა მასზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მაინც. სასამართლოს თავმჯდომარე იცნობდა ჩვენი სემინარის ჯგუფს, და დამეთანხმა, ერთ-ერთი სხდომის მერე სიამოვნებით მიგიღებ კაბინეტშიო. კარზე დავაკაკუნე. მოსამართლემ შემიპატიჟა, მომესალმა და თავისი სამუშაო მაგიდის წინ სკამზე მიმითითა. უპიჯაკოდ იჯდა. მანტია სკამის საზურგეზე ეკიდა. ეტყობა თავდაპირველად მანტიიანადვე ჩაჯდა და მერე გადაიძრო. მოშვებული, ღონემიხდილი სახე ჰქონდა — სახე იმ ადამიანისა, რომელმაც ის-ისაა დაასრულა თავისი ყოველდღიური სამუშაო და კმაყოფილი ჩანდა. და ის შეცბუნებული მზერაც, რომელსაც პროცესის დროს თავს აფარებდა, სადღაც გამქრალიყო. ჩემ წინ უწყინარი, სასიამოვნო, ინტელიგენტი სახელმწიფო მოხელე იჯდა. ის გაუთავებლად მელაპარაკებოდა, მეკითხებოდა აქეთურზე, იქეთურზე. თუ რას ფიქრობდა ჩვენი ჯგუფი ამ სასამართლო პროცესზე, რის გაკეთებას აპირებდა პრო-

ფესორი ჩვენი შედგენილი ოქმებით, რომელ კურსზე ვიყავით, თვითონ მე რომელ კურსზე ვიყავი და რატომ ავირჩიე მაინცა და მაინც იურიდიული. როდის მქონდა სახელმწიფო გამოცდა. რჩევაც კი მომცა, გამოცდა არასოდეს არ გადადოო.

მეც ყოველ კითხვაზე ვპასუხობდი. მერე ვუსმენდი, მიყვებოდა თავის სტუნდეტობის წლებისა და გამოცდების ამბებს: ყველაფერს ყოველთვის საჭიროებისამებრ ვაკეთებდი, სასწავლო პროგრამასა და გამოცდებს თავის დროზე და თანაც წარმატებით ვართმევდი თავსო. ისიც აღნიშნა: მომწონს ჩემი არჩეული იურისტისა და მოსამართლის პროფესია, ამ უკვე განვლილი გზის გავლა ხელახლა რომ მომიხდეს, ზუსტად ასევე გავივლიდიო. ფანჯარა ღია იყო. ისმოდა მანქანების კარების ჯახუნის ხმა, ძრავების ღმუილი. ყურს ვუგდებდი ამ ხმებს, ვიდრე ეს ხმა ტრასაზე მანქანების საერთო ხმაურში არ შთაინთქმებოდა. შიგადაშიგ კი დაცარიელებული ქუჩიდან ბავშვების ყვირილისა და თამაშის ხმაც იჭრებოდა. ზოგჯერ რაღაც სიტყვა, რომელიმეს სახელი, გადაძახილი თუ ლანძღვა-გინება გარკვევითაც კი აღწევდა ჩემს ყურამდე.

სასამართლოს თავმჯდომარე წამოდგა, გამომემშვიდობა და მითხრა, სხვა დროსაც სიამოვნებით მიგიღებ, თუკი რამე ახალი შეკითხვა გაგიჩნდება. ასევე თავისუფლად შეგიძლია მოხვიდე, თუკი სწავლასთან დაკავშირებით რამე რჩევა დაგჭირდება. სემინარის თქვენმა ჯგუფმა დაუყოვნებლივ გვაცნობოს, რა დასკვნებს გამოიტანს, რა შეფასებას მისცემს ამ პროცესს.

დაცარიელებულ ტრასაზე მივდიოდი, ვილაც ბი-

ჭებს ვთხოვე სადგურისაკენ მიმავალი გზა მიეს-
წავლებინათ. ჩემი ჯგუფის დანარჩენი სტუდენტე-
ბი, როგორც ყოველთვის, სასამართლო სხდომის
დასრულებისთანავე მანქანით წავიდნენ, მე მატა-
რებლით მომიხდა უკან დაბრუნება. სამუშაო დღის
ბოლო იყო, მატარებელი ყოველ გაჩერებაზე ჩერ-
დებოდა. მგზავრებიც ადიოდნენ და ჩადიოდნენ.
ფანჯარასთან ვიჯექი. ჩემ ირგვლივ მალიმალ
იცვლებოდნენ თანამგზავრები, საუბრები, სუნი, გა-
რეთ კი ერთიმანეთს სხვადასხვა სურათი ენაც-
ვლებოდა — ხან სახლები, ხან ქუჩები და მანქა-
ნები, ხან მთები და ტყეები, ხეები, ციხესიმაგრე-
ები, ქვის სამტეხლოები. ამ ყველაფერს აშკარად
ვხედავდი, მაგრამ ვერაფერს ვერ ვგრძნობდი, ვერ
ალვიქვამდი. ალარც გულისტკივილს ვგრძნობდი იმის
გამო, რომ ჰანამ მიმატოვა, იმედი გამიცრუა, თა-
ვისი მიზნებისათვის გამომიყენა. ალარც ის მინდო-
და, რამე შემეცვალა ჰანაში. შევნიშნე, რომ ის
გაქვავებულობა, გაყუჩება თუ ანესთეზირება, რომ-
ლის ქვეშმყოფი მთელ ამ პროცესს ვადევნებდი
თვალყურს, მთელ ჩემს გრძნობებსა და ფიქრებს
მოსდებოდა, რომლითაც ბოლო კვირებში ვიყავი
შეპყრობილი. რომ ვთქვა, მიხაროდა-მეთქი, ალბათ
გადაჭარბებული იქნება, მაგრამ, იმას კი შევიგ-
რძნობდი, რომ ჩემთვის რატომღაც აუცილებელი
იყო, კვლავაც შემძლებოდა ყოველდრიურობას დავ-
ბრუნებოდი, ისევ გამეგრძელებინა ცხოვრება.

17

ივნისის ბოლოს განაჩენიც გამოიტანეს. ჰანას
სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. დანარჩენებს კი
მეტ-ნაკლები წლებით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო დარბაზი გადაჭედილი იყო ისევე, როგორც პროცესის დასაწყისში. აქ იყვნენ იურისტები, სტუდენტები ჩემი და ადგილობრივი უნივერსიტეტიდან, ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები. დარბაზში ხმაური იყო. როცა ბრალდებულები შემოიყვანეს, თავდაპირველად მათთვის არავის მიუქცევია ყურადღება. მერე კი ხმაური შეწყდა. პირველად ბრალდებულების ახლოს მყოფნი, წინა რიგში მსხდომნი მიჩუმდნენ, მერე ისინი თავიანთ გვერდით მყოფთ მიუბრუნდნენ და "გაჩუმდით, გაჩუმდითო" გადასჩურჩულეს ერთმანეთს. და ბოლოს დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოწვა.

არ ვიცი, აცნობიერებდა თუ არა ჰანა, როგორ გამოიყურებოდა, ან იქნებ განგებ უნდოდა ასე წარმოეჩინა თავი. შავი პიჯაკი, შიგნით კი თეთრი პერანგი ეცვა. და პიჯაკის ჭრილი და ჰალსტუხი, ისეთ შესახედაობას აძლევდა, თითქოს ფორმა ეცვა. არასოდეს მენახა ესეს-ში მომუშავე ქალების ფორმა. მაგრამ ჩავთვალე და ალბათ ყველა იქ მყოფმაც ჩათვალა, რომ ახლა ჩვენ წინ სწორედ ესეს-ის ფორმაში გამოწყობილი და იქ მომუშავე ქალი იდგა, რომელმაც ყოველივე ის ჩაიდინა, რაშიც ჰანას ედებოდა ბრალი..

რიგებს შორის ისევ ჩურჩული გაისმა. ბევრ იქ მყოფთაგანს აღშფოთება დაეტყო, მათ ეს ჰანას მხრიდან იქ ყველა მყოფის და საერთოდ განაჩენის, და ამ განაჩენის მოსასმენად მოსულების აბუჩად აგდებად და დაცინვად მიიჩნიეს. ისინი თავიანთ აღშფოთებასა და უკმაყოფილებას სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გამოთქვამდნენ და ზოგი ჰანას მისამართით შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც

ისროდა. როცა დარბაზში სასამართლო კოლეგია
და თავმჯდომარე შემოვიდა და მოსამართლემ გა-
ნაჩენი წაიკითხა, თან დაეჭვებული მზერით ჰანას
გადახედა, მთელი ამ ხნის მანძილზე ჰანა ფეხზე
იდგა. თვალს არ ვაშორებდი მის თავსა და კი-
სერს.

განაჩენის წაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა.
როცა სასამართლო პროცესი დასასრულს მიუახ-
ლოვდა, და ბრალდებული ქალები დარბაზიდან გაჰ-
ყავდათ, ვუცდიდი, გამოიხედავდა თუ არა ჰანა
ჩემს მხარეს. მთელი ამ პროცესის მანძილზე ერ-
თსა და იმავე ადგილზე ვიჯექი. მაგრამ ჰანა პირ-
დაპირ იყურებოდა და მისი მზერა ყველასა და
ყველაფრის მიღმა იყო მიმართული — მედიდური,
გულნატკენი, დაკარგული, და უსასრულოდ დაღ-
ლილი მზერა, მზერა, რომელსაც არავისი და არაფ-
რის დანახვა არ სურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მესამე

1

სასამართლო პროცესის მერე ზაფხული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველი დარბაზში გავატარე. სამკითხველო გაიღებოდა თუ არა, უკვე იქ ვიყავი, და მოვდიოდი, როცა დაკეტვის დრო იყო. შაბათ-კვირას შინ ვმეცადინეობდი. ისეთი თავდავიწყებითა და შეპყრობილივით ვსწავლობდი, რომ ის ფიქრები და გრძნობები, რომლებიც პროცესის დროს გამიყუჩდა, ასევე მიყუჩებულადვე ჩარჩა. ყოველგვარ შეხვედრებსა და კონტაქტებს გავურბოდი. მშობლების სახლიდან ნაქირავებ ბინაში გადავედი. და იმ მცირერიცხოვან ნაცნობებსაც, რომლებიც შეიძლება შემთხვევით სამკითხველოში ან კინოში შემხვედროდნენ, თავიდან ვიშორებდი. ჩემს ქცევაში არც ზამთრის სემესტრის დროს შემცვლია რამე. მიუხედავად ამისა, სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა მიმიპატიჟა, რომ საშობაო დღესასწაული მათთან ერთად მთაში სათხილამურო ქოხებში გამეტარებინა. ჩემდა გასაკვირად დავეთანხმე.

ნამდვილი მოთხილამურე არ მეთქმოდა. მაგრამ თხილამურებზე სრიალი მიყვარდა. სწრაფად ვსრიალებდი და საუკეთესო მოთხილამურეებსაც არ ჩამოვრჩებოდი. ზოგჯერ მკვეთრ მოსახვევებში, სწრაფდაშვებისას, ვრისკავდი, და არ იყო გამორიცხული კისერიც წამემტვრია, მაგრამ ამას განზრახ ვაკეთებდი. მეორე საფრთხეც არსებობდა, რომელსაც საკუთარ თავს თავად ვუქმნიდი. თურ-

მე თანდათან მიახლოვდებოდა, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი.

სიცივეს ვერ ვგრძნობდი. იმ დროს, როცა სხვები პულოვერებსა და ქურთუკებში გამოწყობილნი დასრიალებდნენ, მე თხილამურებით ალმა-დალმა პერანგისამარა დავქროდი. სხვები, ჩემი შემხედვარე, თავს აქნევდნენ, დამცინოდნენ. ზოგი მზრუნველად მაფრთხილებდა, მაგრამ არასერიოზულად ვიგერიებდი. არ მციოდა და მორჩა. როცა ხველა დამეწყო, ეს ავსტრიული სიგარეტების მოწევას დავაბრალე. როცა სიცხემ ამიწია, მსიამოვნებდა სხეულის ასეთი მდგომარეობა. სუსტადაც ვიყავი და ამავე დროს მსუბუქდაც და ჩემი შეგრძნებებიც საამოდ მიყუჩებული, შესუსტებული და მსუბუქი მეჩვენებოდა. თითქოს დავფრინავდი.

სიცხე თანდათან მემატებოდა. საავადმყოფოში გადამიყვანეს. როცა საავადმყოფოდან გამოვედი, გრძნობათა მიყუჩებულობაც სადღაც გამქრალიყო. ყველა შეკითხვა, შიში, ბრალდება, თუ საყვედური, ყოველი ტკივილი თუ შეძრწუნება, რაც ჩემში პროცესის დროს წარმოიშვა, და მაშინვე მიყუჩდა, ისევ უკან დაბრუნდა და უკვე ალარსად ალარ მიდიოდა. არ ვიცი, ექიმებმა რა დიაგნოზი დამისვეს. რას ნიშნავდა ეს, იმ დროს, როცა სინამდვილეში სიცივე უნდა შემეგრძნო და ვერ ვგრძნობდი. მაგრამ ჩემ მიერ დასმული დიაგნოზი კი ასეთი იყო: ანესთეზირება. ის გაყუჩებული მდგომარეობა ეტყობა მთელ ჩემს სხეულს მოედო და დაეუფლა, და ამ სახით გამომეხატა, ვიდრე მომეშვებოდა, ვიდრე მთლიანად გავთავისუფლდებოდი მისგან.

როცა სწავლა დავასრულე, და სტაჟირებაზე

გამგზავნეს, სტუდენტური მოძრაობაც დაიწყო. ისტორიითა და სოციოლოგიით ვიყავი დაინტერესებული. როგორც სტაჟიორი, უნივერსიტეტში კიდევ კარგა ხანს დავრჩი. მინდოდა, ყველაფერში თვითონ გავრკვეულიყავი. თუმცა გარკვევა სულაც არ ნიშნავდა მასში რამენაირად თანამონაწილეობას, — უმაღლესი სკოლა და მასთან დაკავშირებული ყველანაირი რეფორმები ჩემთვის ისევე სულერთი იყო, როგორც ვიეტნამელები და ამერიკელები.

რაც შეეხება სტუდენტური მოძრაობის ძირითად თემას, ეს იყო ჩვენი ქვეყნის ნაცისტური წარსულის კრიტიკა. ჩემსა და სხვა სტუდენტებს შორის საოცარ დისტანციას ვგრძნობდი. არ მინდოდა მათთან ერთად დემონსტრაციებზე გამოსვლა და აგიტაციის ჩატარება.

ხანდახან ვთვლიდი, რომ ნაცისტური წარსულისადმი კრიტიკული მიდგომა მარტო თაობათა კონფლიქტის გამოხატულება კი არ იყო არამედ, სტუდენტური მოძრაობის ძირითადი მამოძრავებელი ძალაც ეს გახლდათ. მშობელთა მცდელობა, თავი აერიდებინათ იმ ზეწოლისათვის, რომლის წინაშეც ყოველი თაობა თავს ვალდებულად მიიჩნევდა, გამოწვეული იყო იმ ფაქტებით, რომ მშობლებმა მესამე რაიხისა და, მოგვიანებით მისი დაცემის მერეც თავიანთი სრული უსუსურება აღმოაჩინეს.

როგორ შეეძლოთ მათ, გულგრილად ეცქირათ იმათთვის, ვინც ნაციონალ-სოციალისტური იდეების სახელით დანაშაულს სჩადიოდა, ან ზურგი შეექციათ და ეცქირათ, როგორ ხდებოდა დანაშაულებანი, ან არადა, როგორ ითმენდნენ. ორმოც-

დახუთი წლის მერე თავის ირგვლივ დამნაშავეთა ყოფნას რატომ ეპყრობოდნენ ისევე, როგორც თავიანთ თანასწორთ? როგორ შეეძლოთ ასეთ მშობლებს, კიდევ რამე ეთქვათ საკუთარი შვილებისათვის?

მაგრამ, მეორე მხრივ, ნაცისტური წარსული იმ შვილების თემაც იყო, რომელთაც არ სურდათ და არც შეეძლოთ საკუთარი მშობლებისათვის საყვედურის თქმა. ასეთი შვილებისათვის ნაცისტური წარსულისადმი კრიტიკული მიდგომა სულაც არ წარმოადგენდა თაობათა კონფლიქტის გამოვლინებას, არამედ ეს მათთვის ნამდვილი პრობლემა იყო.

"საერთო დანაშაულში" რა იურიდიული და მორალური მოსაზრებებიც არ უნდა ყოფილიყო ჩადებული, – ჩემი თაობის სტუდენტობისათვის ეს რეალობის შეგრძნება იყო. ეს არ ეხებოდა მარტო მესამე რაიხის დროს მომხდარს. ის, რომ ებრაელთა საფლავის ქვები სვასტიკების გამოსახულებებით იყო შებღალული, ის, რომ სასამართლოებში, ადმინისტრაციულ აპარატებში და უნივერსიტეტებში კარიერა უამრავმა ძველმა ნაცისტმა გაიკეთა, ის, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ისრაელის სახელმწიფო არ ცნო, ის, რომ ემიგრაციასა და საპროტესტო მოძრაობებზე ცოტას ლაპარაკობდნენ, ვიდრე ცხოვრებაზე და ცხოვრების შეგუებადობაზე, – ეს ყველაფერი ჩვენ სირცხვილის გრძნობით გვავსებდა. და ეს შესაძლებლობა, რომ ახლა შეგვეძლო დამნაშავეებისაკენ თითი მიგვეშვირა, ეს სულაც არ გვათავისუფლებდა სირცხვილის შეგრძნებისაგან. მაგრამ ეს საშუალებას გვაძლევდა ამ რეალობით გამოწვეული ტანჯვა გადაგველახა. რაღაც დროის განმავ-

ლობაში კი ეს პასიური ტანჯვა სირცხვილიდან გარკვეულ ენერგიასა და მოძრაობაში, აგრესიაში გადაიზარდა.

მე ვერავისაკენ მივუთითებდი.. ჩემს მშობლებზე ხომ, მით უმეტეს. მათი დადანაშაულება არაფერში არ შემეძლო. იმ დროებითმა მგზნებარებამ, როგორც ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის თემატიკის სემინარის მონაწილემ, როცა სასირცხვილო განაჩენი გამოვუტანე მამაჩემს, გამიარა და უსიამოვნო შეგრძნებად დამრჩა. თუმცაღა ის, რასაც ნაცისტური რეჟიმის წლებში სხვები, ჩემი სოციალური წრის წარმომადგენელები აკეთებდნენ, ის, რითაც მათ დამნაშავეებად მიიჩნევდნენ, არც თუ ისე საშინელება იყო, იმასთან შედარებით, რაც ჰანამ გააკეთა. საქმე საქმეზე რომ მისულიყო, ჰანაზე კი უნდა მიმეთითებინა, მაგრამ ჰანასკენ თითის გაშვერაც მე მომიბრუნდებოდა. მე ხომ ის მიყვარდა.

მიყვარდა, და მარტო კი არ მიყვარდა, მე ის ამოვირჩიე კიდეც. ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა, რომ ჰანას არჩევისას იმის შესახებ, რაც მან ჩაიდინა, არაფერი ვიცოდი. ვცდილობდი საკუთარი თავისათვის შთამეგონებინა, რომ მე ისეთივე უდანაშაულო ვიყავი, როგორც იმათი შვილები, რომელებსაც უყვარდათ საკუთარი მშობლები. მაგრამ მშობლებისადმი სიყვარული ერთადერთი სიყვარულია, რომელზეც პასუხი არ მოგეკითხება.

ან იქნებ მშობლებისადმი სიყვარულსაც აქვს თავისებური პასუხისმგებლობა. მაშინ მე თითქოს მშურდა სხვა სტუდენტებისა, რომლებიც საკუთარ მშობლებს და, ამით, მთელ დამნაშავეთა თაობას გაემიჯნნენ. განუდგნენ დამკვირვებლებს, უარმყო-

ფელებს, მომთმენ მასებს, და ამით განთავისუფლდნენ იმ საკუთარი სირცხვილის გრძნობისაგან და იმ ტანჯვისაგან, რომელიც მათ მიაყენეს. მაგრამ რატომ იყვნენ ის სტუდენტები თავიანთ სიმართლეში ასე დარწმუნებულები? როგორ შეიძლებოდა ერთდროულად სირცხვილიც განგეცადა, ტანჯვაც და ამავე დროს საკუთარ სიმართლეში ასეთი თავდაჯერებულიც ყოფილიყავი? მშობლებისაგან განდგომა, — იქნებ ეს მხოლოდ რიტორიკა, ხმაური, ფაციფუცი იყო, რითაც სურდათ საბოლოოდ დაემტკიცებინათ, რომ მშობლებისადმი სიყვარული, მათ დანაშაულში თანამონაწილეობას სულაც არ ნიშნავდა?

ასეთი ფიქრები მაწვალებდა მოგვიანებით. და მერეც, ვერაფერში ვხედავდი ნუგეშს, ან რა ნუგეშზეა ლაპარაკი, როცა ჩემი ჰანასადმი სიყვარულით ტანჯვა, გარკვეულწილად ჩვენი თაობის ბედისწერა იყო, გერმანელთა ბედისწერა, რომლისგან გაქცევა, ან მასზე გამარჯვება ჩემთვის უფრო საშინელება გამოდგა, ვიდრე სხვებისათვის. ვფიქრობ, ჩემთვის მაშინ იქნებ სასარგებლოც კი ყოფილიყო, ჩემი თაობის წარმომადგენლად, მათ თანამონაწილედ რომ შემეგრძნო თავი.

2

ჯერ კიდევ სტაჟირებას გავდიოდი, როცა დავქორწინდი. გერტრუდა მთაში საშობაო არდადეგებზე გავიცანი. და როცა სხვა სტუდენტები არდადეგების მერე შინ დაბრუნდნენ, ის დარჩა და ელოდა, ვიდრე გამოვჯანმრთელდებოდი და საავადმყოფოდან გამომწერდენენ. იქიდან უკან ერთად დავბრუნდით. ისიც იურისტი იყო, უნივერსი-

ტეტში ერთად ვსწავლობდით. გამოცდები ერთად ჩავაბარეთ, სტაჟირებასაც ერთად გავდიოდით. მაშინ დავქორწინდით, როცა გავიგე, რომ გერტრუდა ჩემგან ბავშვს ელოდებოდა.

ჰანას შესახებ მისთვის არაფერი მომიყოლია. ვიფიქრე, ნეტა ვის უნდა სხვისი ძველი ურთიერთობების მოსმენა-მეთქი. გერტრუდა ჭკვიანი, მონდომებული, ბეჯითი და ლოიალური ადამიანი იყო. ჩვენი თანაცხოვრების დროს დიდი მეურნეობა და ეზო-კარი რომ გვქონოდა, ან უამრავი მსახურები და მოჯამაგირეები, ბევრი შვილი გვყოლოდა და იმდენი საქმე, რომ ერთიმეორისათვის საკმაო დრო არ გვქონოდა, ალბათ ბედნიერებიც ვიქნებოდით. მაგრამ სინამდვილეში გარეუბანში ახლად აშენებული შენობის სამოთახიან ბინაში ვცხოვრობდით. ვზრუნავდით ჩვენს გოგონაზე იულიაზე და იურისტ სტაჟიორებად ვმუშაობდით.. ვერაფრით ვერ გავთავისუფლდი იმისაგან, რომ გამუდმებით არ შემედარებინა ჩემი და გერტრუდას ურთიერთობა, ჩემს ჰანასთან ურთიერთობასთან. და ყოველთვის, როცა გერტრუდას ვეხვეოდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ის — ის არ იყო, რომ მას ისეთი სურნელი არ უდიოდა, არც ის გემო ჰქონდა. თავიდან მეგონა, ეს გამივლიდა, იმედს ვიტოვებდი, რომ თანდათან გავთავისუფლდებოდი ამისაგან. მაგრამ ის გრძნობა, რომ გერტრუდასთან რაღაც ისე არ იყო, როგორც საჭიროა, მუდამ თან მდევდა. როცა იულიას ხუთი წელი შეუსრულდა, მე და გერტრუდა დავშორდით. ვეღარ შევძელით ასე ცხოვრება, ყოველგვარი გაბოროტების გარეშე დავცილდით და ლოიალური ურთიერთობა შევინარჩუნეთ. მე მარტო ის მტანჯავდა, რომ იუ-

ლიას მშობლების ზრუნვა და მფარველობა წავართვით, რაც მას ასე უნდოდა. როცა გერტრუდასთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა მქონდა, იულია თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ამ დროს თავის სტიქიაში იყო. თუ ჩვენს შორის დაძაბულობას გრძნობდა, დაბნეული ხან ერთთან მიირბენდა, ხან მეორესთან და გვეუბნებოდა, რა კარგები ხართ, როგორ მიყვარხართო. ძალიან უნდოდა, პატარა ძმა ჰყოლოდა, ალბათ დაც თუ ეყოლებოდა ბედნიერი იქნებოდა. კარგა ხანს ვერ გარკვეულიყო, რა არის განქორწინება. როცა მის სანახავად მივიდოდი, უნდოდა, იმ ღამით მასთან დავრჩენილიყავი. თუ ის მოდიოდა ჩემთან, სულ იმას მეუბნებოდა, ძალიან მინდა გერტრუდაც ჩვენთან იყოსო.. როცა სახლიდან გამოვდიოდი, ფანჯრიდან მიყურებდა. მისი ნაღვლიანი თვალების თანხლებით მანქანაში რომ ვჯდებოდი, გული მეფლითებოდა. მუდამ თან მდევდა შეგრძნება, რომ ჩვენს შვილს ვერ მივეცით ის, რაც არა მარტო მისი ოცნება იყო, არამედ ამის მოთხოვნის უფლებაც ჰქონდა. ეს უფლება ჩვენ წავართვით, როცა განვქორწინდით. მართალია ეს ორივემ გადავწყვიტეთ, მაგრამ ამით დანაშაული არ ნახევრდებოდა.

მას მერე ვცდილობდი, ურთიერთობებს უფრო სიღრმისეულად და ფრთხილად მივდგომოდი. საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ ქალი ჩემთვის ამიერიდან, სულ ცოტათი მაინც, ჰანას უნდა ჰგვანებოდა, ისეთივე სურნელი, გემო ჰქონოდა, რათა ჩვენს თანაცხოვრებაში ყველაფერი კარგად ყოფილიყო. ჩემს შესახებ სხვა ქალებს უფრო მეტი მოვუყევი, ვიდრე გერტრუდას. ამით ვცდილობდი,

თვითონვე გაეგოთ, ჩემს ხასიათსა და ქცევაში რა შეიძლებოდა მოსჩვენებოდათ უცნაურად. მაგრამ სხვა ქალებს ბევრის მოსმენა არც უნდოდათ. ვიხსენებ ჰელენას, ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეს, რომელიც მდუმარედ და დამამშვიდებლად მეფერებოდა ზურგზე, და ასევე მდუმარედ განაგრძობდა ფერებას, როცა მოყოლას ვამთავრებდი. გეზინა, ფსიქოანალიტიკოსი, თვლიდა, რომ მე დედასადმი ჩემს ურთიერთობაში უნდა გავრკვეულიყავი. უცნაურად არ გეჩვენება, რომ საკუთარ მონაყოლში დედას არასოდეს ახსენებ? – მეკითხებოდა ის. ილკეს, კბილის ექიმს, ყოველთვის უნდოდა იმის გაგება, ჩვენს შეხვედრამდე ვისთან მქონდა ურთიერთობა, თუმცა, რასაც ვუყვებოდი მაშინვე ავიწყდებოდა. ასე რომ, ბოლოს, ამ ყველაფერზე ლაპარაკი საერთოდ შევწყვიტე, რადგან სიმართლე ისაა, თუ როგორ იქცევი, რას აკეთებ, ასე რომ, უადგილო ლაპარაკი საჭირო აღარცაა.

3

როცა მეორე გამოცდისათვის ვემზადებოდი, ის პროფესორი გარდაიცვალა, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკის თემისადმი მიძღვნილ სემინარს ხელმძღვანელობდა. გერტრუდამ ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ გაზეთში წაიკითხა შემთხვევით. მთაზე მდებარე სასაფლაოზე კრძალავდნენ. არ გინდა, წავიდეთ, მკითხა გერტრუდამ.

წასვლა არ მინდოდა. დაკრძალვა, როგორც გაზეთში იუწყებოდნენ, ხუთშაბათს დღის მეორე ნახევარში იყო. ხუთშაბათს და პარასკევს დღის პირველ ნახევარში კი მე ორი საგამოცდო წერა მქონდა. ამას გარდა, ამ პროფესორთან არც თუ

ისე ახლო ვიყავი. თანაც არც დასაფლავებებზე სიარული მიყვარდა და არც იმ სასამართლო პროცესის გახსენება მინდოდა.

მაგრამ უკვე გვიანი იყო. ჩემმა მეხსიერებამ გაიღვიძა. და როცა ხუთშაბათს, გამოცდის მერე, აუდიტორიიდან გამოვედი, მომეჩვენა, თითქოს მე იმ დღეს წარსულთან შეხვედრა მელოდა. და ამ შეხვედრის გაცდენა არაფრით არ შეიძლებოდა.

და მე, რაც საერთოდ არ მჩვეოდა, ტრამვაიში ჩავჯექი. ეს უკვე თავისთავად წარსულთან შეხვედრა იყო. თითქოსდა იმ ადგილთან დაბრუნება, რომელიც შენთვის კარგადაა ნაცნობი და ახლა მხოლოდ საკუთარი სახე აქვს შეცვლილი. იმ დროს, როცა ჰანა ტრამვაის კონდუქტორად მუშაობდა, მაშინ ქალაქში — ორი თუ სამვაგონიანი ტრამვაები დადიოდა. თავსა და ბოლოში პლატფორმებით, რომლებზე შეხტომაც, თუ ტრამვაი დაიძვრებოდა, მაინც შეიძლებოდა. ვაგონებს შორის სასიგნალო თოკი გადიოდა, რომლის დახმარებითაც კონდუქტორი ვატმანს ანიშნებდა, დაძრულიყო თუ გაჩერებულიყო. ზაფხულობით ვაგონები ღია იყო. კონდუქტორი ყიდდა, აკომპოსტირებდა და ამოწმებდა ბილეთებს, ხმამაღლა აცხადებდა გაჩერებებს. ყურადღებას აქცევდა კართან მდგომ ბავშვებს, აფრთხილებდა მგზავრებს, რომლებიც კიბეებზე ახტოდ-ჩახტოდნენ, და უკრძალავდა ვაგონში შემოსვლას, თუ ვაგონი უკვე გაჭედილი იყო.

სხვადასხვანაირი კონდუქტორები იყვნენ: ჭკუამხიარულები, სერიოზულები, უხეშები, მაჩხუბრები, ენაკვიმატები. და იმისდა მიხედვით, თუ რა ტემპერამენტის კონდუქტორი შეგხვდებოდა, მთელ

ვაგონში, განწყობაც სწორედ ისეთი სუფევდა. რა სისულელე იყო მაშინ ჩემი მხრიდან, შვეიცინგენში წარუმატებელი გამგზავრების მერე ჰანასთან ტრამვაიში ჩაჯდომა რომ ველარ გავბედე, რომ მისი მუშაობისათვის თვალყური მედევნებინა.

უკონდუქტორო ტრამვაიში ჩავჯექი და გორაზე მდებარე სასაფლაოსაკენ გავემგზავრე. ცივი შემოდგომის დღე იყო. ულრუბლო, ბურუსიან ცაზე მზე ყვითლად მოჩანდა, არც ანათებდა და თვალსაც ისე გაუსწორებდი, არ აგეწვებოდა. ცოტა ძებნა დამჭირდა, ვიდრე იმ საფლავს მივაგნებდი, სადაც დამკრძალავი პროცესია იდგა. მალალ, გაშიშვლებულ ხეებს შორის მივაბიჯებდი. ძველ სასაფლაოებს ჩავუარე, გზად სასაფლაოს მებალე და მოხუცი ქალი შემხვდნენ. ირგვლივ სრული სიჩუმე იყო გამეფებული. შორიდან საეკლესიო ქორალი შემომესმა. ეტყობა პროფესორის საფლავთან მღეროდნენ.

შორიახლოს გავჩერდი და იმ პატარა სამგლოვიარო ჯგუფს ვაკვირდებოდი. რამდენიმე დამსწრეთაგანი როგორც წესია, პროფესორის დამსახურებებზე და ცხოვრებაზე ლაპარაკობდა.

მათ შორის ჩვენი მაშინდელი სემინარის მონაწილე ვიცანი. იმან გამოცდა ჩემზე ადრე ჩააბარა. ჯერ ადვოკატი, მერე კი რომელიღაც ლუდხანის მეპატრონე გახდა. გრძელი წითელი პალტო ეცვა. როცა ყველაფერი დასრულდა და სასაფლაოს გასასვლელი ჭიშკრისაკენ გავემართე, გამომელაპარაკა.

— გახსოვს, სემინარებს ერთად რომ ვესწრებოდით?

— რა თქმა უნდა.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

— ხანდახან სემინარზე ოთხშაბათობით მოვდიოდი და მერე მანქანით შენც მიმყავდი ხოლმე. — გამილიმა.

— შენ ყოველდღე, ყოველ კვირა ესწრებოდი. თითქმის არც ერთ დღეს არ აცდენდი. იქნებ ახლა მაინც მითხრა რატომ?

კეთილად გამომხედა, და გამახსენდა, რომ მისი მზერა სემინარზეც შემინიშნავს.

— ძალიან მაინტერესებდა.

ისევ გაიცინა.

— პროცესი თუ ბრალდებული, რომელსაც განუწყვეტლივ მისჩერებოდი? ისე, მართლა არა უშავდა. სტუდენტები ერთმანეთს ვეკითხებოდით, რა კავშირი შეიძლებოდა გქონოდა მასთან. თუმცა შენთვის ამის შეკითხვას ვინ გაბედავდა. ყველანი ძალიან განვიცდიდით მოსმენილს. გახსოვს....

მერე სემინარის ერთ-ერთი მონაწილე გამახსენა, რომელსაც ენა ებმოდა, თან ძალიან ბევრს, გაუთავებლად ლაპარაკობდა, ჩვენ კი ისე ვუსმენდით, თითქოს მისი სიტყვები ოქრო ყოფილიყო. სემინარის სხვა მონაწილეებსაც შეეხო. ვინ რა გამოვიდა, ახლა რას საქმიანობდა. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ვიცოდი, რომ ბოლოს ისევ მკითხავდა: "არა, მაინც რა გაკავშირებდა იმ ბრალდებულთან?" არ ვიცოდი, რა მეპასუხა. როგორ ამეცილებინა ამაზე პასუხი, გამოვტყდომოდი, თუ რამე მიმეკიბ-მომეკიბა?

ამასობაში სასაფლაოს გასასვლელსაც მივუახლოვდით. გაჩერებასთან მდგომი ტრამვაი უკვე დაძვრას აპირებდა, "აბა, კარგად-მეთქი" მივაძახე და ტრამვაისაკენ გავიქეცი. თითქოსდა საფეხურ-

ზე შეხტომას შევძლებდი, ტრამვაის გვერდით მიგ-
დევდი, თან კარზე ვურახუნებდი, და მოხდა ის,
რასაც ვერც წარმოვიდგენდი, ვერც დავიჯერებდი.
ტრამვაი ისევ გაჩერდა, კარი გაიღო და მეც ავედი.

4

სტაჟირების მერე პროფესია უნდა ამერჩია. არ
ვჩქარობდი. გერტრუდამ მაშინვე მოსამართლედ და-
იწყო მუშაობა. იმას გამუდმებით ბევრი საქმე ჰქონ-
და. და ორივეს გვიხაროდა, რომ შემეძლო მე
დავრჩენილიყავი შინ და იულიასათვის მიმეხედა.
როცა გერტრუდამ შექმნილ სამსახურეობრივ სირ-
თულეებს თავი გაართვა, იულია ბაღში მივიყვა-
ნეთ. ასე რომ, ჩემი გადაწყვეტილების მიღების
დროც დადგა. ძალიან გამიჭირდა. არც ერთ იმათ-
განის როლში არ წარმომედგინა თავი, რომლებიც
ჰანას პროცესის დროს ვნახე. იურიდიულ საქმეში
განაჩენის გამოტანა და ბრალდებების წაყენება
ისეთივე გროტესკულ გაუბრალოებად მეჩვენებო-
და, როგორც დაცვა, ადვოკატობა. ხოლო ბრალ-
მდებელი ხომ ყველაზე დიდ გროტესკად. ვერც
სახელმწიფო დაწესებულების მოხელის როლში
წარმომედგინა თავი. როგორც სტაჟიორს, ჩვენი
რაიონის სამმართველოში მუშაობა მომიხდა და
იქაური კაბინეტები, დერეფნები, სუნი და ჩინოვნი-
კები საოცრად პირქუშ, სტერილურ და მოსაწყენ
ერთფეროვნებად მომეჩვენა. საბოლოო ჯამში, ჩემს
სფეროში არჩევანი აღარც მრჩებოდა. არც კი ვი-
ცი, რას ვიზამდი, ერთ ისტორიის პროფესორს თა-
ვისთან მუშაობა რომ არ შემოეთავაზებინა. გერ-
ტრუდა მეუბნებოდა, რომ ეს არის გაქცევა, გაქ-
ცევა სირთულეებისაგან და ცხოვრებისეული პა-

სუხისმგებლობისაგან. და მართალიც იყო. მართლაც გავურბოდი და, ამასთან, შვებასაც ვგრძნობდი, რომ გაქცევა შემეძლო. ეს ხომ სამუდამოდ არ იქნება, ვარწმუნებდი მასაც და საკუთარ თავსაც: — ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ, რამდენიმე წლით ისტორიაში ვიმუშავებ, მერე ისევ იურიდიულ სფეროს დავუბრუნდები-მეთქი.

მაგრამ სამუდამო გამოდგა. პირველ გაქცევას მეორე მოჰყვა, როცა უნივერსიტეტიდან კვლევით ინსტიტუტში გადავედი და თავშესაფარი იქ ვიპოვე, სადაც შემეძლო სამართლის ისტორიაში საკუთარი კვლევა-ძიებისათვის მიმეძღვნა თავი. რაც არც არავის სჭირდებოდა და არც არავის უშლიდა ხელს.

უნდა ითქვას, რომ გაქცევა, რაღაცისაგან ჩამოშორება კი არ არის, არამედ რაღაცნაირად თითქოს იმ რაღაცასთან მიახლოებაცაა. წარსული, რომელშიც მე, როგორც სამართლის ისტორიკოსი ისე ალმოვჩნდი, არანაკლებ საინტერესო გამოდგა, ვიდრე აწმყო. მას, ვინც კარგად ვერ ერკვევა, შეიძლება მოეჩვენოს, რომ ისტორიკოსი მარტო წარსულ ცხოვრებას აკვირდება და ამავე დროს აწმყოსეული ცხოვრების თანამონაწილედაც რჩება. ეს ასე არაა. ისტორიის კვლევა-ძიება ნიშნავს გადო ხიდი აწმყოსა და წარსულს შორის, დაკვირვება აწარმოო ორივეს ნაპირებიდან და ორივეში აქტიურად თანამონაწილეობდე. ჩემი კვლევა-ძიების ერთ-ერთი სფერო მესამე რაიხი იყო, და აქ განსაკუთრებულადაა თვალში საცემი, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს წარსული და აწმყო ცხოვრებისეულ რეალობაში. გაქცევა, აქ არ ნიშნავს წარსულზე შეჩერებას. ესაა სრული კონცენტრაცია

აწმყოსა და მომავალზე. ესაა წარსულის დანატოვარი, ბრმა მემკვიდრეობა, რომელიც თავის ნაკვალევს გვიტოვებს და რომელთან ერთადაც იძულებული ვართ ვიცხოვროთ.

ნამდვილად ვერ დავმალავ იმ კმაყოფილებას, რომელიც წარსულში ჩაღრმავებით მივიღე და რაც, შესაძლოა, აწმყოსათვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. ეპოქის კანონების მონახაზების შესწავლისას, კვლევისას აღმოვაჩინე, რომ იქ ყველაფერი რწმენას ეფუძნებოდა. და რომ სამყაროს არსებობის არსში ჩადებულია სამართლიანობის წესრიგი, და სამყაროს მიყვანა ამ სამართლიანობის წესრიგამდე ყოველთვის შეიძლება. ის საკანონმდებლო პარაგრაფები და კანონები, რომლებიც სრულყოფილებისაკენ მიისწრაფოდა და ამ სრულყოფილებით ჭეშმარტების წარმოჩენას ცდილობდა, სწორედ რწმენაზე, როგორც სამართლიანობის ძლევამოსილ დამცველზე, იყო დაფუძნებული. — ეს აღმოჩენა ჩემთვის ნამდვილი ბედნიერება იყო. დიდხანს ვთვლიდი, რომ სამართლის ისტორიაში, მიუხედავად საშინელი მარცხისა და გადახვევებისა, წინსვლის პერსპექტივები მაინც არსებობდა, მაინც შეეძლო გადაედგა ნაბიჯები უდიდესი სრულყოფილებისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ, რაციონალურობისა და ჰუმანურობისაკენ. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს აზრი ქიმერა იყო და ჩემი წარმოსახვა სულ სხვა სურათიდან წარმომექმნა. სამართლის ისტორიაში მიმდინარე ძვრები, მართალია, მიზანმიმართულად მესახებოდა, მაგრამ მიზნისაკენ უამრავი დარღვევებითა და შეცდომებით მიემართებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს იყო დასაწყისი, საიდანაც ოდესღაც გამოაღწია, მაგრამ მიზნისაკენ სავალ გზაზე

ისევ უკან დახევა უწევდა.

იმ პერიოდში „ოდისეა" ხელახლა გადავიკითხე. პირველად სკოლაში მქონდა წაკითხული, და მეხსიერებაში ისე ჩამრჩა, როგორც ისტორია სამშობლოში დაბრუნებისა. მაგრამ ეს არ იყო სამშობლოში დაბრუნების ისტორია. როგორ შეეძლოთ ძველ ბერძნებს, რომლებმაც იცოდნენ, რომ ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა არ შეიძლება, ჰქონოდათ სამშობლოში დაბრუნების რწმენა? ოდისევსი იმიტომ არ ბრუნდება, რომ დარჩეს, არამედ იმიტომ, რომ ხელახლა გაუდგეს გზას. „ოდისეა" ესაა მოქმედებისა და განუწყვეტელი მოძრაობის ისტორია, ერთდროულად მიზანდასახულიც, და ამავე დროს, უმიზნოც. წარმატებულიც და ამაოც. განა ამისაგან სამართლის ისტორია რამით განსხვავდება?

„ოდისეის" წაკითხვით დავიწყე. და ეს იყო მაშინვე, როგორც კი გერტრუდას დავშორდი. მაშინ ღამით ცუდად მეძინა, ვიწექი, თვალსაც ვერ ვხუჭავდი, როგორც კი შუქს ავანთებდი და წიგნს ავიღებდი, თვალები მაშინვე მელულებოდა, გადავდებდი თუ არა წიგნს და შუქს ჩავაქრობდი, ისევ ვერ ვიძინებდი. ასე დავიწყე ხმამაღლა კითხვა. და ეს აღარ მაძლევდა თვალების დახუჭვის საშუალებას. იმის გამო, რომ ჩემს არეულ-დარეულ, ტანჯულ მთვლემარე ფიქრებსა და წარმოსახვებში, რომლებიც განუწყვეტლივ ჩემს ქორწინებას, ჩემს გოგონას, ჩემს ცხოვრებას უტრიალებდა, წინა პლანზე ისევ და ისევ ჰანა იდგა. ხმამაღლა კითხვა სწორედ ჰანასათვის დავიწყე. ჩემს ხმას კასეტაზე ვიწერდი.

ვიდრე პირველ კასეტას გავუგზავნიდი, რამ-

დენიმე თვე დამჭირდა. თავდაპირველად არ მინდოდა „ოდისეის" სხვადასხვა ნაწილები ცალკ-ცალკე გამეგზავნა და ვიცდიდი, ვიდრე მთელ პოემას ჩავწერდი.

მერე ეჭვი შემეპარა, ვაითუ ჰანას ოდისეა საინტერესოდ არ მოეჩვენოს-მეთქი და იმის ჩაწერაც დავიწყე, რაც ოდისეის მერე წავიკითხე: შნიცლერის, ჩეხოვის მოთხრობები. მერე ვერა და ვერ მოვიკრიფე გამბედაობა, რომ სასამართლოში დამერეკა, სადაც ჰანა გაასამართლეს, რომ გამეგო, სად იხდიდა სასჯელს. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერს მოვუყარე თავი, — ჰანას მისამართს, მაგნიტოფონს, კასეტებს. ჰანა ქალაქის შორიახლოს მდებარე ციხეში ივჯდა, სწორედ იქ, სადაც მისი პროცესი მიმდინარეობდა.

ამას წინათ რვეული ვიპოვე, რომელშიც ვინიშნავდი, ჰანასათვის წლების განმავლობაში რას ვიწერდი კასეტებზე. პირველი თორმეტი სათაური, ეტყობა, რაღაც ერთ პერიოდში მქონდა ჩანიშნული. თავდაპირველად ჩანიშვნის გარეშე ვიწერდი, მაგრამ მერე მივხვდი, ასე არ გამოვიდოდა, და ამიტომაც დავიწყე ჩაწერილი ნაწარმოებების აღრიცხვა. ზოგს გაგზავნის თარიღიც ეწერა. მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ პირველი ჩანაწერი მისი პატიმრობის მერვე, ხოლო ბოლო კი მეთვრამეტე წელს გავგზავნე. თვრამეტი წლის მერე მისი მოთხოვნა შეწყალებაზე დააკმაყოფილეს.

ძირითადად ჰანასათვის იმ წიგნებს ვკითხულობდი, რომელთა წაკითხვაც მე იმ ხანებში თვითონ მინდოდა. როცა ოდისეას კასეტაზე ვიწერდი, თავიდან კონცენტრირება გამიჭირდა, რომ ჰანასათვის ხმამაღლა ისევე კარგად წამეკითხა, რო-

გორც საკუთარი თავისთვის ჩუმად წავიკითხავდი. მაგრამ მერე შევეჩვიე და გამომივიდა. ხმამაღლა კითხვის ნაკლი ის იყო, რომ მეტი დრო მჭირდებოდა. სამაგიეროდ, მაშინ წაკითხული მეხსიერებაში ყველაზე კარგად ჩამრჩა. დღესაც მახსენდება რაღაც-რაღაც ადგილები. იმასაც ვკითხულობდი, რაც უკვე წაკითხული მქონდა და მიყვარდა. ასე რომ, ჰანამ არაერთი ნაწარმოები მოისმინა: კელერისა, ფონტანესი, ჰაინესი, მიორიკესი. კარგა ხანს სითამამე არ მყოფნიდა, რომ მისთვის ლექსები წამეკითხა. მაგრამ მერე ლექსების კითხვამაც გამიტაცა. ბევრი, ხმამაღალი კითხვისას ზეპირადაც კი დავისწავლე. დღესაც კი მახსოვს რვეულში აღნიშნული, ჩემ მიერ არჩეული ნაწარმოებების თითქმის ყველა სათაური შემეცნებით-მოქალაქეობრივი რწმენისათვის იყო გამიზნული. ვერ ვიხსენებ, რომ ოდესმე საკუთარი თავისათვის ასეთი შეკითხვა დამესვა, უნდა წამეკითხა კი კაფკა, ფრიში, ჯონსონი, ბახმანი და ლენცი, ხომ არ უნდა გადავსულიყავი ექსპერიმენტული ლიტერატურის წაკითხვაზე, რომელშიც ვერ ვიჭერ სიუჟეტს და რომელშიც არც ერთი პერსონაჟი არ მომწონს. გასაგებია, რომ ექსპერიმენტული ლიტერატურა მკითხველისათვისაც ექსპერიმენტულია. ეს არც მე მჭირდებოდა და არც ჰანას.

როცა თვითონაც დავიწყე წერა, ჩემს დაწერილსაც ვუკითხავდი, კასეტაზე ვუწერდი. ჩემს ხელნაწერს მბეჭდავს ვკარნახობდი და მერე დაბეჭდილს ხელახლა ვამუშავებდი, ვიდრე ისეთი შეგრძნება არ გამიჩნდებოდა, რომ ახლა უკვე მზად იყო. და როცა ხმამაღლა კასეტაზე ჩაწერისას ვკითხულობდი, ყურს მივუგდებდი ხოლმე ჩემს

გრძნობას, იყო თუ არა ეს ჭეშმარიტი და თუ ვერაფერს შევიგრძნობდი, ხელახლა ვამუშავებდი, კასეტაზეც ხელახლა ვიწერდი. თუმცა მუშაობის ეს პროცესი არ მომწონდა. მინდოდა, რომ ჩემი სამუშაო პროცესი, კასეტაზე ხმამაღლა ჩაწერისას დასრულებულიყო და გადამუშავება აღარ დამჭირვებოდა. ჰანასთვის კითხვა ჩემთვის იმ ერთადერთ დანიშნულებად იქცა, რომლის გამოც მთელ ჩემს ძალ-ღონეს, მთელ ჩემს შემოქმედებით ენერგიას, მთელ ჩემს კრიტიკულ ფანტაზიას ხელახლა ვიკრებდი. ამის მერე კი უკვე ნაწარმოების გაშვება გამომცემლობაშიც შემეძლო.

კასეტაზე არ ვიწერდი არანაირ პირად შენიშვნას, არც ჰანას ვახსენებდი, არც ჩემს თავს, მოკითხვითაც არასოდეს მომიკითხავს. პირდაპირ ვასახელებდი ჯერ ნაწარმოების სათაურს, მერე ავტორს და ასე ვიწყებდი კითხვას. როცა უკვე დასასრულს ვუახლოვდებოდი, პატარა შესვენებას ვაკეთებდი, ვხურავდი წიგნს და მერე ღილაკს ვაჭერდი თითს.

6

ჩვენი მრავალსიტყვიერ-ლაკონური ურთიერთობიდან ოთხი წელი რომ გავიდა, ჰანასაგან ღია ბარათი მივიღე: "ბიჭუნა, ბოლო ამბავი განსაკუთრებით მომეწონა, ძალიან საინტერესო იყო. გმადლობ. ჰანა"

სკოლის რვეულიდან ამოხეულ, ცალხაზიან ფურცელზე დაეწერა, კიდეები თანაბრად მოეხია. ნაწერი ფურცლის ზემო კიდეშივე იწყებოდა, სულ სამი ხაზი ეკავა. ლურჯი, ზეთის საწერი კალმით დაეწერა. ეტყობა, ასოების გამოყვანისას, ჰანა კა-

ლამს ისეთი მონდომებითა და ძალით აჭერდა, ნაწერი მეორე მხარესაც გაჟღენთილიყო. მისამართიც ასეთივე ძალით დაეწერა. წარწერა მოკეცილი ფურცლის ორსავე მხარეს იკითხებოდა.

პირველ შეხედვაზე, შეიძლებოდა გეფიქრა, ეს ბავშვის ხელწერააო. მაგრამ ბავშვის მოუქნელი და ზედაპირული ნაწერისაგან განსხვავებით, აქ მეტი მონდომება შეიმჩნეოდა. ჰანას ნაწერში მშვენივრად იკვეთებოდა ის წინააღმდეგობა, რომელიც ჰანას უნდა გადაელახა, რომ შეეერთებინა ასოები, ხაზები და სიტყვები გამოეყვანა. ბავშვის ხელი ხან აქეთ გადაიხრება, ხან იქით და ასოები აუცილებლად გადაბმულია. ჰანას ხელი კი არსაით არ იყო გადახრილი. ეტყობა რაღაც შინაგან ბიძგს მიჰყვებოდა, რომ ყოველი ასო და სიტყვა ახალი ძალისხმევით გამოეყვანა. ყოველი ასო, ყოველი მაღლა ასული თუ დაბლა ჩამოსმული თუ მომრგვალებული ხაზი ხელახლა, გადაუბმელად იწყებოდა. ხან პირდაპირ, ხანაც ირიბად. მთლიანობაში თითოეული ასო სხვადასხვა სიგანისა და სიმაღლის იყო.

გამოგზავნილი წერილი წავიკითხე და ბედნიერებითა და სიხარულის შეგრძნებით აღვივსე: "მას წერა შეუძლია!" მთელი ეს წლები, თუკი რამ არსებობდა წერა-კითხვის უცოდინრობის შესახებ, ყველაფერი გადავიკითხე. ვიცოდი, ყოველდღიურ ყოფაში რა უსუსური გრძნობა ჰქონდათ წერა-კითხვის უცოდინრებს, რა უუნაროები იყვნენ საჭირო ქუჩისა თუ მისამართის მოძებნისას, ან რესტორანში მენიუს არჩევისას, რა შიში ეუფლებოდათ, რამდენი ენერგია ეხარჯებოდათ, როგორ ითრგუნებოდნენ, რომ როგორმე თავიანთი წერა-კით-

ხვის უცოდინრობა დაემალათ. წერა-კითხვის უცოდინრობა – ესაა სულიერი არასრულწლოვანება, არასრულფასოვნება. და მართლაც საოცრებაა მოძებნო საკუთარ თავში სიმამაცე, გამბედაობა, რომ წერა-კითხვა ისწავლო. ჰანამ ეს შეძლო და გადადგა ნაბიჯი არასრულწლოვანებიდან სრულწლოვანებისაკენ, ერთი მტკიცე ნაბიჯი განათლებისაკენ. ვაკვირდებოდი ჰანას ხელწერას და ვხედავდი, რამხელა ძალისა და ბრძოლის ფასად დაუჯდა მას ამ რამდენიმე სტრიქონის დაწერა. ვამაყობდი მისით. და ამავე დროს მის გამო გულიც მტკიოდა. ვნაღვლობდი მის დაგვიანებულ, გაცდენილ ცხოვრების წლებზე, და საერთოდ, მისი ფუჭი, უიღბლო ცხოვრების გამო.

იმაზე ვფიქრობდი, რომ, თუ ვინმეს დრომ ფუჭად ჩაუარა, თუკი ვინმეს რაღაცაზე საკმაოდ დიდხანს უხდებოდა უარის თქმა, ეს რაღაც მოვა, მაგრამ უკვე ძალიან გვიან. თუმცა მაშინაც კი, როცა საბოლოოდ მასში მთელ ძალასა და ენერგიას ჩადებ, მაინც დიდ სიხარულს განიჭებს. მაგრამ, ცნება "ძალიან გვიან", არ არსებობს. არსებობს მხოლოდ "გვიან". და იქნებ მართალიცაა, რომ ამბობენ, "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო." თუმცა რა ვიცი.

პირველ წერილს მეორეც მოჰყვა, მესამეც და ამან ბოლოს მუდმივი სახე მიიღო. მაგრამ ძირითადად მოკლე-მოკლე სტრიქონებს მწერდა, მადლობის გამომხატველს, სურვილს, ძალიან გამიხარდება, კიდევ თუ მივიღებ რამე ლექსს, ან ამა და ამ ავტორის რომელიმე სხვა ნაწარმოებსო. ზოგჯერ ამა თუ იმ რომანის პერსონაჟზე თავის შთაბეჭდილებას მიზიარებდა. ზოგჯერ კი, ეს იყო

უბრალოდ ციხეში მჯდომი ადამიანის დაკვირვება სამყაროზე: "ეზოში უკვე ვარდები ხარობს", ან "მომწონს, რომ ამ ზაფხულს ასე ხშირადაა ჭექა-ქუხილი", ან თუნდაც: "ფანჯარაში ვხედავ, როგორ მიფრინავენ ჩიტების გუნდები სამხრეთისაკენ." — და მეც მარტო ჰანას ამ დაკვირვებების მერე თუ მივაქცევდი ხოლმე ყურადღებას, ვარდებს, ზაფ-ხულის ავდარს, ან ჩიტების გუნდს. მისი შენიშ-ვნები ლიტერატურასთან დაკავშირებით ხშირად გასაკვირად სწორი და ზუსტი იყო: "შნიცლერი იყეფება, ცვაიგი — საცოდავი ძაღლივითაა, გოეთეს ლექსები წითელ ჩარჩოში ჩასმულ პატარა სურა-თებს ჰგავს, ლენცი, ეტყობა პირდაპირ საბეჭდ მან-ქანაზე წერს". რადგანაც, არაფერი იცოდა ამ ავ-ტორთა შესახებ, ალბათ ვარაუდობდა, რომ ისინი თანამედროვე ეპოქის წარმომადგენლები იყვნენ, თუკი, რაღა თქმა უნდა, ეპოქას რამე განსაკუთრებული მინიშნებებით არ მიხვდებოდა. ისე, თვითონაც მიკ-ვირდა, მაგრამ ძველი მწერლები ნამდვილად ისე წერდნენ, მათი ნაწარმოები ისე იკითხებოდა, თით-ქოს მართლაც ამ ცოტა ხნის წინ დაიწერაო. და ვინც ისტორია არ იცის, მასში მართლაც თავი-სუფლად დაინახავს რომელიღაც შორეული მხა-რის ყოველდღიურ ყოფას.

ჰანასთვის თვითონ არასოდეს მიმიწერია. მაგ-რამ კასეტებზე ნაწარმოებების წაკითხვასა და გაგ-ზავნას ისევ განვაგრძობდი. როცა ერთი წლით ამერიკაში წავედი, ან როცა შვებულებაში მივდიო-დი, ან თუ ძალიან ბევრი საქმე მქონდა, ჩაწერის მყარი რიტმისათვის მაინც არ მიღალატია. კასე-ტებს ვუგზავნიდი ერთ, ან ორ კვირაში ერთხელ. ზოგჯერ კი სამი-ოთხი კვირის მერეც. და ის, რომ

ჰანას მას მერე, რაც წერა-კითხვა ისწავლა, შეიძ-
ლება ჩემი კასეტები არც აღარაფერში გამოსდგო-
მოდა, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მერე
რა, იკითხოს თავისთვის, გავიფიქრებდი ხოლმე. მის-
თვის წაკითხვა, ეს ჩემი მასთან ურთიერთობის,
მასთან საუბრის თავისებური საშუალება იყო.

ყველა მის გამოგზავნილ ბარათს ვინახავდი. მი-
სი ხელწერა სულ უფრო და უფრო იცვლებოდა.
თავდაპირველად ასოებს ერთი მიმართულებით ხრიდა,
და რაღაც გარკვეული სიმაღლისა და სიგანისა
გამოჰყავდა. მერე უკვე იმასაც მიაღწია, რომ თავი-
სუფლად და თავდაჯერებულად ეწერა. თუმცა სწრაფი,
გაკრული წერა მაინც არ შეეძლო. მაგრამ მის
ნაწერს უკვე ემჩნეოდა რაღაც მკაცრი სილამაზე,
იმ მოხუცების ხელწერის მსგავსად, რომელთაც ცხოვ-
რებაში არც თუ ისე ხშირად უწევდათ წერა.

7

მაშინ არც კი დავფიქრებულვარ იმაზე, რომ
ჰანა ერთ მშვენიერ დღეს ციხიდან გამოვიდოდა.
კასეტებისა და მისი ბარათების გაცვლა-გამოც-
ვლა, ბუნებრივ, უკვე ჩვეულ რიტმად მექცა. ამ
სახით ჰანა ჩემთვის უფრო ახლოსაც იყო და,
ამავე დროს, შორსაც. და ალბათ საკმაოდ დიდ-
ხანსაც სიამოვნებით შემეძლო განმეგრძო ასე. ეს
უფრო მისაღებად, მოსახერხებელად მესახებოდა.
თუმცა, ვიცი, ეგოისტურად ვიქცეოდი.

და ერთ დღესაც ციხის უფროსის წერილი
მივიღე:

"უკვე წლებია, რაც ქალბატონ შმიცს თქვენ-
თან მიმოწერა აქვს. ეს ერთადერთი კონტაქტია,
რომელიც მას გარე სამყაროსთან აქვს. ამიტომაც

მოგმართავთ თქვენ ამ წერილით. თუმცა არ ვიცი რამდენად ახლოს ხართ თქვენ ერთმანეთთან, ან რა დამოკიდებულება გაქვთ მისადმი: — ნათესაური, თუ მეგობრული.

მომავალ წელს ქალბატონი შმიცი ისევ შეიტანს აპელაციას შეწყალებაზე. მე ყველანაირი საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ კომისია, რომელიც მის საქმეს განიხილავს, დადებითად დააკმაყოფილებს და მაშინ ქალბატონ შმიცს, თვრამეტი წლის პატიმრობის მერე, ალბათ გაათავისუფლებენ. რაღა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია მას ოთახი მოვუძებნოთ. რაც შეეხება სამუშაოს, მისი ასაკის გამო, ეს უკვე პრობლემებთან იქნება დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ ის სრულიად ჯანმრთელია და აქ, ჩვენს სამკერვალო საამქროში საკმაო წარმატებებითაც სარგებლობს. მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ ჩვენს ნაცვლად მასზე მისი ნათესავები ან მეგობრები იზრუნებენ, მის გვერდით იქნებიან. ყველაფერში მხარში დაუდგებიან. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მარტოდ და მიუსაფრად, უსუსურად გრძნობს ციხიდან გამოსული კაცი, მით უმეტეს თუ პატიმრობაში თვრამეტ წელს დაყოფს.

ქალბატონი შმიცი შეეჩვია დამოუკიდებელ ცხოვრებას. თავადაც შეუძლია პირველ ხანებში სიძნელეები გადალახოს. ამიტომ, საკმარისი იქნებოდა, თუ თქვენ მისთვის პატარა ოთახს მოძებნიდით და სამუშაოს პოვნაშიც დაეხმარებოდით, შიგადაშიგ ინახულებდით, და პირველ თვეებსა და კვირებში, თქვენთანაც მიიწვევდით, თან იმაზეც იზრუნებდით, რომ მას მიელო ყველა საჭირო ინფორმაცია კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, ახლომ-

დებარე ეკლესიაზე, სალამოს სახალხო სკოლაზე, და მსგავს რაღაცეებზე. ამას გარდა, თქვენ გესმით, იოლი არაა თვრამეტი წლის პატიმრობის მერე ქალაქში პირველად გასვლა, საყიდლებზე სიარული, სხვადასხვა დაწესებულებებში მისვლა, რესტორანში სადილობა. თუ ვინმე ეყოლება გვერდით, უფრო გაუადვილდება.

როგორც შევნიშნე, თქვენ ერთხელაც არ მოგინახულებიათ ქალბატონი შმიცი, სწორედ ამიტომ მოგმართავთ წერილით, რადგან, რომ მოგენახულებინათ, მაშინ ალბათ ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს სასაუბროდ ჩემთან კაბინეტში მოგიწვევდით. თუმცალა მოცემულ სიტუაციაში იმედს ვიტოვებ, რომ ახლა, მისი განთავისუფლების წინა პერიოდში, უეჭველად მოინახულებთ ქალბატონ შმიცს. და გთხოვთ ჩემს კაბინეტშიც შემოიაროთ.

წერილი გულითადი სალმით მთავრდებოდა. ციხის უფროსის თხოვნა საოცრად გულწრფელი ჩანდა. მის შესახებ უკვე გაგებული მქონდა. მისი ციხე სამაგალითოდ ითვლებოდა. ციხის რეფორმების საკითხში მის სიტყვას მართლაც დიდად აფასებდნენ. წერილი მომეწონა.

მაგრამ მე ის არ მომეწონა, რაც მელოდა. რასაკვირველია უნდა მეზრუნა ჰანას ბინაზე, სამსახურზე, რაც მართლაც გავაკეთე. ჩემი მეგობრები, რომელთაც ბინაში გამოუყენებელი ოთახი ჰქონდათ, თანახმანი იყვნენ ძალიან მცირედ საფასურად მიექირავებინათ. ბერძენი მკერავი, რომელსაც დროდადრო ტანსაცმელს ვაკერინებდი, თანახმა იყო, ჰანა თავისთან მოეწყო, რადგან მისი და, რომელიც მასთან სახელოსნოში მუშაობდა საბერძნეთში დაბრუნდა. ვიდრე ჰანა გამოვიდოდა,

ყველა კულტურულ-საგანმანათლებო, საეკლესიო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, რომელიც შეიძლება დასჭირვებოდა, გავთვითცნობიერდი, ინ-ფორმაცია მოვიპოვე. თუმცაღა მასთან მისვლას სულ იქით და იქით ვდებდი.

ჰანას მონახულება არ მინდოდა, რადგან იმ სახის ურთიერთობით, რომელიც დღემდე მქონდა, ჰანა ახლოსაც იყო და შორსაც.

არ მინდოდა მისი მონახულება. მეჩვენებოდა, რომ სწორედ შორს ყოფნით შევინარჩუნებდი ასე-თად, როგორიც ახლა იყო. ვშიშობდი, რომ ეს ოლი, ფარული სამყარო წერილობითი მისალმე-ბებისა და კასეტების გაგზავნისა, იმდენად ხე-ლოვნური და სუსტი გამოდგებოდა, რომ ვერ გა-უძლებდა პირისპირ შეხვედრას. განა შეიძლებოდა ჩვენი შეხვედრა ისე მომხდარიყო, რომ ზედაპირ-ზე არ ამოტივტივებულიყო ის ყველაფერი, რაც უწინ ჩვენს შორის იყო?

გავიდა კიდევ ერთი წელი, მე მაინც არ მივედი ციხეში. მთელი ამ დროის მანძილზე არც ციხის უფროსი შემხმიანებია. ჩემს წერილზეც, რომელ-შიც ჰანასათვის ნაშოვნი ბინისა და სამუშაოს შესახებ ვატყობინებდი, პასუხი არ მიმიღია.

ეტყობა, ჩემთან საუბარი იქ, რომ მივიდოდი, მაშინ უნდოდა. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ მე არათუ იქით ვდებდი ამ ვიზიტს, არამედ ყოველნა-ირად ვცდილობდი, თავიდან ამეშორებინა. მაგრამ, აი, დადგა ჰანას შეწყალებისა და მისი განთავი-სუფლების დროც. ციხის უფროსმა დამიბარა და მაცნობა, რომ ერთი კვირის მერე ჰანას ციხიდან უშვებდენენ.

8

შემდეგ კვირას მასთან მივედი. ეს იყო ჩემი პირველი ვიზიტი ციხის შენობაში. შესასვლელში საბუთები შემიმოწმეს. გზადაგზა ჩემს წინ ერთიმეორის მიყოლებით აღებდნენ და კეტავდნენ კარს. თვითონ ციხის შენობა ნათელი და ახალი ჩანდა. შიგნითა კარი ღია იყო და ირგვლივ პატიმარი ქალები თავისუფლად მიმოდიოდნენ. დერეფნის ბოლოში, ერთ-ერთი კარი ეზოში გადიოდა — აყვავებული, ამწვანებული მინდორი, ხეებქვეშ სკამები. შევჩერდი, მზერით ჰანას ვეძებდი. ზედამხედველმა, რომელმაც იქამდე მიმაცილა, წაბლის ქვეშ მდგომი სკამისაკენ მიმითითა.

ჰანა? სკამზე მჯდომი ქალი ჰანა იყო? ჭაღარა თმა, სახეზე, შუბლზე, ყვრიმალებზე, პირის გარშემო ღრმა ნაოჭები, დამძიმებული სხეული. ძალიან ვიწრო, ღია ცისფერი კაბა ეცვა, მკერდზე, მუცელზე მჭიდროდ შემოტკეცილი. ხელები კალთაზე ეწყო და გადაშლილი წიგნი ეჭირა. არ კითხულობდა. საკითხავი სათვალის ზემოდან იმ ქალს ადევნებდა თვალს, იქ შორიახლოს რომ იდგა და ბელურებს პურის ნამცეცებს უყრიდა. მერე იგრძნო, რომ ვიღაც უყურებდა, და შემოტრიალდა. მის სახეში მოლოდინი ამოვიკითხე. როცა მიცნო, დავინახე როგორ გაუბრწყინდა სიხარულისაგან თვალები. მზერით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თითქოს ჩემი სახის შემოწმებას ლამობდა. ვიდრე მივუახლოვდებოდი, თვალებით რაღაცას მეკითხებოდა, გაუბედავად, ნაღვლიანად მიყურებდა. ვიგრძენი, უცბად როგორ ჩაუქრა სახე. როცა მივუახლოვდი, თბილად, დაღლილილად გამიღიმა.

— როგორ გაზრდილხარ, ბიჭუნა.

გვერდით მივუჯექი. ჩემი ხელი თავისაში მოიქცია. უწინ განსაკუთრებით მიყვარდა მისი სუნი. მისგან ყოველთვის სისუფთავის, ახლად დაბანილი სხეულის, სუფთა საცვლების, საამო ოფლის, ალმგზნები სურნელი მოდიოდა..

ხანდახან სუნამოსაც ისხამდა, ზუსტად არ ვიცი, რომელს, მაგრამ საოცარ სურნელს აფრქვევდა. ამ სუფთა, საამო სურნელის მიღმა, სხვა, მძიმე, პირქუში, მწკლარტე გემოც შეიგრძნობოდა ხოლმე. ხშირად, ცნობისმოყვარე ცხოველივით მხრებიდან დაწყებული ფეხებამდე დავყნოსავდი და ხარბად ვისუნთქავდი მის სურნელს. მხრებსა და კისერზე, ახლად დაბანილი სუფთა სუნი უდიოდა, მკერდზე, სუფთა, მაგრამ ოდნავ ოფლნარევი, რაც იღლიების ქვეშ ცოტა უფრო უმძაფრდებოდა, წელსა და მუცელთან თანდათან მძიმე, მაგრამ მაინც საამო, ფეხებს შორის კი რაღაც ისეთი სუნი ჰქონდა, რაც საოცრად ალმაგზნებდა. ხარბად ვიყნოსავდი მის ტერფებსაც, წვივებსაც, თეძოებსაც, საიდანაც უკვე მძიმე სუნი ქრებოდა. მუხლის მოსახარშიც სუფთა ოფლის სუნი ასდიოდა, ტერფებზე კი ახლად დაბანილი საპნის, ფეხსაცმლის ტყავისა თუ დაღლილობის შერეული სუნი. ზურგსა და ხელებზე, თითქოს არაფრის, მაგრამ მაინც ჰანასათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სურნელი ჰქონდა. ხელისგულებზე კი ჩავლილი დღისა და მუშაობის სუნი შერჩენოდა: ტრამვაის ბილეთების ტიპოგრაფიული საღებავის, კომპოსტერის მეტალის, ხახვის, თევზის თუ შემწვარი ცხიმის, სარეცხი ფხვნილისა თუ უთოს მცხუნვარების. თუმცა დაბანის მერე თავდაპირველად

არც ერთი ამ სუნთაგანი არ იგრძნობოდა, საპონი მხოლოდ დროებით აქრობდა მათ. მერე ისევ ძველებურად ამოტივტივდებოდნენ. ერთიმეორეში იყო აღრეული დილის, სამუშაო დღის, საღამოს შინ დაბრუნებისა და დასვენების სუნი.

ახლა ვიჯექი ჰანას გვერდით, და მოხუცი ქალის სუნს შევიგრძნობდი. არ ვიცი, რა სუნი იყო ეს, ჩემთვის ნაცნობი ბებიების, იმ მოხუცი ქალების, მოხუცებულთა თავშესაფარის დერეფნებსა და ოთახებში რომ ტრიალებდნენ, თუ... თუმცა ჰანა ამ სუნისათვის ჯერ მაინც შედარებით ახალგაზრდა იყო.

ახლოს მივიწიე. მივხვდი, აქამდე იმედი გავუცრუე და მინდოდა რამენაირად გამომესწორებინა.

— მიხარია, რომ გაგათავისუფლეს.

— ჰო?

— ჰო, და ისიც მიხარია, რომ ჩემთან ახლოს იცხოვრებ. მერე მოვუყევი ბინის და სამუშაოს შესახებ, ასევე ჩვენი რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე, ქალაქის ბიბლიოთეკაზე.

— ბევრს კითხულობ?

— ისე რა. ჯობია, როცა ხმამაღლა გიკითხავენ. გამომხედა.

— თუმცა ალბათ ახლა ასე აღარ იქნება, არა?

— რატომ არ იქნება?

თუმცაღა ნამდვილად ველარ წარმომედგინა, როგორ გავაგრძელებდი კასეტებზე ჩაწერას, თუ შეხვედრებისას ხმამაღლა წაკითხვას.

— გამიხარდა, კითხვა რომ ისწავლე. ძალიან ვამაყობ შენით. მერე როგორ კარგ წერილებს მწერდი!

და მართალიც იყო. მართლაც ვამაყობდი ჰანა-

თი, მიხაროდა, რომ მან კითხვა ისწავლა, მიხა-
როდა, რომ წერილებს მწერდა. მაგრამ ვგრძნობდი,
რა სუსტი იყო ჩემი სიამაყე და სიხარული იმ
ძალისხმევასთან შედარებით, რაც ჰანას წერა-
კითხვის სწავლისას დასჭირდებოდა. და რამ-
დენად მწირი იყო ეს სიამაყე, რადგან ისიც კი
ვერ მაიძულა, რომ პასუხი მიმეწერა, ან მომენა-
ხულებინა და დავლაპარაკებოდი. ჰანა ჩემი
ცხოვრების ერთ პატარა ნიშში მოვათავსე, დი-
ახ, სწორედაც ნიშში, რომელიც ეჭვგარეშეა, მარ-
თლაც ძვირფასი იყო ჩემთვის, რომელმაც მარ-
თლაც მომანიჭა რაღაც და რომლისთვისაც მარ-
თლაც ვაკეთებდი რაღაცას, მაგრამ ეს იყო მხო-
ლოდ და მხოლოდ ნიში, და არა სრულფასოვა-
ნი ადგილი.

ან კი რატომ უნდა დამეთმო მისთვის ჩემს
ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი? თუმცა
ზოგჯერ დანაშაულის შეგრძნება მაინც მტანჯავდა,
რომ მე ჰანას ჩემს ცხოვრებაში ბოლოს ერთი
პატარა ნიში მივუჩინო.

— მითხარი, სასამართლომდე, როდესმე თუ გა-
გიფიქრია იმაზე, რაზეც ამ სასამართლოზე იყო
ლაპარაკი? გესმის რასაც გეკითხები? როდესმე
თუ გიფიქრია იმ ყველაფერზე, როცა ერთად ვიყა-
ვით, როცა მე შენ გიკითხავდი?

— შენ ეს ასე გაღელვებს?

მაგრამ პასუხს არ დალოდებია.

— ყოველთვის ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მა-
ინც ვერავინ გამიგებდა, არავინ იცოდა, ვინ ვიყავი,
ან რამ მიმიყვანა აქამდე, ან რამ მიბიძგა ამა თუ იმ
საქციელისაკენ. და, იცი, როცა შენი არავის ესმის,
ვერც ვერავინ მოგთხოვს ვერაფერზე პასუხს. სა-

კუთარ თავს ათავისუფლებ პასუხისმგებლობისა-
გან. არც სასამართლოს წინაშე თვლი თავს ანგა-
რიშვალდებულად. მაგრამ მკვდრებს შეუძლიათ გა-
გება. მათ ესმით. ამისთვის მათ სულაც არ სჭირ-
დებათ ჩემი ქცევის გამო მოწმეები. აქ, ციხეში,
მინდა თუ არა, ხშირად მოდიან ჩემთან. თითქმის
ყოველ ღამე. სასამართლომდე ჯერ კიდევ შემეძლო
მათი გაგდება, თუკი მოსვლას მოინდომებდნენ. ცო-
ტა ხანს შეიცადა, რამეს ხომ არ ვიტყოდი, მაგრამ
თავში არაფერი მომდიოდა. თავდაპირველად მინ-
დოდა მეთქვა, რომ ცხოვრებაში ვერაფრის უკუგდე-
ბას ვერ ვახერხებ-მეთქი. მაგრამ ეს არ იქნებოდა
მართალი. განა ეს მოგერიება, ან გაგდება არ არის,
როცა ვილაცას შენს ცხოვრებაში ნიშს გამოუყოფ?

— ცოლი გყავს?

— მყავდა. მაგრამ მე და გერტრუდა კარგა
ხანია, რაც დავშორდით. ჩვენი გოგონა ახლა ინ-
ტერნატშია, და იმედი მაქვს, რომ ბოლო წლებს
მაინც არ გაატარებს იქ. ჩემთან გადმოვიყვან.

ახლა მე გავჩუმდი, რამეს ხომ არ მეტყოდა ან
მკითხავდა ჰანა. მაგრამ ის დუმდა.

— იქით კვირას მოვალ შენთან, კარგი?

— კარგი.

— ჩუმად გირჩევნია, თუ მუსიკის თანხლებით?

— ჩუმად.

— კარგი, მაშინ ჩუმად გაგიყვან, მუსიკისა და
შამპანურის გარეშე.

ავდექი და ისიც ადგა. ერთმანეთს შევხედეთ.
ის-ის იყო ორჯერ დაირეკა ზარი, და სხვა პატი-
მარი ქალები უკვე შენობაში შევიდნენ. მისი თვა-
ლები ისევ ჩემს სახეზე დაცურავდნენ. მოვეხვიე,
ვერაფერი ვიგრძენი.

— აბა კარგად იყავი, ბიჭუნა!

— შენც!

ასე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს, და გარეთ, კართანვე დავშორდით.

9

მეორე კვირა განსაკუთრებით დაკავებული ვიყავი. აღარ მახსოვს, მოხსენებისათვის, რომელზეც მაშინ ვმუშაობდი, ცოტა დროლა მრჩებოდა, თუ რაღაც სამუშაო აზარტით ვიყავი შეპყრობილი.

ჩემი წარმოდგენა თუ შთაბეჭდილება, რომლითაც მე ამ მოხსენებაზე დავიწყე მუშაობა არაფრად არ ვარგოდა. როცა გადამოწმება დავიწყე, იქ, სადაც კანონზომიერებას ველოდი, ერთი მეორისმიყოლებით სრულ შემთხვევითობებს ვაწყდებოდი, და იმის ნაცვლად რომ შევჩერებულიყავი და ამას დავჯერებოდი, გამწარებული, შეშფოთებული, ისევ განვაგრძობდი სიღრმეებში ქექვასა და ძიებას. თითქოს ჩემმა წარმოდგენამ რეალობასთან დამაშორაო. მზად ვიყავი კვლევის შედეგები და ფაქტები გამეყალბებინა, ან გამეზვიადებინა, ან, პირიქით, შემეკვეცა. საშინელმა მოუსვენრობამ შემიპყრო. მართალია, როცა გვიან დასაძინებლად ვწვებოდი, მეძინებოდა, მაგრამ რამდენიმე საათში ისევ მელვიძებოდა, ვდგებოდი და განვაგრძობდი კითხვას, წერას.

ამავე დროს ჰანას ციხიდან გამოსვლისათვის საჭირო საქმეებსაც ვაკეთებდი. მისი ოთახი უბრალო, ღია, ნათელი ფერის ხის ავეჯით მოვაწყვე, რამდენიმე ძველი ნივთიც დავუდგი, ბერძენი მკერავიც გავაფრთხილე, რაიონში ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა ინფორმა-

ცია გადავამოწმე. საჭირო სურსათიც ვუყიდე, თა-
როებზე წიგნები დავუწყვე, კედლებზე სურათები
ჩამოვუკიდე. მებაღეც მივიყვანე, და ოთახის წინ
პატარა ბაღი და ტერასაც მოვაწესრიგებინე. ამ
ყველაფერსაც უცნაურად აღგზნებული ვაკეთებდი.
უეცრად თავს ძალიან ბევრი რამ დამატყდა.. მაგ-
რამ ეს ყველაფერი საკმაო აღმოჩნდა იმისათვის,
რომ ჰანასთან მომავალ შეხვედრაზე აღარ მეფიქ-
რა. მხოლოდ შიგადაშიგ, როცა საჭესთან ან დაღ-
ლილი საწერ მაგიდასთან ვიჯექი, ან ვიწექი, მაგ-
რამ ვერ ვიძინებდი, ან იმ ოთახში ვიყავი, რომელ-
საც ჰანასათვის ვამზადებდი, მასთან შეხვედრაზე
ფიქრი ყველაფერს ფარავდა და მოგონებები მეძა-
ლებოდა. თვალწინ მედგა, როგორ იჯდა სკამზე,
წაბლის ხის ქვეშ, როგორ მომჩერებოდა, მაშინ-
დელი ჰანაც მახსენდებოდა, როგორ იდგა საცუ-
რაო აუზთან და მიყურებდა. ხელახლა მეუფლე-
ბოდა ისეთი შეგრძნება, რომ მას ვულალატე და
მის წინაშე დამნაშავე ვიყავი.. საკუთარმა შეგ-
რძნებამ ისევ აღმაშფოთა, და ბოლოს ისევ მომეჩ-
ვენა, რომ თავისი დანაშაულიდან იოლად და მა-
ინც თავისუფლად გამოძვრა. საკუთარი თავი მარ-
ტო მიცვალებულთა სამსჯავროს წინაშე წარად-
გინო, დანაშაული თუ ცოდვები მარტო ცუდი ძი-
ლითა და საშინელი მოჩვენებებით შემოფარგლო,
— მაშ სადღა არიან ცოცხლები? მაგრამ რასაც იმ
წუთში ვგულისხმობდი, ცოცხლებზე კი არა, სა-
კუთარ თავზე ვამბობდი. იქნებ მეც უნდა მომეთ-
ხოვა მისგან პასუხი? რა ვიყავი მე მისთვის?

იმ დღეს, ვიდრე, ციხეში ჰანას გამოსაყვანად
გავივლიდი, ჯერ დავრეკე და ციხის უფროსს და-
ველაპარაკე.

— ცოტათი ვღელავ - მითხრა მან - იცით, პატიმარმა ვიდრე ასეთი ხანგრძლივი დროის მერე, ციხიდან გავა, როგორც წესი, რამდენიმე საათი ან დღე ციხის გარეთ უნდა გაატაროს. ქალბატონ შმიცს არ უნდოდა ასეთი შესაძლებლობით ესარგებლა. ხვალ კი მისთვის არც თუ ისე იოლი იქნება.

ჰანასთან შემაერთეს.

— მოიფიქრე, ხვალ რის გაკეთება გინდა, გინდა, რომ პირდაპირ შენს ბინაში მიგიყვანო, თუ ტყეში, ან მდინარესთან გავისეირნოთ?

— მოვიფიქრებ. ვხედავ, უწინდებურად ყველაფრის დაგეგმვა გიყვარს.

ამ ნათქვამმა გამაბრაზა. საერთოდ ვბრაზდებოდი, როცა მეგობარი გოგოები მეუბნებოდნენ, სპონტანურად არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, თავით ფიქრობ, ნაცვლად იმისა, რომ გრძნობებს მიჰყვეო.

დუმილით მიხვდა, რომ რაღაც არ მესიამოვნა და გაიცინა.

— არ გაბრაზდე, ბიჭუნა, არ მინდოდა შენი გაბრაზება.

თვალწინ სულ იმ ხის ქვეშ მჯდომი ჰანა მედგა, რომელიც მოხუცი ქალივით გამოიყურებოდა, და მოხუცი ქალის სუნი სდიოდა. მაშინ მისი ხმისათვის სულ არ მიმიქცევია ყურადღება. არადა ხმა ისევ ისეთივე ახალგაზრდული ჰქონდა.

10

მეორე დილით ჰანა უკვე მკვდარი იყო. გამთენიისას თავი ჩამოიხრჩო.

როცა მივედი, ციხის უფროსთან შემიყვანეს. პირველად ვნახე. ერთი პატარა, გამხდარი, ქალი

იყო, მუქი ქერა თმითა და სათვალით. ერთი შეხედვით არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლაპარაკისას კი ძალა, სითბო, მკაცრი გამოხედვა და ენერგიული ხელების მოძრაობა, პატივისცემით განგაწყობდა მისადმი. ჰანასთან ბოლო სატელეფონო საუბრის შესახებ, და ამ ერთი კვირის წინანდელ ჩვენს შეხვედრაზე მკითხა, რამე წინათგრძნობა გქონდათ? არა-მეთქი ვუთხარი. მართლაც არანაირი წინათგრძნობა, ეჭვიც კი არ გამჩენია, რომ დამემალა.

— მითხარით ერთი, საიდან იცნობდით ერთმანეთს?

— მეზობლად ვცხოვრობდით.

შემმოწმებელი მზერა მესროლა. და მივხვდი, რომ, მეტის თქმა მომიწევდა.

— მეზობლები ვიყავით და მერე დავმეგობრდით, სტუდენტობის პერიოდში, მის პროცესსაც დავესწარი.

— რატომ უგზავნიდით ქალბატონ შმიცს კასეტებს?

ვდუმდი.

— თქვენ იცოდით, რომ წერა-კითხვა არ იცოდა? საიდან იცოდით?

მხრები ავიჩეჩე. არ მესმოდა, რა ესაქმებოდა ჩემი და ჰანას ამბავთან? გულში და ყელში ცრემლები მაწვებოდა. მეშინოდა, ვაითუ სიტყვა ველარ დავძრა-მეთქი. არც მის წინაშე ატირება მინდოდა.

ეტყობა, მიხვდა, ჩემს გულში რაც ხდებოდა.

— წამომყევით! გაჩვენებთ ქალბატონი შმიცის საკანს.

ის წინ მიდიოდა, მაგრამ შიგადაშიგ უკანაც მომხედავდა ხოლმე, რომ რამე ეთქვა, ან აეხსნა.

აი აქ, ერთ დროს ტერორისტებთან შეტაკება მოხდა, აქ არის სამკერვალო საამქრო, სადაც ჰანაც მუშაობდა, აი აქ ერთხელ ჰანამ მჯდომარე აქცია მოაწყო, ვიდრე ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი დახმარების შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არ შეიცვალა. იქ ბიბლიოთეკაა. ჰანას საკნის კართან ის შეჩერდა.

— ქალბატონ შმიცს თავისი ნივთები არც ჩაულაგებია. იქ ყველაფერი სწორედ ისევეა, როგორც მის სიცოცხლეში.

საწოლი, კარადა, მაგიდა და სკამი, კედელზე, მაგიდის თავზე თარო და კუთხეში, კარის უკან ხელსაბანი და უნიტაზი. ფანჯრის ნაცვლად, დაბინდული შუშა. მაგიდაზე არაფერი არ იდო, თაროზე წიგნები, მალვიძარა, ნაჭრის დათვი, ორი ჭიქა, ხსნადი ყავა, მაგნიტოფონი ეწყო, ორ ქვედა განყოფილებაში, ჩემს მიერ ჩაწერილი და გაგზავნილი კასეტები.

— აქ ყველა არ არის, მითხრა ციხის უფროსმა, როცა ჩემს მზერას თვალი გააყოლა- ქალბატონი შმიცი კასეტებს ყოველთვის უსინათლო პატიმართა დახმარების კომიტეტს აძლევდა ხოლმე. თაროს მივუახლოვდი. პრიმო ლევი, ელი ვიზელი, თადეუშ ბოროვსკი, ჟან ამური, - ლიტერატურა ნაციზმის მსხვერპლისა, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები რუდოლფ ჰესის, ჰანა არენდტის წიგნი აიჰმანზე და იერუსალიმზე, და კიდევ სამეცნიერო ლიტერატურა საკონცენტრაციო ბანაკებზე.

— ჰანა ამ ყველაფერს კითხულობდა?

— ყოველ შემთხვევაში, ამ ლიტერატურას სპეციალურად უკვეთავდა. მე ამ რამდენიმე წლის

წინ მომიწია სპეციალურად მისთვის მომეძია საყოველთაო ბიბლიოგრაფია საკონცენტრაციო ბანაკის თემაზე. მერე კი ორი თუ სამი წლის წინ მთხოვა დამესახელებინა წიგნები, რომელშიც ასახული იყო საკონცენტრაციო ბანაკში პატიმარ ქალთა ცხოვრება, ინფორმაცია ზედამხედველებზე და მცველებზე. წერილი უახლესი ისტორიის ინსტიტუტს მივწერე და იქიდან სპეციალური ბიბლიოგრაფია გამომიგზავნეს. მას მერე, რაც ქალბატონმა შმიცმა წერა-კითხვა ისწავლა, მაშინვე საკონცენტრაციო ბანაკის თემაზე დაიწყო კითხვა.

საწოლის თავზე უამრავი გამოჭრილი სურათები და დაწერილი ფურცლები ეკიდა. მუხლებით საწოლზე დავდექი და კითხვა დავიწყე. ეს იყო ციტატები, ლექსები, მოკლე-მოკლე გამონათქვამები, ასევე კულინარიული რეცეპტები, რომელთაც ჰანა, ისევე როგორც სურათებს, ჟურნალ-გაზეთებიდან იღებდა. „გაზაფხულმა ისევ გაშალა თავისი მწვანე საფარველი და ნიავმაც თავისებურად დაბერა," „ღრუბლების ჩრდილი მინდვრებს გადაეფარა". ყველა ლექსი ბუნებისადმი სიყვარულით, სიხარულით და მონატრებით იყო აღვსილი. ამონაჭერი სურათებიდან ნათელი ტყეები, ყვავილებით მოფენილი მდელოები, შემოდგომის ფოთოლცვენა, ცალკე მდგომი ხეები, მდინარისპირა მდელოები, ალუბლის ხე, მწიფე ალუბლით დახუნძლული, შემოდგომისეული და ფორთოხლისფერ-ალისფრად აბიბინებული წაბლის ხეები შემომცქეროდა. ერთ გაზეთის ფოტოზე ვილაც მოხუცი და ახალგაზრდა ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, ახალგაზრდას მუქი პიჯაკი ეცვა, მოხუცისკენ იყო გადახრილი. მასში საკუთარი თავი შევიცანი. გიმნაზიის დას-

რულების ცერემონიალი იყო, სადაც დირექტორი დიპლომს გადმომცემდა. ეს ჩვენი ქალაქიდან ჰანას წასვლიდან რამდენიმე წლის მერე მოხდა. ნუთუ მას, რომელმაც არ იცოდა წერა-კითხვა, იმ ხანებში ადგილობრივი გაზეთი ჰქონდა გამოწერილი? როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეტყობა მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ეშოვა ეს გაზეთი, თანაც გაეგო, ამ ფოტოსთან რა ეწერა. იქნებ ეს ფოტო მას პროცესის დროს უკვე ჰქონდა? ისევ ვიგრძენი, როგორ მომაწვა ყელში ცრემლები.

— წერა-კითხვა თქვენთან ერთად ისწავლა, ბიბლიოთეკიდან ის წიგნები გამოჰქონდა, რომლებსაც თქვენ უკითხავდით, და ყოველ მოსმენილ სიტყვას, წინადადებას თვალ-ყურს ადევნებდა. მალიმალ აჩერებდა ღილაკით, — ხან წინ გადაახვევდა, ხან უკან, და ერთი პირობა გაუფუჭდა კიდეც, და თხოვნით მოგვმართა, რომ შეგვეკეთებინა. სწორედ მაშინ გავიგე, რითი იყო დაკავებული ქალბატონი შმიცი. თავიდან არ უნდოდა გულწრფელად ეთქვა ამის შესახებ, მაგრამ, როცა უკვე წერაც დაიწყო, მთხოვა მისთვის შრიფტების წიგნიც მეშოვა, და თავისი საიდუმლოს დაფარვას აღარც ცდილობდა. ეამაყებოდა კიდეც, რასაც მიაღწია და უნდოდა ვინმესთვის გაეზიარებინა.

იმ დროს, როცა ის ლაპარაკობდა, მუხლებით საწოლზე ვიდექი, ამოჭრილი ფურცლების თვალიერებას განვაგრძობდი და თან თვალებში მოწოლილ ცრემლებს ვებრძოდი. როცა შემოვტრიალდი და საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი, მითხრა:

— ქალბატონ შმიცს იმედი ჰქონდა, რომ რალაცას მაინც მოსწერდით, ის მხოლოდ თქვენგან იღებდა ფოსტას. და როცა წერილებს არიგებდნენ, ყო-

ველთვის კითხულობდა: "ჩემთვის არაფერია?" ამ დროს ის კასეტებიან ამანათს კი არ გულისხმობდა, არამედ წერილს. ერთხელ მაინც რატომ არ მოსწერეთ?

ისევ გავჩუმდი. ლაპარაკს ვერ ვახერხებდი, იმ წუთას რამე რომ მეთქვა, ალბათ ტირილი წამსკდებოდა.

ის თაროსთან მივიდა, იქიდან ერთი ჩაის ქილა გადმოიღო, ჩემს გვერდით ჩამოჯდა, პიჯაკის ჯიბიდან ორად მოკეცილი ქაღალდი ამოიღო.

— წერილი დამიტოვა, რაღაც ანდერძის მსგავსი. მხოლოდ იმას წაგიკითხავთ, რაც თქვენ გეხებათ.

ფურცელი გახსნა:

"ლილისფერ ჩაის ქილაში ცოტა ფული დევს. გადაეცით მიხაელ ბერგს. იმ შვიდიათას მარკასთან ერთად, რომელიც ბანკში მაქვს, გადასცეს იმ ქალს, რომელმაც გადამწვარი ეკლესიიდან დედასთან ერთად გამოაღწია, გადარჩა და წიგნიც დაწერა. თავად იმან გადაწყვიტოს, რა უქნას ამ ფულს. ჩემგან მოკითხვა გადაეცით".

გამოდის, პირადად ჩემთვის ერთი წინადადებაც არ დაუტოვებია. ნუთუ მას ასე უნდოდა ჩემთვის გული ეტკინა? უნდოდა დავესაჯე? თუ სულიერად ისე გადაიღალა, რომ მხოლოდ რაც საჭირო და აუცილებელი იყო, იმისი დაწერაღა შეეძლო?

— მთელი ეს წლები თავს როგორ გრძნობდა? — შევიცადე, ვიდრე კიდევ შევძლებდი ლაპარაკს და მერე დავძინე — მაინც როგორი იყო ის მთელი ეს წლები?

— ძალიან ბევრი წელი გაატარა აქ, როგორც მონასტერში. თითქოს საკუთარი ნებით მოვიდა, რომ განმარტოებულიყო, თავისი ნებით დამორჩილ-

და აქაურ წესებს. თითქოს ეს ერთფეროვანი საქ-
მიანობა ერთგვარ მედიტაციასავითაც იყო. სხვა
ქალებთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, მაგ-
რამ, ამავე დროს, შორსაც ეჭირა თავი. ყველა
განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა, უფ-
რო მეტიც, მათთვის საოცარ ავტორიტეტს წარ-
მოადგენდა. თუ რამე პრობლემა იყო იმას ეკითხე-
ბოდნენ რჩევას, ჩხუბი თუ ატყდებოდა, უპირატე-
სობას ყოველთვის იმის გადაწყვეტილებას ანიჭებ-
დნენ. მაგრამ ამ ბოლო რამდენიმე წლის წინ,
საკუთარ თავზე ხელი ჩაიქნია. საერთოდ თავს
ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. ძლიერი
პიროვნება იყო, საკმაოდ კარგად შენახული, მოხ-
დენილი, შეიძლება ითქვას მეტისმეტად სუფთაც
კი. მარტო ამ ბოლო ხანებში დაიწყო ზედმეტის
ჭამა, ცოტა გასუქდა იშვიათადღა იბანდა, და
არასასიამოვნო სუნიც სდიოდა. მაგრამ უკმაყოფი-
ლო და უბედური ადამიანის შთაბეჭდილებას მა-
ინც არ ტოვებდა. ჩემი აზრით, ისეთი შთაბეჭდი-
ლება იქმნებოდა, თითქოს ამ თავისებურ მონას-
ტერში ყოფნა მისთვის აღარ კმაროდა, თითქოსდა
თვით ამ მონასტერში უკვე მისთვის ყველაფერი
ამაო გახდა, და ამიტომაც მოისურვა უფრო შორს
გაჭრილიყო, საკუთარ სენაკში განმარტოებული-
ყო, სადაც ვერავინ დაინახავდა. სადაც გარეგნო-
ბას, ტანსაცმელსა და სუნს აღარანაირი როლი
აღარ მიენიჭებოდა. არა, ის აზრი, რომ თავის
თავზე ხელი ჩაიქნია, ალბათ არასწორია. უბრა-
ლოდ თავისი ადგილი ახლებურად განსაზღვრა,
ახალი მეთოდით, რაც თავისთვის უფრო საიმე-
დოდ მიაჩნდა, და სხვა ქალებზე შთაბეჭდილების
მოხდენას აღარ ცდილობდა.

— და ბოლო დღეებში?

— ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის.

— შემიძლია დავხედო?

ციხის უფროსმა თავი დამიქნია.

— ნუთუ მარტოობაში გატარებული ამდენი წლის მერე ვინმესთვის სამყარო შეიძლება ასეთი აუტანელი გახდეს? ნუთუ ერჩივნა თავი მოეკლა, ვიდრე ამ მონასტრიდან, ამ განმარტოებული სამყაროდან გარეთ გასულიყო?

ის მომიტრიალდა.

— ქალბატონ შმიცს არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია, რატომ მოიკლა თავი. არც თქვენ ამბობთ არაფერს, რა იყო თქვენს შორის, რატომ მოიკლა მაინცა და მაინც თავი იმ წინა ღამით, როცა მეორე დილით თქვენ უნდა გაგეყვანათ აქედან.

მან ჰანას წერილი დაკეცა. ისევ ჯიბეში ჩაიდო. ადგა, კაბა ჩამოისწორა.

— მისი სიკვდილი ჩემთვის დარტყმაა, იცით... ძალიან გაბრაზებული ვარ ქალბატონ შმიცზე და თქვენზე. კარგი, რაღა გავაგრძელო, წამომყევით.

ის ისევ წინ მიმიძღოდა, ამჯერად მდუმარედ. ჰანა საავადმყოფოს სტაციონარში იწვა. ერთ პატარა ოთახში. ადგილი ძლივს გვეყო, რომ კედელსა და საკაცეს შორის დავმდგარიყავით. სუდარა ციხის უფროსმა გადახადა.

ჰანას პირი პირსახოცით ჰქონდა აკრული, რომ გვამის გაციებამდე, ნიკაპი აეწიათ. მის სახეში არც განსაკუთრებული სიმშვიდე შეიმჩნეოდა და არც განსაკუთრებული ტანჯვა. რაც უფრო დიდხანს ვაკვირდებოდი მის გაშეშებულ მკვდარ სახეს, მით უფრო ცოცხალი მეჩვენებოდა, დიახ, მო-

ხუცში — ახალგაზრდა ალბათ ასე თუ იყვნენ მოხუცი ცოლ-ქმარიც, — გავიფიქრე. მოხუც ქმარს მოხუცი ცოლი ყოველთვის ახალგაზრდად ამახსოვრდება, ისევე, როგორც მოხუც ცოლს თავისი მოხუცი ქმარი. მოხუცში ახალგაზრდა ქალის თავისებური მშვენიერება და მიმზიდველობაა... რატომ ვერ დავინახე ერთი კვირის წინ ეს თავისებური მიმზიდველობა?

ცრემლებისაგან თავს ძლივს ვიკავებდი. როცა ციხის უფროსმა რაღაც ხნის მერე კითხვის ნიშნად გამომხედა, თავი დავუქნიე, და მანაც ჰანას ისევ გადააფარა სუდარა.

11.

მხოლოდ შემოდგომაზე შევძელი ჰანას თხოვნის შესრულება. ეკლესიიდან გადარჩენილი ქალი ნიუ-იორკში ცხოვრობდა. ვისარგებლე იმით, რომ ბოსტონში კონფერენციაზე ვიყავი მიწვეული, და გადავწყვიტე მისთვის გადამეცა ჰანას საბანკო ანგარიში და მწვანე ჩაის ქილაში გადანახული ნაღდი ფული. ჯერ წერილი მივწერე, თავი გავაცანი როგორც სამართლის ისტორიკოსმა და ცოტა რამ იმ პროცესზეც ვუამბე. ვუთხარი, რომ ძალიან მადლობელი ვიქნებოდი, თუ ნებას დამრთავდა მომენახულებინა. მან თავისთან შინ ჩაიზე მიმიწვია.

ბოსტონიდან ნიუ-იორკამდე მატარებლით გავემგზავრე. ტყე ყავისფრად, ყვითლად, ფორთოხლისფრად, წითელ-ყავისფრად, ყავისფერ-წითლად, თვალის მომჭრელი ნაკვერჩხალივით წითლად ბრწყინავდა.

ჰანას საკანში კედელზე ჟურნალიდან ამოჭრი-

ლი შემოდგომის ამსახველი სურათები გამახსენდა. მატარებლის ბორბლების რიტმულ ჩაქჩაქში ჩამთვლიმა. მეზმანა, თითქოს ჰანა და მე შემოდგომაზე, ჭრელ ბორცვზე მდგარ სახლში ვიყავით, რომლის გასწვრივაც მატარებელი მიდიოდა. ჰანა ჩემს სიზმარში უფრო ხნიერი იყო, ვიდრე იმ დროს, როცა გავიცანი, მაგრამ იმაზე უფრო ახალგაზრდა, ვიდრე ბოლოს ვნახე. ჩემზე უფროსი, უფრო ლამაზი, ვიდრე უწინ, ასაკთან ერთად სიმშვიდეც მომატებოდა. მოძრაობებშიც და სხეულის მიხვრა-მოხვრაშიც უფრო თავდაჯერებული ჩანდა. ვხედავდი, როგორ მიემართებოდა ბაღიდან სახლისაკენ, როგორ გადმოვიდა მანქანიდან, აიღო ხელში საყიდლებით სავსე პარკები, და ჩემ წინ კიბეებზე ამოდიოდა. ჰანას მონატრების შეგრძნებამ ისე მძაფრად მომიცვა, რომ ტკივილიც კი ვიგრძენი. მე წინააღმდეგობას ვუწევდი ამ მონატრებას, ვცდილობდი მოვრეოდი, უკუმეგდო, რადგან რეალობას, ჩვენს ასაკობრივ რეალობას, ჩვენს ცხოვრებას საოცრად არაზუსტად გამოსახავდა. როგორ, ნუთუ ეს ჰანაა, ის ხომ ინგლისურად არ ლაპარაკობდა, როგორ მოხვდა უცბად აქ ამერიკაში? მან ხომ არც მანქანის ტარება იცოდა?!

გამომელვიძა, და მაშინვე გამახსენდა, რომ ჰანა მკვდარი იყო. ისიც გავიცნობიერე, რომ ამ მონატრებასა და სევდას ისევ ჰანასაკენ მივყავდი. ან იქნებ ეს მონატრება პირადად მას კი არ ეკუთვნოდა, არამედ ეს იყო შინ დაბრუნების მონატრება.

ის ქალი, როგორც ვთქვი, ნიუ-იორკში, ცენტრალური პარკის სიახლოვეს, ერთ პატარა ქუჩაზე ცხოვრობდა.

ქუჩის ორივე მხარეს ძველისძველი სახლები

იყო ჩამწკრივებული, მუქი ქვიშაქვით მოპირკეთებული, რომლებშიც, კიბეებიც, რომლებსაც პირველ სართულზე ავყავდით, ქვიშაქვისა ჰქონდა. ცივი, მკაცრი სურათის წინაშე აღმოვჩნდი: ერთიმეორეზე უწესრიგოდ მიჯრილი სახლები, ფასადები, არათანაბრად დარგული ხეები, რომელთა შეშიშვლებულ ტოტებზე აქა-იქ შეყვითლებული ფოთლები ჯერ კიდევ შერჩენილიყო.

მასპინძელმა ჩაი გამომიტანა და დიდ ფანჯრებთან, რომლებიც სახლების შიდა ეზოებში გაშენებულ ბაღებს გადასცქეროდა, მაგიდა გააწყო. ბაღები სულ ყვითლად და მწვანედ გადაჭრელებულიყო, შიგადაშიგ ათასნაირი ხარახურა ეყარა. მაგიდას რომ მივუსხედით, ჩაი უკვე დასხმული იყო, შაქარიც ჩაეყარა და მოერია. თავდაპირველად ინგლისურად მომესალმა, მერე გერმანულ ლაპარაკზე გადავიდა: "ჩემთან რამ მოგიყვანათ?" მისი ხმა არც თბილად ჟღერდა და არც ცივად. შეიძლება ითქვას ტონით, შეხედულებით, მოძრაობით, ჟესტიკულაციით, ტანსაცმელითაც კი საქმიან ელფერს ტოვებდა. უცნაურია, მაგრამ სახის მიხედვით საერთოდ ვერანაირ ასაკს ვერ ამოიკითხავდი. ასე გამოიყურება იმათი სახეები, ვისაც პლასტიკური ოპერაცია აქვთ გაკეთებული. მაგრამ იქნებ უბრალოდ ადრინდელი ტანჯვის გამო ჰქონდა გაყინული. ამაოდ ვცდილობდი გამეხსენებინა მისი სახე პროცესზე.

მე მოვუყევი ჰანას სიკვდილისა და მისი დავალების შესახებ.

— რატომ მაინცა და მაინც მე?

— ვფიქრობ იმიტომ, რომ ერთადერთი ხართ, ვინც ცოცხალი გადარჩით.

— და ეს ფული მე სად უნდა წავიღო? ან რა

უნდა გავაკეთო?

— რასაც საჭიროდ ჩათვლით.

— და ამით ქალბატონი შმიცი იმ ცოდვებისაგან გავათავისუფლო?

თავდაპირველად მინდოდა შევპასუხებოდი, მაგრამ, ისე, ჰანა მართლაც ბევრს მოითხოვდა. ციხეში გატარებული წლები მისთვის მხოლოდ ცოდვათა გამოსყიდვის წლები არ უნდა ყოფილიყო, ჰანა ამას ეტყობა რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და თვლიდა რომ ამით შენდობას მიიღებდა. ამ ქალსაც სწორედ ასე ვუთხარი.

მან თავი გადააქნია. ვერ მივხვდი, ამით ჩემი წინადადების უარყოფა სურდა, თუ ჰანას შენდობაზე ამბობდა უარს.

— ალბათ გიჭირთ იმ ცოდვათა მიტევება და შენდობა?

გაიცინა.

— თქვენ, როგორც ჩანს მისდამი კარგად იყავით განწყობილი, ასეა არა? მაინც რა გაკავშირებდათ ერთმანეთთან?

ჯერ შევფერხდი.

მე მისი წამკითხველი ვიყავი. ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ვიყავი, როცა მისთვის წაკითხვა დავიწყე და მაშინაც განვაგრძობდი, როცა ციხეში იჯდა.

— ეს როგორ...

— კასეტებს ვუგზავნიდი. ქალბატონი შმიცი, მთელი თავისი ცხოვრება წერა-კითხვის უცოდინარი იყო. კითხვაც და წერაც ციხეში ისწავლა.

— და რატომ აკეთებდით მისთვის ამ ყველაფერს?

— თხუთმეტი წლიდან მასთან სასიყვარულო ურთიერთობა მქონდა.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ინტიმურ კავშირში იყავით?

— დიახ.

— რა მოძალადე, რა სასტიკი იყო ეს ქალი! და თქვენ ეს როგორ შესძელით? თქვენ ამბობთ, რომ მასთან წაკითხვით დაიწყეთ და ციხეშიც განაგრძობდით. ცოლი თუ გყავთ?

თავი დავუქნიე.

— და თქვენი ქორწინება ალბათ ხანმოკლე და უბედური გამოდგა არა? და იმის მერე აღარც შეგირთავთ ცოლი. ალბათ ბავშვიც გყავთ? ახლა კი ინტერნატში იზრდება.

— ასეთი რამ სხვა ათასობით ადამიანსაც ხომ შემთხვევია. ამისათვის სულაც არაა საჭირო ჰანა, თუ ჰანას მსგავსი...

— მითხარით, ბოლოს მასთან როდის გქონდათ ურთიერთობა? ისეთი გრძნობა არ გიჩნდებოდათ, რომ მან მშვენივრად იცოდა, რაზეც მიდიოდა, რასაც გიკეთებდათ?

მხრები ავიჩეჩე.

— ყოველ შემთხვევაში ის იცოდა, რას უკეთებდა ბანაკში სხვებს. ამის შესახებ მითხრა კიდეც. და ეტყობა, მთელი ამ წლების მანძილზე მხოლოდ ამაზე ფიქრობდა.

და მერე მოვუყევი, რაც ციხის უფროსისაგან შევიტყვე.

ქალი წამოდგა და ოთახში დიდი ნაბიჯებით იწყო სიარული.

— რა თანხაზეა საუბარი?

დერეფანში გავედი, სადაც ჩემი ჩანთა დავტოვე,

და უკან საბანკო ანგარიშითა და ჩაის ქილით ხელში დავბრუნდი.

— აი, აქ არის.

საბანკო ანგარიშს დახედა და მაგიდაზე დადო. ქილა გახსნა, გადმოცალა, ისევ დაახურა თავი და კარგად შეათვალიერა.

— ბავშვობაში მეც მქონდა ჩაის ქილა ჩემი სამკაულებისა და ნივთებისათვის. ზუსტად ასეთი არა, როგორიც ეს არის, თუმცა ალბათ ესეც თავის დროზე ლამაზი იქნებოდა. ჩემსას რუსული შრიფტით ეწერა. სახურავი სხვანაირი ჰქონდა, პირდაპირ ზემოდან უნდა დაგეხურა. საკონცენტრაციო ბანაკშიც თან მქონდა. იქ მომპარეს.

— შიგ რა გქონდათ?

— რა მექნებოდა... ჩემი პუდელის პატარა მოჭრილი ბეწვი. ოპერის ბილეთები, სადაც მამაჩემს დავყავდი. ბეჭედი, სადღაც ნაპოვნი თუ მოგებული, არა შიგ რაც ეწყო იმის გამო კი არ მომპარეს, თვითონ ქილა და რისთვისაც ბანკში ეს ქილა სჭირდებოდათ, ის იყო მთავარი და მნიშვნელოვანი.

მერე ქილა საბანკო ანგარიშის ქვითარს დაადგა.

— ამ ფულთან დაკავშირებით გაქვთ რამე მოსაზრება? იქნებ ისეთ რაღაცაში უნდა იქნეს გამოყენებული, რაც განადგურებულ ებრაელებთანაა კავშირში, ჩემი მხრიდან ეს ნამდვილად ცოდვათა მიტევება იქნებოდა. მინდა კი ამის გაკეთება?.

— ფული მართლაც შეიძლება გასცე, მაგალითად, წერა-კითხვის უცოდინართა დასახმარებლად, რომელთაც სურთ წერა-კითხვა ისწავლონ. ალბათ ამისათვის არსებობს რაღაც საზოგადოებრივი ფონ-

დები, კავშირები, გაერთიანებები.

— რაღა თქმა უნდა, იარსებებს.

მერე ჩაფიქრდა. — ან იქნებ ასეთივე ფონდები ებრაელ, წერა-კითხვის უცოდინარი ებრაელთათვისაც არსებობს?

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ, თუ ასეთი ფონდები საერთოდ არსებობს, ალბათ ებრელთათვისაც იქნება. ისე წერა-კითხვის უცოდინრობა, არ არის, ასე ვთქვათ, ებრელთა პრობლემა.

მერე ფული და საბანკო ჩეკი გამომიწოდა.

— მოდით ასე მოვიქცეთ. თქვენ გაიკითხეთ, რა სახის ებრაელთა ფონდები და ორგანიზაციები არსებობს ამ სფეროში აქ ან გერმანიაში და ფული იმათ ანგარიშზე გადავრიცხოთ, რომელსაც უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნევთ. თქვენ შეგიძლიათ ასევე, — და მან აქ გაიცინა, — ფული ჰანა შმიცის სახელითაც გადარიცხოთ. თუკი აქ პატიებას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს.

მერე ქილა ისევ აიღო და დასძინა:

— აი ქილას კი ჩემთვის დავიტოვებ.

12

ამასობაში, ათმა წელმა განვლო. ჰანას სიკვდილის მერე, რამდენიმე წელი მე ისევ ძველი შეკითხვები მტანჯავდა: ხომ არ ვუღალატე, ან ხომ არ უარვყავი, ან იქნებ რაღაც ისე ვერ გავაკეთე, რამე ხომ არ დავუშავე. ან საერთოდ იქნებ სულაც არ უნდა მყვარებოდა, უნდა უარმეყო და ჩამოვშორებოდი. ზოგჯერ მის სიკვდილში საკუთარ თავს ვადანაშაულებდი, ზოგჯერ კი მასზე და ყველაფერ იმაზე ვბრაზდებოდი, რაც მან გამიკეთა, ვიდრე ბრაზი გამინელდა და ეს შეკითხვე-

ბიც უმნიშვნელოდ არ იქცა ჩემთვის. ბოლოს და ბოლოს, რაც გავაკეთე, ან არ გავაკეთე, ეს ჩემი ცხოვრება იყო.

გადაწყვეტილება, რომ დამეწერა ჰანას და ჩემი ამბავი, მისი სიკვდილის მერე მივიღე. მას მერე ჩვენი ამბავი გონებაში რამდენჯერმე დავწერე. და ყოველ ჯერზე სულ სხვადასხვაგვარად, სულ ახალ-ახალი წარმოსახვებითა და ახალი სურათებით, ფიქრებითა და მოქმედებებით. ასე რომ, ჩემს მიერ დაწერილი ამბის ამ ვერსიის გარდა, უამრავი სხვა ვერსია არსებობს. და იმის გარანტია, რომ ჩემი დაწერილი ვერსია ყველაზე საუკეთესოა, ალბათ ისაა, რომ მე ის დავწერე. სხვა ვერსიები კი არ დამიწერია. დაწერილი ვერსია უნდა დაწერილიყო, სხვები კი — არა.

თავდაპირველად ამ ამბის მოყოლა იმიტომ მინდოდა, რომ მისგან გავთავისუფლებულიყავი. თუმცა ამ მიზნით, ვხედავდი, მოგონებებს ვერ ვიმორჩილებდი. თანდათან შევნიშნე, რომ მოგონებები ხელიდან მისხლტებოდა და ამიტომ ქაღალდზე გადმოტანით მათი დაბრუნება მინდოდა. მაგრამ მოგონებები ამანაც ვერ მოიზიდა. რამდენიმე წელს ამ ამბავს მოვეშვი, თითქოს სიმშვიდეც ვპოვე. და სწორედ ამ დროს მოგონებებიც ისევ უკან დამიბრუნდა. დეტალი დეტალს მოსდევდა, გამოკვეთილად, დასრულებული სახით, და ის მე ნაღველს აღარ მგვრიდა. თუმცა ერთხანს მართლაც ვფიქრობდი, რომ ეს ამბავი ნაღვლიანი იყო, აბა ბედნიერი ხომ მართლაც არ ეთქმოდა. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ეს ამბავი მართალია, და სევდიანია თუ ბედნიერი, აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

ყოველ შემთხვევაში, როცა მშვიდად ვგრძნობ თავს, ასე ვფიქრობ. მაგრამ როგორც კი სევდა მომერევა, ზედაპირზე იმდროინდელი ჭრილობები ამომიტივტივდება, როცა თავს დამნაშავედ ვგრძნობდი საკუთარი დანაშაულის შეგრძნებასა, დღევანდელ ლტოლვასა და სევდაში, რატომღაც იმ დროის მონატრებას, ნოსტალგიას შევიგრძნობ. ჩვენი ცხოვრების შრეები ისე ახლოს ლაგდება ერთიმეორესთან, რომ მოგვიანებით ყოველთვის გვხვდება ის, რაც უწინ იყო, მაგრამ არა ისე, როგორც უკვე დაძლეული, განვლილი, არამედ როგორც აწმყოსეული და ცოცხალი. და ეს ჩემთვის გასაგებიცაა. მაგრამ ზოგჯერ მაინც აუტანლად მეჩვენება. იქნებ ჩვენი ამბავი სწორედ ამიტომაც დავწერე, რომ მისგან გათავისუფლება მეწადა, მაშინაც კი, თუკი ვერ შევძლებდი ამას.

ნიუ-იორკიდან დავბრუნდი თუ არა, ჰანას ფული მისი სახელით Jewish League gainst Illiteracy-ის ფონდში გადავრიცხე. პასუხად მივიღე მოკლე კომპიუტერული ჩანაწერი, რომელშიც Jewish League ქალბატონ შმიცს ამ შეწირულობისათვის მადლობას უხდიდა. ამ წერილით ჰანას სასაფლაოზე მივედი. და მის საფლავთან პირველად და უკანასკნელად ვიდექი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@posta.ge

5(ი4/233

ბერნჰარდ შლინკი დაიბადა 1944 წელს ბილეფელდში. დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. როგორც მწერალი სამოლვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა 1987 წელს.მინიჭებული აქვს არაერთი ლიტერატურული და სახელმწიფო პრემია.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 59.302/2